

ზ. შელია

**ანატოლიის განმარტებით
ლექსიკონი**

„მეცნიერება“
თბილისი
1979

ახალი საერთაშორისო ანატომიური ნომენკლატურის დაწესებამ საკირო გახადა ლათინური ტერმინების ქართული შესატყვისების შემუშავება და მათი განმარტება. აღნიშნულ ამოცანას ემსახურება „ანატომიის განმარტებითი ლექსიკონი“. წინამდებარე ლექსიკონი ორენოვანია — ლათინურ-ქართული. ლექსიკონის სიტყვანი შედგენილია საერთაშორისო ანატომიური ნომენკლატურის საფუძველზე და მოიცავს 4000-მდე ლათინურ ანატომიურ ტერმინს, მათ ეტიმოლოგიას, ქართულ შესატყვისებს, განმარტებას და შესაბამის ტერმინებს ბაზელის ანატომიური ნომენკლატურიდან. წიგნი გათვალისწინებულია მედიცინისა და ბიოლოგიის, კერძოდ, ანატომიის დარგში მომუშავე სპეციალისტებისათვის და შესაბამისი უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისათვის, აგრეთვე სამედიცინო სასწავლებლების მოსწავლეათვის.

რედაქტორი საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფ. ნ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი

წინასიტყვაობა

ანატომიის ტერმინოლოგიას თავისი განვითარების გზები და ისტორია აქვს. საუკუნეების მანძილზე ანატომიის დარგში დაგროვდა უამრავი ლათინური, ბერძნული და არაბული წარმოშობის ტერმინები. საჭირო იყო ამ ტერმინების სისტემაში მოყვანა და ერთიანი ტერმინოლოგიის შემუშავება. ამ მიზნით 1895 წ. ბაზელში გერმანიის ანატომთა საზოგადოებამ დაამტკიცა ანატომიის ტერმინების ნუსხა ლათინურ ენაზე, რომელიც შევიდა მედიცინის ისტორიაში ბაზელის ანატომიური ნომენკლატურის — *Baseler Nomina Anatomica* (BNA) სახელწოდებით.

მეცნიერების შემდგომმა განვითარებამ მოითხოვა ბაზელის ნომენკლატურის გადასინჯვა. 1933 წ. დიდი ბრიტანეთისა და ირლანდიის ანატომთა საზოგადოებამ გამოაქვეყნა ანატომიური ტერმინების გადამუშავებული ნუსხა, რომელიც ბევრი ახალი ტერმინით შეივსო (B R — Birmingham revision); ხოლო 1935 წ. იენაში, გერმანიის ანატომთა საზოგადოებამ მიიღო შტივეს მიერ შემუშავებული ლათინური ანატომიური ტერმინების ახალი ნუსხა, რომელიც ცნობილია იენის ანატომიური ნომენკლატურის სახელწოდებით — *Jenaer Nomina Anatomica* (JNA). ამა თუ იმ სახელმწიფოში უპირატესად ერთი რომელიმე ნომენკლატურა იყო გაბატონებული. საბჭოთა კავშირში, კერძოდ, გავრცელებული იყო ბაზელის ანატომიური ნომენკლატურა, თუმცა ზოგიერთ სახელმძღვანელოში მოყვანილი იყო ტერმინები იენის ნომენკლატურიდანაც.

ჩვენს დროში არც ერთი ნომენკლატურა აღარ აკმაყოფილებდა წაყენებულ მოთხოვნებს. ამასთან ერთად, ერთიანი ანატომიური საერთაშორისო ნომენკლატურის უქონლობა დიდად ართულებდა ტერმინოლოგიის უნიფიცირების საკითხს. ახალი ნომენკლატურის შემუშავება დაევალა ანატომიის საერთაშორისო სანომენკლატურო კომიტეტს. 1955 წ. პარიზში, ანატომთა საერთაშორისო VI კონგრესმა მიიღო კომიტეტის მიერ წარმოდგენილი ანატომიის ლათინური ტერ-

შინების ნუსხა, რომელიც შევიდა მედიცინის ისტორიაში პარიზის ანატომიური ნომენკლატურის სახელწოდებით — *Parisiensia Nomina Anatomica* (PNA).

პარიზის ანატომიური ნომენკლატურა მომდევნო წლებში ორჯერ გასწორდა და შეივსო (1960 წ. ნიუ-იორკი, ანატომთა VII საერთაშორისო კონგრესი და 1965 წ. ვისბადენი, ანატომთა VIII საერთაშორისო კონგრესი).

საბჭოთა კავშირში სხვადასხვა წლებში აკადემიკოს დ. ჟდანოვის რედაქციით გამოცემულ იქნა პარიზის ანატომიური ნომენკლატურის სამივე ნუსხა. ბოლო ნუსხა „საერთაშორისო ანატომიური ნომენკლატურის“ სათაურით გამოიცა 1970 წ. ამ გამოცემაში გათვალისწინებულია ნიუ-იორკში და ვისბადენში ანატომთა საერთაშორისო კონგრესის მიერ მიღებული შეესება-შესწორებანი. მის მერე ანატომიის საერთაშორისო სანომენკლატურო კომიტეტს ამ ნუსხაში არავითარი ცვლილება არ შეუტანია და იგი სახელმძღვანელოა ყველა სახელმწიფოს ანატომთათვის

უნდა აღინიშნოს, რომ ანატომთა, ჰისტოლოგთა და ემბრიოლოგთა საკავშირო სამეცნიერო საზოგადოების ბევრმა წევრმა უკმაყოფილება გამოთქვა პარიზის ანატომიური ნომენკლატურის რიგი ტერმინებისა და ტერმინების ზოგიერთი დაჯგუფების მიმართ. შეიქმნა სატერმინოლოგიო კომიტეტი პროფ. ს. მიხაილოვის თავმჯდომარეობით. ამ კომიტეტმა შეიმუშავა საერთაშორისო ანატომიური ნომენკლატურის პროექტი ლათინურ და რუსულ ენებზე, რომელიც დამტკიცდა საბჭოთა კავშირის ანატომთა, ჰისტოლოგთა და ემბრიოლოგთა VIII ყრილობაზე. ჯერჯერობით იგი დარჩა პროექტის სახით და ოფიციალურად არ გამოქვეყნებულა. ამ პროექტში ძირითადი ცვლილებები ეხება ანატომიის რუსულ ტერმინებს.

პარიზის ანატომიური ნომენკლატურა სწრაფად გავრცელდა საბჭოთა კავშირში. სსრკ ჯანმრთელობის სამინისტროს სამეცნიერო საბჭოს დადგენილებით (1959 წ., 31. I) მოწოდებული იყო პარიზის ანატომიური ნომენკლატურის გამოყენება ანატომიაში და მედიცინის სხვა თეორიულ და პრაქტიკულ დარგებში. პარიზის ნომენკლატურის ლათინური ტერმინები შეტანილ იქნა ანატომიის ყველა ახალ სახელმძღვანელოსა და ატლასში; სხვადასხვა რესპუბლიკებში გამოქვეყნდა ლათინური ტერმინების ნუსხა შესატყვისებით მშობლიურ ენაზე. ჩვენში ეს საქმე პირველად განახორციელეს საქ. სსრ მეცნ. აკად. წევრ-კორესპონდენტმა ნ. ჯავახიშვილმა და პროფ. მ. ტატიშვილმა, რომლებმაც აკადემიკოს

ა. ნათიშვილის „ნორმალურ ანატომიაში“ შეიტანეს ახალი ლათინური ტერმინები ქართული შესატყვისებით და გამოსცეს იგი 1965 წ. ახალი ტერმინები შემდგომში შევიდა ქართულ ენაზე გამოცემულ ანატომიის ყველა სახელმძღვანელოში და ს. აბაშიძისა და ლ. აბაშიძის „სამედიცინო განმარტებით ლექსიკონში“;

პარიზის ანატომიური ნომენკლატურა შემუშავებულია ბაზელის ნომენკლატურის საფუძველზე. ტერმინების ნაწილი ბაზელის ნომენკლატურიდან მასში უცვლელად შევიდა, ნაწილი კი — შეცვლილი სახით. ამასთან ერთად პარიზის ნომენკლატურაში შეტანილია ახალი ტერმინები და ტერმინები JNA-სა და BR-იდან. PNA-დან ამოღებულია ყველა ეპონიმური ტერმინი, მოხსნილია დეფისი რთულ სიტყვებში, ამოღებულია ყველა დიფთონგი, რიგი სიტყვებისა კი ახლებურად იწერება. ასე რომ განსხვავება პარიზისა და ბაზელის ანატომიურ ნომენკლატურებს შორის საკმაოდ დიდია.

ჩვენში ანატომიის ქართული ტერმინები მეცნიერულად დაამუშავა აკადემიკოსმა ა. ნათიშვილმა. 1930 წ. მან გამოსცა სამედიცინო „ნორმალური ანატომიის ტერმინოლოგია“, რომელიც შემუშავებული იყო ბაზელის ანატომიური ტერმინების შესაფერისად. ანატომიის ქართული ტერმინების შემუშავებაში დიდი ღვაწლი მიუძღვის პროფ. ვუკ. ბერიძესაც, რომელიც ათეული წლების მანძილზე ედგა სათავეში ტერმინოლოგიურ საქმიანობას საქართველოში. „ნორმალური ანატომიის ტერმინოლოგიის“ წინასიტყვაობაში პროფ. ვუკ. ბერიძე უკვე მაშინ სთვლიდა საჭიროდ „განსაკუთრებით კი — ანატომიური ტერმინების ლექსიკონს, სადაც თითოეული ტერმინის წარმოშობა და შინაარსი სრულად იქნება მოცემული“. ვფიქრობთ, რომ ეს საკათხი დღეს უფრო მწვავედ დგას. ადამიანის ნორმალური ანატომია მოიცავს უამრავ ცნებას, რომლებიც ასახულია შესაფერის ტერმინებში. საჭიროა არა მარტო ამ ცნება-ტერმინების განმარტება, არამედ რამდენადაც ეს შესაძლებელია შესატყვისობის დადგენა ახალ და ძველ ტერმინებს შორის, მით უმეტეს, რომ ანატომიის მთელი რიგი კლასიკური სახელმძღვანელოებისა, ატლასებისა, და ბოლოს, უამრავი სპეციალური სამედიცინო ლიტერატურა გამოქვეყნებულია პარიზის ანატომიურ ნომენკლატურამდე.

ანატომები უძველესი დროიდან ცდილობდნენ დაედგინათ ამა თუ იმ ტერმინის წარმომავლობის საკითხი, განემარტათ იგი. სხვა ამდაგვარ წიგნებს შორის საგანგებოდ გვინდა აღვნიშნოთ ჰირტლის შესანიშნავი წიგნი — *Onomatologia anatomica* 1880, რომლის გამოქვეყნებამ, სხვათაშორის, დიდად შეუწყო ხელი ბაზელის ანატომ-

მიუჩი ნომენკლატურის შემუშავებას. ამ წიგნიდან, კერძოდ, ჩანს, რომ ანატომიური ტერმინების ნაწილი სრულებით არ შეესაბამება კლასიკურ ლათინურს და რომ თავისთავად ეს ტერმინები უაზრობაა. მაგალითად, *canalis tubarius* არსებითად ლულის არხს კი არ ნიშნავს, არამედ ლულის შემკმნელ არხს, *nervus cardiacus* — გულის ნერვს კი არ ნიშნავს, არამედ გულით დაავადებულ ნერვს და სხვ. მიუხედავად ამისა, ამ ტერმინების ხმარების ტრადიცია იმდენად დამკვიდრებულია მედიცინაში, რომ ჰირტლი არ თვლიდა მიზანშეწონილად მათ შეცვლას.

ანატომიის განმარტებითი ლექსიკონი ქართულ ენაზე არ მოიპოვება, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ს. აბაშიძისა და ლ. აბაშიძის „სამედიცინო განმარტებით ლექსიკონს“, რომელშიც ანატომიის ტერმინების უმნიშვნელო ნაწილია შესული. წინამდებარე წიგნის აგებულებისა და მოცულობისათვის ნიმუშად მივიჩინეთ რუსულ ენაზე გამოცემული პროფ. პ. კარუზინის „ანატომიის ტერმინების ლექსიკონი“ და ტ. დონატის „ანატომიის განმარტებითი ლექსიკონი“. განსაკუთრებით ტ. დონატის წიგნი, რომელშიც ზედსართავი სახელები დაჯგუფებულია შესატყვის არსებით სახელებთან. მართალია ამით რამდენადმე ირღვევა სიტყვების ანბანთრიგზე ზუსტი განლაგება, მაგრამ უფრო ნათლად ისახება დამოკიდებულება არსებით სახელსა და ზედსართავს შორის. აქვე აღვნიშნავთ, რომ ეს ორივე წიგნი შედგენილია ბაზელის ანატომიური ნომენკლატურის საფუძველზე.

წინამდებარე წიგნს საფუძვლად უდევს პარიზის ანატომიური ნომენკლატურა, ანატომია VII და VIII საერთაშორისო კონგრესებზე ნიუ-იორკში და ვისბადენში მიღებული შევსება-შესწორების გათვალისწინებით. ლექსიკონის სიტყვანი მოიცავს ლათინურ ანბანთრიგზე განლაგებულ ლათინურ სიტყვებს (ნომენკლატურაში როგორც წესი ბერძნული და არაბული სიტყვები ტრანსკრიბირებულია ლათინურად) და ტერმინებს. არსებითი სახელი მოყვანილია სახელობითში ნათესაობითი ბრუნვის ფორმის, სქესისა და წარმოშობის ჩვენებით; ზედსართავი სახელი მოწოდებულია დაწყებით ხარისხში და შემოკლებით აქვს მიწერილი ორნაირი ან სამნაირი ბოლოკიდური ცალკე სქესებისათვის; ზმნა ძირითადად ამოწერილია უპირო ფორმის სახით. ქართული შესატყვისები შემოწმებულია სიმ. ყაუხჩიშვილის ლათინურ-ქართული ლექსიკონით. გასაგებია, რომ ბევრი სიტყვა მედიცინაში და, კერძოდ, ანატომიაში განსხვავებული მნიშვნელობით იხმარება. ტერმინებს თან ახლავს მოკლე და ანატომიის ცოდნის შე-

დარებით ელემენტარული დონით შემოფარგლული განმარტება. განმარტების ბოლოს მიწერილია შესატყვისი ტერმინი ბაზელის ნომენკლატურიდან თუ ამ ორ ტერმინს შორის არსებობს განსხვავება, მაგრამ ერთი ცნების აღმნიშვნელი არიან. ან კიდევ მიწერილია ავტორის გვარი, რომელთანაც დაკავშირებულია ცნება-ტერმინი.

ამ წიგნს, უთუოდ, ხარვეზი ექნება. მკითხველის ყოველგვარი დაკვირვებული შენიშვნა და მითითება მაღლობით იქნება მიღებული.

უღრმესი მაღლობით მინდა აღენიშნო ის დახმარება, რომელიც გამიწია ლექსიკონის მომზადებაში მისმა რედაქტორმა საქ. მეცნ. აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, მეცნ. დამსახურებულმა მოღვაწემ, პროფესორმა ნ. ჯავახიშვილმა.

მაღლობა უნდა მოვახსენო ა. ნათიშვილის სახ. ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტის ბიბლიოთეკას თანამშრომელს ქ. ნაკაშიძეს გაწეული მუშაობისათვის.

შემოკლებანი

არაბ. — არაბული

ანატ. — ანატომიური ტერმინი

ბერძნ. — ბერძნული

ბრ. — ბრუნვა

მდ. — მდებარეობითი სქესი

იხ. — იხილე

კნინ. — კნინობითი სახელი

ლათ. — ლათინური

მ. — მამრობითი სქესი

მრ. — მრავლობითი რიცხვი

საშ. — საშუალო სქესი

A

abdomen,- inis, საშ. ლათ. მუცელი.

abdominalis, -e მუცლისა.

abducens, -entis ლათ. (abducere განზე გაყვანა) განმზიდველი (ნერვი).

abductio, -onis, მდ. ლათ. განზიდვა; კიღურის განზიდვა სხეულის შუა სიბრტყიდან.

abductor, -oris, მ. ლათ. განმზიდველი.

musculus abductor pollicis ხელის ცერის განმზიდველი კუნთი.

aberratio, -onis, მდ. ლათ. (aberrare გადახრა, გადაწევა) გადაცდენა, გადახრა, აბერაცია, შეცდომითი აღქმა.

aberrans, -antis, ლათ. გადახრილი, ცთომილი.

accessorius, -a, -um, ლათ. (accedere დართვა) დამატებითი.

processus accessorius დამატებითი მორჩი, წელის მალის დამატებითი მორჩი.

acetabulum, -i, საშ. ლათ. (acetum ძმარი) ძმრის თასი, ანატ. ტაბუხის ბუდე; მეჩჯის ძვლის სასახსრე ფოსო, რომელსაც ენაწევრება ბარძაყის ძვლის თავი.

acinus, -i, მ. ლათ. ანწლის კენკრა, ყურძენი, ანატ. აცინუსი; 1. ალვეოლური ჭირკვლების გამომტანი სადინარების დასაწყისი, მტევნისებრი ნაწილი, რომელთა ჯგუფი ქმნის წილაკს; 2. ფილტვის ალვეოლური მილაკების — ductuli alveolares ჯგუფი, რომლებიც მთავრდება ალვეოლური პარკებით — sacculi alveolares.

acromion, -i, საშ. ბერძნ. (acron წვერო, ბოლო; omo მხარი) აკრომიონი; ბეჭის ძვლის სამხრე მორჩი; ბეჭის ქედის ლატერალური ბოლო.

acromialis, -e, აკრომიული, რაც აკრომიონს განეკუთვნება.

acusticus, -a, -um, ბერძნ. სმენისა, სასმენი

ad, წინდებული, იხმარება ბრალდებით ბრუნვასთან, ლათ. -კენ, -თან, მახლობლად.

- a d d u c t i o, - o n i s**, მდ. ლათ. (adducere მოწვევა, მოზიდვა) მოზიდვა; კიდურის მოზიდვა სხეულის შუა სიბრტყესთან
- a d d u c t o r, - o r i s**, მ. ლათ. მომზიდველი
 musculus adductor magnus დიდი მომზიდველი კუნთი
- a d d u c t o r i u s, - a, - u m**, მომზიდველისა, რაც მომზიდველ კუნთს განეკუთვნება.
- a d e n o h y p o p h y s i s, - i s**, ბერძნ. (aden ჭირკვალი) ადენო-ჰიპოფიზი, ტვინის დანამატის წინა წილი; ვითარდება ჩანასახოვანი ცხოვრების პირველ თვეში პირველადი პირის ღრუს ექტოდერმიდან (რატკეს ჯიბე). ადენოჰიპოფიზი მოქმედებს სხეულის განვითარებაზე და ზრდაზე (სომატოტროპული ჰორმონი), აგრეთვე თიროტროპული, ადრენოკორტიკოტროპული და გონადოტროპული ჰორმონების საშუალებით ასტიმულირებს შინაგანი სეკრეციის ჭირკვლების მოქმედებას. ადენოჰიპოფიზის ჰიპოფუნქცია იწვევს ზრდის შეჩერებას, ჰიპერფუნქცია კა — გიგანტიზმს, აკრომეგალიას და სხვ.
- a d i p o s u s, - a, - u m**, ლათ. (adeps ცხიმი) ცხიმოვანი
- a d h e s i o, - o n i s**, ლათ. (adhaerere მიწებება) შეწებება, შეხორცება.
 adhesio interthalamica მხედველობის ბორცვთა შეხორცება; აქ ადგილი აქვს მხედველობის ბორცვთა მეორეულ შეხორცებას, შეწებებას. (BNA — massa intermedia).
- a d i t u s, - u s**, მ. ლათ. (adire შესვლა) შესავალი
 aditus ad antrum მღვიმის შესავალი; ხერელი, რომლითაც დაფხედა ჯიბე უერთება დვრილისებრი მორჩის მღვიმეს.
 aditus laryngis ხორხის შესავალი; მოსაზღვრულია წინიდან ხორხსარქელის თავისუფალი ნაპირით, უკანიდან — ციცვისებრი ხრტილების მწვერვალებით და ციცვისებრ ხრტილთაშუა ნაპირით, გვერდებიდან კა — ციცხ-ხორხსარქელის ნაოკებით.
 aditus orbitae თვალბუდის შესავალი; თვალბუდე ფორმით წააგავს პირამიდას, რომლის გარეთ მიქეული ფუძე წარმოადგენს თვალბუდის შესავალს.
- a d m i n i c u l u m, - i**, საშ. ლათ. საყრდენი
 adminiculum lineae albae თეთრი ხაზის საყრდენი; ბოქვენის ზემო იოგის ნაწილი, რომელიც უმაგრდება მუცლას თეთრი ხაზის უკანა ზედაპირს, მის ქვედა მონაკვეთში.

a dventiti us, -a, -um, ლათ. (*advenire* მოსვლა) გარედან მოსული, ანატ. ადვენტიციური

tunica adventitia მილაკოვანი ორგანოების გარეთა შემაერთებელქსოვილოვანი, ადვენტიციური გარსი.

a fferens, -ent is, ლათ. (*afferre* მოტანა) მომტანი, აფერენტული; აფერენტული ანუ ცენტრიპეტალური ნერვული ბოჭკოები.

a ffix us, -a, -um, ლათ. (*affigere* რაზედმე მიმაგრება) მიმაგრებული, დართული.

a gger, -er is მ. ლათ. ყრილი, ნაყარი, ანატ. შემადლება.

agger nasi ცხვირის შემადლება; ცხვირის ღრუს გვერდითი კედლის მომცრო შემადლება, რომელიც ცხვირის შუა ნიჟარის წინა ბოლოდან მიემართება ცხვირის ზღურბლისაკენ — *limen nasi*.

a ggregat us, -a, -um, ლათ. (*aggregare* შეგროვება) შეჯგუფული.

folliculi lymphatici aggregati შეჯგუფული ლიმფური ფოლიკულები

a la, -a e, მდ. ლათ. ფრთა

ala lobuli centralis ცენტრალური წილაკის ფრთა; ნათქემის კიის ცენტრალური წილაკის ფრთა; ძვეს ნათქემის ჰემისფეროში.

ala major დიდი ფრთა; სოლისებრი ძვლის დიდი ფრთა (*BNA — ala magna*).

ala minor მცირე ფრთა; სოლისებრი ძვლის მცირე ფრთა. (*BNA — ala parva*).

ala nasi ცხვირის ფრთა;

ala ossis ilii თეძოს ძვლის ფრთა; თეძოს ძვლის ფართო, ბრტყელი, უმეტესი ნაწილი.

ala vomeris სახნისის ფრთა

alaris, - e ფრთისებრი, ფრთისა, რაც ფრთას განეკუთვნება

albicans, -antis ლათ. (*albicare* გათეთრება) მოთეთრო

albugineus, -a, -um, ლათ. ცილოვანი, თეთრი

tunica albuginea თეთრი, ცილოვანი გარსი; ზოგიერთი ორგანოს (სათესლის, საკვერცხის, ასოს მღვიმოვანი სხეულის, თვალის კაკლისა და სხვ.) თეთრი ფერის ფიბროზული გარსი.

albus, -a, -um, ლათ. თეთრი

alimentarius, -a, -um, ლათ. (*alimentum* საზრდო, საკვები) საკვებისა.

a l l a n t o i s, - i d i s მდ. ბერძნ. (allas, - antos ძეხვი, eides სახე) ალანტოისი; ემბრიონის პროვიზორული ორგანო; მონაწილეობს გამოყოფის, სუნთქვის და კვების ფუნქციაში; წარმოადგენს უკანა ნაწლავის გამონაზარდს, რომელიც შემდგომ გადაიქცევა შარდის ბუშტად და ურახუსად.

a l v e o l u s, - i, მ. ლათ. (ჯინნ. alveus) პატარა გობი, ნავი, ანატ. ბუშტული, ალვეოლა.

alveoli dentales კბილბუდეები; ზედა და ქვედაყბის ალვეოლები კბილთა ფესვებისათვის.

alveoli pulmonis ფილტვის ალვეოლები; ჰაეროვანი მცირე ბუშტუკები, რომლებითაც მთავრდებიან ალვეოლური მილაკები.

alveolaris, -e ბუშტუკისა, ბუშტუკისებრი, ალვეოლური

a l v e u s, - i, მ. ლათ. გობი, ჩაღრმავება

alveus hippocampi ზღვის ცხენის ჩაღრმავება; თეთრი ნივთიერების თხელი შრე, რომლითაც დაფარულია ზღვის ცხენის წინა ზედაპირი

a m b i g u u s, - a, u m, ლათ. (ambigere, უმერყეობა, ორქოფობა) ორქოფი, ორმაგი

nucleus ambiguus ორმაგი ბირთვი.

A m m o n, - o n i s, მ. ეგვიპტელების ღმერთი, რომელსაც წარმოსახავდნენ ვერძის თავით და რქებით

cornu Ammonis ამონის რქა, იგივეა რაც **pes hippocampi** — ზღვის ცხენის ფეხი.

a m n i o n, - i i საშ. ბერძნ. (amnos კრავი. შეწირვის მიზნით მაკე ცხვრის გაკვეთისას ამჩნევდნენ გამჭვირვალე გარსს, რომელიც გარს ეკვროდა ნაყოფს და სანაყოფო სითხეს) ამნიონი, საწყლო გარსი; ნაყოფის შიგნითა გარსი, რომელიც გარს ევლება ნაყოფს და სანაყოფო სითხეს.

a m p u l l a, - a e, მდ. ლათ. (ampla bulla დიდი ბუშტული, წყლიანი ბუშტული) ამპულა, კოლბისებრი გაფართოება.

ampulla canaliculi lacrimalis ცრემლის მილაკის ამპულა; ცრემლის მილაკის გაფართოებული მონაკვეთი ჰორიზონტალური ნაწილის დასაწყისთან (BNA — ampulla ductus lacrimalis).

ampulla ductus deferentis თესლის გამომტანი სადინარის ამპულა; თესლის გამომტანი სადინარის გაგანიერებული ნაწილი, მოთავსებული შარდის ბუშტის უკან. ამპულის კედელი შიგნიდან წარმოდგენილია ჯიბისებრი ღრუებით, დივერტიკულებით.

ampulla hepatopancreatica ლეიძლ-პანკრეასის ამპულა; გაგანიერება ნაღვლის საერთო და პანკრეასის სადინარების შეერთების ადგილას. (diverticulum duodeni, Vateri).

ampullae membranaceae et osseae (anterior, lateralis, posterior) აპკისებრი და ძვლოვანი ამპულები (წინა, ლატერალური და უკანა); აპკისებრი ნახევარკალოვანი სადინარების და ძვლოვანი ნახევარკალოვანი არხების გაგანიერებული მონაკვეთები.

ampulla recti სწორი ნაწლავის ამპულა; სწორი ნაწლავის ქვედა გაგანიერებული ნაწილი, მოთავსებული ყითას არხის ზემოთ.

ampulla tubae uterinae საშვილოსნოს ლულის ამპულა; საშვილოსნოს ლულის გაგანიერებული ნაწილი ლულის ძაბრსა და ყელს შორის.

ampullaris, -e, ამპულური, ამპულისა, რაც ამპულას განეკუთვნება

amygdala, -ae, მდ. ბერძნ. (სინონიმი tonsilla) ნუში

amygdaloides, -a, -um, ნუშისებრი

anastomosis, -is, მდ. ბერძნ. (stoma პირი) ანასტომოზი, ძარღვების შეერთება.

anastomosis arteriovenosa არტერიულ-ვენური ანასტომოზი; უშუალო კავშირი არტერიოლასა და ვენულას შორის. არტერიულ-ვენური ანასტომოზით არტერიიდან სისხლი პირდაპირ ვენაში მიედინება და არა კაპილარებში.

anatomia, -ae. მდ. ბერძნ. (analemnō ვკვეთავ, ვანაწევრებ) ანატომია; მეცნიერება, რომელიც შეისწავლის ორგანიზმის ფორმას და აგებულებას და მათი განვითარების კანონზომიერებებს ორგანიზმის ფუნქციასთან და გარემოსთან კავშირში.

anatomicus, -a, -um ანატომიური

ancon, -onis, მდ. ბერძნ. იდაყვი

anconeus, -a, -um იდაყვისა

musculus anconeus იდაყვის კუნთი

angiologia, -ae, მდ. ბერძნ. (angeion ჯამი, ანატ. ძარღვი, logos სიტყვა, მოძღვრება) ანგიოლოგია; ანატომიის ზნაწილი, რომელიც შეისწავლის სისხლისა და ლიმფის ძარღვებს.

angulus, -i, მ. ლათ. კუთხე

angulus costae ნეკნის კუთხე; პირველ და მეორე ნეკნზე ნეკნის ბორცვი და კუთხე ხედება ერთმანეთს. მომდევნო ნეკნებში ბორცვი და კუთხე თანდათან შორდებიან ერთმანეთს. მეთერთმეტე ნეკნს კუთ-

ხე სუსტადა აქვს გამოხატული ხოლო მეთორმეტეზე სრულიად არ აღინიშნება.

angulus infrasternalis მკერდქვედა კუთხე; იქმნება მკერდის ძვლით და ნეკნთა რკალებით. კუთხე გახსნილია ქვემოთ.

angulus iridocornealis ფერად-რქოვანას კუთხე; მოთავსებულია ფერადი გარსის წამწამოვან კედესთან, რქოვანას ენდოთელიუმის ფერადი გარსის წინა ზედაპირზე გადასვლის ადგილას (*B.N.A — angulus iridis*).

angulus mandibulae ქვედაყბის კუთხე; ქვედაყბის ტოტის და სხეულის შეერთების ადგილი.

angulus oculi lateralis et medialis თვალის ლატერალური და მედიალური კუთხე; ქუთუთოების ნაპრალის გვერდითი ბოლოები.

angulus oris პირის კუთხე; პირის ნაპრალის გვერდითი ბოლოები.

angulus scapulae ბეჭის კუთხე (ზემო, ქვემო და ლატერალური).

angulus sterni მკერდის კუთხე; იქმნება მკერდის ტარისა და სხეულის შეერთებით (*angulus Ludovici*).

angulus subpubicus ბოქვენქვეშა კუთხე; მდებარეობს ბოქვენის სიმფიზის ქვეშ, ბოქვენის ძვალთა ქვემო ტოტებს შორის (*B.N.A — angulus pubis*).

a n s a, - *a e*, მდ. ლათ. ტარი, ყური (ჭურჭლისა), ანატ. ყულფი, მარყუეი

ansa cervicalis კისრის მარყუეი; წარმოქმნილია კისრის წნულის ტოტის შეერთებით ენისქვეშა ნერვის დასწვრივ ტოტთან; უკანასკნელი შედგენილია კისრის მეორე და მესამე სპინალური ნერვების ბოქვებისაგან. სწორედ ამიტომ შეიცვალა *B.N.A* - ს დასახელება *ansa hypoglossi*. კისრის მარყუეით ინერვირდება ინის ძვლის ქვემოთ მდებარე კუნთები.

ansa lenticularis ოსპისებრი მარყუეი; მკრთალი სფეროდან გამოსული ეფერენტული ბოქვების კონა, რომელიც მიემართება მხედველობის ბორცვში, ჰიპოთალამუსში, სუბთალამურ მიდამოში და შუა ტვინის ტეგმენტუმში.

ansa peduncularis ფეხის მარყუეი; ნერვული ბოქვების კონა, რომელიც იწყება მხედველობის ბორცვიდან, თავსდება ოსპისებრი ბირთვის ქვემოთ და მიემართება საფეთქლის წილის ქერქსა და კუნძულში — *insula*.

ansa subclavia ლავიწქვეშა მარყუეი; იქმნება სიმპათიკური წველის კვანძთაშუა ორი ტოტით ან ერთი გაორებული ტოტით, რო-

მელთაგან ერთი თავსდება ლავიწქვეშა არტერიის წინა, ხოლო მეორე — უკანა ზედაპირზე და რომლებიც ერთმანეთთან აერთებენ ვარსკვლავისებრ და კისრის შუა კვანძებს. (Vioussensi)

a n s e r i n u s, - a, - u m, ლათ. (anser ბატი) ბატისა

pes anserinus ბატის ფეხი; ნაზი, თერძისა და ნახევრად მყესოვანი კუნთების დისტალური მყესების შეერთება; მყესოვანი გაგანიერება, რომელიც გავს ბატის ფეხს. ბატის ფეხი უმაგრდება დიდი წვივის ხორკლს.

a n t e, წინდებული, იხმარება ბრალდ. ბრუნვასთან, ლათ. წინ, წინა, -მდე

a n t e b r a c h i u m, - i i, საშ. ლათ. (brachium მხარი) წინამხარი; ზემო კიდურის ნაწილი ხელის მტევანსა და მხარს შორის.

a n t e r i o r, - i u s, ლათ. წინა

a n t h e l i x, - i c i s, მ. ბერძნ. (anti წინააღმდეგ, helix ჭავლი) წინა ჭავლი; ჭავლის პარალელურად მდებარე ყურის ნიჟარის შემადღებული ნაოჭი.

a n t i t r a g u s, - i, მ. ბერძნ. (anti+tragos თხა) წინა სახური; ყურის ნიჟარის შემადღება, მოთავსებული წინა ჭავლის ქვედა ბოლოსთან

a n t r u m, - i, საშ. ლათ. გამოქვაბული, მღვიმე.

antrum mastoideum დვრილისებრი მღვიმე; დვრილისებრი მორჩის ღრუ, რომელიც უერთდება დვრილისებრ უჯრედებს, ხოლო მღვიმის შესავლით — დაფის ღრუს (BNA — antrum tympanicum Valsalvae),

antrum pyloricum პილორუსის მღვიმე; პილორუსის განიერი ნაწილი, რომელიც უკან ემიჯნება კუჭის სხეულს, წინისკენ კი გადადის პილორუსის არხში. (Willisii).

a n u l u s, - i, მ. ლათ. ბეჭედი, რგოლი (BNA — annulus)

anulus conjunctivae კონიუნქტივის რგოლი; კონიუნქტივის ოდნავ გამოზნექილი ნაპირი, რომელიც თავისი მდებარეობით შეესაბამება რქოვანაში სკლერის გადასვლის ადგილს.

anulus femoralis ბარძაყის რგოლი; ნაპრალისებრი სივრცე, მოთავსებული სისხლძარღვოვანი შუალედის მედიალურ კუთხეში და მოსაზღვრული წინიდან და ზემოდან საზარდულის იოგით, უკანიდან — ქედის იოგით, ლატერალურად — ბარძაყის ვენით, მედიალურად კი — შუალედის იოგით. ბარძაყის რგოლი დახურულია განივი ფასციით, რომელიც ამ ადგილას დაცხრილულია და ეწოდება ბარძაყის ძვიდღე — septum femorale,

anulus fibrocartilagineus ბოქკოვან-ხრტილოვანი რგოლი; რგოლი, რომლითაც დაფის ღარში ფიქსირებულია დაფის აპკი.

anulus fibrosus ფიბროზული რგოლი; მალთაშუა დისკოს პერიფერიული ნაწილი, რომელიც შედგება კონცენტრიული ფიბროზული ფირფიტებისაგან.

anulus inguinalis profundus et superficialis საზარდულის ღრმა და ზედაპირული რგოლი; ზედაპირული რგოლი ძვეს მუცლის გარეთა ირიბი კუნთის აპონევროზის მედიალურ და ლატერალურ ფეხებს შორის. შიგნიდან მოსაზღვრულია შებრუნებული იოგით — **ligamentum reflexum**, ხოლო გარედან — ფეხთაშუა ბოქკოვებით — **fibrae intercrurales**. საზარდულის ღრმა რგოლი მდებარეობს მუცლის წინა კედლის უკანა ზედაპირზე, განივ ფასციანზე, რომელიც რგოლის ნაპირებთან გადადის სათესლე ბაგირაკზე. (BNA — **annulus inguinalis abdominalis et subcutaneus**).

anulus iridis major et minor ფერადი გარსის დიდი და მცირე რგოლი; ფერადი გარსის წინა ზედაპირზე გუგის ირგვლივ გამოყოფენ 1 მმ სიფართის მცირე რგოლს, ხოლო დანარჩენ ნაწილს მიაკუთვნებენ ფერადი გარსის დიდ რგოლს.

anulus tendineus communis საერთო მყესოვანი რგოლი; ძვეს თვალბუდეში, მხედველობის არხის და ნაწილობრივ თვალბუდის ზემო ნაპრალის მიდამოში. საერთო მყესოვანი რგოლიდან იწყება თვალის კაკლის ყველა კუნთი, ქვემო ირიბი კუნთის გარდა. რგოლის შიგნით თავსდება მხედველობის, თვალის მამოძრავებელი, განმზიდველი, ცხვირ-წამწამოვანი ნერვები და თვალბუდის არტერია. (Zinni).

anulus tympanicus დაფის რგოლი; ნაყოფის და ახალშობილის საფეთქლის ძვლის დაფისეული ნაწილი წარმოდგენილია ზევით გახსნილი რგოლით, რომელსაც უმაგრდება დაფის აპკი.

anulus umbilicalis ჭიპის რგოლი; მდებარეობს თეთრი ხაზის თითქმის შუა მონაკვეთში. შევსებულია ნაწიბუროვანი ქსოვილით, რომელიც შეზრდილია ჭიპის კანთან.

a n u s, -i, მ. ლათ. ანუსი, რგოლი, ყიჟა

analís, -e, ანალური, ყითასი

a o r t a, -ae, მდ. ბერძნ. (aeiro აეწეე) აორტა; სისხლის მიმოქცევის დიდი წრის მთავარი არტერია.

aorta abdominalis მუცლის აორტა; დასწვრივი აორტის ნაწილი მოთავსებული მუცლის ღრუში.

aorta ascendens ასწვრივი აორტა; აორტის ასწვრივი ნაწილი.

aorta descendens დასწვრივი აორტა; აორტის დასწვრივი ნაწილი.

aorta thoracica გულმკერდის აორტა; დასწვრივი აორტის ნაწილი მოთავსებული გულმკერდის ღრუში.

aorticus, -a, -um აორტული, აორტისა

apertura, -ae, მდ. ლათ. (aperire გაღება) აპერტურა, შესავალი, ხვრელი, ნაჩვრეტი

apertura lateralis ventriculi quarti მეოთხე პარაკუქის ლატერალური ხვრელი. მეოთხე პარაკუქის სისხლძარღვოვანი სარქველის ლუწი ხვრელი. თითოეული ხვრელი ძვეს მეოთხე პარაკუქის ლატერალურ ჯიბესთან და იხსნება ქსელქვეშა სივრცეში. (foramen Luschka).

apertura mediana ventriculi quarti მეოთხე პარაკუქის შუა ხვრელი; მეოთხე პარაკუქის სისხლძარღვოვანი სარქველის კენტი ხვრელი, მოთავსებული ურდულის—obex ოდნავ ზემოთ; იხსნება ქსელქვეშა სივრცეში. (foramen Magendii).

apertura pelvis superior et inferior მენჯის ზემო და ქვემო შესავალი; მენჯის ზემო შესავალი შემოსაზღვრულია სასაზღვრო ხაზით — Iinea terminalis, რომელიც აგრეთვე საზღვარია მცირე და დიდ მენჯს შორის. მენჯის ქვემო შესავალი მოსაზღვრულია ბოქვენისა და საჯდომი ძვლების ტოტებით, საჯდომი ბორცვებით და კუდუსუნით.

apertura piriformis მსხლისებრი შესავალი; ცხვირის ღრუს შესავალი ხვრელი სახის ქალაზე.

apertura sinus frontalis შუბლის წიაღის ხვრელი

apertura sinus sphenoidalis სოლისებრი წიაღის ხვრელი

apertura thoracis inferior et superior გულმკერდის ქვემო და ზემო შესავალი;

apertura tympanica canaliculi chordae tympani დაფის სიმის მილაკის დაფასეკნა ნაჩვრეტი; იხსნება დაფის ღრუს დვრილისებრ კედელზე

apex, -icis, მ. ლათ. წვერო, მწვერვალი.

apex auriculae ყურის ნიჟარის მწვერვალი; არამუდმივი წაწვეტება ყურის ნიჟარის ზედა ბოლოზე. (Darvini).

apex cordis გულის მწვერვალი; მიმართულია ქვემოთ, წინ და მარცხნივ.

apex linguae ენის მწვერვალი; ენის წინა წაწვეტებული ბოლო
apex nasi ცხვირის წვეტი

apex partis petrosae კლდოვანი ნაწილის მწვერვალი; საფეთქლის ძელის კლდოვანი ნაწილის წინ და მედიალურად მიჭტეული ბოლო (BNA — apex pyramidis).

apex patellae კვირისტავის მწვერვალი; მიჭტეულია ქვემოთ.

apex prostatae წინამდებარეს მწვერვალი; მიმართულია ქვემოთ, შარდ-სასქესო შესაძგიდისაკენ.

apex pulmonis ფილტვის მწვერვალი; მიმართულია ზემოთ

apex radices dentis კბილის ფესვის მწვერვალი

apicalis, -e მწვერვალისა, მწვერვალისეული, აპიკალური

aponeurosis, -is, მდ. ბერძნ. (apo -დან, -გან, რისამეგან შორს, neuron თავდაპირველი მნიშვნელობით მყესი, უფრო გვიან ეს სიტყვა გამოიყენეს ნერვის აღსანიშნავად), აპონევროზი, მყესოვანი გაგანიერება, ბრტყელი ფართო მყესი, მაგალითად, მუცლის კუნთების მყესები.

aponeurosis epicranialis ქალასარქველის აპონევროზი; იგივეა რაც მყესოვანი აბჯარი. ქალასარქველის კუნთის აპონევროზი.

aponeurosis linguae ენის აპონევროზი; ბოჭკოვანი ფირფიტა, რომლითაც გარედან დაფარულია ენის კუნთები. იჭმნება ენის ლორწოქვეშა შრის შემეერთებელქსოვილოვანი ბოჭკოებით და ენის საკუთარი კუნთების მყესოვანი ბოჭკოებით.

aponeurosis m. bicipitis brachii მხრის ორთავა კუნთის აპონევროზი; გამოეყოფა ორთავა კუნთის დისტალურ მყესს, მიემართება მედიალურად და შეეზრდება წინამხრის ფასციას. (lacertus fibrosus Piragovi).

aponeurosis palmaris ხელგულის აპონევროზი; ფიბროზული ფირფიტა კანქვეშა ცხიმოვანი ქსოვილის ქვეშ.

aponeurosis plantaris ტერფძირის აპონევროზი; ტერფძირის მკვრივი მყესოვანი აპონევროზი, გაქიმული ქუსლის ბორცვისა და თითებს შორის; პროქსიმალურად შეზრდილია თითების მოკლე მომხრელ კუნთთან, რომელსაც ფარავს; დისტალურად იყოფა ხუთ კონად, რომელთა შორის მიემართება განივი კონები.

aponeuroticus, -a, -um აპონევროზული

apophysis, -is, მდ. ბერძნ. აპოფიზი, მორჩი, ძელის წანაზარდი; ჩვეულებრივ ვითარდება ენქონდრალური გაძვლების დამატებითი წერტილებიდან.

apparatus, -us, მ. ლათ. (apparare მომზადება) აპარატი;

1. ხელსაწყო, აპარატი. 2. სისტემა — საერთო ფუნქციის შემსრულებელი ორგანოების ერთობლიობა.

apparatus digestorius საჭმლის მომნელებელი აპარატი

apparatus lacrimalis საცრემლე აპარატი

apparatus respiratorius სუნთქვის აპარატი

apparatus urogenitalis შარდ-სასქესო აპარატი

a p p e n d i x, - i c i s, მდ. ლათ. (ad - კენ, pendere კიდება) აპენდიქსი, დანამატი, დანართი.

appendices epiploicae ბადექონის დანამატები; კოლინჯის სეროზული გარსის ცხიმის შემცველი დუპლიკატურები.

appendices vesiculosae ბუშტუკისებრი დანამატები; წარმოადგენენ მეზონეფროსის სადინარის ნაშთს; ერთი ან რამდენიმე ცერცვის-ოდენა ბუშტუკი ავსებული სითხით, ჩამოკიდებული ზოგჯერ ძალიან გრძელ ფეხზე, რომელიც ძვეს საკვერცხის დანამატის ლატერალურად და უმაგრდება საშვილოსნოს ლულის ჯორჯალს ან ერთ-ერთ ფოჩს (BNA — appendices vesiculosae tubae uterinae Morgagni).

appendix epididymidis სათესლის დანამატის დანართი; არამუდმივი წარმონაქმნი. სათესლის დანამატის თავის მსხლისებრი, ემბრიონული ბუშტუკი, რომელიც მეზონეფროსის ნაშთს წარმოადგენს.

appendix testis სათესლის დანართი; ემბრიონული ხასიათის დანართი, მოთავსებული სათესლის ზემო პოლუსზე. სათესლის დანართი პარამეზონეფროსის სადინარის ზედა ბოლოს ნაშთია. (Morgagni).

appendix vermiformis ქიანაწლავი (BNA — processus vermiformis)

appendicularis, - e დანამატისა.

a q u a, - a e, მდ. ლათ. წყალი

a q u e d u c t u s, - u s მ. ლათ. (aqua + ductus სადინარი. Ductere წყევანა) წყალსადენ

aqueductus cerebri დიდი ტვინის წყალსადენი; შუა ტვინის არხისებრი ღრუ, რომელიც აკავშირებს დიდი ტვინის მესამე პარაკუქს მეოთხე პარაკუქთან. (Sylvii).

aqueductus cochleae ლოკოკინას წყალსადენი; იხ. პერილიმფის სადინარი — ductus perilymphaticus.

aqueductus vestibuli კარბქის წყალსადენი; იგივეა რაც ენდოლიმფის სადინარი

aquosus, -a, -um, ლათ. წყლიანი

arachnoidea, -ae, მდ. ბერძნ. (*arachne* ობობა, *arachnos* ქსელი, *eides* სახე) ქსელისებრი გარსი; თავისა და ზურგის ტვინის შუა გარსი.

arachnoidealis, -e არაქნოიდული, ქსელისებრი გარსისა

arbor, -oris, მდ. ლათ. ხე

arbor vitae cerebelli ნათხემის ცხოვრების ხე; საგიტალურ განაკვეთზე ნათხემის ქიის ნივთიერების განლაგება გავს თუიას ფოთლების დაჯგუფებას. თუიასაგან დამზადებულ ბალზამს თვლიდნენ სიცოცხლის გახანგრძლივების უნივერსალურ საშუალებად, ხოლო თვით ხეს ცხოვრების ხეს უწოდებდნენ. ანატომიაში ეს ტერმინი შემოიღო უინსლოუმ.

arcus, -us, მ. ლათ. რკალი

arcus alveolaris კბილბუდეთა რკალი, ალვეოლური რკალი; კბილბუდეთა მორჩების თავისუფალი ნაპირი (BNA — *limbus alveolaris*).

arcus aortae აორტის რკალი; აორტის ნაწილი ასწვრივ და დასწვრივ აორტას შორის.

arcus cartilago cricoideae ბექდისებრი ხრტილის რკალი; ბექდისებრი ხრტილის წინა ნაწილი.

arcus costalis ნეკნთა რკალი; იქმნება VII—X ნეკნების ხრტილების შეერთებით.

arcus dentalis superior et inferior ზემო და ქვემო კბილების რკალი; იქმნება ზემო და ქვემო კბილების გვირგვინების მწყკვირვით.

arcus iliopectineus თეძო-ქედის რკალი; საზარდულის იოგსა და ბოქვენის ქედს შორის გაკიშული თეძოს ფასციის ნაწილი, რომლითაც გამოიჯნულია კუნთოვანი და სისხლძარღვოვანი შუალედები.

arcus palatoglossus სასა-ენის რკალი; თანამოსახელე კუნთით გამოწვეული ლორწოვანი გარსის ნაოკი სასის ფარდასა და ენის ძირს შორის (BNA — *arcus glossopalatinus*).

arcus palatopharyngeus სასა-ხახის რკალი; თანამოსახელე კუნთით გამოწვეული ლორწოვანი გარსის ნაოკი სასის ფარდასა და ხახის გვერდით კედელს შორის (BNA — *arcus pharyngopalatinus*).

arcus palmaris profundus et superficialis ხელგულის ღრმა და ზედაპირული რკალი; ხელგულის არტერიული რკალები; ღრმა რკალი იქმნება სხივის არტერიით და იდაყვის არტერიის ღრმა ტოტით, ზედაპირული რკალი კი — იდაყვის არტერიითა და სხივის არტერიის

ზედაპირული ტოტით (BNA — arcus volaris profundus et superficialis).

arcus palpebralis inferior et superior ქვემო და ზემო ქუთუთოების რკალი; არტერიული რკალები, რომლებიც იქმნებიან ქუთუთოების ლატერალური და მედიალური არტერიების ანასტომოზებით (BNA — arcus tarseus inferior et superior).

arcus pedis longitudinalis ტერფის გასწვრივი რკალი, თალი; შედგება მედიალური და ლატერალური ნაწილებისაგან; მედიალური ნაწილი იქმნება კოკის, ქუსლის, ნავისებრი, სამი სოლისებრი და წინა ტერფის პირველი სამი ძვლებით; ლატერალური ნაწილი კი—ქუსლის, კუბური და წინა ტერფის ორი უკანასკნელი ძვლებით. მედიალური თალი ასრულებს რესორულ ფუნქციას, ხოლო ლატერალური — საყრდენს

arcus pedis transversalis ტერფის განივი თალი; შიგნიდან შედრეკილი თალი, რომელიც მიემართება სოლისებრ, კუბურ ძვლებზე და წინა ტერფის ძვალთა ფუძეებზე. ზოგ შემთხვევაში განივი თალი კარგად არის გამოხატული წინა ტერფის ძვალთა თავების მიდამოშიც.

arcus plantaris ტერფძირის არტერიული რკალი

arcus pubis ბოქვენის რკალი; ქალის კარგად განვითარებულ მენჯში ბოქვენის ძვალთა ქვემო ტოტების შეერთების ადგილს აქვს რკალის ფორმა, მაშინ როდესაც მამაკაცის მენჯში იქმნება მახვილი კუთხე — angulus subpubicus.

arcus superciliaris წარბზედა რკალი; შუბლის ძვლის შემალღება თვალბუდის ზედა კიდის ოდნავ ზემოთ.

arcus tendineus fasciae pelvis მენჯის ფასციის მყესოვანი რკალი; მენჯის ფასციის გასქელებული მონაკვეთი, რომელიც შეესაბამება მენჯის პარიეტული ფასციის ვისცერულ ფასციაში გადასვლის ხაზს.

arcus tendineus m. levatoris ani ყითას ამწევი კუნთის მყესოვანი რკალი; მენჯის პარიეტული ფასციის გასქელებული მონაკვეთი ბოქვენის სიმფიზის ქვედა ნაწილიდან საჯდომ წვეტამე. ყითას ამწევი კუნთის დაწყების ადგილი.

arcus tendineus m. solei ქუსლის კუნთის მყესოვანი რკალი; ვაკიმულაა დაღ და მცირე წვივს შორის; ქუსლის კუნთის დაწყების ადგილი.

arcus venosus dorsalis pedis ტერფის დორსალური ვენური რკალი; იქმნება ფეხის თითების დორსალური ვენების ანასტომოზებით და მდებარეობს წინა ტერფის დისტალურ ბოლოებზე.

arcus venosus juguli საუღლე ვენური რკალი; ვენური ძარღვი, მოთავსებული საუღლე ნაქდევის ზემოთ. მიემართება განივად და აკავშირებს მარჯვენა და მარცხენა წინა საუღლე ვენებს.

arcus venosus palmaris profundus et superficialis ხელგულის ღრმა და ზედაპირული ვენური რკალი; ღრმა არტერიულ რკალს თან ახლავს ორი ღრმა ვენური რკალი. ზედაპირული ვენური რკალი მიყვება ზედაპირულ არტერიულ რკალს და ძირითადად იქმნება თითების ხელგულისმხრივი ვენებით. (BNA — *arcus volaris venosus profundus et superficialis*).

arcus venosus plantaris ტერფძირის ვენური რკალი; ტერფძირის არტერიული რკალის თანამგზავრია. ტერფძირის ვენური რკალიდან სისხლი ძირითადად მიედინება ტერფძირის ლაგერალურ ვენებში.

arcus vertebrae მალის რკალი; შედგება რკალის ფეხებისა და ფირფიტისაგან.

arcus zygomatus ყვრიმალის რკალი; მთლიან ქალაზე იქმნება ყვრიმალის ძვლის საფეთქლისეული მორჩისა და საფეთქლის ძვლის ყვრიმალისეული მორჩის შეერთებით.

a r e a -a e, მდ. ლათ. მოედანი, ანატ. არე, ველი

area cochleae ლოკოკინას ველი; მდებარეობს შიგნითა სასმენი შესავლის ძირზე, განივი ქედის ქვემოთ, კარიბჭის ქვემო ველის წინ. ლოკოკინას ველი დაცხრილულია მცირე ხვრელებით, რომლებითაც შიგნითა ყურიდან გამოდიან სპირალური კვანძის ცენტრალური ბოჭკოები.

area cribrosa დაცხრილული არე; თირკმლის დვრილის 20—80 ხვრელით მოფენილი ზედაპირი. ამ ხვრელებით თირკმლის მილაკები იხსნებიან მცირე ფიალებში.

area intercondylaris anterior et posterior როკთაშუა წინა და უკანა არე; მომცრო ჩაღრმავებები დიდი წვივის პროქსიმალურ სასახსრე ზედაპირზე, როკთაშუა შემალღების წინ და უკან. სახსარშიგა იოგების მიმაგრების ადგილი (BNA — *fossa intercondyloidea anterior et posterior*).

area n. facialis სახის ნერვის ველი; მომცრო ჩაღრმავება შიგნითა სასმენი შესავლის ძირზე, განივი ქედის ზემოთ და კარიბჭის ზემო ველის წინ. ადგილი, საიდანაც იწყება სახის ნერვის არხი.

area nuda შიშველი არე; ღვიძლის დიაფრაგმული ზედაპირის უკანა ნაწილი, რომელიც არ არის დაფარული პერიტონეუმით.

area subcallosa კორძქვეშა არე; დიდი ტვინის ჰემისფეროს უბანი, მოთავსებული კორძიანი სხეულის მუხლის ქვეშ, პარატერმინალური ხვეულის წინ. ადამიანში რუდიმენტული ყნოსვის ტვინის ნაწილი (*BNA — area parolfactoria Brocae*).

area vestibularis კარიბჭის ველი; რომბისებრი ფოსოს შუა ნაწილის ლატერალური უბანი, დაფარული ტვინოვანი ზოლებით. კარიბჭე-ლოკოკინას ნერვის ბირთვების ლოკალიზაციის ადგილი.

area vestibularis inferior et superior კარიბჭის ქვემო და ზემო ველი; ორი მომცრო დაცხრილული ჩაღრმავება შიგნითა სასმენი შესავლის ძირზე, რომლებიც შესაბამისად განივი ქედის ქვემოთ და ზემოთ მდებარეობენ. კარიბჭის ქვემო ველს კარიბჭის შიგნითა ზედაპირზე შეესაბამება შუა დაცხრილული ხალი, ხოლო ზემო ველს — ზემო დაცხრილული ხალი. კარიბჭის ქვემო და ზემო ველის ხვრელებით შიგნითა ყურში შედიან კარიბჭის კვანძის ქვემო და ზემო ნაწილების პერიფერიული ნერვული ბოჭკოები.

areola, -ae, მდ. ლათ. (კნინ. სიტყვ. *area*) ბაკი, წრე

areola mammae ძუძუს ბაკი; მუქი პიგმენტირებული არე ძუძუს დვრილის გარშემო.

areolaris, -e ბაკისა

arrector, -oris, მ. ლათ. (*arrigere* აწევა) ამწევი, გამმართველი.

musculi arrectores pilorum თმის გამმართველი კუნთები; კანის გლუვი კუნთები.

arteria, -ae, მდ. ბერძნ. (*aer* ჰაერი, *tereo* შევიცავ. სიტყვა-სიტყვით ჰაერის შემცველი. ძველად მიაჩნდათ, რომ არტერიები შეიცავენ ჰაერს, სასიცოცხლო სულს *spiritus vitalis*) არტერია; გულიდან სისხლის გამომტანი ძარღვი.

arteriosus, -a, -um არტერიული

arteriola, -ae, მდ. ბერძნ. (კნინ. *arteria*) არტერიოლა; კაპილარისწინა უმცირესი არტერია.

arteriolae rectae სწორი არტერიოლები; წარმოადგენენ რკალოვანი არტერიების ტოტებს, რომლებიც მიემართებიან თირკმლის ტვინოვან ნივთიერებაში.

articulatio, -onis, მდ. ლათ. სახსარი

articulatio composita რთული სახსარი; ისეთი სახსარია, რომლის შექმნაში მონაწილეობს ორ ძვალზე მეტი. მაგალითად, იდაყვის სახსარი.

articulatio condylaris როკისებრი სახსარი; იქმნება მომრგვალებული სასახსრე თავით — როკით, რომელიც თავისი ფორმით უახლოვდება ელიპსს, და შესაბამისი სასახსრე ფოსოთი. როკისებრი სახსარი აღკუთრებულია მუდამ ორი როკით, რომლებიც ან ერთ სასახსრე ჩანთაშია მოქცეული (მუხლის სახსარში ბარძაყის ძვლის ორი როკი), ან ცალ-ცალკე სასახსრე ჩანთებში (ატლას-აქსისის გვერდითი სახსრები). როკისებრი სახსარი ორღერძიანი სახსარია.

articulatio ellipsoidea ელიფსური სახსარი; იქმნება ელიფსის ფორმის სასახსრე ზედაპირებით, რომელთაგან ერთი გამობურცულია, მეორე კი შესაბამისად ჩაზნექილი (მაგალითად, სხივ-მაჯის სახსარი). ელიფსური სახსარი ორღერძიანი სახსარია, რომლის იოგები განლაგებულია ბრუნვის ღერძების პერპენდიკულარულად.

articulatio plana ბრტყელი სახსარი; იქმნება თითქმის ბრტყელი სასახსრე ზედაპირებით, რომლებიც განიხილება როგორც დიდ რადიუსის მქონე სფერული ზედაპირები. ამიტომ მოძრაობა მათში ხდება სამი ღერძის გარშემო, თუმცა სასახსრე ზედაპირების მცირე განსხვავების გამო მოძრაობის მოცულობა მეტად შეზღუდულია.

articulatio sellaris უნაგირა სახსარი; იქმნება უნაგირის ფორმის სასახსრე ზედაპირებით, რომელთაგან ერთი მოძრაობს მეორეს მიმართ გასწვრივი და განივი მიმართულებით (მაგალითად, ცერის მაჯა-ნების სახსარი); ორღერძიანი სახსარია.

articulatio simplex მარტივი სახსარი; ეწოდება ისეთ სახსარს, რომლის შექმნაში მონაწილეობს მხოლოდ ორი ძვალი.

articulatio spherioidea (cotylica) სფერული სახსარი; იქმნება ერთი ძვლის გამობურცული სფერული თავით და მეორე ძვლის შესაბამისად შეზნექილი ფოსოთი. რაც უფრო მეტია განსხვავება ზედაპირებს შორის, მით უფრო თავისუფალია მოძრაობა (მაგალითად, მხრის სახსარი) და პირიქით, კაკლისებრ სახსარში, რომელიც სფერული სახსრის ნაირსახეობაა (მაგალითად, მენჯ-ბარძაყის სახსარი), სასახსრე ფოსო შედარებით ღრმაა და იტევს სასახსრე თავის თითქმის ნახევარს. ამიტომაც ასეთ სახსრებში მოძრაობა უფრო შეზღუდულია, ვიდრე ტიპურ სფერულ სახსარში. სფერული სახსარი მრავალღერძიანი სახსარია, რომლის იოგები განლაგებულია სახსრის ყველა მხარეზე.

articulatio trochoidea ცილინდური სახსარი; იქმნება ერთი

ძვლის ცილინდრული სასახსრე ზედაპირით და ძვლოვან-იოგოვანი რგოლით, რომელიც წარმოქმნილია მეორე ძვლის სასახსრე ფოსოთი და რგოლისებრი იოგით. ცილინდრული სახსარი მბრუნავი სახსარია, რომლის ორ სახეობას არჩევენ. ერთ შემთხვევაში ძვლოვანი ღერძი ბრუნავს რგოლის შიგნით (მაგალითად, სხივ-მაჯის პროქსიმალური სახსარი), მეორე შემთხვევაში კი — ძვლოვან-იოგოვანი რგოლი ბრუნავს ძვლოვანი ღერძის გარშემო (მაგალითად, ატლას-აქსისის შუა სახსარი). ცილინდრული სახსარი ერთღერძიანი სახსარია, რომლის იოგები განლაგებულია ბრუნვის ვერტიკალური ღერძის პერპენდიკულარულად.

articularis, -e სასახსრე, სახსრისა.

arytenoideus, -a, -um ბერძნ. (arytena ციცხვი) ციცხვისებრი.

cartilago arytenoideus ციცხვისებრი ხრტილი

ascendens, -entis, ლათ. (ascendere ასელა) ასწვრივი.

aorta ascendens ასწვრივი აორტა.

colon ascendens ასწვრივი კოლინჯი.

asper, -a, -um, ლათ. ხორკლიანი.

linea aspera ხორკლიანი ხაზი; მოთავსებულია ბარძაყის ძვლის უკანა ზედაპირზე.

associatio, -onis, მდ. ლათ. ასოციაცია, კავშირი

tractus nervosi associationes ასოციაციური ნერვული ტრაქტები; ნერვული ბოქკოები და ნერვული კონები, რომლებიც ერთმანეთთან აკავშირებენ დიდი ტვინის ერთი ჰემისფეროს სხვადასხვა უბნებს.

atavus, -i, მ. ლათ. პაპისპაპა, წინაპარი

atavismus, -i, მ. ლათ. ატავიზმი; წინაპრული ნიშნების გამოვლინება.

atlas, -antis, მ. ბერძნ. (მითოლოგიური ტიტანის ატლანტის სახელის მიხედვით) ატლასი; კისრის პირველი მალა.

atrium, -ii, საშ. ლათ. ატრიუმი, ოთახი, დარბაზი, ანატ. კარბქე, წინაგული

atrium cordis წინაგული

atrium meatus medii შუა გასავლის კარბქე; ცხვირის ღრუს ნაწილი უშუალოდ ცხვირის შუა გასავლის წინ.

auditivus, -a, -um; ლათ. სმენისა, სასმენი

tuba auditiva სასმენი ლულა

auditus, -us, მ. ლათ. სმენა, გაგონება

a u r i c u l a, -a e, მდ. ლათ. პატარა ყური, ყურის ნიჟარა

auricula atrii წინაგულის ყური

a u r i c u l a r i s, -e, ყურისა

a u r i s, - i s, მდ. ლათ. ყური

auris externa გარეთა ყური; შედგება ყურის ნიჟარისა და გარეთა სასმენი შესაქლისაგან.

auris interna შიგნითა ყური; მოთავსებულია საფეთქლის ძვლის კლდოვან ნაწილში და შედგება ძვლოვანი და აპკისებრი ლაბირინთებისაგან.

auris media (cavum tympani) შუა ყური (დაფის ღრუ); მოთავსებულია საფეთქლის ძვლის კლდოვან ნაწილში და შედგება დაფის ღრუსაგან, სასმენი ძვლებისა და სასმენი ლულისაგან.

a u t o n o m i c u s, -a, - u m, ბერძნ. (autos თვითონ, თვით, nomos კანონი) ავტონომიური.

systema nervosum autonomicum ავტონომიური ნერვული სისტემა; ევგეტაციური ნერვული სისტემა; შედგება სიმპათიკური და პარასიმპათიკური ნაწილებისაგან.

a x i l l a, - a e, მდ. ლათ. ილია; ილიის ფოსო

a x i l l a r i s, -e, ილიისა

a x i s, - i s, მ. ლათ. 1. ღერძი, 2. აქსისი, ღერძმალა; კისრის მეორე მალა (BNA — *pistropheus*)

axis bulbi externus et internus თვალის კაკლის გარეთა და შიგნითა ღერძი; თვალის კაკლის გარეთა ღერძი წარმოადგენს თვალის კაკლის წინა და უკანა პოლუსების შემაერთებელ ხაზს. თვალის კაკლის შიგნითა ღერძი აერთებს რქოვანას უკანა ზედაპირისა და ბადურას წინა ზედაპირის ცენტრებს.

axis lentis ბროლის ღერძი; ბროლის წინა და უკანა პოლუსების შემაერთებელი ხაზი.

axis opticus ოპტიკური ღერძი; რქოვანას ცენტრისა და ბადურას ხალის შემაერთებელი ხაზი.

axis pelvis მენჯის ღერძი; წინიდან შედრეკილი მრუდე ხაზი რომელიც გადაკვეთს მენჯის კონიუგატების შუა წერტილებს

a z y g o s, ბერძნ. (*zygion* უღელი, *azygos* უღლის გარეშე, კენტა) კენტი

vena azygos კენტი ვენა; იწყება წელის მარჯვენა ასწვრივი ვენებიდან წელის მიდამოში, აღის გულმკერდის ღრუში, სადაც გულმკერდის III მალის ღონეზე უხვევს წინ, გადაკვეთს მარჯვენა ბრონქს

და ერთვის ზემო ღრუ ვენას. კენტი და ნახევრად კენტი ვენები აგროვებენ სისხლს ძირითადად მუცლისა და გულმკერდის კედლებიდან.

B

barba -ae, მდ. ლათ. წვერი

basalis, basialis, basilaris, -e ბერძნ. (*basis* ფუძე, ძირი) ბაზალური, ბაზილური, ბაზილარული, ძირითადი, ფუძისეული.

basilicus, -a, -um, ბერძნ. სამეფო, მეფური

vena basilica სალამის ვენა; წინამხრის ზედაპირული იდაყვის-მხრივი ვენა, რომელიც წარმოადგენს ხელზურგის ვენების გაგრძელებას და ორთავა კუნთის მედიალურ ღარში უერთდება მხრის ვენას. ღვიძლის დაავადების განკურნების მიზნით უწინ მარჯვენა ხელის სალამის ვენიდან უშვებდნენ სისხლს. ღვიძლი კი ითვლებოდა მთავარ მარეგულირებელ ორგანოდ (ორგანოების მეფედ). აქედან წარმოიშვა ამ ვენის ლათინური დასახელება — სამეფო ვენა. რაც შეეხება ამ ტერმინის ქართული ეკვივალენტის (სალამის ვენა) წარმოშობას, იგი შემდეგნაირად უნდა აიხსნას: ნების IV დორსალურ ვენას, საიდანაც დასაბამს იღებს *vena basilica*, ეწოდებოდა *vena salvatella* — სალამის ვენა (ხელის ჩამორთმევის დროს ჩვენ ვეხებით ამ ვენას). ქართულ ანატომიურ ტერმინოლოგიაში დასახელება — სალამის ვენა ნების IV დორსალური ვენიდან გადატანილია *vena basilica* -ზე.

basis, -e os, მდ ბერძნ. კვარცხლბეკი, საფუძველი, ძირი, ფუძე

basis cartilaginis arytenoideae ციცხვისებრი ხრტილის ფუძე; ციცხვისებრი ხრტილი თავისი ფუძით მოთავსებულია ბეჭდისებრი ხრტილის ფირფიტის ზემო კიდეზე.

basis cochleae ლოკოკინას ფუძე; მიქცეულია შიგნითა სასმენი შესავლისაკენ

basis cranii externa ქალას გარეთა ფუძე; ქალას გარეთა ფუძის წინა ნაწილი შექმნილია სახის ქალას ძვლებით, უკანა კი — ტვინის ქალას ძვლებით.

basis cranii interna ქალას შიგნითა ფუძე; ქალას შიგნითა ფუძეში არჩევენ ქალას წინა, შუა და უკანა ფოსოებს.

basis mandibulae ქვედაყბის ფუძე; ქვედაყბის სხეულის ქვე-
შო მომრგვალებული ნაპირი.

basis modioli ღერძის ფუძე; ლოკოკინას ღერძის ფუძე მოთავ-
სებულაია შიგნითა სასმენი შესავლის ძირზე.

basis ossis sacri გავის ძვლის ფუძე; მიმართულია ზემოთ.

basis patellae კვირისტავის ფუძე; კვირისტავის პროქსიმალუ-
რი ნაწილი.

basis phalangis ფალანგის ფუძე; ხელის და ფეხის ფალანგე-
ზის პროქსიმალური ნაწილი.

basis proslatae წინამდებარეს ფუძე; მიმართულია შარდის
ბუშტისაკენ.

basis pulmonis ფილტვის ფუძე; ფილტვის ქვედა გაგანიერე-
ბული ნაწილი.

basis pyramidis პირამიდის ფუძე; თირკმლის პირამიდის გაგა-
ნიერებული ნაწილი მიმართული თირკმლის ქერქოვან ნივთიერე-
ბისაკენ.

basis stapedis უზანგის ფუძე; უზანგის ფუძით დახურულია
კარიბჭის სარკმელი.

biceps, -cipitis, მ. ლათ. (bis ორჯერ, caput თავი) ორთავა
musculus biceps brachii მხრის ორთავა კუნთი

bicipitalis, -e ორთავა კუნთისა, რაც ორთავა კუნთს განე-
კუთვნება

bicornis, ლათ. (bis ორჯერ, cornu რქა) ორრქიანი

bicuspidalis, -e ლათ. (bis, cuspis წვეტი, შუბი) ორკა-
რიანი

valva bicuspidalis ორკარიანი სარქველი

bifidus, -a, -um, ლათ. (bis, findere გაპოზა) ორად გაყოფილი,
გაპოზილი, გაორებული

bifurcatio, -onis, მდ. ლათ. (bis, furca ორთითი, ჩანგა-
ლი) გაორკაპება

bifurcatio tracheae სასულეს გაორკაპება

bifurcus, -a, -um, ლათ. ორკაპიანი

bifurcatus, -a, -um, ლათ. ორკაპიანი

ligamentum bifurcatum ორკაპი იოგი; შედგება ქუსლ-ნაეი-
სებრი და ქუსლ-კუბური იოგებისაგან. ამ იოგს უწინ ეწოდებოდა
შოპარის გასაღები, უკანა ტერფის სახსრის გასაღები.

brachium, -ii, საშ. ბერძნ. მკლავი, მხარი, ხელი

brachium colliculi inferioris ქვემო გორაკის მკლავი; შუა ტვინის სახურავის თეთრი ტვინოვანი ბაგირაკი ქვემო გორაკსა და მედიალურ დამუხვლილ სხეულს შორის; შეიცავს სმენის გზის ბოქკოებს.

brachium colliculi superioris ზემო გორაკის მკლავი; შუა ტვინის სახურავის თეთრი ტვინოვანი ბაგირაკი ზემო გორაკსა და ლატერალურ დამუხვლილ სხეულს შორის; შეიცავს მხედველობის ტრაქტის ბოქკოებს

brachialis -e მხრისა

branchia, -arum, მდ. ბერძნ. (*brankhos* ლაყუჩი) ლაყუჩები

branchialis, -e ბრანქიალური, სალაყუჩე

brevis, -e, ლათ. მოკლე

bronchiolus, -i, მ. ლათ. (კნინ. სიტყვისა *bronchus*) მცირე ბრონქი, ბრონქიოლი; ბრონქების საბოლოო ტოტები ფილტვის წილაკებში, რომელთა კედელი მოკლებულია ხრტილოვან ჩონჩხს

bronchioli respiratorii სასუნთქი ბრონქიოლები; ბრონქიოლების საბოლოო, უმცირესი ტოტები, რომლებიც დართული არიან ალვეოლებით. თითოეულ სასუნთქ ბრონქიოლს გამოეყოფა ალვეოლური მილაკები, რომლებიც ბოლოვდებიან ალვეოლური პარაკებით.

bronchus, -i, მ. ბერძნ. (*bronchos* ბრონქი. თავდაპირველი მნიშვნელობით — სასულე) ბრონქი.

bronchi lobares et segmentales წილოვანი და სეგმენტური ბრონქები; წილოვანი ბრონქები მთავარი ბრონქების ტოტებია, სეგმენტური ბრონქები კი — წილოვანი ბრონქების ტოტები. თითოეული სეგმენტური ბრონქი ფილტვის მხოლოდ ერთ სეგმენტს ავენტილირებს.

bronchus principalis მთავარი ბრონქი; მთავარი ბრონქები გამოეყოფა სასულეს. თითოეული მთავარი ბრონქი ფილტვის კართან იყოფა წილოვან ბრონქებად (*BNA* — *bronchus dexter et sinister*).

bronchialis, -e ბრონქული

bucca, -ae, მდ ლათ. ლოყა

buccalis, -e ლოყისა

bulbus, -i მ. ბერძნ. (*bolbos* ხახვის თავი) ბოლქვი

bulbus aortae აორტის ბოლქვი; ასწვრივი აორტის გაგანიერებული ნაწილი მის დასაწყისთან.

bulbus cornus posterioris უკანა რქის ბოლქვი; გვერდითი პარაკუჭის უკანა რქის კედლის შემსხვილება, გამოწვეული კორძიანი სხეულის ბოჭკოებით

bulbus oculi თვალის კაკალი

bulbus olfactorius ყნოსვის ბოლქვი; ყნოსვის ტრაქტის წინა, შემსხვილებული ნაწილი, სადაც მთავრდებიან ყნოსვის ნერვის ბოჭკოები და იწყება ყნოსვის ტრაქტი

bulbus penis ასოს ბოლქვი; ასოს ღრუბლისებრი სხეულის უკანა შემსხვილებული ბოლო (BNA — **bulbus urethrae**).

bulbus pili თმის ბოლქვი; თმის ფოლიკულის ქვედა, უფრო ზუსტად, ღრმა გაგანიერებული ნაწილი.

bulbus v. jugularis inferior et superior საუღლე ვენის ქვემო და ზემო ბოლქვი; შიგნითა საუღლე ვენის გაფართოებული ნაწილი შესაბამისად ლავიწქვეშა ვენასთან შეერთების წინ და საუღლე ხვრელთან.

bulbus vestibuli კარიბჭის ბოლქვი; საშოს კარიბჭის ბოლქვი; მოთავსებულია დიდი სასირცხო ბაგეების სისქეში; წარმოადგენს ნაღლისებურად მოღრეკილ ვენტურ წნულს, რომლის გვერდითი ნაწილები ერძანეთისაგან გაყოფილია საშოთი და შარდსადენის გარეთა ხვრელით. თავისი აგებულებით მოგვაგონებს მღვიმოვან სხეულს და შესაბამემა მამაკაცის ღრუბლისებრ სხეულს.

bulbourethralis, - e ბულბოურეთრული, ბოლქვ-შარდსადენისა

bulbula, - a e, მდ. ლათ. ბუშტულა.

bullae ethmoidalis ცხავის ბუშტულა; ცხავის ძვლის ლაბირინთის გამობურცული ნაწილი მოთავსებული ცხვირის შუა ნიჟარის ლატერალურად. წარმოადგენს დამატებითი ნიჟარის რუდიმენტს.

bursa, - a e, მდ. ბერძნ. ჯიბე ჩანთა, აბგა

bursa omentalis ბადექონის აბგა; პერიტონეუმის ღრუს ნაწილი, რომელიც მოსაზღვრულია ზემოდან ღვიძლის ვისცერული ზედაპირით, წინიდან — კუჭის უკანა ზედაპირით და მცირე ბადექონით, უკანიდან — პერიტონეუმით დაფარული მუცლის უკანა კედლით და ქვემოდან — განივი კოლინჯის ჯორჯლით. ბადექონის აბგაში არჩევენ ბადექონის აბგის კარიბჭეს, ბადექონის ზემო და ქვემო ჯიბეებს და ელენთის ჯიბეს. ბადექონის აბგა უერთდება პერიტონეუმის ღრუს ბადექონის ხვრელით.

bursa pharyngea ხახის აბგა; ხახის ლორწოვანი გარსის არა-

შუდმივი, უკან მიმართული ჯიბე, რომელიც მოთავსებულია ხახის უკან კედლის ზედა კედელზე გადასვლის ადგილას.

bursa synovialis სინოვიური აბგა; სინოვიური ფირფიტით ამოფენილი თხელკედლიანი პარკი, რომელიც შეიცავს სინოვიურ სითხეს. არჩევენ კანქვეშა, კუნთქვეშა და ფასციისქვეშა სინოვიურ აბგებს. ზოგიერთი სინოვიური აბგა უერთდება სახსრის ღრუს (BNA — bursa mucosa).

C

calcaneus, -i მ. ლათ. ქუსლი, ქუსლის ძვალი

calcar, -aris, მდ. ლათ. დეზი

calcar avis ფრინველის დეზი; თავის ტვინის გვერდითი პარაკუქის უკანა რქის მედიალური კედლის შემადგენელი, გამოწვეული დეზის ღარით. (calcar Morandi).

calcarinus, -a, -um დეზისა

caliculus, -i მ. ლათ. (კნინ. სიტყვ. calix) მცირე ფიალა, ჯამი, კვირჯი

caliculus gustatorius გემოვნების კვირტი; გემოვნების კვირტები მოთავსებული არიან ენის შემოზღუდულ, ფოთლისებრ და სოკოსებრ დერილებში, ზოგჯერ ტუჩებზე, ხორხსარქველზე, ხახის უკანა კედელზე, რბილი სასის წინა კედელზე. გემოვნების კვირტი აგებულია საყრდენი და გემოვნების უჯრედებისაგან. ნერვული ბოჭკოები შედიან გემოვნების კვირტში ფუძის მხრიდან, გემოვნების უჯრედების ბუსუსებიანი მორჩები კი გამოდიან ზედაპირზე კვირტის მწვერვალზე არსებული ფოროთი.

caliculus ophthalmicus თვალის ფიალა; წარმოიქმნება ჩანასახოვან პერიოდში თვალის ბუშტის ინვაგინაციის შედეგად და წარმოადგენს ყუნწზე ჩამოკიდებულ ორმაგკედლიან, ვენტრალურად გახსნილ ფიალას, რომლის ღრუ შეესებულია ექტოდერმიდან განვითარებული ბროლით და მეზენქიმიით. ამ სტადიაში თვალი შემდგომში მისი ყველა შემადგენელი ელემენტის ნერგს წარმოადგენს.

calix, -icis, მ. ლათ. ჯამი, ფიალა, თასი

calices renales majores et minores თირკმლის დიდი და მცირე ფიალები.

callosus, -a, -um, ლათ. (callus სქელი კანი) კოყრიანი, კორძიანი

corpus callosum კორძიანი სხეული; დიდი ტვინის ჰემისფერების ყველაზე დიდი შესართავი, რომელიც შედგება ჰემისფერების სიმეტრიული ნაწილების შემაერთებელი კომისურული ბოჭკოებისაგან.

calvaria, -ae, მდ. ლათ. (calva თავის ქალა) ქალასარკველი

calx, -cis, მდ. ლათ. ქუსლი

camera, -ae, მდ. ბერძნ. კამერა, სენაკი

camera anterior bulbi თვალის კაკლის წინა სენაკი; ნამის შემცველი სივრცე, მოთავსებული რქოვანასა და ფერად გარსს შორის (BNA — camera oculi anterior).

camera posterior bulbi თვალის კაკლის უკანა სენაკი; ნამის შემცველი სივრცე, რომელიც წინიდან მოსაზღვრულია ფერადი გარსით, უკანიდან კი — წამწამოვანი სარტყელით და ბროლით (BNA — camera oculi posterior).

camera vitrea bulbi თვალის კაკლის მინისებრი სენაკი; მინისებრი სხეულის შემცველი სივრცე ბროლის უკან.

canaliculus, -i, მ. ლათ. (canalis არხი) მცირე არხი, მილაკი

canaliculus chordae tympani დაფის სიმის მილაკი; მდებარეობს საფეთქლის ძვლის კლდოვან ნაწილში; იწყება სახის ნერვის არხის დასწვრივი ნაწილიდან და იხსნება დაფის ღრუში.

canaliculus cochleae ლოკოკინას მილაკი; იწყება დაფის კიბის ძირში შიგნითა ნაჩვრეტით, თავსდება საფეთქლის ძვლის პირამიდის სისქეში და ლოკოკინას მილაკის გარეთა ნაჩვრეტით იხსნება პირამიდის უკანა კიდეზე. ლოკოკინას მილაკში მოთავსებულია პერილიმფის სადინარი.

canaliculus lacrimalis ცრემლის მილაკი; წყვილი მილაკი, რომლებიც დასაბამს იღებენ ცრემლის წერტილებიდან და იხსნებიან ცრემლის პარკში (BNA — ductus lacrimalis).

canaliculus mastoideus დვრილისებრი მილაკი; საფეთქლის ძვლის მილაკი, რომლითაც საუღლე ფოსო უერთდება დაფ-დვრილისებრ ნაპრალს. დვრილისებრ მილაკში მოთავსებულია ცთომილი ნერვის სენსორული ტოტი — ყურის ტოტი.

canaliculus tympanicus დაფის მილაკი; დასაბამს იღებს კლდოვან ფოსოში ქვემო ნაჩვრეტით, გადაკვეთს დაფის ღრუს და ზემო ნაჩვრეტით იხსნება საფეთქლის ძვლის კლდოვანი ნაწილის წინა ზედაპირზე; შეიცავს დაფის ნერვს.

canalis, -is, მ. ლათ. არხი

canalis adductorius მომზიდველი არხი; მოთავსებულია მედიალურ განიერ და დიდ მომზიდველ კუნთებს შორის. წინიდან დახურულია ფიბროზული ფირფიტით. მომზიდველი არხის შესავალი ხერეელი ძეგს ბარძაყის სამკუთხედის მწვერვალთან, გამოსავალი ხერეელი კი იხსნება მეხლქვეშა ფოსოში. (Hunteri).

canalis alimentarius საკვები არხი; გზა პირის ღრუდან ყითამდე.

canalis analis ყითას არხი; სწორი ნაწლავის 2,5—3,5 სმ სიგრძის ქვედა ბოლო, რომელიც მიემართება უკან და ქვემოთ და მთავრდება ყითათი (BNA — *pars analis recti*).

canalis caroticus საძილე არხი; მდებარეობს საფეთქლის ძვლის კლდოვან ნაწილში. საძილე არხში გაივლის შიგნითა საძილე არტერია თანამოსახელე ნერვულ წნულთან ერთად.

canalis carpi მაჯის არხი; იქმნება მაჯის ღართ და მომხრელი კუნთების საბმელით. ამ არხში მოთავსებულია მომხრელი კუნთების ცხრა მყესი.

canalis centralis ცენტრალური არხი; მოგრძო და ზურგის ტვინის ცენტრალური არხი.

canalis cervicis uteri საშვილოსნოს ყელის არხი; საშვილოსნოს ყელის ვიწრო ღრუ, საშვილოსნოს ზეყელსა და საშვილოსნოს ხერეულს შორის.

canalis condylaris როკის არხი; მდებარეობს კეფის ძვლის როკის უკან და შეიცავს თანამოსახელე გამოსაშვებ ვენას (BNA — *canalis condyloideus*).

canalis facialis სახის ნერვის არხი; იწყება შიგნითა სასმენი შესაელის ძირში, მიემართება განივად, უხვევს უკან (აქ იქმნება სახის ნერვის არხის მუხლი), სწორი კუთხის ქვეშ ეშვება ქვემოთ და მთავრდება სადგის-დვრილისებრი ხერელით.

canalis femoralis ბარძაყის არხი; სივრცე, მოთავსებული ბარძაყის ვენის მედიალურად და შემოფარგლული განიერი ფასციის ფირფიტებით. აქვს ორი ხერელი, ზემო — ბარძაყის რგოლი, ქვემო — საჩინო შესავალი. ნორმაში ბარძაყის არხი არ არსებობს, იგი წარმოიქმნება თიაქარის განვითარების დროს.

canalis hyaloideus მინისებრი არხი; მოთავსებულია მინისებრ სხეულში და შეიცავს ობლიტერირებულ მინისებრ არტერას (*canalis Cloqueti*).

canalis hypoglossi ენისქვეშა ნერვის არხი; მოთავსებულია კეფის ძვლის სისქეში, კეფის როკსა და საუღლე მორჩს შორის.

canalis incisivus საჭრელი არხი; იწყება კენტი ხვრელით სასის ნაყერის წინა ბოლოში, იყოფა ორად და თანამოსახელე ხვრელებით იხსნება ცხვირის ღრუს ფსკერზე. (Stenoni).

canalis infraorbitalis თვალბუდის ქვედა არხი; იწყება ზედაყბის სხეულის თვალბუდისეულ ზედაპირზე, მთავრდება ზედაყბის სხეულის წინა ზედაპირზე თანამოსახელე ხვრელით

canalis inguinalis საზარდულის არხი; მდებარეობს მუცლის წინა კედლის ქვედა ნაწილში, მიმართულია ზემოდან ქვემოთ, გარედან შიგნით და უკანიდან წინ. საზარდულის არხი წინიდან მოსაზღვრულია მუცლის გარეთა ირიბი კუნთის აპონევროზით, უკანიდან — განივი ფასციით, ქვემოდან — საზარდულის იოგის შებრუნებული კილით, ზემოდან კი — მუცლის შიგნითა ირიბი და განივი კუნთების ქვედა კილით. მამაკაცებში ამ არხში მოთავსებულია სათესლე ბაგირაკი, ხოლო ქალებში — საშვილოსნოს მრგვალი იოგის ბოლო მონაკვეთი.

canalis mandibulae ქვედაყბის არხი; ძვეს ქვედაყბის სისქეში, იწყება ქვედაყბის ხვრელით და მთავრდება ნიკაპის ხვრელით ქვედაყბის გარეთა ზედაპირზე.

canalis musculotubarius კუნთ-ლულის არხი; მოთავსებულია საფეთქლის ძვლის კლდოვან ნაწილში და ძვიდით გაყოფილია ორ ნახევარარხად.

canalis nasolacrimalis ცხვირ-ცრემლის არხი; თვალბუდეს აკავშირებს ცხვირის ქვემო გასაფლთან.

canalis nutricius მასაზრდოებელი არხი; განკუთვნილია ძვლის მკვებავი არტერიებისათვის.

canalis obturatorius დამხურავი არხი; იქმნება ბოქვენის ძვლის დამხურავი ღარით, დამხურავი აპკითა და კუნთებით; შეიცავს თანამოსახელე სისხლძარღვებსა და ნერვს.

canalis opticus მხედველობის ნერვის არხი; ძვეს სოლისებრი ძვლის მცირე ფრთაში (BNA — foramen opticum).

canalis palatinus major სასის დიდი არხი; მოთავსებულია სასის ძვალსა და ზედაყბის სხეულს შორის; პირის ღრუს აკავშირებს ფრთასასის ფოსოსთან და შეიცავს თანამოსახელე ნერვებს და სისხლძარღვებს (BNA — *canalis pterygopalatinus*).

canalis palatovaginalis სასა-საბუდე არხი; იქმნება სოლისებრი ძვლის თანამოსახელე ღარით და სასის ძვლის სოლისებრი მორჩით. მდებარეობს სახნის-საბუდე არხის ლატერალურად.

canalis pterygoideus ფრთისებრი არხი; საგიტალურად მიმართული არხი ფრთისებრი მორჩის ძირში, რომელიც ქალას გარეთა

ფუძეს აკავშირებს ფრთა-სასის ფოსოსთან. შეიცავს თანამოსახელე ნერვს. (Vidii).

canalis pudendalis სასირცხო არხი; მდებარეობს კუკუხო-სწორ-ნაწლავის ფოსოს ლატერალურ კედელზე და იქმნება დამხურავი ფასციის დუბლიკატურით, რომლის გაორებულ ფირფიტას შორის მოთავსებული არიან შიგნითა სასირცხო ძარღვები და ნერვი. (Alcock).

canalis pyloricus პილორუსის არხი; კუჭის პილორული ნაწილის ღრუ, რომლის უკანა გაფართოებულ ნაწილს პილორუსის მღვიმე ეწოდება.

canalis radialis dentis კბილის ფეხის არხი; განკუთვნილია სისხლძარღვებისა და ნერვებისათვის.

canalis sacralis გავის არხი; ხერხემლის არხის ქვედა ნაწილი.

canalis semicircularis anterior, lateralis et posterior წინა, ლატერალური და უკანა ნახევარკალოვანი არხი; ძვლოვანი ლაბირინთის ნახევარკალოვანი არხები, რომლის შიგნით მოთავსებული არიან ნახევარკალოვანი სადინარები (BNA — canalis semicircularis superior, lateralis et posterior).

canalis spiralis cochleae ლოკოკინას სპირალური არხი; იწყება კარიბჭიდან და ქმნის — $2\frac{1}{2}$, ან $2\frac{3}{4}$ ხვეულს, ძვლოვანი სპირალური ფირფიტით ლოკოკინას სპირალური არხის ღრუ გაყოფილია კარიბჭისა და დაფის კიბეებად.

canalis spiralis modioli ღერძის სპირალური არხი; ძვეს ძვლოვანი სპირალური ფირფიტის ფუძეში და შეიცავს სპირალურ კვანძს.

canalis ventriculi კუჭის არხი; იქმნება კუჭის მცირე სიმრუდესთან ლორწოვანი გარსის გასწვრივი ნაოჭებით. ამ არხით საკვების თხიერი ნაწილი (წყალი, მარილების ხსნარები) საყლაპავი მილიდან გადადის პირდაპირ პილორუსის არხში.

canalis vertebralis ხერხემლის არხი

caninus, -a, -um, ლათ. (canis ძაღლი, dens caninus ძაღლის კბილი, ეშვი) ძაღლისა.

fossa canina ეშვის ფოსო; ძვეს ზედაყბის სხეულის წინა ზედაპირზე.

capillaris, -is, მდ. ლათ. (capillus თმა) კაპილარი; სისხლის და ლიმფის უწვრილესი ძარღვები, რომელთა კედელი შედგება ენდოთელური უჭრედების ერთი შრისაგან.

capillus, -i, მ. ლათ. (capitis pilus თავის თმა) თმა

capitulum, -i, საშ. ლათ. მცირე თავი

capitulum humeri მხრის მცირე თავი; მხრის ძვალს პროქსიმალურად აქვს თავი — caput, დისტალურად კი — მცირე თავი.
capsula, -ae, მდ. ლათ. (capsa ყუთი, კოლოფი) კაფსულა, ჩანთა, პარკი

capsula adiposa ცხიმოვანი კაფსულა; გარს ეკვრის თირკმელს.

capsula articularis სასახსრე ჩანთა; პერმეტიულად ხურავს სახსრის ღრუს; შედგება გარეთა ფიბროზული და შიგნითა სინოვიური ფირფიტებისაგან.

capsula externa გარეთა კაფსულა; თეთრი ნივთიერება, მოთავსებული ოსპისებრი ბირთვის ლატერალურ ზედაპირსა და ზღუდეს შორის

capsula fibrosa perivascularis პერივასკულური ფიბროზული კაფსულა; ღვიძლის შემაერთებელქსოვილოვანი კაფსულა, რომელიც გარს ეკვრის ღვიძლს და პერიტონეუმის ქვეშ ქმნის ფიბროზულ გარსს; ღვიძლის კარით სისხლძარღვებთან და ნაღვლის სადინარებთან ერთად შედის ღვიძლის პარენქიმაში, თავსდება წილაკებს შორის და ქმნის ღვიძლის სტრომას (BNA — capsula fibrosa Glissoni).

capsula fibrosa ფიბროზული კაფსულა; 1. თირკმლის ფიბროზული კაფსულა, რომელიც უშუალოდ ეკვრის მას და ადვილად სცილდება 2. ფარისებრი ჭირკვლის ფიბროზული კაფსულა.

capsula glomeruli გორგლის კაფსულა; გარს ეკვრის თირკმლის გორგალს; შეიცავს ვიწრო ნაპრალს, შემოსაზღვრულს ორი კედლით და წარმოადგენს თირკმლის მილაკის გაფართოებულ ყრუ დასაწყისს (Schumljansky — Bowman).

capsula interna შიგნითა კაფსულა; თეთრი ნივთიერება, მოთავსებული ოსპისებრ ბირთვისა, კუდიანი ბირთვის თავსა და მხედველობის ბორცვს შორის.

capsula lentis ბროლის ჩანთა; უსტრუქტურო, გამკვირვალე ფირფიტა მკიდროდ გადაჭიმული ბროლზე.

caput, -itis, საშ. ლათ. თავი

caput costae ნეკნის თავი; ნეკნის უკანა ბოლო (BNA — capitulum costae).

caput epididymidis სათესლის დანამატის თავი; სათესლის დანამატის შემსხვილებული ზედა ნაწილი.

caput femoris ბარძაყის თავი; ბარძაყის ძვლის პროქსიმალური ბოლო

caput fibulae მცირე წვივის თავი; მცირე წვივის პროქსიმალური ბოლო

caput humeri მხრის თავი; მხრის ძელის პროქსიმალური ბოლო
caput mallei ჩაქუჩის თავი; ენაწევრება გრდემლს (BNA —
capitulum mallei).

caput mandibulae ქვედაყბის თავი; ქვედაყბის სასახსრე მორჩის
შემსხვილებული ბოლო (BNA — capitulum (proc. condyl.) mandi-
bulae).

caput nuclei caudati კუდიანი ბირთვის თავი; კუდიანი ბირთ-
ვის წინა შემსხვილებული ნაწილი

caput pancreatis პანკრეასის თავი; მიმართულია თორმეტგოჯა
ნაწლავისაკენ

caput phalangis ფალანგის თავი; პროქსიმალური და შუა ფა-
ლანგების დისტალური ბოლოები (BNA—trochlea phalangis).

caput radii სხივის თავი; სხივის შემსხვილებული პროქსიმალუ-
რი ბოლო (BNA — capitulum radii).

caput stapedis უზანგის თავი; ენაწევრება გრდემლის დინგს
(BNA — capitulum stapedis).

caput tali კოჭის თავი; მიმართულია წინ

[caput ulnae იდაყვის ძელის თავი; იდაყვის შემსხვილებული
დისტალური ბოლო (BNA — capitulum ulnae).

cardia, -a e, მდ. ბერძნ. გული. ანატომიაში იხმარება მეორე
მნიშვნელობით — კუჭის შესავალი.

cardiacus, -a, -um, ბერძნ. გულისა, კარდიისა

ostium cardiacum კარდიის ხვრელი; კუჭის შესავალი ხვრელი

incisura cardiaca კარდიის ნაკედი; მდებარეობს კუჭის შესა-
ვალსა და ძირს შორის და ვლინდება კუჭის უმნიშვნელო ავსების
დროსაც; გამოწვეულია კუჭის კუნთოვანი გარსის ირიბი ბოჭკოების
შეკუმშვით, რომლებიც ამ ადგილას კუჭის წინა ზედაპირიდან უკანა
ზედაპირზე გადასვლის დროს ქმნიან ყულფს.

carina, -a e მდ. ლათ. კორძი

carina tracheae სასულეს კორძი; მცირე შემადგენელი სასულეს
გაორკაპების ადგილას, შიგნით მიქცეული და ოდნავ მარცხნივ გა-
დახრილი.

carina urethralis vaginae საშოს საშარდე კორძი; ლორწოვანი
გარსის წინა ნაოჭიანი სვეტის ქვედა ნაწილის შემადგენელი, სადაც სა-
შოს გარედან ეკვრის შარდსადენი.

carneus, -a, -um, ლათ. (caro ხორცი) ხორციანი

trabeculae carnae ხორციანი ხარხები; კუნთოვანი ხარხებ-
ი გულის პარკუჭების შიგნითა ზედაპირზე.

carotis, - idis, მდ. ბერძნ. (ტერმინი წარმოიშვა ან სიტყვიდან **caroo** ღრმად ვაძინებ, ვაბრუებ, ან სიტყვიდან **cara** თავი) საძილე.

arteria carotis საძილე არტერია

caroticus, - a, - um საძილე, კაროტიდული

carpus, - i, მ. ბერძნ. მაჯა

carpalis, - e მაჯისა

cartilago, - inis მდ. ლათ. ხრტილი

cartilago articularis სასახსრე ხრტილი; ფარავს ძვლის სასახსრე ზედაპირებს. უფრო ხშირად შედგება ჰიალინური ხრტილისაგან, იშვიათად — ბოქკოვანი ხრტილისაგან.

cartilagineus, - a, - um ხრტილოვანი

caruncula, - a e, მდ. ლათ. (**caro** ხორცი) კორძი

caruncula lacrimalis საცრემლე კორძი; მომცრო, მოწითალო შემადღება თვალის მედიალურ კუთხეში, რომელიც შეიცავს ცხიმოვან ქსოვილს და თებოს ჭირკვლებს; დაფარულია შემაერთებელი ქსოვილით.

caruncula sublingualis ენისქვეშა კორძი; ენის ლაგამის გვერდებზე მდებარე ორი შემადღება, სადაც იხსნებიან ქვედაყბისქვეშა და ენისქვეშა ჭირკვლების სადინარები.

carunculae hymenales საქალწულო კორძები; საქალწულო აპკის მომცრო ზომის, უსწორო ფორმის ნარჩენები.

cauda, - a e, მდ. ლათ. კუდი

cauda equina რაშის კუდი; შედგება წელის, გავისა და კუდუსუნის სპინალური ნერვების ვენტრალური და დორსალური ფესვებისა და საბოლოო ძაფისაგან.

cauda nuclei caudati კუდიანი ბირთვის კუდი; კუდიანი ბირთვის უკანა შევიწროებული ნაწილი.

cauda pancreatis პანკრეასის კუდი; პანკრეასის ელენთისაკენ მიმართული ბოლო.

caudalis, - e კუდალური, კუდისკენა

caverna, - a e, მდ. ლათ. კავერნა, ღრუ, მღვიმე

cavernae corporis spongiosi ღრუბლისებრი სხეულის მღვიმეები; შემაერთებელქსოვილოვანი ძვიდეებით ერთმანეთისაგან გაყოფილი სივრცეები, რომლებიც შიგნიდან ამოფენილია ენდოთელიუმით. ღრუბლისებრი და მღვიმოვანი სხეულების მღვიმეების სისხლით ავსება იწვევს ასოს ერექციას.

cavernosus, - a, - um მღვიმოვანი, კავერნული

c a v i t a s, - a t i s, მდ. ლათ. ჩაღრმავება, ფოსო

*: *cavitas glenoidalis* სასახსრე ფოსო; ბეჭის ძვლის სასახსრე ფოსო, რომელსაც ენაწვევრება მხრის ძვალი.

c a v u m, - i, საშ. ლათ. ღრუ

cavum abdominis მუცლის ღრუ; ზემოდან მოსაზღვრულია შუასაძგიდით, წინიდან და გვერდებიდან — მუცლის სწორი და განიერი კუნთებით, უკანიდან — ხერხემლით, სუკის დიდი და კვადრატული კუნთებით; ქვემოთ გადადის მენჯის ღრუში.

cavum articulare სახსრის ღრუ; წარმოადგენს ჰერმეტიულად დახურულ ნაპრალისებრ სივრცეს, მოსაზღვრულს სასახსრე ზედაპირებით და სინოვიური ჩანთით. შეიცავს მცირე რაოდენობით სინოვიურ სითხეს. ზოგიერთ სახსრებში გვხვდება სახსარშიგა იოგები და ხრტილები.

cavum conchae ყურის ნიჟარის ღრუ

cavum dentis კბილის ღრუ. მოიცავს გვირგვინის ღრუსა და კბილის ფესვის არხს. კბილის ღრუში მოთავსებულია კბილის პულპა.

cavum epidurale ეპიდურალური სივრცე; მოთავსებულია მაგარ გარსსა და ხერხემლის არხის კედლებს შორის. შეიცავს ცხიმოვან ქსოვილს და ხერხემლის შიგნითა ვენურ წნულს.

cavum infraglotticum ყიასქვედა ღრუ; ხორხის ღრუს ნაწილი, რომელიც მდებარეობს ყიას ქვემოთ.

cavum laryngis ხორხის ღრუ; ზემოთ უერთდება ხახას, ქვემოთ კი გადადის სასულეში; შედგება სამი დანაყოფისაგან: ხორხის კარიბჭესა, ყიასა და ყიასქვედა ღრუსაგან.

cavum medullare ძვლის ტვინის ღრუ; ლულოვანი ძვლების ცილინდრული ფორმის ღრუ.

cavum nasi ცხვირის ღრუ

cavum oris პირის ღრუ; შედგება პირის კარიბჭესა და საკუთრივ პირის ღრუსაგან.

cavum pelvis მენჯის ღრუ; ქვემოდან დახურულია მენჯის შუასაძგიდით, ხოლო ზემოთ გადადის მუცლის ღრუში.

cavum pericardii პერიკარდიუმის ღრუ; მოთავსებულია სეროზული პერიკარდიუმის პარიეტულ და ვისცერულ ფირფიტებს შორის.

cavum peritonei პერიტონეუმის ღრუ; სეროზული ღრუ, მოთავსებული პერიტონეუმის ვისცერულ და პარიეტულ ფირფიტებს შორის.

cavum pharyngis ხახის ღრუ; დახშულია ზემოდან, უკანიდან და

გვერდებიდან; კისრის VI მალის დონეზე გრძელდება საყლაპავ მილში; წინისკენ იხსნება ცხვირის, პირისა და ხორხის ღრუებში.

cavum pleurae პლევრის ღრუ; სეროზული სივრცე, მოთავსებული პარიეტულ და ვისცერულ პლევრას შორის.

cavum septi pellucidi გამჭვირვალე ძგიდის ღრუ; ვერტიკალურად მდებარე ვიწრო სივრცე გამჭვირვალე ძგიდის ორ ფირფიტას შორის (*Ventriculus quintus; ventriculus Duncanii; cavum Vieussensi*).

cavum subarachnoideale ქსელქვეშა სივრცე; მოთავსებულია ქსელისებრ და რბილ გარსებს შორის და შეიცავს თავზურგის ტვინის სითხეს. (BNA — *cavum subarachnoidale*).

cavum thoracis გულმკერდის ღრუ; მოსაზღვრულია ნეკნებით, მკერდით, მალთა სვეტის გულმკერდის ნაწილით; ქვემოდან დახურულია შუასაძგიდით, ხოლო გულმკერდის ზემო შესავალი გახსნილია.

cavum trigeminale სამწვერა კვანძის ღრუ; იქმნება მაგარი გარსის გარეებით საფეთქლის ძელის კლდოვანი ნაწილის წვეროსთან (*cavum Meckeli*).

cavum tympani დაფის ღრუ; მოთავსებულია საფეთქლის ძელის კლდოვანი ნაწილის ფუძის სისქეში და ამოფენილია ლორწოვანი გარსით.

cavum uteri საშვილოსნოს ღრუ; ფრონტალურ განაკვეთზე სამკუთხედის ფორმისაა, რომლის ზედა კუთხეებში იხსნებიან საშვილოსნოს ლულები, ხოლო ქვედა კუთხე გრძელდება საშვილოსნოს ყელის არხში.

c e c u s, - a, - u m, ლათ. ბრმა (BNA — *caecus, - a, - u m*)

cecalis, - e ბრმა ნაწლავისა, რაც ბრმა ნაწლავს განეკუთვნება

caecum ბრმა ნაწლავი; ამ შემთხვევაში ზედსართავი სახელი იხმარება როგორც არსებითი სახელი (BNA — *intestinum caecum*).

caecum cupulare მწვერვალისეული ბრმა ბოლო; წარმოადგენს ლოკოკინას სადინარის ყრუ დაბოლოებას ლოკოკინას მწვერვალთან.

caecum vestibulare კარიბჭისეული ბრმა ბოლო; წარმოადგენს ლოკოკინას სადინარის ყრუ დასაწყისს, რომელიც მოთავსებულია კარიბჭეში

c e l i a c u s, - a, - u m, ბერძნ. (*coilia* მუცელი) ფაშვისა, მუცლის ღრუსი (BNA *coeliacus, - a, - u m*).

arteria celiaca ფაშვის არტერია

·c e l l a, - a e, მდ. ლათ. (celare დამალვა) ოთახი, სარდაფი, ანატ. უჯრედი.

·c e l l u l a, - a e, მდ. ლათ. (კნინ. სიტყვ. cella) უჯრედი
cellulae anteriores, mediae et posteriores წინა, შუა და უკანა
უჯრედები; ცხავის ძვლის უჯრედები.

cellulae mastoideae დვრილისებრი უჯრედები; დვრილისებრი
მორჩის ჰაერით საესე მომცრო უჯრედები, რომლებიც უერთდებიან
დაფის ღრუს.

cellulae pneumaticae ჰაეროვანი უჯრედები; სასმენი ლულის
ჰაეროვანი უჯრედები, რომლებიც მოთავსებული არიან შუა ყურში
საფეთქლის ძვლის კლდოვანი ნაწილის სისქეში (BNA — cellulae
pneumaticae tubariae).

cellulae tympanicae დაფის უჯრედები; მომცრო ჰაეროვანი
უჯრედები დაფის ღრუს ქვედა კედლის სისქეში.

·c e l l u l a r i s, - e უჯრედისა

·c e m e n t u m, - i, საშ. ლათ. (caementum გაუთლელი ქვა) ცემენ-
ტი; სახეცვლილი ძვლოვანი ნივთიერება, რომლითაც და-
ფარულია კბილის ფესვისა და ყელის დენტინი (BNA —
substantia ossea).

c e n t r u m, - i, საშ. ბერძნ. (centron[†] ცირკულის საყრდენი წერ-
ტილი წრეხაზის შემოხაზვის დროს) შუა ადგილი, შუა წერ-
ტილი, ცენტრი.

centrum tendineum მყესოვანი ცენტრი; შუასაძგიდის მყესო-
ვანი ნაწილი (პელმონტიესული სარკე — speculum Helmonti).

centrum tendineum perinei შორისის მყესოვანი ცენტრი; შო-
რისის შუა ნაწილის მყესოვან-კუნთოვანი მონაკვეთი, სადაც თავს იყ-
რის და უმაგრდება ბოლქვ-ღრუბლისებრი კუნთი, ყითას გარეთა
სფინქტერი, ყითას ამწევი და შორისის ღრმა და ზედაპირული განივი
კუნთები

centralis, - e ცენტრალური

·c e p h a l i c u s, - a, - u m, ბერძნ. (kephale თავი) თავისა

vena cephalica თავის ვენა; შევარდენის ვენა; ზემო კიდურის
კანქვეშა, სხივისმხრივი ვენა, რომელიც უერთდება ილლიის ვენას.
თავის ტკივილის განკურნების მიზნით უწინ ამ ვენიდან უშვებდნენ

სისხლს, რამაც განაპირობა მისი დასახელება. ამ ვენის მეორე დასახელებას საფუძვლად დაედო ის ფაქტი, რომ როდესაც მონადირე შევარდენს ისვამს წინამხარზე, შევარდენი თავისი კლანჭებით ეხება წინამხრის იმ უბანს, სადაც ძვეს ეს ვენა.

cerebellum, - i, საშ. ლათ. (კნინ. სიტყვისა cerebrum) ნათხემი

cerebellaris, - e ნათხემისა.

cerebrum, - i, საშ. ლათ. დიდი ტვინი

cerebralis, -e, დიდი ტვინისა

facies cerebralis სატვინე ზედაპირი; თავის ქალას ძვლების სატვინე ზედაპირები.

ceruleus, - a, - um, ლათ. (caelum ცა) ლურჯი, ცისფერი

cerumen, - inis, საშ. ლათ. (cera ცვილი, auris ყური) ყურის გოგირდი

ceruminosus, - a, - u m ყურის გოგირდოვანი

cervix, - icis, მდ. ლათ. კისერი, ყელი

cervix uteri საშვილოსნოს ყელი; საშვილოსნოს ქვედა ნაწილი რომლის ქვემო მესამედი მოთავსებულია საშოში.

cervix vesicae შარდის ბუშტის ყელი; შარდის ბუშტის შევიწროებული ადგილი შარდსადენში გადასვლის წინ.

cervicalis - e კისრისა

vertebra cervicalis კისრის მალა

chiasma, - atis, საშ. ბერძნ. ჰიაზმა, ჯვარედინი

chiasma opticum მხედველობის ნერვის ჯვარედინი; შედის ჰიპოთალამუსის შემადგენლობაში და მდებარეობს დიდი ტვინის ქვემო ზედაპირზე, რუხი ბორცვის წინ. მხედველობის ნერვის ჯვარედინში გადაჯვარედინდებიან ბადურას მხოლოდ მედიალური ნახევრებიდან გამოსული ნერვული ბოჭკოები.

chiasma tendinum მყესთა ჯვარედინი; იქმნება თითების ღრმა და ზედაპირული მომხრელი კუნთების მყესების გადაჯვარედინებით ხელის პროქსიმალური ფალანგის ღონეზე.

choanae, - arum, მდ. ბერძნ. იხმარება მრავლობით რიცხვში (choane ძაბრი) ქოანები; ხახის და ცხვირის ღრუს შემერთებელი ხვრელები.

choledochus, - i მ. ბერძნ. (chole ნალველი, dechomai ვლებულობ) ნალვლის სადინარი.

chorda, - ae, მდ. ბერძნ. ქორდა, სიმი

chorda obliqua ირიბი სიმი; წარმოადგენს თხელ იოგს, რომე-

ლიც გადაქიმულია იდაყვის გვირგვინისებრ მორჩსა და სხივის ხორკლს შორის.

chorda tympani დაფის სიმი; წარმოადგენს შუამდებარე ნერვის ტოტს და შედგება პრეგანგლიონური პარასიმპატიკური და სენსორული ბოქოებისაგან; დაფის ღრუდან დაფ-კლდოვანი ნაპრალით გამოსვლის შემდეგ უერთდება ენის ნერვს; ატარებს სეკრეტორულ იმპულსებს ქვედაყბისქვეშა და ენისქვეშა ჯირკვლებისათვის და გემოვნების იმპულსებს ენის წინა ორი მესამედის ლორწოვანი გარსიდან.

chordae tendineae მყესოვანი სიმები; მოთავსებული არიან გულის პარკუჭებში; დასაბამს იღებენ დვრილისებრი კუნთებიდან და უმაგრდებიან წინაგულ-პარკუჭის სარქველის საგდულებს.

choroidea, - *ae*, მდ. ბერძნ. ქოროიდეა, საკუთრივ სისხლძარღვოვანი გარსი; (*chorion* კანი, გარსი; *eides* სახე; ქორიონის მსგავსი, სისხლძარღვებით მდიდარი) თვალის სისხლძარღვოვანი გარსის ნაწილი (*BNA — chorioidea*).

chorion, - *i*, საშ. ბერძნ. (კანი, გარსი) ქორიონი; ჩანასახის გარე, ბუსუსებიანი გარსი; წარმოქმნილია ტროფობლასტი-სა და მეზოდერმისაგან.

chylus, - *i*, მ. ბერძნ. (*chylus* ტენი, წვენი) ქილუსი, რძის წვენი, ლიმფა; რძისებრი ცხიმოვანი ლიმფა, რომელიც მიედინება ნაწლავის ლიმფურ ძარღვებში.

cilium, - *ii*, საშ. ლათ. (თავდაპირველი მნიშვნელობით ქუთუთო) წამწამი.

ciliaris, - *e* წამწამოვანი

ganglion ciliare წამწამოვანი კვანძი

cineres, - *a*, - *um*, ლათ. (*cinis* ფერფლი, ნაცარი) ნაცრისფერი, რუხი

cingulum, - *i*, საშ. ლათ. (*cingere* შემოსარტყვლა, შემორტყმა) სარტყელი.

cingulum membri inferioris ქვემო კიდურის სარტყელი; შედგება მენჯის ძვლებისაგან (*BNA — cingulum extremitatis inf.*).

cingulum membri superioris ზემო კიდურის სარტყელი; შედგება ბეჭისა და ლავიწის ძვლებისაგან (*BNA — cingulum extremitatis sup.*).

circulus, - *i*, მ. ბერძნ. (*circus* რკალი) რგოლი, რკალი, წრე.

circulus arteriosus cerebri დიდი ტვინის არტერიული წრე; მდებარეობს დიდი ტვინის ქვემო ზედაპირზე, ქსელქვეშა სივრცე-

ში. მის შექმნაში მონაწილეობენ შიგნითა საძილე არტერიები, წინა და უკანა შემაერთებელი არტერიები, დიდი ტვინის წინა არტერიების დასაწყისი მონაკვეთები და დიდი ტვინის უკანა არტერიები (BNA — circulus arteriosus Willisii).

circulus arteriosus iridis major et minor ფერადი გარსის დიდი და მცირე არტერიული წრე; ფერადი გარსის წამწამოვან და გუგისმხრივ კიდებთან მდებარე წრიული არტერიული ანასტომოზები.

circulus articularis vasculosus სახსრის სისხლძარღვოვანი წრე; სისხლძარღვოვანი წრიული ანასტომოზები სასახსრე ჩანთის სინოვიურ ფირფიტაში, სასახსრე ხრტილების გარშემო.

circulus vasculosus n. optici მხედველობის ნერვის სისხლძარღვოვანი წრე; იქმნება წამწამოვანი არტერიებისა და ბაღურას ცენტრალური არტერიის ტოტების ანასტომოზებით მხედველობის ნერვის დისკოს გარშემო. (Halleri; Zinni).

circumductio, - onis, მდ. ლათ. (circumducere გარშემო ტარება) ცირკუმდუქცია; წრიული მოძრაობა, რომლის დროსაც ძვალი შემოხაზავს კონუსის გვერდით ზედაპირს, ხოლო კონუსის წვერო თავსდება მოცემული სფერული სახსრის ცენტრში.

circumferentia, - ae, მდ. ლათ. (circumferre შემოტარება) სიმრგვალე, წრეწირი

circumferentia articularis საბრუნებელი სასახსრე ზედაპირი; ამ სასახსრე ზედაპირებით აღქურვილი არიან სხივისა და იდაყვის თავების გვერდითი ზედაპირები.

circumflexus, - a, - um, ლათ. (circumflectere გადაღუნვა, შემოხვევა) შემომხვევი.

arteria circumflexa humeri მხრის შემომხვევი არტერია

cisterna, - ae, მდ. ლათ. ცისტერნა, აუზი; 1. ქსელქვეშა სივრცის გაგანიერებული უბანი, 2. ლიმფური ძარღვების გაგანიერებული მონაკვეთი.

cisterna cerebellomedullaris ნათხემ-მოგრძო ტვინის აუზი; ქსელქვეშა სივრცის ყველაზე დიდი აუზია და მოთავსებულია ნათხემის ქვემო ზედაპირსა და მოგრძო ტვინის უკანა ზედაპირს შორის.

cisterna chiasmatis ჯვარედინის აუზი; მდებარეობს მხედველობის ნერვის ჯვარედინის წინ.

cisterna chyli წრბოლის ცისტერნა; მდებარეობს გულმკერდის

XII, ან წელის I მალის წინა ზედაპირზე და წარმოადგენს გაგანიერებას გულმკერდის სადინარის დასაწყისთან. წრბოლის ცისტერნაში იხსნებიან წელისა და ნაწლავის ლიმფური ღეროები. (Pecqueti).

cisterna fossae lateralis cerebri დიდი ტვინის ლატერალური ფოსოს აუზი; ქსელქვეშა სივრცის გაგანიერება თანამოსახელე ფოსოში, დიდი ტვინის შუა არტერიის ტოტების გარშემო.

cisterna interpeduncularis ფეხთაშუა აუზი; ქსელქვეშა სივრცის გაგანიერება დიდი ტვინის ფეხთა შორის.

claustrum, - i, საშ. ლათ. (claudere ჩაკეტვა) საკეტი, ზღუდე; განეკუთვნება დიდი ტვინის ჰემისფეროების ბაზალურ ბირთვებს; წარმოადგენს რუხი ნივთიერების ვერტიკალურ ფირფიტას, რომელიც მდებარეობს გარეთა და განაპირა კაფსულებს შორის.

clavicula, - ae, მდ. ლათ. (clavis საკეტი, გასაღები) პატარა გასაღები, ანატ. ლავიწი.

clavicularis, - e ლავიწისა

cleido, ბერძნ. (გასაღები) ლავიწი; იხმარება მხოლოდ რთულ სიტყვებში.

musculus sternocleidomastoideus მკერდ-ლავიწ-დვრილისებრი კუნთი.

clinoides, - a, - u m, ბერძნ. (clino მოხრი) დახრილი *processus clinoides anterior, medius et posterior* სოლისებრი ძვლის წინა, შუა და უკანა დახრილი მორჩები.

clitoris, - idis, მდ. ბერძნ. კლიტორი, სვენებო; ქალის გარეთა სასქესო ორგანო, რომელიც შეესაბამება მამაკაცის ასოს და შედგება ორი მღვიმოვანი სხეულისაგან.

clivus, - i, მ. ლათ. ფერდობი, დამრეცი, თავქვე; დაქანებული მონაკვეთი თავის ქალას შიგნითა ფუძეზე, თურქული კეხის ზურგსა და დიდ ხვრელს შორის (*clivus Blumenbachii*).

clunis, - is, მდ. ლათ. საჯდომი, ღუნღული

coccygs, - ygis, მ. ბერძნ. (kokkyx გუგული; კუდუსუნის ძვალი გავს გუგულის ნისკარტს) კუდუსუნი; ხერხემლის ქვედა ბოლო, რომელიც შედგება 4—5 განუვითარებელი მალისაგან.

coccygeus, - a, - u m კუდუსუნისა

cochlea, - ae, მდ. ბერძნ. (kochlos ლოკოკინა) ლოკოკინა; შიგნითა ყურის ძვლოვანი ლაბირინთის წინა ნაწილი.

cochlearis, - e ლოკოკინასი

collateralis, - e, ლათ. (cum - თან, - ურთ; latus გვერდი) კოლატერალური, გვერდითი.

ligamentum collaterale ulnare იდაყვის გვერდითი იოგი

colliculus, - i, მ. ლათ. (collis ბორცვი) ბორცვი, გორაკი

colliculus facialis სახის ნერვის ბორცვი; სახის ნერვის მუხლით.

გამოწვეული შემადღება რომბისებრ ფოსოზე.

colliculus inferior ქვემო გორაკი; შუა ტვინის სახურავის ორი ქვემო შემადღება, რომლებიც წარმოადგენენ სმენის ქერქქვეშა ცენტრებს.

colliculus superior ზემო გორაკი; შუა ტვინის სახურავის ორი ზემო შემადღება, რომლებიც წარმოადგენენ მხედველობის ქერქქვეშა ცენტრებს.

colliculus seminalis სათესლე გორაკი; მამაკაცის შარდსადენის წინამდებარე ნაწილის უკანა კედელზე მოთავსებული მომცრო შემადღება, სადაც იხსნებიან მშხეპავი სადინარები.

collum, - i, საშ. ლათ. კისერი, ყელი

collum anatomicum ანატომიური ყელი; ვიწრო ირგვლივი ღარი მხრის თავსა და სხეულს შორის.

collum dentis კბილის ყელი; შევიწროებული ადგილი კბილის გვირგვინსა და ფესვს შორის.

collum chirurgicum ქირურგიული ყელი; შევიწროებული ადგილი მხრის დიაფიზის ზედა ნაწილში, მხრის ბორცვების ქვემოთ.

collum costae ნეკნის ყელი; შევიწროებული ადგილი ნეკნის თავსა და სხეულს შორის.

collum femoris ბარძაყის ყელი; შევიწროებული ადგილი ბარძაყის თავსა და სხეულს შორის.

collum mallei ჩაქუჩის ყელი

collum mandibulae ქვედაყბის ყელი; შევიწროებული ადგილი ქვედაყბის თავის ქვემოთ.

collum radii სხივის ყელი; შევიწროებული ადგილი სხივის თავის ქვემოთ.

collum scapulae ბეჭის ყელი; შევიწროებული ადგილი სასახსრე ფოსოსა და ბეჭის დანარჩენ ნაწილებს შორის.

collum tali კოკის ყელი; შევიწროებული ადგილი კოკის თავსა და სხეულს შორის.

collum vesicae felleae ნაღვლის ბუშტის ყელი; ნაღვლის ბუშ-

ტის შევიწროებული ნაწილი, რომელიც უშუალოდ გრძელდება ბუშტის სადინარში.

colon, - i, საშ. ბერძნ. (*kolon* მსხვილი ნაწლავი) კოლინჯი; მსხვილი ნაწლავის ნაწილი ბრმა ნაწლავსა და სწორ ნაწლავს შორის.

colon ascendens ასწვრივი კოლინჯი; მდებარეობს მუცლის ღრუს მარჯვენა ნაწილში.

colon descendens დასწვრივი კოლინჯი; მდებარეობს მუცლის ღრუს მარცხენა ნაწილში.

colon sigmoideum სიგმოიდური კოლინჯი; მდებარეობს თქმის მარცხენა ფოსოში.

colon transversum განივი კოლინჯი; მდებარეობს ასწვრივ კოლინჯსა და დასწვრივ კოლინჯს შორის.

columna, - a e, მდ. ლათ. სვეტი

columna anterior, lateralis et posterior წინა, ლატერალური და უკანა სვეტი; ზურგის ტვინის რუხი ნივთიერების სვეტები.

columna fornicis თალის სვეტი; თალის წინა ნაწილი — წყვილი სვეტი, რომლებიც მიემართებიან წინ და ქვემოთ და მთავრდებიან დვრილისებრ სხეულებში. თალის სვეტებით წინიდან მოსაზღვრულია პარაკუქთაშუა ხვრელები.

columna rugarum anterior et posterior წინა და უკანა ნაოჭიანი სვეტი; საშოს ლორწოვანი გარსის განივი ნაოჭების სვეტები, საშოს წინა და უკანა კედელზე.

columna vertebralis ხერხემალი, ხერხემლის სვეტი

columnae anales ყითას სვეტები; ყითას არხის კედლების ლორწოვანი გარსის გასწვრივი ნაოჭები (*BNA — columnae rectales Morgagnii*).

columnae renales თირკმლის სვეტები; თირკმლის ქერქოვანი ნივთიერების ნაწილი, რომელიც შეჭრილია ტვინოვან ნივთიერებაში და მოთავსებულია თირკმლის პირამიდებს შორის. (*Bertini*).

comes, - itis, მ. ლათ. თანამგზავრი

comitans, -antis ლათ. (*comitare* გაცილება) თანამგზავრი *arteria comitans n. ischiadici* საჯდომი ნერვის თანამგზავრი არტერია.

commisura, - ae მდ. ლათ. (*committere* შეერთება) შესართავი

commissura alba თეთრი შესართავი; ზურგის ტვინის თეთრი

ნივთიერების ზოლი, რომელიც მდებარეობს წინა რუხი შესართავის წინ (BNA — commissura anterior alba).

commissura anterior წინა შესართავი; შედგება წინა და უკანა ნაწილისაგან. წინა ნაწილის ბოქვოები აკავშირებენ ყნოსვის წილებს, უკანა ნაწილისა კი — პარაჰიპოკამპურ ხვეულებს. წინა შესართავის შუა მონაკვეთი შედის III პარაკუქის წინა კედლის შემადგენლობაში.

commissura fornicis თალის შესართავი; განივად მიმართული ბოქვოები თალის ფეხებს შორის, რომლებიც აკავშირებენ მოპირდაპირე მხრის ზღვის ცხენის ხვეულებს (BNA — commissura hippocampi. psalterium, lyra Davidis).

commissura habenularum სადავეების შესართავი; მდებარეობს ჯალღუზისებრი სხეულის წინ. სადავეების შესართავის ბოქვოები ერთმანეთთან აკავშირებენ მოპირდაპირე მხრის სადავეების ბირთვებს.

commissura labiorum anterior et posterior სასირცხო ბაგეების წინა და უკანა შესართავი.

commissura palpebrarum lateralis et medialis ქუთუთოების ლატერალური და მედიალური შესართავი.

commissura posterior უკანა შესართავი; შედგება განივი ბოქვოების მცირე კონებისაგან, რომლებიც მდებარეობენ III პარაკუქის უკანა კედელზე, დიდი ტვინის წყალსადენის ზემოთ.

commissurae supraopticae სუპრაოპტიკური შესართავეები; ამ დასახელებით გაერთიანებულია გუდენის, მენინგეტიკისა და განზერის შესართავეები; შედგება კომისურული ბოქვოებისაგან, რომლებიც თავსდებათ მხედველობის ჯვარედინის ზემო და უკანა ნაწილში და ერთმანეთთან აერთებენ სუბთალამურ მიდამოებს, ზოლიან სხეულებს, ჰიპოთალამურ ბირთვებს და მედიალურ დამუხვლილ სხეულებს.

communicans, - tis, ლათ. (communicare შეერთება, აკავშირი) შემეერთებელი.

arteria communicans anterior et posterior წინა და უკანა შემეერთებელი არტერია; მონაწილეობენ არტერიული წრის შექმნაში თავის ტვინის ქვემო ზედაპირზე.

communis, - e, ლათ. საერთო

arteria carotis communis საერთო საძილე არტერია; მარჯვნივ გამოეყოფა მხარ-თავის ღეროს, მარცხნივ კი — აორტის რკალს.

compactus, - a, - u m, ლათ. (*compingere* მკიდროდ შეკვრა) კომპაქტური, მკიდრო, მკვრივი.

substantia compacta კომპაქტური ნივთიერება; ძვლის კომპაქტური, გარეთა მკრივი შრე.

compositus, - a, - u m, ლათ. (*componere* შედგენა) შედგენილი, რთული

compressor, -is, მ. ლათ. (*comprimere* მოკვრა) მომკერი

concha, - a e, მდ. ბერძნ. ნიჟარა

concha nasalis inferior, media et superior ცხვირის ქვემო, შუა და ზემო ნიჟარა; ამ ნიჟარებიდან ცალკე ძვალს წარმოადგენს მხოლოდ ქვემო ნიჟარა, დანარჩენი ორი კი ეკუთვნის ცხვირის ძვალს.

concha nasalis suprema ცხვირის ზემდებარე ნიჟარა; არამუდმივი მომცრო ნიჟარა, რომელიც მდებარეობს ცხვირის ზემო ნიჟარის ზემოთ. (*Santorini*).

concha sphenoidalis სოლისებრი ნიჟარა; ორი მოდრეკილი ძელოვანი ფირფიტა, რომლებიც მდებარეობენ სოლისებრი ქედის გვერდებზე და ქმნიან სოლისებრი წიაღის წინა და ნაწილობრივ ქვემო კედლებს. თითოეული ნიჟარა დართულია სოლისებრი წიაღის ხვრელით.

condylus, - i, მ. ბერძნ. (*kondylos* მუშტი, კორძი) როკი; ძვლის მომრგვალებული ეპიფიზი, რომელიც ჩვეულებრივ ალკურვილია სასახსრე ზედაპირით.

condylus humeri მხრის როკი; მხრის დისტალური ბოლო, რომელიც მოიცავს ქალს, მცირე თავს, გვირგვინოვან, სხივისა და იდაყვის ფოსოებს.

condylus lateralis et medialis ლატერალური და მედიალური როკი; მომრგვალებული შემადღებანი ბარძაყის დისტალურ ბოლოზე.

condylus occipitalis კეფის როკი; კეფის როკები ენაწევრებიან ატლასს.

condyloideus, - a, - u m როკისებრი, როკისა

conexus, - u s, მ. ლათ. (*conectere* დაწვნა, შეკვრა) მკიდრო კავშირი

conexus intertendineus მყესთაშუა შეერთება; მაგალითად, ხელის თითების გამშლელი კუნთის მყესების ერთმანეთთან შეერთება მყესოვანი ფირფიტებით ნებ-ფალანგის სახსრების ღონეზე (*BNA — juncturae tendinum*).

confluens, - e n t-i s, მ. ლათ. (*confluere* შერთვა) შერთული **confluens sinuum** სინუსების შერთული; მაგარი გარსის ზემო

საგიტალური, განივი და სწორი სინუსების შეერთების ადგილი, რომელიც შეესაბამება კეფის შიგნითა შემალლებას. (torcular Herophili).

congenitus, - a, - um ლათ. ((con) cum - თან, - ერთ; genitus მშობიარობა) თანდაყოლილი.

congenitalis, - e თანდაყოლილი, ბუნებრივი

conjugata, - ae, მდ. ლათ. (conjugare შეერთება) კონიუგატა; ზენჯის წინა-უკანა დიამეტრები

conjunctiva, - ae, მდ. ლათ. (conjungere შეერთება) კონიუნქტივა; ლორწოვანი. გარსი, რომლითაც დაფარულია თვალის კაკალი და ქუთუთოების შიგნითა ზედაპირი.

conjunctivalis, - e კონიუნქტივური

conjunctivus, - a, - um ლათ. შემაკავშირებელი, შემაერთებელი

constrictor, - oris, ლათ. (constringere მოკერა) მომკერი musculus constrictor pharyngis ხახის მომკერი კუნთი

conus, - i, მ. ბერძნ. კონუსი.

conus arteriosus (infundibulum) არტერიული კონუსი (ძაბრი); გულის მარჯვენა პარკეტის ფილტვის ღეროში გადასვლის ადგილი.

conus elasticus ელასტიკური კონუსი; ხორხის ლორწოვანი გარსის ქვეშ მდებარე ელასტიკური აკვი, რომელიც გაქიმულია ფარისებრ ხრტილსა, ციცხვისებრი ხრტილის მბგერავ მორჩსა და ბეჭვისებრი ხრტილის რკალს შორის. ელასტიკური კონუსის ზედა შემსხვილებული ნაპირი ქმნის მბგერავ იოგს.

conus medullaris ზურგის ტვინის კონუსი; ზურგის ტვინის ქვედა კონუსისებრი წაწვეტებული ბოლო წელის მეორე მალის დონეზე.

coni epididymidis (lobuli epididymidis) სათესლის დანამატის კონუსები (სათესლის დანამატის წილაკები); სათესლიდან გამოსული თესლის გამომტანი მილაკები (12—15 მილაკი) იკლავნიდან და სათესლის დანამატის თავში ქმნიან კონუსებს, ანუ წილაკებს.

convolutus, - a, - um ლათ. (convolvere დახვევა, შეხვევა) დახვეული

pars convoluta დახვეული ნაწილი; თირკმლის ქერქოვანი წილაკის ქერქოვანი ნაწილი, სადაც განლაგებულია თირკმლის სხეულაკები და კლავნილი მილაკები. იხ. lobuli corticales.

cor, - dis სამ. ლათ. გული

coracoideus, - a, - u m, ბერძნ. (korax ყორანი; eides სახე) ყორნის ნისკარტის მსგავსი, ნისკარტისებრი.

processus coracoideus ნისკარტისებრი მორჩი; ბეჭის ნისკარტისებრი მორჩი

corium, - i i, საშ. ბერძნ. (chorion კანი) კანი; ეპიდერმისის ქვეშ მდებარე საკუთრივ კანი. ამ სიტყვის სინონიმია — **derma**.

cornea, - a e, მდ. ლათ. კორნეა, რქოვანი გარსი, რქოვანა; თვალის ფიბროზული გარსის წინა, გამჭვირვალე ნაწილი.

cornealis - e რქოვანასი

corneus, - a, - u m რქისა, რქოვანი

corniculum, i, საშ. ლათ. (კნინ. სიტყვისა **cornu** რქა, საყვირი) რქა

corniculatus, - a, - u m რქით აღჭურვილი, რქიანი

cartilago corniculata რქისებრი ხრტილი; მდებარეობს ციცხვისებრი ხრტილის მწვერვალზე, ციცხვ-ხორხსარქველის ნაოკის სისქეში.

cornu, - u s. საშ. ლათ. რქა, საყვირი

cornu anterius, lateralis et posterius წინა, ლატერალური და უკანა რქა; ზურგის ტვინის რუხი ნივთიერების რქები.

cornu anterius, inferius et posterius წინა, ქვემო და უკანა რქა; დიდი ტვინის გვერდითი პარაკუტის რქები.

corona, - a e. მდ. ბერძნ. გვირგვინი, შარავანდი, ბაჯი

corona ciliaris წამწამოვანი ბაჯი; წამწამოვანი სხეულის წინა ნაწილი, რომელიც აღჭურვილია წამწამოვანი ნაოკებით და მორჩებით.

corona dentis კბილის გვირგვინი; კბილის ნაწილი, რომელიც დაფარულია ემალთით.

corona glandis ასოს თავის გვირგვინი; ასოს თავის უკანა მომრგვალებული ნაპირი

corona radiata სხივოსანი გვირგვინი; 1. რადიალურად განლაგებული ფოლიკულოური უჯრედები, რომლებიც გარს ეკვრიან კვერცხუჯრედის გამჭვირვალე ზონას, 2. სხივურად განლაგებული პროექციული ბოქოები შიგნითა კაფსულასა და დიდი ტვინის ქერქს შორის.

coronalis, - e გვირგვინოვანი

coronarius, - a, - u m გვირგვინოვანი

coronoideus, - a, - u m გვირგვინისებრი

corpus, - o r i s, საშ. ლათ. სხეული

corpora paraaortica პარააორტული სხეულაკები; განლაგებული არიან მუცლის აორტის გვერდებზე, მისი გაორკაპების ზემოთ; განეკუთვნებიან პარაგანგლიონებს და მსგავსად თირკმელზედა ჯირკვლის ტვინოვანი ნივთიერებისა აგებული არიან ქრომოფინული უჯრედებისაგან.

corpus adiposum buccae ლოყის ცხიმოვანი სხეული; ძვეს ლოყა-ხახის ფასციაზე, რომლითაც დაფარულია ლოყის კენთი. (Bichati).

corpus adiposum fossae ischio-rectalis კუკუხო-სწორნაწლავის ფოსოს ცხიმოვანი სხეული; ცხიმოვანი ქსოვილი, რომლითაც შეესებურება თანამოსახელე ფოსო და რომლის სისქეში გაივლიან სასირცხო არხში მოთავსებული სისხლძარღვები და ნერვები.

corpus adiposum infrapatellaris კვირისტავქვედა ცხიმოვანი სხეული; მოთავსებულია კვირისტავის იოგსა და მუხლის სახსრის ჩანთას შორის.

corpus adiposum orbitae თვალბუდის ცხიმოვანი სხეული; მდებარეობს თვალბუდეში, თვალის კაკლის ბუდის უკან.

corpus albicans მოთეთრო სხეული; დანაწიბურებული ქსოვილი, წარმოქმნილი ყვითელი სხეულის უკუგანვითარებისას.

corpus amygdaloideum ნუშისებრი სხეული; მდებარეობს ჩენჩოს ქვეშ, საფეთქლის წილის წინა ბოლოში; განეკუთვნება დიდი ტვინის ქერქქვეშა ბირთვებს. ვარაუდობენ, რომ ნუშისებრი სხეული ყნოსვის ერთ-ერთი ქერქქვეშა ცენტრია (BNA — nucleus amygdalae).

corpus callosum კორძიანი სხეული; მდებარეობს დიდი ტვინის ჰემისფეროებს შორის; წარმოადგენს ტვინის ყველაზე დიდ შესართავს, რომელიც აერთებს დიდი ტვინის მარჯვენა და მარცხენა ჰემისფეროების ქერქის სიმეტრიულ ნაწილებს.

corpus cavernosum clitoridis საენებოს მღვიმოვანი სხეული; ორი მომცრო სხეული, რომლებიც შეესაბამება მამაკაცის ასოს მღვიმოვან სხეულებს.

corpus cavernosum penis მამაკაცის ასოს მღვიმოვანი სხეული; ორი ცილინდრული სხეული წაწვეტებული ბოლოებით.

corpus ciliare წამწამოვანი (სხივისებრი) სხეული; სისხლძარღვოვანი გარსის წინა, რგოლისებრი, შემსხვილებული ნაწილი. წამწამოვანი სხეულის უკანა ზედაპირი აღჭურვილია 70-მდე რადიალურად განლაგებული წამწამოვანი მორჩით, რაც დაედო საფუძვლად მის დასახელებას.

corpus geniculatum laterale ლატერალური დამუხვლილი სხეული; მდებარეობს მხედველობის ბორცვის ქვეშ, ზემო გორაკის მკლავის ქვემოთ და ლატერალურად. ლატერალური დამუხვლილი ისხეულები მხედველობის ქერქქვეშა ცენტრებია; შედის მეტათალამუსის შემადგენლობაში.

corpus geniculatum mediale მედიალური დამუხვლილი სხეული; მდებარეობს ქვემო გორაკის მკლავის წინ და ლატერალურად. მედიალური დამუხვლილი სხეულები სმენის ქერქქვეშა ცენტრებია; შედის მეტათალამუსის შემადგენლობაში.

corpus luteum ყვითელი სხეული; წარმოიქმნება საკვერცხის გახეთქილი ბუშტუკისებრი ფოლიკულის ადგილას.

corpus mamillare დვრილისებრი სხეული; წყვილი მოთეთრო შემაღლებანი დიდი ტვინის ქვემო ზედაპირზე რუხ ბორცვსა და უკანა დახვრეტილ ნივთიერებას შორის; შედიან ჰიპოთალამუსის შემაღვლენლობაში და თავისი ფუნქციით განეკუთვნებიან ყნოსვის ქერქქვეშა ცენტრებს.

corpus nuclei caudati კუდიანი ბირთვის სხეული; კუდიანი ბირთვის ნაწილი მის თავსა და კუდს შორის.

corpus pineale ჯალღუზისებრი სხეული; კენტი ენდოკრინული ჯირკვალა, რომელიც მდებარეობს მხედველობის ბორცვებსა და ოთხგორაკს შორის და შედის ეპითალამუსის შემადგენლობაში.

corpus spongiosum penis ასოს ღრუბლისებრი სხეული; მოთავსებულია ასოს მღვიმოვანი სხეულების ქვეშ; მის სისქეში გადის შარდსადენი (BNA — *corpus cavernosum urethrae*).

corpus striatum ზოლიანი სხეული; შედგება ქერქქვეშა ბირთვებისა (კუდიანი და ოსპისებრი ბირთვები) და მათ შორის მოთავსებული თეთრი ნივთიერებისაგან; წარმოადგენს ექსტრაპირამიდული სასტემის მნიშვნელოვან ნაწილს.

corpus trapezoideum ტრაპეციული სხეული; მდებარეობს ხიდის დორსალურ ნაწილში; შედგება ლოკოკინას ბირთვებიდან გამოსული ბოჭკოებისაგან. ტრაპეციული სხეულის შემადგენლობაში შედიან აგრეთვე ტრაპეციული სხეულის ვენტრალური და დორსალური ბირთვები.

corpus vitreum მინისებრი სხეული; გამკვირვალე, ლაბასებრი ნივთიერება თვალის კაკლის მინისებრ სენაკში

c o r p u s c u l u m, - i, საშ, ლათ. სხეულაკი.

corpuscula nervosa terminalia ტერმინალური ნერვული სხეულაკები; განსხვავებული აგებულებისა და ფუნქციის ინკაფსული-

რებული სენსორული ნერვული დაბოლოებანი. ზოგადი ხასიათის ტერ-
მინია, რომელიც მოიცავს სხვადასხვა ნერვულ სხეულაქებს.

corpuscula renis თირკმლის სხეულაქები; თითოეული სხეულა-
კი ნეფრონის ნაწილია, რომელიც შედგება თირკმლის კაფსულით
გარსშემორტყმული გორგლისაგან. (*Malpighii*).

corrugator, - oris, მდ. ლათ. (*corrugare* შეკუმხვნა) შემკ-
მუხნავი

musculus corrugator supercilii წარბების შემკმუხნავი კუნთი;
ამ კუნთის შეკუმშვის დროს წარბები უახლოვდება ერთმანეთს და
მათ შორის იკმნება ვერტიკალური ნოკები. (*Koyteri*).

cortex, - icis. მდ. ლათ. ქერქი, ქერქოვანი ნივთიერება

cortex cerebelli ნათხემის ქერქი; შედგება მოლექულური და
მარცვლოვანი შრისაგან. განგლიონური შრე, რომელიც უწინ ცალ-
კე იყო გამოყოფილი, ახლა განიხილება როგორც მოლექულური
შრის შემადგენელი ნაწილი.

cortex cerebri დიდი ტვინის ქერქი; დიდი ტვინის ჰემისფერო-
ბის ზედაპირული რუხი ნივთიერება; შედგება შრეობრივად განლა-
გებული ნერვული უჯრედების სხეულებისა, ნაწილობრივ მათი მორ-
ჩებისა და ნეიროგლიისაგან; წარმოადგენს უმაღლესი ნერვული
(ფსიქიური) მოქმედების ანატომიურ სუბსტრატს (*BNA — substan-
tia corticalis*).

cortex renis თირკმლის ქერქოვანი ნივთიერება; თირკმლის პა-
რენქიმის პერიფერიული ნაწილი, რომელშიც მოთავსებული არი-
ან თირკმლის სხეულაქები და კლაცხილი მილაკები (*BNA — substan-
tia corticalis*).

corticalis, - e. ქერქისა, ქერქოვანი

costa, - ae, მდ. ლათ. ნეკნი

costae spuriae ცრუ ნეკნები; ნეკნების ქვედა ხუთი წყვილი,
რომლებიც არ ენაწევრებიან მკერდის ძვალს.

costae verae ნამდვილი ნეკნები; ნეკნების ზედა შვიდი წყვილი,
რომლებიც ენაწევრებიან მკერდის ძვალს.

costalis, - e ნეკნისა

cotyla, - ae მდ. ბერძნ. (*cotyle* ღრმა ჩაღრმავება) ჯამი, ფალა

cotyliticus, - a, - um, ჯამისებრი

coxa, - ae, მდ. ლათ. ბარძაყი, მენჯი

os coxae მენჯის ძვალი

articulatio coxae მენჯ-ბარძაყის სახსარი

cranium, - ii, საშ. ბერძნ. თავის ქალა

- cranialis, - e თავის ქალასი, კრანიალური, თავისკენა
nervi craniales კრანიალური (თავის) ნერვები
- crassus, - a, - um, ლათ. მსხვილი, სქელი
intestinum crassum მსხვილი ნაწლავი
- cremaster, - eris, მდ. ბერძნ. საკიდი, ჩამოსაკიდი
musculus cremaster სათესლის ამწევი კუნთი
- crena, - ae, მდ. ლათ. ნაპრალი, ქდე
crena ani ყითას ნაპრალი; მოთავსებულია დუნდულებს შორის
- cribrum, - i, საშ. ლათ. საცერი, ცხრილი
cribriformis, - e დაცხრილული
cribrosus, - a, - um დაცხრილული
lamina cribrosa დაცხრილული ფირფიტა; ცხავის ძვლის ჰორი-
ზონტალური, დაცხრილული ფირფიტა, რომლის ხერელებში გაივ-
ლიან ნერვები და სისხლძარღვები.
- crista, - ae, მდ. ლათ. ქედი
crista ampullaris ამპულის ქედი; მდებარეობს აპკისებრი ნახე-
ვარკალოვანი სადინარის ამპულის შიგნითა ზედაპირზე; შეიცავს
სხეულის დინამიკური წონასწორობის აღმქმელ სენსორულ უჯრე-
დებს, — ნეიროეპითელიუმს, რომლებიც მარაგდებიან კარიბჭის
ნერვის ბოქვებით.
- crista galli მამლის ბიბილო; ცხავის ძვლის პერპენდიკულარუ-
ლი ფირფიტის ზედა ნაწილი, რომელიც მდებარეობს ქალას წინა ფო-
სოს შუაში. მამლის ბიბილოს უმაგრდება მაგარი გარსის დიდი ნამ-
გალი.
- crista iliaca თეძოს ქედი; თეძოს ძვლის ფრთის ზემო კიდე
- crista infratemporalis საფეთქელქვედა ქედი; მდებარეობს სო-
ლისებრი ძვლის დიდი ფრთის გარეთა ზედაპირზე, საფეთქლისა და
საფეთქელქვედა ფოსოების საზღვარზე.
- crista supraventricularis პარაკუჭედა ქედი; მარჯვენა პარაკუ-
ჭის კუნთოვანი ქედი, წინაგულ-პარაკუჭის ხერელსა და არტერიულ
კონუსს შორის.
- crista terminalis სასაზღვრო ქედი; მარჯვენა წინაგულის კედ-
ლის კუნთოვანი ქედი, რომელსაც გარეთა ზედაპირზე შეესაბამება სა-
საზღვრო ღარი. ორივე წარმონაქმნი მიუთითებს ჩანასახში ვენური
სინუსის მარჯვენა წინაგულში გადასვლის ადგილზე.
- crista urethralis შარდსადენის ქედი; ლორწოვანი გარსის
გასწვრივი ნაოქი შარდსადენის წინამდებარე ნაწილის უკანა კედელ-
ზე.

crista vestibuli კარიბჭის ქედი; მდებარეობს ძვლოვანი კარიბჭის მედიალურ კედელზე; ყოფს კარიბჭის ღრუს ელიფსურ და სფერულ ჯიბეებად.

*cruciatu*s, - a, -um, ლათ. (*crux* ჯვარი; *cruciare* წამება, ჯვარცმა, ტანჯვა) ჯვარედინი.

ligamenta cruciata genus მუხლის ჯვარედინი იოგები

cruciformis, - e ჯვრისებრი

eminentia cruciformis ჯვარედინი შემალღება; მდებარეობს კეფის ქიცვის შიგნითა ზედაპირზე.

crus, cruris საშ. ლათ. წვივი, კანჭი, ფეხი

crus anterius capsulae internae შიგნითა კაფსულის წინა ფეხი; შიგნითა კაფსულის წინა ნაწილი, რომელიც მოთავსებულია კუდიან ბირთვისა და ოსპისებრი ბირთვის წინა ნაწილს შორის (*BNA — pars frontalis*).

crura membranacea აპკისებრი ფეხები; აპკისებრი ნახევარკალოვანი საღინარების ფეხები.

crura ossea ძვლოვანი ფეხები; ძვლოვანი ნახევარკალოვანი არხების ფეხები (*BNA — crura ampullaria*).

crus cerebri დიდი ტვინის კანჭი; დიდი ტვინის ფეხის — *pedunculus cerebri* ნაწილი, რომელიც მდებარეობს შავი ნივთიერების ვენტრალურად.

crus fornicis თალის ფეხი; თალის წყვილი ფეხი, რომლებიც მიემართებიან უკან და ქვემოთ გვერდითი პარაკუქების ქვემო რქებში, სადაც გადადიან ჰიპოკამპის ფოჩში.

crus penis ასოს ფეხი; მღვიმოვანი სხეულების უკანა წაწვეტებული ბოლოები, რომლებიც უმაგრდებიან ბოქვენისა და საჯლოში ძვლების ტოტებს.

crus posterius capsulae internae შიგნითა კაფსულის უკანა ფეხი; შიგნითა კაფსულის უკანა ნაწილი, რომელიც მოთავსებულია მხედველობის ბორცვსა და ოსპისებრი ბირთვის უკანა ნაწილს შორის (*BNA — pars occipitalis*).

cruralis, - e წვივისა

crypta, - a e, მდ. ბერძნ. (*kryptae* საიდუმლო ადგილი) კრიბტა, მომცრო ვიწრო ჩაღრმავება.

cryptae tonsillares ნუშის კრიბტები

*cubitu*m, - i, საშ. ლათ. საზომი, ანატ. იდაყვი

*cubitu*s, - i, მ. ლათ. (*cubo* ვწევარ, ვისვენებ) იდაყვი

cubitalis, - e იდაყვისა

cuboides, - a, - u m, ბერძნ. (*cubus* კუბი) კუბური
os cuboideum კუბური ძვალი

culmen, - i n i s, საშ. ლათ. კენწერო; ნათხემის ქიის წილაკი
ცენტრალურ წილაკსა და ფერდობს შორის; ფერდობთან ერ-
თად შეესაბამება ნათხემის ჰემისფეროს ოთხკუთხა წილაკს.

cumulus, - i, მ. ლათ. (*cumulare* შექუჩვა, შეგროვება) ხვავი,
გროვა

cumulus oophorus კვერცხის გროვა; ბუშტუქისებრი ფოლიკუ-
ლის ფოლიკულური უჯრედების გროვა, სადაც ძვეს კვერცხუჯრე-
დი.

cuneus, - i, მ. ლათ. სოლი; დიდი ტვინის სოლისებრი ხვეული,
რომელიც მდებარეობს ჰემისფეროს მედიალურ ზედაპირ-
ზე, კეფის წილში.

cuneatus, - a, - u m, სოლისებრი

cuneiformis, - e სოლისებრი, სოლის ფორმის
os cuneiforme სოლისებრი ძვალი

cupula, - a e, მდ. ლათ. (*cupa* კასრი) გუმბათი, თალი

cupula cochleae ლოკოკინას მწვერვალი, გუმბათი (BNA —
cupula).

cupula pleurae პლევრის გუმბათი; პარიეტული პლევრის გულ-
მკერდის ღრუდან გამომწვერილი, ზედა მონაკვეთი.

curvatura, - a e, მდ. ლათ. (*curvare* მოღუნვა, გამრუდება)
სიმრუდე.

curvatura major დიდი სიმრუდე; კუჭის გამოზნეჭილი სიმრუ-
დე (BNA — *curvatura ventriculi major*).

curvatura minor მცირე სიმრუდე; კუჭის შედრეკილი სიმრუდე
(BNA — *curvatura ventriculi minor*).

cusps, - i d i s, მდ. ლათ. შუბი, წვეტი

cusps (coronae) dentis კბილის (გვირგვინის) წვეტი; მომცრო
შემადლებანი კბილის გვირგვინის საღებ ზედაპირზე, რომლებიც
ერთმანეთისაგან დაცილებულია მცირე ნაპრალებით (BNA — *tu-
bercula coronae dentis*).

cusps anterior et posterior წინა და უკანა საგდული; მარცხე-
ნა წინაგულ-პარაკუჭის სარქველის სამკუთხა სეგმენტები.

cusps anterior, posterior et septalis წინა, უკანა და ძგიდისეუ-
ლი საგდული; მარჯვენა წინაგულ-პარაკუჭის (სამკარიანი) სარქველის
სამკუთხა სეგმენტები, საგდულები (BNA — *cusps anterior, pos-
terior, medialis*).

c u t i c u l a, - a e, მდ. ლათ. (cutis კანი) კანი, გარსი; კუტიკულა
cuticula dentis კბილის კუტიკულა; თხელი, მკვრივი, გარქოვა-
ნებული ეპითელური საფარველი, რომელიც გარს ეკვრის მინან-
ქარს. (Membrana Nasmythi).

c u t i s, - i s, მდ. ლათ. კანი
cutaneus, - a, - u m კანისა

c y m b a, - a e, მდ. ბერძნ. (cymbae ერთგვარი ნავი) ნავი, ჯამი,
ანატ. ჩაღრმავება

cymba conchae ყურის ნიჟარის ჩაღრმავება; მღებარეობს წი-
ნა და უკანა ქაელის ღეხებს შორის.

D

d a c r y o c y s t a. - a e, მდ. ბერძნ. (dacryon ცრემლი, kystis
პარკი) ცრემლის პარკი.

d a c t y l u s, - i, მ. ბერძნ. თითი

d a r t o s, ბერძნ. გატყავებული

tunica dartos ხორციანი გარსი; ვეზალიუსი ამ გარსს უწოდებ-
და **membrana carnea** (caro ხორცი), საიდანაც შემორჩა მას ეს სა-
ხელწოდება იხ. **tun. dartos**

d e c i d u a, - a e, მდ. ლათ. (decidere ჩამოვარდნა, დავარდნა)
დეციდუა, მოსავარდნი გარსი.

decidua basalis ბაზალური მოსავარდნი გარსი; ორსული საშ-
ვილოსნოს ლორწოვანი გარსის ნაწილი, რომელზედაც უშუალოდ მო-
თავსებულია კვერცხუჭრედი (**decidua serotina**).

decidua capsularis კაფსულური მოსავარდნი გარსი; საშვილოს-
ნოს ლორწოვანი გარსის ნაწილი, რომელიც ეკვრის კვერცხუჭრედს
საშვილოსნოს ღრუს მხრიდან (**decidua reflexa**).

decidua parietalis პარაიეტული მოსავარდნი გარსი; საშვილოს-
ნოს ლორწოვანი გარსის ნაწილი, რომელიც არ არის დაკავშირებუ-
ლი კვერცხუჭრედთან (**decidua vera**).

d e c i d u a l i s, - e მოსავარდნი გარსისა, დეციდუალური

d e c l i v e, - i s, საშ. ლათ. ფერდობი; ნათხემის ჭიის წილაკი, მო-
თავსებული კენწეროსა და ფოთოლს შორის. კენწეროსთან
ერთად შეესაბამება ნათხემის ჰემისფეროს ოთხკუთხიან
წილაკს.

decussatio, - onis, მდ. ლათ. (decussare ჯვარედინი, ან. ნიშანი X-ის მსგავსი განლაგება) ჯვარედინი.

decussatio lemniscorum (decussatio sensoria) მარყუჟთა ჯვარედინი (სენსორული ჯვარედინი); მედიალური მარყუჟის გადაჯვარედინება მოგრძო ტვინში.

decussatio nervorum trochlearium ქალის ნერვების ჯვარედინი; ქალის ნერვების ბოქკოების გადაჯვარედინება ზემო ტვინოვან ფარლაში.

decussatio pedunculorum cerebellarium superiorum ნათხემის ზემო ფეხების ჯვარედინი; იქმნება ნათხემის დაკბილული ბირთვიდან გამოსული ბოქკოებით, რომლებიც ნათხემის ზემო ფეხების გავლით მიემართებიან წითელ ბირთვსა და მხედველობის ბორცვისაკენ, შესაბამისად ნათხემ-წითელ ბირთვისა და ნათხემ-მხედველობის ბორცვის ტრაქტების შემადგენლობაში (BNA — decussatio brachii conjunctivi).

decussatio pyramidum (decussatio motoria) პირამიდების ჯვარედინი (მოტორული ჯვარედინი); მდებარეობს მოგრძო ტვინის ვენტრალურ ნაწილში, სენსორული ჯვარედინის ქვემოთ და იქმნება ლატერალური პირამიდული ტრაქტის ბოქკოების გადაჯვარედინებით.

decussationes tegmenti ტეგმენტუმის (ჭერის) ჯვარედინები; იქმნება შუა ტვინის ჭერის ბოქკოების გადაჯვარედინებით ზემო გორაკების დონეზე, დიდი ტვინის წყალსადენისა და ცენტრალური რუხი ნივთიერების ვენტრალურად. ტეგმენტუმის ჯვარედინების დორსალური ნაწილი შედგენილია სახურავ-ზურგის ტვინის ტრაქტის ბოქკოებით, ვენტრალური კი — წითელბირთვ-ზურგის ტვინის ტრაქტისა და წითელბირთვ-ბადისებრი კონების ბოქკოების გადაჯვარედინებით (BNA — decussationes tegmentorum).

decussatus, - a, - um გადაჯვარედინებული

deferens, - ntis, მდ. ლათ. (deferre გატანა, წაღება) გამომტანი

ductus deferens თესლის გამომტანი სადინარი.

differentialis, - e თესლის გამომტანი სადინარისა

deltoidaeus, - a, - um, ბერძნ. (delta ბერძნული ანბანის მე-4 ასო) დელტიისებრი.

musculus deltoideus დელტიისებრი კუნთი

dens, - ntis, მ. ლათ. კბილი

dens serotinus სიბრძნის კბილი; ბოლო ძირითადი კბილები, რომლებიც ამოდიან ხშირად 18 წლის შემდეგაც.

dentes acustici სასმენი კბილები; შემალღებანი, ძელისაზრდელას შვერილები ძელოვანი სპირალური ფირფიტის კარიბჭისეული ბაგის ზემო ზედაპირზე; სასმენი კბილები დაფარულია ეპითელიური საფარველით, რომელიც ერთი მხრივ გადადის შიგნითა სპირალური ლარის კედელზე, ხოლო — მეორე მხრივ მფარავი აკვის ქვემო ზედაპირზე. (Huschke).

dentes canini ეშვები

dentes decidui მოსაცვლელი კბილები

dentes incisivi საჭრელი კბილები

dentes molares დიდი ძირითადი კბილები

dentes permanentes მუდმივი კბილები

dentes premolares მცირე ძირითადი კბილები

dentalis, - e კბილისა

dentatus, - a, - um დაკბილული

densus, - a, - um, ლათ. სქელი, მკვრივი, ხშირი

denticulus, - i, მ. ლათ. პატარა კბილი

denticulatus, - a, - um დაკბილული, აღჭურვილი პატარა კბილებით

ligamentum denticulatum დაკბილული იოგი; ეს იოგები იწყებიან რბილი გარსიდან და მრავალი მორჩით უმაგრდებიან მაგარი გარსის შიგნითა ზედაპირს; აფიქსირებენ ზურგის ტენს.

dentinum, - i, საშ. ლათ. დენტინი; კბილის მთავარი შემადგენელი ნაწილი, რომელიც კბილის გვირგვინზე დაფარულია მინანქრით, ფესვზე კი — ცემენტით (*BNA — substantia eburnea*).

depressor, - oris, მ. ლათ. (deprimere დაქერა, დაწოლა) დამწევი

musculus depressor labii inferioris ქვემო ტუჩის დამწევი კუნთი.

derma, - atis, საშ. ბერძნ. კანი

descendens, - ntis, ლათ. (descendere ჩამოსვლა) დასწვრივი, დაღმაჯალი.

descensus, - us, მ. ლათ. ჩასვლა, დაშვება

descensus testis სათესლის დაშვება; ნაყოფის ორგანიზმში სათესლის დაშვების პროცესი მუცლის ღრუდან (წარმოშობის ადგილიდან) სათესლე პარკში, საზარდულის არხის გავლით.

detrusor, - oris, მ. ლათ. (detrudere ვამოგდება, გამოძე-
ვება) გამომდენი

musculus detrusor urinae შარდის გამომდენი კუნთი; შარდის
ბუშტის გასწვრივი გლუვკუნთოვანი ბოქკოები.

dexter, - a, - um, ლათ. მარჯვენა

diameter, - tri, მდ. ლათ. (dia შორის, metron საზომი; dia-
metros დიამეტრი) დიამეტრი.

diameter obliqua ირიბი დიამეტრი; მანძილი გავა-თედოს
სახსარსა და თეძო-ბოქვენის მალლობს შორის (13 სმ).

diameter transversa განივი დიამეტრი; მანძილი მენჯის სასაზ-
ღვრო ხაზის დაშორებულ წერტილებს შორის (13,5 სმ.).

diaphragma, - tis, საშ. ბერძნ. დიაფრაგმა, შუასაძგიდი;
კუნთოვან-მყესოვანი ძგიდე გულმკერდისა და მუცლის ღრუს
შორის.

diaphragma pelvis მენჯის შუასაძგიდი; შედგება ყითას ამწე-
ვი და კუდუსუნის მარჯვენა და მარცხენა კუნთებისა და მენჯის შუა-
საძგიდის ზემო და ქვემო ფასციებისაგან; შარდსასქესო შუასაძგიდ-
თან ერთად ქმნის მენჯის ძირს და იხვრიტება ყითას არხით.

diaphragma sellae თურქული კეხის შუასაძგიდი; წარმოადგენს
კეხზე გადაკიმულ მაგარი გარსის ფირფიტას, რომლის შუაში მოთავსე-
ბულია ხვრელი ტვინის დანამატის ძაბრისათვის.

diaphragma urogenitale შარდ-სასქესო შუასაძგიდი; წარმო-
ადგენს ბოქვენისა და საჯლომი ძვლების ტოტებს შორის გაკიმულ,
ტრაპეციის ფორმის ფირფიტას, რომელიც შედგება შარდ-სასქესო
შუასაძგიდის ზემო და ქვემო ფასციებისა და მათ შორის მდებარე შო-
რისის ღრმა განივი კუნთისა და შარდსადენის სფინქტერისაგან. მა-
მაკაცის შარდ-სასქესო შუასაძგიდი გახვრეტილია შარდსადენით,
ქალისა კი — შარდსადენითა და საშოთი.

diaphragmaticus, - a, - um შუასაძგიდისა

diaphysis, - is, მდ. ბერძნ. (diaphyomai რაღაცის შორის.
მოთავსება, ზრდა) დიაფიზი; ლულოვანი ძვლების შუა ნა-
წილი ეპიფიზებს შორის.

diastema, - atis, საშ. ბერძნ. დიასტემა, შუალედი (წინა
კბილებს შორის)

diencephalon, - i, საშ. ბერძნ. (dia შორის, en-ში, kepha-
le თავი; encephalon თავის ტვინი) შუამდებარე ტვინი-
ღიენცეფალონი; წარმოქმნილია ტვინის წინა ბუშტის გა-

ყოფის შედეგად; შედგება თალამენცეფალონისა და ჰიპო-
თალამუსისაგან. დიენცეფალური ბუშტის ღრუდან ვითარ-
დება მესამე პარაკუტი.

d i g a s t r i c u s, - a, - u m, ლათ. (di ორმაგი, gaster კუჭი, მუ-
ცელი) ორმუცელა.

musculus digastricus ორმუცელა კუნთი

d i g e s t o r i u s, - a, - u m, ლათ. (digerere დაყოფა, დანაწილე-
ბა, მონელება) საკმლის მომნელებელი.

apparatus digestorius საკმლის მომნელებელი აპარატი

d i g i t u s, - i, მ. ლათ. თითი.

digitus anularis (digitus IV) არათითი (IV თითი)

digitus medius (digitus III) შუათითი (III თითი)

digitus minimus (digitus V) ნეკი (V თითი)

digitalis, - e თითისა

d i g i t a t u s, - a, - u m თითები ან თითისებრი შორჩებით აღჭურ-
ვილი

d i l a t a t o r, - i s, მ. ლათ. (dilatare გაფართოება) გამაფართოე-
ბელი.

musculus dilatator pupillae გუვის გამაფართოებელი კუნთი

d i p l o e, - e s, მდ. ბერძნ. (diploos ორმაგი) დიპლოე, ქალასარქ-
ვლის ღრუბლისებრი ნივთიერება; მოთავსებულია ქალა-
სარქველის შიგნითა და გარეთა კომპაქტურ ფირფიტებს
შორის.

d i p l o i c u s, - a, - u m, დიპლოეისი

d i s c u s, - i, მ. ბერძნ. (diskos დისკო) დისკო

discus articularis სასახსრე დისკო; ხრტილოვანი, იშვიათად
ფიბროზული ფირფიტები, რომლებიც მოთავსებული არიან სახს-
რის ღრუში, სასახსრე ზედაპირებს შორის.

discus interpubicus ბოქვენის ძვალთაშუა დისკო (BNA —
lamina fibrocartilaginea interpubica).

discus intervertebralis მალთაშუა დისკო; ბოქკოვან-ხრტილო-
ვანი დისკოები მალთა სხეულზე შორის (BNA—fibrocartilagine
intervertebrales).

discus n. optici მხედველობის ნერვის დისკო; მოთეთრო, მრგვა-
ლი ხალი თვალის ფსკერზე, ბადურას შიგნითა ზედაპირზე, რომელიც
შეესაბამება მხედველობის ნერვის გამოსვლის ადგილს. ამ ტერმინმა
შეცვალა ბაზელის ნომენკლატურის ტერმინი—papilla n. optici, ვი-
ნაიდან სინამდვილეში აქ არავითარ შემადგენელს ადგილი არა აქვს.

d i s t a l i s, - e, ლათ. (distare ცალკე დგომა) დისტალური; ცენტ-

რიდან შორს მყოფი; შუა სიბრტყიდან, ტორსიდან მოშორებული; პერიფერიული; იხმარება კიდურების მიმართ. ამ ტერმინის საპირისპირო ტერმინია — პროქსიმალური.

diverticulum, - i, საშ. ლათ. (divertere მობრუნება, მოტრიალება) გვერდითი ბილიკი. დივერტიკული; ლულოვანი ორგანოების ყრუ, ჯიბისებრი გამონაზარდი.

dorsum, - i, საშ. ლათ. ზურგი.

dorsalis, - e დორსალური, ზურგისკენა

ductulus, - i, საშ. ლათ. (ცნინ. ductus) მცირე სადინარი, მილაკი.

ductuli aberrantes ცთომილი მილაკები; სათესლის დანამატის ყრუ მილაკები. მეზონეფროსის მილაკები, რომლებმაც განვითარების პროცესში დაკარგეს კავშირი გამომტან სადინართან. (*Vas aberrans Halleri*).

ductuli biliferi ნაღვლის მილაკები; მოთავსებული არიან ღვიძლის წილაკში, უჯრედოვან ბაგირაკებს შორის; წილაკიდან გამოსვლის შემდეგ ერთიან წილაკთაშუა მილაკებს (*BNA—ductus biliferi*).

ductuli efferentis testis სათესლის გამომტანი მილაკები; 12—15 მილაკი, რომლებიც სათესლის შუასაყარში გამოეყოფიან სათესლის ბადეს, ხვრეტენ თეთრ გარსს და შედიან სათესლის დანამატის თავში, სადაც ქმნიან სათესლის დანამატის კონუსებს.

ductus excretorii (gl. lacrimalis) (ცრემლის ჯირკვლის) გამომტანი მილაკები; საწრეტი მილაკები; ცრემლის ჯირკვლის თვალბუდისეული ნაწილიდან გამოსული გამომტანი მილაკები (3—5 მილაკი) გაივლიან ქუთუთოსეული ნაწილის სისქეში, სადაც ერთიან ამ უკანასკნელის გამომტანი მილაკების ნაწილს და იხსნებიან კონიუნქტივის ზემო თაღში. აქვე იხსნებიან ქუთუთოსეული ნაწილის დამოუკიდებელი მილაკები (3—9 გამომტანი მილაკი).

ductuli prostatici წინამდებარეს მილაკები; იხსნებიან შარდსადენის წინამდებარე ნაწილის უკანა კედელზე, სათესლე გორაკის გვერდებზე (*BNA — ductus prostatici*).

ductuli transversi განივი მილაკები; ეპოოჟორონის განივი მილაკები, რომლებიც იხსნებიან გასწვრივ სადინარში.

ductus, - u s, მ. ლათ. (ducere წაყვანა) სადინარი

ductus arteriosus: არტერიული სადინარი; ემბრიონული კავშირი ფილტვის ღეროსა და აორტას შორის, რომელიც დაბადების შემდეგ განიცდის ობლიტერაციას. (*Botalli*).

ductus choledochus ნაღვლის საერთო სადინარი; იქმნება ბუშტისა და ღვიძლის სადინარების შეერთებით; იხსნება თორმეტგოჯა ნაწლავში.

ductus cochlearis ლოკოკინას სადინარი; შიგნითა ყურის აპკისებრი ლაბირინთის ნაწილი, მოთავსებული ლოკოკინას სპირალურ არხში. (*Canalis Loewenbergi*).

ductus cysticus ბუშტის სადინარი; ნაღვლის ბუშტის გამომტანი სადინარი.

ductus deferens თესლის გამომტანი სადინარი; წარმოადგენს სათესლის დანამატის სადინარის გაგრძელებას; სათესლის ბაგირაკის გავლით მიემართება მცირე მენჯში, სადაც წინამდებარეს ზემო კიდესთან უერთდება საწრეტ სადინარს და მშხეპავი სადინარის სახელწოდებით იხსნება სათესლე გორაკში.

ductus endolymphaticus (aqueductus vestibuli) ენდოლიმფის სადინარი (კარიბჭის წყალსადენი); აპკისებრი მილაკი, რომელიც იწყება ტიკ-პარკუჭის სადინარიდან, თავსდება კარიბჭის წყალსადენის არხში და საფეთქლის ძვლის კლდოვანი ნაწილის უკანა ზედაპირზე მთავრდება ყრუ პარკით მაგარი გარსის სისქეში.

ductus epididymidis სათესლის დანამატის სადინარი; სათესლის დანამატის ყველაზე ზემო წილაკს გამოეყოფა სადინარი, რომელიც მიემართება ქვემოთ და გზადაგზა ლეზულობს სადინარებს სათესლის დანამატის დანარჩენი წილაკებისაგან. ასე იქმნება სათესლის დანამატის სადინარი, რომელიც დანამატის კუდთან გადადის თესლის გამომტან სადინარში.

ductus excretorius საწრეტი სადინარი; წარმოადგენს სათესლე ბუშტუკის გამომტან სადინარს, რომელიც უერთდება თესლის გამომტან სადინარს და მასთან ერთად იხსნება სათესლე გორაკში.

ductus gl. bulbourethralis ბოლქვ-შარდსადენის ჭირკვლის სადინარი; ხვრეტს ასოს ბოლქვს და იხსნება შარდსადენის ღრუბლისებრ ნაწილში (*BNA — ductus excretorius*):

ductus hepaticus communis ღვიძლის საერთო სადინარი; იქმნება ღვიძლის მარჯვენა და მარცხენა სადინარების შეერთებით და ბუშტის სადინართან ერთად ქმნის ნაღვლის საერთო სადინარს.

ductus incisivus საკრელი სადინარი; ბრმა ვასავალი, რომელიც მოთავსებულია საკრელ არხში და ცხვირის ღრუს აერთებს მაგარი სასის ლორწოვანი გარსის საკრელ დერილთან. (*Stenoni*).

ductus lactiferi რძის სადინარი; სარძევე ჯირკვლის წილების გამოტანი სადინარები, რომლებიც იხსნებიან ძუძუს ღვრილზე.

ductus lymphaticus dexter (d. thoracicus dexter) მარჯვენა ლიმფური სადინარი (გულმკერდის მარჯვენა სადინარი); იქმნება მარჯვენა საულლე, ლავიწქევეა და ბრონქ-შუასაყარის ღვროების შეერთებით. წარმოადგენს მოკლე (1—1,5 სმ სიგრძის) ლიმფურ ძარღვს, რომელიც იხსნება მარჯვენა ვენურ კუთხეში.

ductus mesonephricus მეზონეფროსის სადინარი; ჩანასახის პროვიზორული ორგანო, რომელიც კრანიალურად დაკავშირებულია მეზონეფროსის მილაკებთან, კუდალურად კი იხსნება კლოაკაში. მამაკაცში გარდაიქმნება სათესლის დანამატის და თესლის გამომტან სადინარებად, ქალში კი სადინარის კუდალური მონაკვეთი იქცევა რუდიმენტულ ორგანოდ — ეპოოფორონის გასწვრივ სადინარად (BNA — ductus Wolffii).

ductus nasolacrimalis ცხვირ-ცრემლის სადინარი; მოთავსებულია თანამოსახელე ძვლოვან არხში; წარმოადგენს ცრემლის პარაკის უშუალო გაგრძელებას და იხსნება ცხვირის ქვემო გასავალში. (Ferreiini).

ductus pancreaticus პანკრეასის სადინარი; მდებარეობს პანკრეასის სისქეში მთელ სიგრძეზე, კუდიდან თავამდე; უერთდება ნალვის საერთო სადინარს და იხსნება თორმეტგოჯას დიდ ღვრილზე (BNA — Wirsungi).

ductus pancreaticus accessorius პანკრეასის დამატებითი სადინარი; გამოეყოფა პანკრეასის სადინარს თავის მიდამოში და იხსნება თორმეტგოჯას მცირე ღვრილზე. (Santorini).

ductus paramesonephricus პარამეზონეფროსის სადინარი; ჩანასახის პროვიზორული ორგანო, რომელიც კრანიალურად იხსნება სხეულის ღრუში, კუდალურად კი მოპირდაპირე მხრის სადინართან შეერთების შემდეგ — შარდ-სასქესო სინუსში. მამაკაცში რედუცირდება და მხოლოდ მისი კრანიალური ნაწილი გადაიქცევა სათესლის რუდიმენტულ დანართად, კუდალური კი — რუდიმენტულ საშვილოსნოდ. ქალში პარამეზონეფროსის სადინარიდან ვითარდება საშვილოსნოს ლულა, საშვილოსნო და საშო. ამრიგად მამაკაცში რედუქციას და მის გარდაქმნას რუდიმენტულ ორგანოებად განიცდის პარამეზონეფროსის სადინარი, ქალში კი — მეზონეფროსის სადინარი (BNA — ductus Mulleri).

ductus paraurethrales პარაურეთრული სადინარები; შარდსადენის გვერდებზე მდებარე მცირე ჯირკვლების სადინარები, რომლებ-

ბიცი იხსნებიან ქალის შარდსადენის გარეთა ხვრელის გვერდებზე (BNA — Skene).

ductus parotidus ყბა-ყურის ჭირკვლის სადინარი; გამოეყოფა ჭირკვალს წინა კიდის ზედა ნაწილში, წეება სალექი კუნთის გარეთა ზედაპირზე და მის წინა ნაპირთან ხვრეტს ლოყის ცხიმოვან სხეულს, ლოყის კუნთს და იხსნება პირის კარიბჭეში ყბა-ყურის ჭირკვლის დვრილზე, ზემო მეორე ძირითადი კბილის ღონეზე. (Stenioni).

ductus perilymphaticus (aqueductus cochleae) პერილიმფის სადინარი (ლოკოკინას წყალსადენი); ძვლოვანი არხი საფეთქლის ძვლის კლდოვან ნაწილში; იწყება დაფის კიბეში და მთავრდება კლდოვანი ნაწილის საულლე ფოსოში; პერილიმფის სადინარი აკავშირებს შიგნითა ყურის პერილიმფურ სივრცეს ქსელქვეშა სივრცესთან.

ductus reuniens შემაერთებელი სადინარი; აკოვანი მილაკი, რომელიც აკავშირებს პარკუქს — sacculus ლოკოკინას სადინართან. (Henseni).

ductus semicirculares ნახევარკალოვანი სადინარები; წარმოადგენენ ენდოლიმფის შემცველ აკისებრ ნახევარკალოვან მილაკებს, რომლებიც მოთავსებული არიან ძვლოვან ნახევარკალოვან არხებში და იხსნებიან ტიკში; პარკუქთან და ტიკთან ერთად შეადგენენ წონასწორობის პერიფერიულ ორგანოს.

ductus sublingualis major ენისქვეშა დიდი სადინარი; ენისქვეშა ჭირკვლის მთავარი გამომტანი სადინარი, რომელიც მოთავსებულია ჭირკვლის შიგნითა ზედაპირზე და ქვედაყბისქვეშა სადინართან შეერთების შემდეგ, ან დამოუკიდებლად, იხსნება ენისქვეშა კორძზე. (Bartholini).

ductus sublinguales minores ენისქვეშა მცირე სადინარები; ენისქვეშა ჭირკვლის დამატებითი გამომტანი სადინარებია, რომლებიც იხსნებიან ენისქვეშა ნაოქის გასწვრივ.

ductus submandibularis ქვედაყბისქვეშა სადინარი; ქვედაყბისქვეშა ჭირკვლის სადინარი, რომელიც ჭირკვლის შიგნითა ზედაპირზე გავლით მიემართება წინ და ზემოთ და იხსნება ენისქვეშა კორძზე (BNA — ductus submaxillaris Whartoni).

ductus sudoriferus ოფლის სადინარი; იკლავება ეპიდერმისში და იხსნება კანის ქელზე — crista cutis.

ductus thoracicus გულმკერდის სადინარი; ყველაზე დიდი ლიმფური ძარღვი, რომელიც იწყება წრბოლის ცისტერნიდან წელის პირ-

ველი მალის ღონეზე, ადის გულმკერდის ღრუში, კისრის VII მალის ღონეზე უხვევს წინ, გაივლის პლევრის მარცხენა გუმბათის ზემოთ და ერთვის მარცხენა ვენურ კუთხეს. (ductus Pecqueti).

ductus thyroglossus ფარ-ინის სადინარი; ემბრიონული კავშირი პირის ღრუს ძირსა და ფარისებრ ჯირკვალს შორის. ფარისებრი ჯირკვალი ვითარდება ხახის ვენტრალური კედლის კენტი გამონაზარდიდან და თავდაპირველად დაკავშირებულია საკვებ არხთან ფარ-ინის სადინარით, რომელიც მეოთხე კვირის ბოლოს ატროფირდება და რჩება მხოლოდ მისი ნაშთი — ენის ბრმა ხვრელი. (canalis Hisi).

ductus utriculosaccularis ტიკ-პარაკუქის სადინარი; აპკოვანი მილაკი, რომელიც ერთმანეთთან აერთებს ტიკსა და პარაკუქს და გადადის ენდოლიმფის სადინარში.

ductus venosus ვენური სადინარი; ემბრიონული კავშირი ჰიპის ვენასა და ქვემო ღრუ ვენას შორის. (Arantii).

duodenum, - i, საშ. ლათ. (duodeni თორმეტი) თორმეტგოჯა ნაწლავი

duodenalis, - e თორმეტგოჯასი.

duplicatura, - a e მდ. ლათ. (duplicare გაორმაგება) გაორმაგება, დუპლიკატურა; მაგალითად, წერილი ნაწლავის ჯორჯალი ქმედება პერიტონეუმის დუპლიკატურისაგან, პერიტონეუმის ორი ფირფიტისაგან, გაორმაგებული ფირფიტისაგან

durus, - a, - u m, ლათ. მაგარი.

dura mater encephali თავის ტვინის მაგარი გარსი; თავის ტვინის მკვრივი, შემაერთებელქსოვილოვანი გარეთა გარსი.

dura mater spinalis ზურგის ტვინის მაგარი გარსი; წარმოადგენს თავის ტვინის მაგარი გარსის გაგრძელებას, ცილინდრული ფორმის ჩანთას, რომელიც წელის III მალის ღონეზე გადადის ზურგის ტვინის მაგარი გარსის ძაფში.

E

efferens, - entis, ლათ. (effere გამოტანა) გამოტანი, ეფერენტული; მაგალითად, ორგანოდან, სისხლის ან ლიმფის გამოტანი ძარღვები; ეფერენტული ნერვული ბოჭკოები, რომლებიც ატარებენ იმპულსებს ცენტრიდან პერიფერიისაკენ

e j a c u l a t i o, - o n i s, მდ. ლათ. (*ejaculare* ამონთხევა) ამონთხევა; სპერმის ამონთხევა ორგანიზმის დროს.

e j a c u l a t o r i u s, - a, - u m, მშხეპავი

ductus ejaculatorius მშხეპავი სადინარი

e l a s t i c u s, - a, - u m, ბერძნ. ელასტიკური

e l l i p s o i d e u s, - a, - u m, ბერძნ. ელიპსისებრი, ელიპსური

e m b r y o, - o n i s, მდ. ბერძნ. (*bryo* ვიზრდები, ვმწიფდები) ემბრიონი; ადამიანის ჩანასახს განვითარების მეცხრე კვირის დასაწყისამდე ეწოდება ემბრიონი, მეცხრე კვირის დასაწყისიდან კი — ნაყოფი.

e m b r y o n a l i s, - e, ემბრიონული, ჩანასახოვანი

e m i n e n t i a, - a e, მდ. ლათ. (*eminere* გამოშვერა) შემალლება

eminentia arcuata რკალოვანი შემალლება; მდებარეობს სოლისებრი ძვლის კლდოვანი ნაწილის წინა ზედაპირზე და შეესაბამება მის სისქეში მოთავსებულ წინა ნახევარრკალოვან არხს.

eminentia collateralis თანამოზიარე შემალლება; ჰიპოკამპის ლატერალურად მდებარე, ცვალებადი ზომის შემალლება გვერდითი პარაკუტის ქვემო და ნაწილობრივ უკანა რქის ძირზე, რომელიც გამოწვეულია თანამოზიარე ღარით. (*Meckeli*).

eminentia conchae ყურის ნიჟარის მალლობი; ყურის ნიჟარის მედიალური ზედაპირის შემალლება.

eminentia fossae triangularis სამკუთხა ფოსოს მალლობი; ყურის ნიჟარის მედიალური ზედაპირის შემალლება, რომელიც შეესაბამება სამკუთხა ფოსოს.

eminentia iliopubica თეძო-ბოქვენის მალლობი; მდებარეობს თეძოსა და ბოქვენის ძვლის შექცალების ადგილას. (*BNA—eminentia iliopectinea*).

eminentia intercondylaris როკთაშუა შემალლება; მდებარეობს დიდი წვივის როკთა შორის (*BNA — eminentia intercondyloidea*).

eminentia pyramidalis პირამიდული მალლობი; მომცრო შემალლება დაფის ღრუს დვრილისებრ კედელზე, რომლის ღარში მოთავსებულია უზანგის კენთი.

eminentia scaphae ნავისებრი მალლობი; ყურის ნიჟარის მედიალური ზედაპირის შემალლება, რომელიც შეესაბამება ნავს.

e m i s s a r i u s, - i i, მ. ლათ. (*emittere* გაშვება, გამოშვება) მოციქული

e m i s s a r i u s, - a, - u m, გასაგზავნი, ანატ. გამოსაშვები.

vena emissaria parietalis თხემის გამოსაშვები ვენა; მოთავსებულია თხემის ძვლის არხში და ზემო საგიტალურ სინუსს აკავშირებს თავის რბილი ქსოვილების ვენებთან (BNA — *emissarium parietale*).

vena emissaria condylaris როკისებრი გამოსაშვები ვენა; მოთავსებულია კეფის ძვლის როკისებრ არხში და სიგმოიდურ სინუსს აკავშირებს სახის ღრმა ვენასთან და ხერხემლის გარეთა ვენურ წნულთან (BNA—*emissarium condyloideum*).

vena emissaria mastoidea დვრილისებრი გამოსაშვები ვენა; მოთავსებულია თანამოსახელე ხვრელში და სიგმოიდურ სინუსს აკავშირებს ყურის უკანა ან კეფის ვენასთან (BNA—*emissarium mastoideum*).

vena emissaria occipitalis კეფის გამოსაშვები ვენა; მოთავსებულია კეფის გარეთა ბორცვის მიდამოში და სინუსების შერთულს აკავშირებს კეფის ვენებთან (BNA — *emissarium occipitale*).

venae emissariae გამოსაშვები ვენები; თავის ქალას ძვლების არხებში მოთავსებული ვენები, რომლებიც აერთებენ მაგარი გარსის ვენურ სინუსებს თავის ზედაპირულ ვენებთან (BNA — *emissaria*).

enamelum, - i, საშ. ლათ. მინანქარი; ექტოდერმული წარმოშობის უაღრესად მკვრივი სუბსტანცია, რომლითაც დაფარულია კბილის ანატომიური გვირგვინი და მტკიცედ არის შეზრდილი დენტინთან; აგებულია მინანქრის პრიზმებისაგან.
encephalon, - i, საშ. ბერძნ. (en - ში, kephale თავი) თავის ტვინი.

encephalicus, - a, - um თავის ტვინისა

endo, ბერძნ. შიგნით, შიგნითა; იხმარება რთულ სიტყვებში

endocardium, - ii, საშ. ბერძნ. (kardia გული) ენდოკარდიუმი; გულის შიგნითა გარსი, რომლითაც მთლიანად ამოფენილია გულის ღრუ. ენდოკარდიუმის დუბლიკატურები წინაგულ-პარკუჭის, აორტისა და ფილტვის ღეროს ხვრელებთან ქმნიან სარქველებს. ენდოკარდიუმი შეესაბამება სისხლის ძარღვების შიგნითა გარსს.

endolympha, - ae, მდ. ბერძნ. ენდოლიმფა; გამკვირვალე სითხე, რომლითაც ამოვსებულია შიგნითა ყურის აპკისებრი ლაბირინთი. (*Liquor Scarpae*).

endolymphaticus, - a, -um ენდოლიმფური, ენდოლიმფისა

- e n d o m e t r i u m**, - ii, საშ. ბერძნ. (metra საშვილოსნო) ენდომეტრიუმი; საშვილოსნოს ლორწოვანი გარსი.
- e n d o m y s i u m**, - i i, საშ. ბერძნ. (mys კუნთი) ენდომიზიუმი შიგნითა პერიმიზიუმი; თხელი შემაერთებელქსოვილოვანი გარსი, რომლითაც დაფარულია ცალკეული კუნთოვანი ბოჭკოები.
- e n d o t h e l i u m**, - i i, საშ. ბერძნ. (thele დვრილი) ენდოთელიუმი; სისხლისა და ლიმფური ძარღვების ამომფენი უჯრედები.
- endothelium camerae anterioris** წინა სენაკის ენდოთელიუმი; ბრტყელი პოლიგონალური უჯრედები, რომლითაც ამოფენილია რქოვანას უკანა და ფერადი გარსის წინა ზედაპირები.
- e n d o t h o r a c i c u s**, - a, - u m, ბერძნ. გულმკერდის შიგნით მდებარე
- e n t e r i c u s**, - a, - u m, ბერძნ. (enteron ნაწლავი) ნაწლავისა plexus entericus ნაწლავის წნული; ავტონომიური ნერვული სისტემის წნულები ნაწლავის სუბსეროზულ და კუნთოვან შრეში.
- e p e n d y m a**, - a t i s, საშ. ბერძნ. (epi ზედა, endyma სამოსელი) ეპენდიმა, გარსი, საფარი; ცილინდრული უჯრედების ფენა, რომლითაც ამოფენილია თავის ტვინის პარაკუქები და ზურგის ტვინის ცენტრალური არხი (BNA — ependyma ventriculorum).
- e p i**, ბერძნ. ზე, ზედა
- e p i c a r d i u m**, - ii, საშ. ბერძნ. ეპიკარდიუმი; სეროზული პერიკარდიუმის ვისცერული ფირფიტა, რომელიც მკიდროდ არის შეზრდილი მიოკარდიუმთან.
- e p i c o n d y l u s**, - i, მ. ბერძნ. ლულოვანი ძვლების შემალღება როკის ზემოთ, რომელსაც უმაგრდება კუნთები და იოგები.
- e p i c r a n i u s**, - a, - u m, ბერძნ. ქალასზედა, ქალასარქვლისა musculus epicranii ქალასარქვლის კუნთი; შედგება კეფა-შუბლის და საფეთქელ-თხემის კუნთებისა და ქალასარქვლის აპონევროზისაგან.
- e p i d e r m i s**, - i s, საშ. ბერძნ. (derma კანი) ეპიდერმისი; კანის ეპითელური, ზედაპირული შრე.
- e p i d i d y m i s**, - i d i s, მდ. ბერძნ. (didymos ტყუპი; წყვილი სათესლე) ეპიდიდიმისი, სათესლის დანამატი.

epiduralis, - e, ლათ. ეპიდურალური; მაგარი გარსის ზემოთ მოთავსებული

epigastrium, - ii, საშ. ბერძნ. (gaster კუჭი, მუცელი) ეპიგასტრიუმი; მუცელზედა მიდამო; მუცლის მიდამო, რომელიც ზემოდან მოსაზღვრულია დიაფრაგმით, ქვემოდან კი — ნეკნთა რკალებს შორის გატარებული პირობითი ხაზით.

epigastricus, - a, - um ეპიგასტრული

epiglottis, - idis, მდ. ბერძნ. (glotta ენა) ხორხსარქველი
epiglotticus, - a, - um ხორხსარქველისა

epiphysis, - is, მდ. ბერძნ. (epiphyomai მივეზრდები) ეპიფიზი; გრძელი ძვლის ბოლო, რომელიც განვითარების დამთავრებამდე დიაფიზთან შეერთებულია ეპიფიზური ხრტილით.

epiploon, - i, საშ. ბერძნ. (pleo ცურვა) დიდი ბადექონი; პერიტონეუმის ოთხი ფურცლისაგან შემდგარი იოგი, რომელიც იწყება კუჭის დიდი სიმრუდიდან და ფარავს წვრილი ნაწლავის მარჯულებს (თითქოს დაცურავს მათზე). ანატომიაში იხმარება ამ ტერმინიდან ნაწარმოები ზედსართავი.

epiploicus, - a, - um ბადექონისა.

appendices epiploicae ბადექონის დანამატები

episcleralis, - e, ბერძნ. ეპისკლერული, სკლერასზედა

epithalamus, - i, მ. ბერძნ. ეპითალამუსი, მხედველობის ბორცვზედა მიდამო; თალამენცეფალონის ზედა ნაწილი, რომელიც მოიცავს ჯალღუზისებრ სხეულს, სადავეებს, სადავეების შესართავს და სადავეების სამკუთხედებს.

epithelium, - ii, საშ. ბერძნ. (thele დვრილი. ამ ტერმინით თავდაპირველად აღინიშნებოდა ძუძუს დვრილის კანი) ეპითელიუმი; ეპითელიური ქსოვილი, რომელიც აგებულია უწყვეტად განლაგებული სხვადასხვა ფორმის უჯრედების ერთი ან მრავალი შრისა და უჯრედშორისი ნივთიერებისაგან. ეპითელიუმით დაფარულია სხეულის ყველა თავისუფალი ზედაპირი. მისი სპეციალური სახეებია ენდოთელიუმი და მეზოთელიუმი. ფუნქციის მიხედვით ასხვავებენ: საფარველ, ჰირკვლოვან, სეკრეტორულ და სხვ. ეპითელიუმს.

epithelium anterior corneae რქოვანას წინა ეპითელიუმი; რქოვანას წინა ზედაპირის მრავალშრიანი ბრტყელი ეპითელიუმი, რომელიც რქოვანას გარშემო გადადის კონიუნქტივის ეპითელიუმ-

ში. რქოვანას წინა ეპითელიუმში მოთავსებული არიან მრავალი მგრძნობიარე ნერვული დაბოლოებანი, რომელთა გაღიზიანება იწვევს რქოვანას რეფლექსს (BNA — epithelium corneae).

epithelium ductus semicircularis ნახევარკალოვანი სადინარის ეპითელიუმი; ნახევარკალოვანი სადინარების აპკოვანი კედლის შიგნითა ზედაპირი ამოფენილია ერთშირიანი ეპითელიუმით.

epithelium lentis ბროლის ეპითელიუმი; გამკვირვალე სვეტებიანი უჯრედები, რომლითაც დაფარულია ბროლის წინა ზედაპირი. eponychium, -i, საშ. ბერძნ. (onyx ფრჩხილი) ეპონიქიუმი, ფრჩხილზედა ფირფიტა; კანის თხელი და ვიწრო კუტიკულარული ნაოკი, რომლითაც დაფარულია ფრჩხილის ხალის პროქსიმალური ნაწილი. ჩანასახის ფრჩხილი მთლიანად დაფარულია ეპონიქიუმით — კერატინიზირებულ შრით, რომელიც ვრცელდება ეპიდერმისიდან.

epoophoron, -i, საშ. ბერძნ. (oophoron კვერცხი, phero ვატარებ, oophoron საკვერცხე) საკვერცხის დანამატი, ეპოოფორონი; რუდიმენტული ორგანო, რომელიც მდებარეობს საშვილოსნოს განიერ იოგში, საკვერცხესა და საშვილოსნოს ლულას შორის; შედგება კენტი გასწვრივი სადინარებისაგან და მასში გახსნილ რამდენიმე განივი მილაკისაგან. წარმოადგენს მეზონეფროსის ნაშთს

equator, -oris, მ. ლათ. ეკვატორი (BNA — aequator).

- equator lentis ბროლის ეკვატორი; ბროლის ირგვლივი ნაპირი

equinus, -e, -um, ლათ. (equus ცხენი) ცხენისა, რამისა.

erector, -oris, მ. ლათ. (erigere გამართვა, აწევა) გამმართველი

esophagus, -i, მ. ბერძნ. (oiso ვატარებ, fagein ჭამა) საყლაპავი მილი (BNA — oesophagus).

esophageus, -a, -um საყლაპავი მილისა

excavatio, -ionis, მდ. ლათ. (ex - გან, cavus ღრუ) ორმო, ჩაღრმავება

excavatio disci დისკოს ჩაღრმავება; მხედველობის ნერვის დისკოს ჩაღრმავება (BNA — excavatio papillae n. optici).

excavatio rectouterina სწორნაწლავ-საშვილოსნოს ჩაღრმავება; იქმნება პერიტონეუმით, სწორი ნაწლავიდან საშვილოსნოზე გადასვლის დროს (BNA — cavum Douglasi).

excavatio rectovesicalis სწორნაწლავ-ბუშტის ჩაღრმავება; იქ-

მნება პერიტონეუმით, სწორი ნაწლავიდან შარდის ბუშტზე გადასვლის დროს.

excavatio vesicouterina შარდბუშტ-საშვილოსნოს ჩაღრმავება; იქმნება პერიტონეუმით, შარდის ბუშტიდან საშვილოსნოზე გადასვლის დროს.

extensio, -onis, მდ. ლათ. (extendere გაკიმვა) გაკიმვა, გაშლა

extensor, -oris, გამშლელი

musculus extensor digitorum თითების გამშლელი კუნთი

extensorius, -a, -um, გამშლელისა

externus, -a, -um, ლათ. გარეშე, გარეთა

extremitas, -atis, მდ. ლათ. კიდური, კიდე, ბოლო; პარინის ნომენკლატურის თანახმად კიდურის აღსანიშნავად იხმარება ტერმინი membrum, ხოლო ტერმინი extremitas გამოიყენება ორგანოს ბოლოების აღსანიშნავად.

F

facies, -ei, მდ. ლათ. (გარეგნობა, სახე) ზედაპირი

facialis, -e სახისა

nervus facialis სახის ნერვი; კრანიალური ნერვების VII წყვილი

falx, -cis, მდ. ლათ. ნამგალი

falx cerebelli ნათხემის ნამგალი; მაგარი გარსის მორჩი, დუპლიკატურა ნათხემის ჰემისფეროებს შორის.

falx cerebri დიდი ტვინის ნამგალი; მაგარი გარსის მორჩი, დუპლიკატურა დიდი ტვინის ჰემისფეროებს შორის.

falx inguinalis (tendo conjunctivus) საზარდულის ნამგალი (შემაერთებელი მყესი); ლატერალურად შედრეკილი მყესოვანი ფირფიტა, რომელიც გამოეყოფა მუცლის განივი კუნთის აპონევროზს და უმაგრდება ბოქვენის ბორცვსა და ქედს. განამტკიცებს საზარდულის არხის უკანა კედლის მედიალურ ნაწილს.

falciformis, -e, ნამგლისებრი

ligamentum falciforme hepatis ღვიძლის ნამგლისებრი იოგი

fascia, -ae მდ. ლათ. სახევეი, ფასცია; თხელი შემაერთებელ-ქსოვილოვანი ფირფიტა, რომელიც გარს ეკერის სხვადასხვა ორგანოებს, ძირითადად კუნთებს.

fascia buccopharyngea ლოყა-ხახის ფასცია; ფარავს ლოყის კუნთს, საღეჭი კუნთის შიგნითა ზედაპირს; მიემართება უკან, უმაგრდება ფრთა-ქვედაყბის ნაკერს და ეშვება ქვემოთ, სადაც ქმნის ხახისა და საყლაპავი მილის გარეთა შემაერთებელქსოვილოვან გარსს.

fascia cribrosa დაცხრილული ფასცია; ბარძაყის კანქვეშა ფასციის ნაწილი. რომლითაც დახურულია საჩინო შესავალი; იხვრიტება დიდი საჩინო ვენით და ლიმფური ძარღვებით.

fascia diaphragmatis pelvis inferior et superior მენჯის შუასაძგიდის ქვემო და ზემო ფასცია; ამ ფასციებით შესაბამისად დაფარულია მენჯის შუასაძგიდის კუნთების ზემო და ქვემო ზედაპირები.

fascia diaphragmatis urogenitalis inferior (membrana perinei) შარდ-სასქესო დიაფრაგმის ქვემო ფასცია (შორისის აპკი); ფიბროზული ფირფიტა, რომელიც გაკიმულია საჯდომი და ბოქვენის ძვალთა ტოტებს შორის; მისი წინა კიდე შემსხვილებულია (ქმნის შორისის განივ იოგს) და არ აღწევს ბოქვენის სიმფიზს. ბოქვენის სიმფიზსა და შორისის აპკის წინა კიდეს შორის დარჩენილ სივრცეში გაივლის სავენბოს ან ასოს ღრმა დორსალური ვენა.

fascia diafragmatis urogenitalis superior შარდ-სასქესო შუასაძგიდის ზემო ფასცია; ფარავს შარდსასქესო სფინქტერის და შორისის ღრმა კუნთის ზემო ზედაპირს და შარდსასქესო შუასაძგიდის წინა და უკანა კიდეებთან უერთდება თანამოსახელე ქვემო ფასციას. შარდსასქესო შუასაძგიდის ზემო და ქვემო ფასციებს შორის მოთავსებულია შორისის ღრმა სივრცე, სადაც დასახლებული კუნთების გარდა მდებარეობენ ბოლქვ-შარდსადენის ჯირკვლები, ან კარიბჭის დიდი ჯირკვლები.

fascia endothoracica გულმკერდის შიგნითა ფასცია; წარმოადგენს კისრის ფასციის ხერხემლისწინა ფირფიტის გაგრძელებას; ფარავს გულმკერდის ღრუს კედლებს შიგნიდან, ქვემოთ კი გადადის შუასაძგიდის ზემო ზედაპირზე.

fascia lata განიერი ფასცია; ფარავს ბარძაყის კუნთებს; ბარძაყის სამკუთხედში იყოფა ორ ფირფიტად, რომელთაგან უკანა — მოთავსებულია ბარძაყის სისხლძარღვების უკან, წინა ფირფიტა კი გაივლის სისხლძარღვების წინ და ქმნის ნამგლისებრ კიდეს, რომლითაც მოსაზღვრულია საჩინო შესავალი. ლატერალურად განიერი ფასცია გასქელებულია განიერი ფასციის გამჭიმავი კუნთისა და დიდი ღუნდულა კუნთის მყესების ბოჭკოებთან შეერთებით.

fascia masseterica საღეჭი ფასცია; ფარავს საღეჭ კუნთს; ყვრიმალის რკალიდან მიემართება ქვედაყბის კიდისაკენ და გადადის

კისრის ფასციაში; უკანისკენ გრძელდება ყბა-ყურის ფასციაში (BNA — fascia parotideomasseterica).

fascia nuchae ქელის ფასცია; წარმოადგენს ტრაპეციული და ზურგის უგანიერესი კუნთების მფარავი ფასციის გასქელებულ ნაწილს კისრის უკანა მიდამოში.

fascia obturatoria დამხურავი ფასცია; მენჯის პარაიტული ფასციის ნაწილი, რომლითაც დაფარულია შიგნითა დამხურავი კუნთის შიგნითა ზედაპირი.

fascia parotidea ყბა-ყურის ფასცია; წარმოადგენს საღეჭი ფასციის გაგრძელებას და ქმნის ჩანთას ყბა-ყურის ჯირკვლისათვის.

fascia pelvis მენჯის ფასცია; წარმოადგენს თეძოს ფასციის გაგრძელებას მცირე მენჯში; შედგება პარაიტული და ვისცერული ნაწილებისაგან.

fascia perinei superficialis შორისის ზედაპირული ფასცია; წარმოადგენს სხეულის საერთო კანქვეშა, ზედაპირული ფასციის გაგრძელებას, რომელიც ასოს ფესვის უკან შეზრდილია შორისის აპკთან, წინისკენ კი გადადის ასოს ზედაპირულ ფასციაში. შორისის აპკსა, რომელიც უფრო ღრმად მდებარეობს, და შორისის ზედაპირულ ფასციას შორის მოთავსებულია შორისის ზედაპირული სივრცე, სადაც მდებარეობს ასოს ფესვი და მასთან დაკავშირებული კუნთები.

fascia pharyngobasilaris ხახა-ძირითადი ფასცია; ხახის ფიბროზული გარსი, რომელიც შიგნიდან ამოფენილია ლორწოვანი გარსით, ხოლო გარედან — კუნთოვანი გარსით არის დაფარული. თავის ქალაზე მისი მიმაგრების ხაზი მიემართება ხახის ბორცვიდან ლატერალურად, გადაკვეთს სოლისებრი ძვლის პირამიდას, მკვეთრად უხვევს წინ და აღწევს სოლისებრი ძვლის ფრთისებრი მორჩის მედიალურ ფირფიტასა და კავს.

fascia phrenicopleuralis შუასაძგიდ-პლევრის ფასცია; გულმკერდის შიგნითა ფასციის ნაწილი, რომლითაც დაფარულია შუასაძგიდი და მოთავსებულია შუასაძგიდსა და პლევრას შორის.

fascia temporalis საფეთქლის ფასცია; აპონევროზული ფირფიტა, რომლითაც დაფარულია თანამოსახლე კუნთი; იწყება საფეთქლის ზემო ხაზიდან და გაორებული ფირფიტით უმაგრდება ყვრიმალის რაკალს. გაორებულ ფირფიტას შორის არსებული სივრცე ამოკსებულია ცხიმოვანი ქსოვილით.

fascia thoracolumbalis გულმკერდ-წელის ფასცია; შედგება წინა და უკანა ფირფიტებისაგან, რომლებიც წელის მიდამოში, წელის გამმართველი კუნთის ლატერალურ კიდედსთან, ერთმანეთს უერ-

თღებთან და ქმნიან ამ კუნთისათვის ბუღეს (BNA — fascia lumbodorsalis).

fasciola, -ae, ლათ. (კნინ. სიტყვ. fascia) ზონარი
gyrus fasciolaris ზონრისებრი ხვეული; წარმოადგენს გარდამავალ ზონას რუხ სამოსელსა და დაკბილულ ხვეულს შორის (BNA — fasciola cinerea)

fasciculus, -i, მ. ლათ. (fascis შეკვრა, კონა) კონა; ნერვული ან კუნთოვანი ბოჭკოების კონა.

fasciculus atrioventricularis წინაგულ-პარკუჭის კონა; შედგება ღეროსა და ორი ფეხისაგან, აგებულია გულის სახეცვლილი კუნთოვანი უჯრედებისაგან; წარმოადგენს გულის გამტარი სისტემის ნაწილს, რომელიც ატარებს იმპულსებს წინაგულ-პარკუჭის კვანძიდან გულის პარკუჭებისაკენ. (Fasciculus Hisi).

fasciculus cuneatus სოლისებრი კონა; ზურგის ტვინის უკანა ლარის ლატერალურ ნაწილში მოთავსებული აღმავალი ბოჭკოები, რომლებიც იწყებიან სპინალური კვანძების უჯრედებიდან (გულმკერდის VI და ზემოთ მდებარე სპინალური კვანძებიდან), მიემართებიან სოლისებრ ბირთვში. (Burdachi).

fasciculus gracilis ნაზი კონა; ზურგის ტვინის უკანა ლარის მედიალურ ნაწილში მოთავსებული აღმავალი ბოჭკოები, რომლებიც იწყებიან სპინალური კვანძების უჯრედებიდან (გულმკერდის VII და ქვემოთ მდებარე კვანძებიდან), მიემართებიან მოგრძო ტვინში და მთავრდებიან ნაზ ბირთვში. (Golli).

fasciculus longitudinalis inferior ქვემო გასწვრივი კონა; განეკუთვნება ასოციაციურ ნერვულ ტრაქტებს; ერთმანეთთან აკავშირებს ერთი ჰემისფეროს საფეთქლისა და კეფის წილებს.

fasciculus longitudinalis superior ზემო გასწვრივი კონა; განეკუთვნება ასოციაციურ ნერვულ ტრაქტებს; ერთი ჰემისფეროს შუბლის წილს აკავშირებს თხემის ქვემო წილაკთან, კეფის წილთან და საფეთქლის წილის უკანა ნაწილთან.

fasciculus mamillotegmentalis დვრილ-ჰერის კონა; დვრილისებრი სხეულიდან მიემართება შუა ტვინის ჰერში — ტეგმენტუმში.

fasciculus mamillothalamicus დვრილ-მხედველობის ბორცვის კონა; დვრილისებრი სხეულიდან მიემართება მხედველობის ბორცვის წინა ბირთვში და შეიცავს აღმავალ და დაღმავალ ბოჭკოებს (BNA — fasciculus thalamomamillaris Vieq d' Azyri).

fasciculi proprii საკუთარი კონები; ზურგის ტვინის მოკლე ასოციაციური ბოქვები, რომლებიც ერთმანეთთან აკავშირებენ ზურგის ტვინის სეგმენტებს; მოთავსებული არიან უშუალოდ რუხი ნივთიერების გარშემო თეთრი ნივთიერების ვიწრო ზოლის სახით და განეკუთვნებიან ზურგის ტვინის ფილოგენეზურად უფრო ძველ საკუთარ, ანუ სეგმენტურ აპარატს.

fasciculus retroflexus შებრუნებული კონა; განეკუთვნება სადავის ეფერენტულ სისტემას და სადავის ბირთვიდან მიემართება შუა ტვინის ფებთაშუა ბირთვში (BNA — Meynerti).

fasciculi rubroreticulares წითელბირთვ-ბადისებრი კონები; რუბრორეტკულური კონები; წითელი ბირთვიდან მიემართებიან ტვინის ლეროსა და ზურგის ტვინის რეტკულურ ფორმაციაში (BNA — tractus rubro-reticularis).

fasciculus uncinatus კაუჭისებრი კონა; განეკუთვნება ასოციაციურ ნერვულ ტრაქტებს და ერთი ჰემისფეროს შუბლის ქვემო ხვეულს აკავშირებს საფეთქლის პოლუსთან.

fascicularis, - e, *fasciculatus*, - a, - um კონისა

fastigium, - ii, საშ. ლათ. ფერდობი, წვერი, თხემი, კარავი-
nucleus fastigii კარვის ბირთვი; განეკუთვნება ნათხემის ქერქ-
ქვეშა ბირთვებს; მდებარეობს კარვის ზემოთ, ნათხემის კიის თეთრ
ნივთიერებაში.

faux, - cis, მდ. ლათ. ყელი, ვიწრო გასავალი. იხმარება მრავლობით რიცხვში — *fauces*, - ium ხახის პირი.

fella, *fellis*, საშ. ლათ. ნალველი

felleus, -a-um, ნალველისა

vesica fellea ნალველის ბუშტი

femininus, - a, - um, ლათ. (*femina*, - ae ქალი) ქალისა

femur, - oris, საშ. ლათ. ბარძაყის ძვალი

femoralis, - e ბარძაყისა

arteria femoralis ბარძაყის არტერია

nervus femoralis ბარძაყის ნერვი

fenestra, - a e, მდ. ლათ. სარკმელი

fenestra cochleae ლოკოკინას სარკმელი; მდებარეობს დაფის ღრუს შიგნითა კედელზე, კონცხის უკან და ქვემოთ; დახურულია დაფის მეორეული აპკით და უკავშირდება ლოკოკინას. (*Fenestra rotunda*).

fenestra vestibuli კარიბჭის სარკმელი; მდებარეობს დაფის ღრუს შიგნითა კედელზე, კონცხის ზემოთ; დახურულია უზანგის ფუძით და უკავშირდება ძვლოვან კარიბჭეს. (*Fenestra ovalis*).

f e t u s, - u s, მ. ლათ. (phyo შობა, შექმნა) ნაყოფი; ადამიანის ჩანასახს მეცხრე კვირის დასაწყისიდან დაბადებამდე ეწოდება. ნაყოფი

f i b r a, - a e, მდ. ლათ. ბოქკო.

fibrae arcuatae cerebri დიდი ტვინის რკალოვანი ბოქკოები; მოკლე ასოციაციური ბოქკოები, რომლებიც აკავშირებენ ერთი ჰემისფეროს მეზობელ ხვეულებს.

fibrae arcuatae externae dorsales დორსალური გარეთა რკალოვანი ბოქკოები; დამატებითი სოლისებრი ბირთვიდან მიემართებიან ლატერალურად და ნათხემის თანამოსახელე მხრის ქვემო ფეხის გავლით აღწევენ ნათხემს; ატარებენ პროპრიოცეპტულ იმპულსებს ზემო კიდურებიდან ნათხემისაკენ.

fibrae arcuatae externae ventrales ვენტრალური გარეთა რკალოვანი ბოქკოები; იწყებიან დამატებითი სოლისებრი ბირთვიდან, მიემართებიან ვენტრალურად და გადაჯვარედინდებიან მოპირდაპირე მხრის თანამოსახელე ბოქკოებთან, შემდეგ გამოდიან მოგრძო ტვინის წინა შუა ნაპრალიდან, ზემოდან გადაუვლიან ოლივას და ნათხემის მოპირდაპირე მხრის ქვემო ფეხის გავლით აღწევენ ნათხემს. ვარაუდობენ, რომ ვენტრალური გარეთა რკალოვანი ბოქკოები ატარებენ პროპრიოცეპტულ იმპულსებს ზემო კიდურებიდან ნათხემისაკენ.

fibrae arcuatae internae შიგნითა რკალოვანი ბოქკოები; იწყებიან ნაზ და სოლისებრი ბირთვებში, მიემართებიან წინ და ზემოთ, გადაჯვარედინდებიან მოპირდაპირე მხრის თანამოსახელე ბოქკოებთან და გადადიან მედიალურ მარყუქში, რომელიც მთავრდება მხედველობის ბორცვში. შიგნითა რკალოვანი ბოქკოები წარმოადგენენ შეგნებული პროპრიოცეპტული და ტაქტილური იმპულსების გამტარი გზის მეორე ნეირონებს.

fibrae circulares ირგვლივი ბოქკოები; თვალის წამწამოვანი კუნთის ირგვლივი ბოქკოები (BNA — Mulleri).

fibrae corticonucleares ქერქ-ბირთვების ბოქკოები; დიდი ტვინის ქერქის მოტორული და პრემოტორული არეების უჭრედების ბოქკოები, რომლებიც ქერქ-ზურგის ტვინის ბოქკოებთან ერთად ეშვებიან ქვემოთ და მთავრდებიან კრანიალური ნერვების თანამოსახელე ან მოპირდაპირე მხრის მოტორულ ბირთვებში.

fibrae corticoreticulares ქერქ-ბადისებრი ბოქკოები; კორტიკორეტიკულური ბოქკოები; იწყებიან დიდი ტვინის ყველა წილების ქერქიდან და მთავრდებიან ბადისებრი ფორმაკციაში.

fibrae intercrurales ფეხთაშუა ბოჭკოები; მუცლის გარეთა ირიბი კუნთის აპონევროზის რკალოვანი ბოჭკოები საზარდულის იოგის ფეხებს შორის, რომლებიც ლატერალური მხრიდან შემოსაზღვრავენ საზარდულის ზედაპირულ რგოლს.

fibrae meridionales მერიდიონალური ბოჭკოები; წამწამოვანი კუნთის მერიდიონალური ბოჭკოები. (*Bruecke*).

fibrae obliquae ირიბი ბოჭკოები; კუჭის კუნთოვანი გარსის შივნითა, ირიბი ბოჭკოები.

fibrae periventriculares პერივენტრიკულური ბოჭკოები; ნაზი, ურბილგარსო ბოჭკოები, რომლებიც აღმოცენდებიან ჰიპოთალამუსის უკანა ნაწილში და მიემართებიან ქვემოთ შუა ტვინის ქერისა და ხიდის ბადისებრი ფორმაციის გავლით.

fibrae pontis transversae ხიდის განივი ბოჭკოები; იწყებიან ხიდის ბირთვებიდან და ნათხემის შუა ფეხების გავლით აღწევენ ნათხემს. ეს ბოჭკოები წარმოადგენენ ქერქ-ხიდ-ნათხემის გზის საბოლოო ნაწილს (*BNA — fibrae pontis profundae*).

fibrae zonulares სარტყლის ბოჭკოები; იწყებიან წამწამოვანი სხეულიდან და ბროლის ეკვატორთან უმაგრდებიან ბროლის ჩანთას. ქმნიან წამწამოვან სარტყელს.

fibrosus, - a, - um ფიბროზული, ბოჭკოვანი

fibrocartilago, - inis, მდ. ლათ. (*cartilago* ხრტილი)

ფიბროზული ხრტილი

fibula, - ae, მდ. ლათ. საკინძე, ბალთა, ანატ. მცირე წვივი

fibularis, - e, მცირე წვივისა

filamentum, - i, მ. ლათ. ფილამენტი, ძაფი, ბოჭკო

filum, - i, საშ. ლათ. ძაფი, ბოჭკო

fila radicularia ფესვთა ძაფები; ქმნიან სპინალური ნერვების ფესვებს.

filum durae matris spinalis ზურგის ტვინის მაგარი გარსის ძაფი; ზურგის ტვინის მაგარი გარსის ძაფისებრი გაგრძელება, რომელიც გარს ეკვრის საბოლოო ძაფს და უმაგრდება კუდუსუნის მეორე მალას.

filum terminale საბოლოო ძაფი; ზურგის ტვინის კონუსის ძაფისებრი გაგრძელება, გარს შემოკრული რბილი გარსით; უმაგრდება კუდუსუნის მეორე მალას.

filiformis, - ae ძაფისებრი

papillae filiformes ძაფისებრი დვრილები

fimbria, - ae, მდ. ლათ. ფოჩი

fimbria hippocampi ზღვის ცხენის ფოჩი; თალის ფეხის გაგრძელებაა, რომელიც ჰიპოკამპის ლატერალურად მდებარეობს; შედგება ნერვული ბოჭკოებისაგან, რომლებიც იწყებიან ჰიპოკამპში და თალის ფეხის, სხეულისა და სვეტის გავლით მთავრდებიან დვრილისებრ სხეულში. ამ ბოჭკოების ნაწილი ქმნის თალის შესართავს, ნაწილი კი გამოეყოფა თალის სვეტს და ტვინოვანი ზოლის გავლით მთავრდება სადავის ბირთვში.

fimbria ovarica საკვერცხის ფოჩი; საშვილოსნოს ლულის ყველაზე გრძელი ფოჩი, რომელიც დაკავშირებულია საკვერცხის ლულისკენა ბოლოსთან.

fimbriae tubae ლულის ფოჩები; საშვილოსნოს ლულის ფოჩები, რომლებითაც აღჭურვილია ლულის ძაბრი

fissura, - ae, მდ. ლათ. (*findere* ორად გაყოფა, გაპობა) ნაპრალი

fissura choroidea სისხლძარღვოვანი ნაპრალი; პირველი ნაპრალი, წარმოქმნილი დიდი ტვინის ჰემისფეროს მედიალურ ზედაპირზე და უშუალოდ მოსაზღვრული გვერდითი პარაკუქის მედიალური კედლის ეპენდიმით. გვერდითი პარაკუქის ცენტრალურ ნაწილში სისხლძარღვოვანი ნაპრალი მოთავსებულია თალის ლატერალურ კიდესა და მხედველობის ბორცვის ზემო ზედაპირს შორის, ხოლო ქვემო რქაში — საზღვროვან ზოლსა და ფოჩს შორის; წარმოადგენს სისხლძარღვთა წნულით აღჭურვილი რბილი გარსის ინვაგინაციის ადგილს.

fissura horizontalis პორიზონტალური ნაპრალი; 1. მარჯვენა ფილტვის ნაპრალი ზემო და შუა წილებს შორის. 2. ნათხემის ნაპრალი, რომელიც ყოფს ნათხემის ჰემისფეროს ზემო და ქვემო ზედაპირებზე.

fissura lig. venosi ვენური იოგის ნაპრალი; მდებარეობს ღვიძლის მარცხენა და კუდიან წილებს შორის. ამ ნაპრალში ძვეს ობლიტერირებული ემბრიონული ვენური სადინარი.

fissura lig. teretis მრგვალი იოგის ნაპრალი; მდებარეობს ღვიძლის ვისცერულ ზედაპირზე, მარცხენა და კვადრატულ წილებს შორის.

fissura longitudinalis cerebri დიდი ტვინის გასწვრივი ნაპრალი; საგიტალური ნაპრალი დიდი ტვინის ჰემისფეროებს შორის.

fissura orbitalis inferior თვალბუდის ქვემო ნაპრალი; მოსაზ-

ღვრულია სოლისებრი ძვლის დიდი ფრთითა და ზედაყბის სხეულით; უკან იხსნება ფრთასასის ფოსოში.

fissura orbitalis superior თვალბუდის ზემო ნაპრალი; მოსაზღვრულია სოლისებრი ძვლის მცირე და დიდი ფრთებით; მასში გადიან ნერვები და სისხლძარღვები.

fissura petrooccipitalis კეფა-კლდოვანი ნაპრალი; მოთავსებულია საფეთქლის ძვლის კლდოვან ნაწილსა და კეფის ლატერალურ და ძარითად ნაწილებს შორის.

fissura petrosquamosa ქიცვ-კლდოვანი ნაპრალი; მოთავსებულია სოლისებრი ძვლის ქიცვსა და კლდოვან ნაწილს შორის.

fissura petrotympanica დაფ-კლდოვანი ნაპრალი; მოთავსებულია სოლისებრი ძვლის დაფისეულ და კლდოვან ნაწილებს შორის; მასში გაივლიან დაფის სიმი, დაფის წინა არტერია და ვენა. (Glaseri).

fissura posterolateralis უკანა ლატერალური ნაპრალი; მდებარეობს ნათხემის ქვემო ზედაპირზე, ნათხემის ჭიის კვანძის უკან.

fissura prima პირველი ნაპრალი; მდებარეობს ნათხემის ზემო ზედაპირზე ოთხკუთხა და მარტივ წილებს შორის.

fissura pterygomaxillaris ფრთა-ზედაყბის ნაპრალი; სამკუთხა შუალედი ზედაყბის სხეულსა და სოლისებრი ძვლის ფრთისებრ მორჩს შორის.

fissura secunda მეორე ნაპრალი; მდებარეობს ნათხემის ქვემო ზედაპირზე, ნათხემის ჭიის ნაქსა და პირამიდას შორის.

fissura sphenopetrosa სოლისებრ-კლდოვანი ნაპრალი; მოთავსებულია სოლისებრი ძვლის დიდ ფრთასა და საფეთქლის ძვლის კლდოვან ნაწილს შორის; მასში გადის მცირე კლდოვანი ნერვი.

fissura transversa cerebri დიდი ტვინის განივი ნაპრალი; მოთავსებულია კორძიანი სხეულის მორგვსა და მესამე პარაკუქის სახურავს შორის.

fissura tympanomastoidea დაფ-ღვრილისებრი ნაპრალი; მოთავსებულია საფეთქლის ძვლის დაფის ნაწილსა და ღვრილისებრ მორჩს შორის; მასში გადის ცთომილი ნერვის ყურის ტოტი.

fissura tympanosquamosa დაფ-ქიცვის ნაპრალი; მოთავსებულია საფეთქლის ძვლის ქიცვსა და დაფისეულ ნაწილს შორის; წინისკენ დაფის სარქველის ქვედა მორჩით გაყოფილია დაფ-კლდოვან და ქიცვ-კლდოვან ნაპრალებად.

f l a v u s, - a, - u m, ლათ. ყვითელი

ligamentum flavum ყვითელი იოგი; შეიცავს ელასტიკურ ბოქკოებს, რომლებიც განაპირობებენ ყვითელ ფერს. ყვითელი იოგები გადაკიმული არიან მალთა რკალებს შორის.

flexio, -onis, მდ. ლათ. (*flectere* მოღუნვა, მოხრა) მოხრა

flexor, -oris, მ. ლათ. მომხრელი (კუნთი)

flexura, -ae, მდ. ლათ. ნაკეცი

flexura coli dextra კოლინჯის მარჯვენა ნაკეცი; ასწვრივი კოლინჯის განივ კოლინჯში გადასვლის ადგილი.

flexura coli sinistra კოლინჯის მარცხენა ნაკეცი; განივი კოლინჯის დასწვრივ კოლინჯში გადასვლის ადგილი.

flexura duodeni inferior თორმეტგოჯა ნაწლავის ქვემო ნაკეცი; თორმეტგოჯა ნაწლავის დასწვრივი ნაწილის ჰორიზონტალურ ნაწილში გადასვლის ადგილი.

flexura duodeni superior თორმეტგოჯა ნაწლავის ზემო ნაკეცი; თორმეტგოჯა ნაწლავის ზემო ნაწილის დასწვრივ ნაწილში გადასვლის ადგილი.

flexura duodenojejunalis თორმეტგოჯა-მლივი ნაწლავის ნაკეცი; თორმეტგოჯა ნაწლავის მლივ ნაწლავში გადასვლის ადგილი.

flexura perinealis შორისისეული ნაკეცი; სწორი ნაწლავის სგიტალური ნაკეცი, გამოდრეკილი ზედაპირით მიქცეული წინ და ზევით.

flexura sacralis გავისეული ნაკეცი; სწორი ნაწლავის საგიტალური ნაკეცი გამოდრეკილი ზედაპირით მიქცეული უკან.

flocculus, -i, მ. ლათ. (*floccus* ბეწვი) კვირტი; ნათხემის ჰემისფეროს უძველესი წილაკი, მოთავსებული მის ქვემო ზედაპირზე, ნათხემ-ხიდის კუთხეში; შეესაბამება ნათხემის ჰემის კვანძს.

flumen, -inis, საშ. ლათ. ნაკადი, დინება

flumina pilorum თმის მიმართულება

folium -ii, საშ. ლათ. ფოთოლი

folia cerebelli: ნათხემის ფოთლები; შეესაბამებიან დიდი ტვინის ხვეულებს (BNA — gyri cerebelli).

folium vermis ჰემის ფოთოლი; ნათხემის ჰემის წილაკი; მდებარეობს ჰემის ფერდობსა და ბორცვს შორის და შეესაბამება ნათხემის ჰემისფეროს ზემო ნახევარმთვარისებრ წილაკს.

foliatus, -a, -um ფოთლისებრი

papillae foliatae ფოთლისებრი დვრილები

folliculus, - i, მ. ლათ. (follis ტყავის პარკი) პარკი, ბუშტუკი, ფოლიკული

folliculi lymphatici aggregati შეჯგუფული ლიმფური ფოლიკულები; თითოეული მათგანი წარმოადგენს განკერძოებული ლიმფური ფოლიკულების გროვას, რომლის სიგრძე აღწევს 5—10 სმ.; მოთავსებული არიან თედოს ნაწლავის ლორწოვან გარსში, ნაწლავზე ჯორჯლის მიმაგრების მოპირდაპირე მხარეს; თედოს ნაწლავში მათი რაოდენობა აღწევს 20—30 (BNA — noduli lymphatici aggregati Peyer).

folliculi lymphatici laryngei ხორხის ლიმფური ფოლიკულები; განკერძოებული ლიმფური ფოლიკულები ხორხის ლორწოვან გარსში. ფოლიკულების ჯგუფს ხორხსარქველის ძირთან ზოგჯერ გამოყოფენ ხორხის ნუშის სახელოდებით (BNA — noduli lymphatici laryngei).

folliculi lymphatici lienalis ელენთის ლიმფური ფოლიკულები; მოთავსებული არიან ელენთის პულპაში, არტერიების ადვენტიციურ გარსში და რეტიკულური ბოჯოების ქსელში, რომელიც მკიდროდ არის დაკავშირებული არტერიის კედელთან. ლიმფური ფოლიკულების დაჯგუფება ქმნის ელენთის თეთრ პულპას (BNA — noduli lymphatici lienalis, Malpighii).

folliculi linguales ენის ფოლიკულები; მოთავსებული არიან ენის ფესვის ლორწოვან გარსში, სასაზღვრო ღარის უკან; მათი ერთობლიობა ქმნის ენის ნუშს.

folliculi lymphatici solitarii განკერძოებული ლიმფური ფოლიკულები; მოთავსებული არიან წვრილი ნაწლავის ლორწოვან გარსში; თითოეული ლიმფური ფოლიკული წარმოადგენს შემაერთებულქსოვილოვან პარკში გახვეულ ლიმფოციტებს (BNA — noduli lymphatici solitarii).

folliculi ovarici primarii საკვერცხის პირველადი ფოლიკულები; მოთავსებული არიან საკვერცხის ქერქოვან ნივთიერებაში; თითოეული მათგანი შედგება ოვოგონისაგან, რომელსაც გარს ეკვრის ფოლიკულური უჯრედების ერთი შრე (BNA — folliculi oophori primarii).

folliculi ovarici vesiculosi საკვერცხის ბუშტუკისებრი ფოლიკულები; საკვერცხის მომწიფებული ფოლიკულები, ბურთისებრი ბუშტუკები, რომელთა ღრუ ავსებულია სითხით; თითოეული მათგანი შეიცავს კვერცხუჯრედს, რომელიც მოთავსებულია კვერცხის გროვა-

ში; გარსშემოვლებულია რამდენიმე გარსით (BNA — folliculi oophori vesiculosi, Graafi).

folliculus pili თმის პარკი, ფოლიკული; ეპიდერმისის ინვაგინაციის შედეგად წარმოქმნილი პარკი, რომელიც გარს ეკვრის თმის ძირს

fonticulus, -i, მ. ლათ. (fons წყარო) პატარა წყარო, ანატ-ციფლიბანდი; აპკისებრი ქალას ნარჩენები ახალშობილის თავის ქალაზე.

fonticulus anterior წინა ციფლიბანდი; რომბისებრი შემაერთებულქსოვილოვანი ფირფიტა გვირგვინოვანი, საგიტალური და შუბლის ნაკერების შეხვედრის ადგილას, რომლის სრული გაძვალეზა ხდება დაბადებიდან თვრამეტი თვის შემდეგ (BNA — fonticulus frontalis [major]).

fonticulus mastoideus დვრილისებრი ციფლიბანდი; მდებარეობს დვრილისებრი მორჩის, თხემისა და კეფის ძვლების შეერთების ადგილას. დვრილისებრი ციფლიბანდის გაძვალეზა ხდება პირველ თვეებში დაბადების შემდეგ.

fonticulus posterior უკანა ციფლიბანდი; სამკუთხა შემაერთებულქსოვილოვანი აპკი საგიტალური და ლამბდისებრი ნაკერების შეერთების ადგილას, რომლის გაძვალეზა ხდება სამ თვეში დაბადების შემდეგ.

fonticulus sphenoidalis სოლისებრი ციფლიბანდი; მდებარეობს სოლისებრი ძვლის დიდი ფრთისა, საფეთქლის, შუბლისა და თხემის ძვალთა შეერთების ადგილას; მისი გაძვალეზა ხდება სამ თვეში დაბადების შემდეგ.

foramen, -inis, საშ. ლათ. (forare გაბურღვა) ხვრელი

foramen cecum linguae ენის ბრმა ხვრელი; ძვეს ენის სასაზღვრო ღარის კუთხეში; წარმოადგენს ფარისებრ-ენის სადინარის ნაშთს. (Morgagnii).

foramen epiploicum ბადექონის ხვრელი; ხვრელი, რომლითაც პერიტონეუმის ღრუ უერთდება ბადექონის აბგას; წინიდან მოსაზღვრულია ღვიძლ-თორმეტგოჯას იოგით, უკანიდან — ღვიძლ-თორმეტგოჯის იოგით, ქვემოდან — თორმეტგოჯა ნაწლავის ზემო ნაწილით, ზემოდან კი — ღვიძლის კუდიანი წილით. (Winslowi).

foramen magnum დიდი ხვრელი; კეფის ძვლის დიდი ხვრელი

foramen obturatum დახურული ხვრელი; მოსაზღვრულია ბოქვენისა და საჯდომი ძვლებით. ხვრელი არ არის დახურული მხოლოდ

მის ზემო ნაპირთან, სადაც იქმნება დამხურავი არხი თანამოსახელე სისხლძარღვებისა და ნერვისათვის.

foramen singulare ცალკეული ხვრელი; ძვეს შიგნითა სასმენი შესავლის ძირის უკანა ქვემო ნაწილში და შეესაბამება კარიბჭის კედლის ქვემო დაცხრილულ ხალს; მასში გაივლის უკანა ამპულური ნერვი. (*Morgagnii*).

foramina venarum minimarum უმცირესი ვენების ხვრელები; გულის უმცირესი ვენების ხვრელები, რომლებიც იხსნებიან უშუალოდ გულის კამერებში (*BNA — Thebesii*).

foraminosus, - a, - um ხვრელებიანი

forceps, - ipis, მდ. ლათ. მაშა, მარწუხი

forceps major დიდი მაშა; იქმნება კორძიანი სხეულის მორგვიდან გამოსული ბოჭკოებით, რომლებიც მიემართებიან კეფის წილებში.

forceps minor მცირე მაშა; იქმნება კორძიანი სხეულის მუხლიდან გამოსული ბოჭკოებით, რომლებიც მიემართებიან შუბლის წილებში

formatio, - onis, მდ. ლათ. (*formare* შექმნა) წარმონაქმნი, ფორმაცია.

formatio reticularis რეტიკულური ფორმაცია; ბადისებრი ფორმაცია; ზურგის, მოგრძო, შუა ტვინის და ხიდის ბადისებრი ფორმაცია; შედგება რუხი ნივთიერების მრავალი კუნძულისაგან, რომლებიც ერთმანეთისაგან განცალკევებული არიან თეთრი ბოჭკოებით.

fornix, - icis, მ. ლათ. თალი; ვრცელდება ზღვის ცხენის ფოხიდან დერილისებრ სხეულამდე; არჩევენ თალის ფეხს, თალის სხეულს, რომელიც ძვეს კორძიანი სხეულის ქვემო ზედაპირზე, და თალის სვეტს; შედგება ზღვის ცხენის ეფერენტული ბოჭკოებისაგან.

fornix conjunctivae inferior et superior კონიუნქტივის ქვემო და ზემო თალი; იქმნება კონიუნქტივის გადასვლით ქვემო და ზემო ქუთუთოდან თვალის კაკალზე.

fornix pharyngis ხახის თალი; ხახის ზედა კედელი, რომელიც უშუალოდ ეკვრის ქალას გარეთა ფუძეს.

fornix sacci lacrimalis ცრემლის პარკის თალი; ცრემლის პარკის ზედა ნაწილი, სადაც იხსნებიან ცრემლის მილაკები.

fornix vaginae საშოს თალი; ირგვლივი სივრცე საშვილოსნოს ყელსა და საშოს წინა, უკანა და ლატერალურ კედლებს შორის.

fornicatus, - a, - um თალიანი, თალისა

gyrus fornicatus თალის ხვეული

f o s s a, - a e, მდ. ლათ. (fodere გათხრა) თხრილი, ფოსო

fossa acetabuli ტაბუხის ბუდის ფოსო; ჩაღრმავება ტაბუხის ბუდის ძირში, რომელიც მოსაზღვრულია ნამგლისებრი ზედაპირით და ამოვსებულია ცხიმოვანი ქსოვილით.

fossa hypophysialis ტვინის დანამატის ფოსო; სოლისებრი ძვლის თურქული კეხის ჩაღრმავება ტვინის დანამატისათვის (BNA — fossa hypophyseos).

fossa ischio-rectalis კუკუხო-სწორნაწლავის ფოსო; ყითას არხის გვერდებზე მდებარე სივრცე, რომელიც ლატერალურად მოსაზღვრულია შიგნითა დამხურავი კუნთითა და საჯდომი ბორცვით.

fossa vesicae felleae ნაღვლის ბუშტის ფოსო; ჩაღრმავება ღვიძლის მარჯვენა წილის ვისცერულ ზედაპირზე.

f o s s u l a, - a e, მდ. ლათ. ფოსუკი

fossula fenestrae cochleae ლოკოკინას სარკმლის ფოსუკი; მომცრო ჩაღრმავება ლოკოკინას სარკმლის უკან.

fossula fenestrae vestibuli კარიბჭის სარკმლის ფოსუკი; მომცრო ჩაღრმავება კარიბჭის სარკმლის გარშემო.

fossula petrosa კლდოვანი ფოსუკი; მომცრო ჩაღრმავება საფეთქლის ძვლის პირამიდის ქვემო ზედაპირზე, საუღლე ფოსოსა და საძილე არხის გარეთა ხვრელს შორის.

fossulae tonsillares ნუშის ფოსუკები; ნუშის მფარავი ლორწოვანი გარსის მომცრო ჩაღრმავებები, სადაც იხსნებიან ნუშის კრიპტები.

f o v e a, - a e, მდ. ლათ. ორმო, ღრმული

fovea capitis femoris ბარძაყის თავის ღრმული; ბარძაყის თავის იოგის მიმაგრების ადგილი.

fovea centralis ცენტრალური ღრმული; მომცრო ჩაღრმავება ბადურაზე, ხალის ცენტრში. ხალი კარგად არის მომარაგებული სისხლძარღვებით, ცენტრალურ ღრმულში კი სისხლძარღვები არ არის.

fovea dentis კბილის ღრმული; ჩაღრმავება ატლასის წინა რკალის უკანა ზედაპირზე, რომელსაც ენაწვევრება აქსისის კბილი.

fovea triangularis სამკუთხა ღრმული; ჩაღრმავება ციცხვისებრი ხრტილის წინა ლატერალურ ზედაპირზე, რომელსაც უმაგრდება კარიბჭის იოგი.

fovea trochlearis ჭალის ღრმული; მომცრო ჩაღრმავება შუბ-

ლის ძვლის თვალბუდისმხრივ ზედაპირზე, მის წინა მედიალურ ნაწილში; თვალის კაკლის ზემო ირიბი კუნთის ქალის მიმაგრების ადგილი.
foveola, -ae, მდ. ლათ. (კნინ. სიტყვ. fovea) პატარა ორმო, ორმო

foveola coccygea კუდუსუნის ორმო; კანის მომცრო ჩაღრმავება კუდუსუნის არეში:

foveolae gastricae კუჭის ორმოები; კუჭის ლორწოვანი გარსის მომცრო ჩაღრმავებები, კუჭის არეების მიდამოში. კუჭის ორმოებში იხსნებიან კუჭის ჭირკვლები.

foveolae granulares მარცვლოვანი ორმოები; ჩაღრმავებები ქალასარქვლის შიგნითა ზედაპირზე, საგიტალური ნაკერის გასწვრივ, რომლებიც ჩნდებიან ქსელისებრი გარსის გრანულაციების ზეწოლის შედეგად. (Pacchioni).

foveolaris, -e, ორმოსი

frenulum, -i, საშ. ლათ. (frenum ლაგამი, აღვირი) ლაგამი

frenulum clitoridis საენებოს ლაგამი; კანის ორი ნაოკი საენებოს თავის ქვემო ზედაპირსა და მცირე სასირცხო ბაგეებს შორის

frenulum labii inferioris ქვემო ტუჩის ლაგამი; ლორწოვანი გარსის საგიტალური ნაოკი ქვემო ტუჩიდან ღრძილზე გადასვლის ადგილას.

frenulum labii superioris ზემო ტუჩის ლაგამი; ლორწოვანი გარსის საგიტალური ნაოკი, ზემო ტუჩიდან ღრძილზე გადასვლის ადგილას.

frenulum labiorum pudendi სასირცხო ბაგეების ლაგამი; კანის განივი ნაოკი მცირე სასირცხო ბაგეების უკანა ბოლოებს შორის.

frenulum linguae ენის ლაგამი; ლორწოვანი გარსის საგიტალურად მდებარე ნაოკი ენის ქვემო ზედაპირსა და ღრძილს შორის.

frenulum preputii ჩუჩის ლაგამი; კანის ნაოკი ჩუჩასა და ასოს თავს შორის.

frenulum valvae ileocecalis თეძო-ბრმა ნაწლავის სარქვლის ლაგამი; ლორწოვანი გარსის ნაოკი სარქვლის ბაგეებს შორის (BNA — frenulum valvulae coli).

frenulum veli medullaris superioris ზემო ტვინოვანი ფარდის ლაგამი; მომცრო შემალღება ოთხგორაკის გასწვრივ ღარსა და ზემო ტვინოვან ფარდას შორის (BNA— frenulum veli medullaris ant.).

functio, -onis, მდ. ლათ. (fungor ვასრულებ) ფუნქცია; ორგანიზმის, ცალკეული ორგანოების ან სისტემების მოქმედება.

fundus, -i, მ. ლათ. ძირი, ფსკერი

fundus meatus acustici interni შიგნითა სასმენი შესავლის ძირი.

fundus ventriculi კუჭის ძირი; კუჭის გამოზნექილი ნაწილი, მარცხნივ და ზემოთ მიმართული.

fundus vesicae შარდის ბუშტის ძირი; შარდის ბუშტის გაფართოებული ნაწილი, მიტკეული ქვემოთ და უკან.

fundus vesicae felleae ნაღვლის ბუშტის ძირი; ბუშტის წინა გაფართოებული ნაწილი

fungiformis, -e, ლათ. (fungus, -i, სოკო) სოკოსებრი

papillae fungiformes სოკოსებრი დვრილები

funiculus, -i, მ.ლათ. (funis თოკი) ბაგირაკი, ლარი

funiculi medullae spinalis ზურგის ტვინის ლარები; ზურგის ტვინის თეთრი ნივთიერების სამი წყვილი გასწვრივი სვეტი. არჩვენ წინა ლატერალურ და უკანა ლარს.

funiculus spermaticus სათესლე ბაგირაკი; შედგება თესლის გამომტანი სადინარისა, სისხლისა და ლიმფის ძარღვებისა და ნერვებისაგან, რომლებიც გარსშემორტყმულია სათესლე ბაგირაკის გარსებით; იწყება სათესლის ზემო პოლუსთან და მთავრდება საზარღულის შიგნითა რგოლთან, სადაც სათესლე ბაგირაკის შემადგენელი ნაწილები ერთმანეთს ცილდებიან.

funiculus umbilicalis კიბის ბაგირაკი; კიპლარი; ზონარი, რომელიც აკავშირებს ნაყოფს მომყოლთან და შეიცავს კიბის ორ არტერიასა და ერთ ვენას.

fuscus, a, -um, ლათ. მუქი, მოშავო

fusiformis, -e, ლათ. (fusus თითისტარი) თითისტარისებრი, თითისტარა

frons, -tis, მდ. ლათ. შუბლი

frontalis, -e შუბლისა

G

galea, -ae, მდ. ლათ. მუზარადი, აბჯარი

galea aponeurotica (aponeurosis epicranialis) მყესოვანი აბჯარი (ქალასარქელის აპონევროზი); ქალასარქელის კუნთის აპონევროზი, რომელიც მკიდროდ არის შეზრდილი თავის კანთან და ფაშარად — ძვლისაზრდელასთან.

gallus, -i, მ. ლათ. მამალი

crista galli მამლის ბიბილო

ganglion, -ii, საშ. ბერძნ. კვანძი, განგლიონი; ნერვულ უჯრედთა გროვა. ნერვული კვანძები განლაგებული არიან ნერვული ღეროების გზაზე, ცენტრალური ნერვული სისტემის გარეთ.

ganglia aorticorenalia აორტა-თირკმლის კვანძები; ვეგეტაციური კვანძები, რომლებიც მოთავსებული არიან აორტიდან თირკმლის არტერიის გამოსვლის ადგილას; დაკავშირებული არიან ფაშვის წნულთან

ganglia cardiaca გულის კვანძები; რამდენიმე ვეგეტაციური კვანძი აორტის ზედაპირულ წნულში (**BNA — ganglion cardiacum Wribsbergi**).

ganglia celiaca ფაშვის კვანძები; ორი ან მეტი კვანძი, რომლებიც მოთავსებული არიან ფაშვის წნულში, ფაშვის ღეროს გარშემო.

ganglia intermedia შუამდებარე კვანძები; მდებარეობენ სიმპათიკური წველის შემაერთებელ ტოტებზე — **rami communicantes**. უფრო ხშირად კისრისა და წელის მიდამოში და იშვიათად გულმკერდისა და გავის.

ganglia pelvina მენჯის კვანძები; ვეგეტაციური კვანძები ქვემო ჰიპოგასტრული წნულის შემადგენლობაში, რომელიც სწორი ნაწლავის გვერდებზეა მოთავსებული.

ganglia phrenica შუასაძგიდის კვანძები; ვეგეტაციური კვანძები შუასაძგიდის წნულის შემადგენლობაში, შუასაძგიდის ქვემო არტერიის გარშემო.

ganglia renalia თირკმლის კვანძები; ვეგეტაციური კვანძები თირკმლის წნულის შემადგენლობაში, თირკმლის არტერიის გარშემო.

ganglion cervicale medium კისრის შუა კვანძი; სიმპათიკური წველის მომცრო კვანძი კისრის V—VI მალის ღონეზე.

ganglion cervicale superius კისრის ზემო კვანძი; სიმპათიკური წველის ყველაზე დიდი კვანძი კისრის II—IV მალეების ღონეზე.

ganglion cervicothoracicum (stellatum) კისერ-გულმკერდის (ვარსკვლავისებრი) კვანძი; იქმნება კისრის ქვემო და გულმკერდის ზემო სიმპათიკური კვანძების შეერთებით; ძევს კისრის VII მალის განივი მორჩის ღონეზე.

ganglion ciliare წამწამოვანი კვანძი; პარასიმპათიკური კვანძი; მდებარეობს თვალბუდეში, მხედველობის ნერვსა და თვალის კაკლის ლატერალურ სწორ კუნთს შორის; აქვს სენსორული, სიმპათი-

კური და პარასიმპათიკური ფესვები. პრეგანგლიონური პარასიმპათიკური ბოჭკოები შედიან კვანძში თვალის მამოძრავებელი ნერვის ფესვით—*radix oculomotoria* და მთავრდებიან კვანძის ნერვულ უჯრედებში. ამ უჯრედებიდან იწყებიან პოსტგანგლიონური პარასიმპათიკური ბოჭკოები, რომლებითაც ინერვირდება გუგის სფინქტერი და წამწამოვანი კუნთი. სენსორული ბოჭკოები შედიან კვანძში შემაერთებული ტოტით ცხვირ-წამწამოვან კვანძთან — *ramus communicans cum n. nasociliari*. ეს ბოჭკოები გაივლიან კვანძს და უერთდებიან მოკლე წამწამოვან ნერვებს. პოსტგანგლიონური სიმპათიკური ბოჭკოები შედიან კვანძში სიმპათიკური ტოტით წამწამოვანი კვანძისაკენ — *ramus sympathicus ad ganglion ciliare*. გაივლიან კვანძის სისქეში და მოკლე წამწამოვანი ნერვების შემადგენლობაში აღწევენ გუგის გამაფართოებელ კუნთს.

ganglion geniculi დამუხვლილი კვანძი; სახის ნერვის მცირე მუხლზე განლაგებული სენსორული კვანძი. დამუხვლილი კვანძის უჯრედების ცენტრალური მორჩები შუამდებარე ნერვის შემადგენლობაში მიემართებიან მოგრძო ტვინში, სადაც მთავრდებიან განკერძოებული ტრაქტის ბირთვში, პერიფერიული მორჩები კი შედიან დიდი კლდოვანი ნერვისა და დაფის სიმის შემადგენლობაში.

ganglion impar კენტი კვანძი; მდებარეობს კუდუსუნის წინა ზედაპირზე. კენტ კვანძში მთავრდებიან მარჯვენა და მარცხენა სიმპათიკური წველები.

ganglion inferius ქვემო კვანძი; 1. ენა-ხახის ნერვის სენსორული კვანძი, რომელიც ძვეს საფეთქლის ძელის პირამიდის კლდოვან ფოსტაში (BNA — *ganglion petrosum*). 2. ცდომილი ნერვის სენსორული კვანძი, საუღლე ხერხელის ოდნავ ქვემოთ (BNA — *ganglion nodosum*).

ganglion mesentericum inferius ჯორჯლის ქვემო კვანძი; ვეგეტაციური კვანძები თანამოსახელე წნულის შემადგენლობაში, ჯორჯლის ქვემო არტერიის გარშემო.

ganglion oticum ყურის კვანძი; პარასიმპათიკური კვანძი; ძვეს ოვალური ხერხელის ქვეშ, ქვედაყბის ნერვის მედიალურად. პრეგანგლიონური პარასიმპათიკური ბოჭკოები აღწევენ ყურის კვანძს მცირე კლდოვანი ნერვით (ენა-ხახის ნერვის ტოტი). ყურის კვანძის უჯრედებიდან აღმოცენდებიან პოსტგანგლიონური პარასიმპათიკური (სეკრეტორული) ბოჭკოები, რომლებიც ყურ-საფეთქლის ნერვის შემადგენლობაში აღწევენ ყბა-ყურის ჭირკვალს. კისრის ზემო კვანძში აღმოცენებული პოსტგანგლიონური სიმპათიკური ბოჭკოები უკავშირ-

ღებთან ყურის კვანძს შუა მენინგეალური წნულის ტოტებით, სენსორული ბოჭკოები კი ქვედაყბის ნერვის ტოტებით. (Arnoldi).

ganglion pterygopalatinum ფრთა-სასის კვანძი; პარასიმპათიკური კვანძი; ძვეს ფრთა-სასის ფოსოში, ზედაყბის ნერვის მედიალურად და ქვემოთ, რომელთანაც მკიდრო კავშირში იმყოფება. პრეგანგლიონური პარასიმპათიკური ბოჭკოები აღწევენ ფრთა-სასის კვანძს დიდი კლდოვანი ნერვით (სახის ნერვის ტოტი). ფრთა-სასის კვანძის უჯრედებიდან აღმოცენდებიან პოსტგანგლიონური პარასიმპათიკური ბოჭკოები, რომლებიც სხვადასხვა ნერვების შემადგენლობაში აღწევენ ცრემლის ჯირკვალს და ცხვირის, სასისა და ხახის ლორწოვანი გარსის ჯირკვლებს. კისრის ზემო კვანძიდან აღმოცენებული პოსტგანგლიონური სიმპათიკური ბოჭკოები უკავშირდებიან ფრთა-სასის კვანძს ღრმა კლდოვანი ნერვით (გამოეყოფა შიგნითა საძილე წნულს), სენსორული ბოჭკოები კი — ფრთა-სასის ნერვებით (ზედაყბის ნერვის ტოტები). (Ganglion Meckeli majus).

ganglion spinale სპინალური (ზურგის ტვინის) კვანძი; ფსევდოუნიპოლარული უჯრედების გროვა სპინალური ნერვის დორსალურ ფესვზე. სენსორული კვანძი, რომლის უჯრედთა პერიფერიული მორჩები სპინალური ნერვის შემადგენლობაში მიემართება სხვადასხვა ორგანოებისაკენ, ცენტრალური მორჩები კი შედიან ზურგის ტვინში.

ganglion spirale cochleae ლოკოკინას სპირალური კვანძი; სენსორული კვანძი; ძვეს ლოკოკინას ღერძის სპირალურ არხში. ლოკოკინას სპირალური კვანძის უჯრედების პერიფერიული ბოჭკოები მიემართებიან სპირალურ ორგანოსაკენ, ცენტრალური ბოჭკოები კი კარიბჭე-ლოკოკინას ნერვის ლოკოკინასეული ნაწილის შემადგენლობაში შედიან მოგრძო ტვინში, სადაც მთავრდებიან ლოკოკინას დორსალურ და ვენტრალურ ბირთვში.

ganglion splanchnicum შიგნეულობის კვანძი; მომცრო კვანძი შიგნეულობის დიდი ნერვის ღეროზე. (Arnoldi).

ganglion submandibulare ქვედაყბისქვეშა კვანძი; პარასიმპათიკური კვანძი; ძვეს ქვედაყბისქვეშა ჯირკვალზე, ენის ნერვის ქვეშ. პრეგანგლიონური პარასიმპათიკური ბოჭკოები აღწევენ ქვედაყბისქვეშა კვანძს დაფის სიმის შემადგენლობაში, ქვედაყბისქვეშა კვანძის კავშირებით ენის ნერვთან. ქვედაყბისქვეშა კვანძში აღმოცენებული პოსტგანგლიონური ბოჭკოები ჯირკვლოვანი ტოტებით აღწევენ ქვედაყბისქვეშა და ენისქვეშა ჯირკვლებს. კისრის ზემო კვანძიდან აღმოცენებული პოსტგანგლიონური სიმპათიკური ბოჭკოე-

ბი უკავშირდებიან ქვედაყბისქვეშა კვანძს სახის წნულის ტოტებით, სენსორული ბოქკოები კი — ენის ნერვის ტოტებით (BNA — ganglion submaxillare; ganglion Meckeli minus).

ganglion superius ზემო კვანძი; 1. ენა-ხახის ნერვის სენსორული კვანძი, რომელიც ძვეს საულლე ხერეულში, 2. ცთომილი ნერვის სენსორული კვანძი; მოთავსებულია საულლე ხერეულში (BNA—ganglion jugulare).

ganglion terminale ტერმინალური (საბოლოო) კვანძი; 1. ორგანოსთან ახლოდებარე და ორგანოსშივა — ინტრამურული კვანძები, რომლებიც უმთავრესად პარასიმპათიკური ბუნებისაა;

2. ტერმინალური ნერვების გზაზე მიმობნეული უჯრედების გროვა.

ganglion trigeminale სამწვერა კვანძი; სამწვერა ნერვის სენსორული კვანძი; ძვეს საფეთქლის ძვლის პირამიდის წინა ზედაპირზე სამწვერა ღრუში. (BNA — ganglion semilunare, Gasser).

ganglion vertebrale ხერხემლის კვანძი; ძვეს ხერხემლის არტერიის წინა ზედაპირზე, ამ არტერიის კისრის VI მალის განივ ხერეულში შესვლამდე; განლაგებულია კისრის შუა ან ქვემო კვანძის შემავრთებელ ტოტებზე. მას გამოეყოფა ხერხემლის ნერვი—ორი წვრილი ტოტი, რომლებიც გარს ეკვრიან ხერხემლის არტერიას.

ganglion vestibulare კარიბქის კვანძი; კარიბქე-ლოკოკინას ნერვის კარიბქისეული ნაწილის სენსორული კვანძი; ძვეს შიგნითა სასმენი შესავლის ძირზე; მასში არჩევენ ზემო და ქვემო ნაწილებს, რომელთაგან ზემო მოთავსებულია კარიბქის ზემო ველში, ქვემო ნაწილი კი — კარიბქის ქვემო ველში. კარიბქის კვანძის ბიპოლარული უჯრედების პერიფერიული ბოქკოები მიემართებიან წონასწორობის ორგანოში, ცენტრალური კი — მოგრძო ტვინში, სადაც კარიბქის ბირთვებში მთავრდებიან. (ganglion Scarpa).

g a n g l i o s u s, - a, - u m, განგლიოზური, კვანძოვანი, განგლიონური

g a s t e r, - t r i s, მდ. ბერძნ. კუჭი, მუცელი

g a s t r i c u s, - a, - u m, კუჭისა, მუცლისა

g e l a t i n a, - a e, მდ. ლათ. (gelare გაყინვა) ეელატინა

g e l a t i n o s u s, - a, - u m, ეელატინური, ეელატინისებრი

substantia gelatinosa ეელატინისებრი ნივთიერება

g e m e l l u s, - a, - u m, ლათ. (ცინ. სიტყვ. geminus) ტყუპი, ორმაგი, წყვილი

musculus gemellus ტყუპი კუნთი

genesis, - is, მდ. ბერძნ. წარმოშობა, დაბადება, გენეზისი
geniculum, - i, საშ. ლათ. (genu მუხლი) მუხლი, პატარა მუხ-
ლი

geniculum canalis facialis სახის არხის მუხლი; კუთხე სახის-
არხის ჰორიზონტალურ ნაწილებს შორის.

geniculum n. facialis სახის ნერვის პატარა მუხლი; სახის არხის-
მუხლში მოთავსებული სახის ნერვის ნაწილი, კუთხე, რომელზეც
ქვეს დამუხვლილი კვანძი. ეს ცნება არ უნდა აგვერიოს სახის ნერვის-
მუხლთან (იხ. ქვემოთ).

geniculatus, - a, - u m დამუხვლილი, მუხლოვანი.

genio, ბერძნ. (geneion ნიკაპი) იხმარება რთულ სიტყვებში. ნი-
კაპი

musculus genioglossus ნიკაპ-ენის კუნთი.

genitalis, - e, ლათ. (generare შობა, დაბადება, წარმოშობა)-
სასქესო, გენიტალური.

genu, - us, საშ. ლათ. მუხლი

genu capsulae internae შიგნითა კაფსულის მუხლი; შიგნითა-
კაფსულის წინა და უკანა ფეხების შეერთების ადგილი.

genu corporis callosi კორძიანი სხეულის მუხლი; კორძიანი სხე-
ულის წინა ბოლო, რომელიც ქვემოთ გადადის ნისკარტში, უკა-
ნისკენ კი—კორძიანი სხეულის წველში.

genu n. facialis სახის ნერვის მუხლი; სახის ნერვის ყულფი გან-
შიიდველი ნერვის ბირთვის გარშემო ხიდის სისქეში, რომელსაც
რომბისებრ ფოსოზე შეესაბამება სახის ბორცვი (BNA — genu in-
ternum).

germen, - inis, საშ. ლათ. ჩანასახი, ნერგი, კვირტი

germinativus, - a, - u m, ლათ. (germinare წარმოშობა)-
გერმინატიული, ჩანასახოვანი.

gingiva, - a e, მდ. ლათ. ღრძილი

gingivalis, - e, ღრძილისა

ginglymus, - i, მ. ბერძნ. კალისებრი სახსარი

glabella, - a e, მდ. ლათ. (glaber უთმო) გლაბელა; უთმო მო-
ნაკვეთი წარბებს შორის და შესაბამისი ფორაქი წარბზე-
და რკალებს შორის შუბლის ძვალზე.

glandula, - a e, მ. ლათ. (ცნინ. სიტყვ. glans რკო) ჯირკვალი-

glandula bulbourethralis ბოლქვ-შარდსადენის ჯირკვალი; ცერ-
ცვის ოდენა წყვილი ჯირკვალი; მოთავსებულია შორისის ღრმა სივრ-
ცეში. ბოლქვ-შარდსადენის ჯირკვლის სადინარი ხვრეტს შორისის

აქს და იხსნება შარდსადენის ღრუბლისებრ ნაწილში. (Cowperi, gl. Mery s. gl. Duverneyi).

glandula lacrimalis ცრემლის ჯირკვალი; ძვეს თვალბუდის ზემო ლატერალურ კუთხეში, ცრემლის ჯირკვლის ფოსოში; ზემო ქუთუთოს ამწევი კუნთის მყესით იყოფა თვალბუდისეულ და ქუთუთოსეულ ნაწილებად. ამის გარდა ქუთუთოების კონიუნქტივაში განლაგებულია ცრემლის დამატებითი ჯირკვლები.

glandula mammaria სარძევე ჯირკვალი; მოთავსებულია მკერდის დიდი კუნთის წინა ზედაპირზე, III—IV ნეკნების ღონეზე; შედგება 15—20 კონუსისებრი წილისაგან, რომელთა წვეროები მიმართულია ძუძუს დვრილისაკენ. მამაკაცის სარძევე ჯირკვალი რუდიმენტული ორგანოა.

glandula parathyroidea inferior et superior ქვემო და ზემო ფარისებრაზლო (პარათიროიდული) ჯირკვალი; ბრანქიოგენური ჯგუფის, შინაგანი სეკრეციის ჯირკვალი. ჩვეულებრივ ოთხი ჯირკვალია — ორი ზემო და ორი ქვემო; მოთავსებული არიან ფარისებრი ჯირკვლის გვერდითი წილების უკანა ზედაპირზე. (Corpuscula Sandstromi).

glandula parotis ყბა-ყურის ჯირკვალი; სეროზული ხასიათის ყველაზე დიდი, წყვილი სანერწყვე ჯირკვალი; მოთავსებულია ქვედაყბისუკანა ფოსოში და ნაწილობრივ სალექ კუნთზე.

glandula sublingualis ენისქვეშა ჯირკვალი; ლორწოვანი ხასიათის წყვილი სანერწყვე ჯირკვალი; მოთავსებულია ყბა-ინის კუნთზე, ლორწოვანი გარსის ქვეშ.

glandula submandibularis ქვედაყბისქვეშა ჯირკვალი; შერეული ხასიათის წყვილი სანერწყვე ჯირკვალი; მოთავსებულია ქვედაყბისქვეშა ფოსოში. ჯირკვლის უკანა ნაწილი შემოუვლის ყბა-ინის კუნთის უკანა კიდე და წეება ამ კუნთის ზემო ზედაპირზე. (BNA — *glandula submaxillaris*).

glandula suprarenalis თირკმელზედა ჯირკვალი; შინაგანი სეკრეციის წყვილი ჯირკვალი; მდებარეობს თირკმლის ზემო პოლუსზე, შედგება ქერქოვანი და ტვინოვანი ნივთიერებისაგან.

glandula thyroidea ფირისებრი ჯირკვალი; ბრანქიოგენური ჯგუფის, შინაგანი სეკრეციის კენტი ჯირკვალი; მდებარეობს კისრის მიდამოში, სასულეს წინ და ხორხის გვერდებზე; შედგება მარცხენა და მარჯვენა წილებისა და ყელისაგან, რომლითაც შეერთებულია გვერდითი წილების ქვედა ბოლოები.

glandula vestibularis major კარიბჭის დიდი ჯირკვალი; ცერ-
ცვის ოდენა ლუწი ჯირკვალი; მდებარეობს შორისის ღრმა სივრცეში;
შეესაბამება მამაკაცის ბოლქვ-შარდსადენის ჯირკვალს. (Bartholini)

glandulae vestibulares minores კარიბჭის მცირე ჯირკვლები;
კარიბჭის ლორწოვანი ჯირკვლები, რომელთა სადინარები იხსნებიან
საშოს კარიბჭეში.

glandulae ceruminosae გოგირდის ჯირკვლები; გარეთა სასმე-
ნი მილის ხრტილოვანი ნაწილის კანის სახეცელილი საოფლე ჭირკვ-
ლები, რომლებიც გამოყოფენ ყურის გოგირდს, ცვილს.

glandulae circumanales ყითას ირგვლივი ჯირკვლები; თეზოს
დიდი ჯირკვლები ყითას გარშემო, რომლებიც იხსნებიან კანის ზე-
დაპირზე.

glandulae conjunctivales კონიუნქტივის ჯირკვლები; კონიუნ-
ქტივის ლორწოვანი ჯირკვლები. (Krausei).

glandulae gastricae (propriae) კუჭის (საკუთარი) ჯირკვლე-
ბი; არჩევენ კუჭის ლორწოვანი გარსის სტრუქტურულად განსხვავ-
ებულ ჯირკვლებს. კუჭის საკუთარი ჯირკვლები მოთავსებული არი-
ან კუჭის ძირსა და სხეულში; აგებული არიან მთავარი და დამატე-
ბითი უჯრედებისაგან და გამოყოფენ პეპსინოგენს და მარილმჟავას.
პილორუსის ჯირკვლები კი აგებული არიან მხოლოდ მთავარი უჯრე-
დებისაგან და მდებარეობენ კუჭის პილორულ ნაწილში.

glandulae intestinales ნაწლავის ჯირკვლები; წვრილი და მსხ-
ვილი ნაწლავის ლორწოვანი გარსის მარტივი მილაკოვანი ჯირკვლე-
ბი, რომლებიც გამოყოფენ ნაწლავის წვენს. (Lieberkuhni).

glandulae mucosae biliosae ნაღვლის სადინარების ლორწოვა-
ნი ჯირკვლები; ნაღვლის სადინარების ლორწოვანი გარსის ჯირ-
კვლები, რომლებიც გამოყოფენ ლორწოს.

glandulae sebaceae თეზოს ჯირკვლები; საკუთრივ კანის დვრი-
ლისებრ და ბადისებრ შრეებს შორის მოთავსებული მარტივი ალვეო-
ლური ჯირკვლები, რომელთა სადინარები უპირატესად იხსნებიან
თმის პარკში. ტუჩებზე, ასოს თავზე, ჩუჩაზე, მცირე სასირცხო-
ბაგეებზე, ძუძუს დვრილზე, დვრილის ბაჯზე, ყითას ორგვლივ თე-
ზოს ჯირკვლები იხსნებიან ეპიდერმისის ზედაპირზე.

glandulae siniae ductibus უსადინარო ჯირკვლები; შინაგანი
სეკრეციის ჯირკვლები, რომლებიც თავიანთ სეკრეტს (ინკრეტს),
პორმონებს გამოყოფენ უშუალოდ სისხლში.

glandulae sudorifere ოფლის ჯირკვლები; საკუთრივ კანის ბა-

დისებრ შრეში მოთავსებული მილაკოვანი ჭირკვლები, რომლებიც იხსნებიან ეპიდერმისის ზედაპირზე.

glandulae tarsales ტარსალური ჭირკვლები; ქუთუთოების ხრტილის უკანა ზედაპირზე მოთავსებული თებოს სახეცვლილი ჭირკვლები, რომელთა სადინარები იხსნებიან ქუთუთოების თავისუფალ კიდეებზე. (Meibomi).

glandulae urethrales შარდსადენის ჭირკვლები; შარდსადენის ლორწვევა ქსოვილში მოთავსებული ლორწოვანი ჭირკვლები. (Lit-trei).

glandulae uterinae საშვილოსნოს ჭირკვლები; მარტივი მილაკოვანი, ლორწოვანი ჭირკვლები, რომლებიც განლაგებულია საშვილოსნოს ლორწოვან გარსში, აღწევენ მიომეტრიუმამდე და ზოგჯერ მიომეტრიუმის ბოქკოებს შორისაც. საშვილოსნოს ყელის მიდამოში ამ ჭირკვლებს საშვილოსნოს ყელის ჭირკვლები ეწოდება.

glans, - dis, მდ. ლათ. რკო, ანატ. თავი

glans clitoridis საენებოს თავი; უკან და ქვემოთ მიმართული საენებოს შემსხვილებული თავისუფალი ბოლო.

glans penis მამაკაცის ასოს თავი; ღრუბლისებრი სხეულის წინა შემსხვილებული ბოლო.

glenoidalis, - e, ბერძნ. (*glene* გუგა, თვალის კაკალი. ასე უწოდებდნენ ბრტყელ სასახსრე ფოსოს) სასახსრე ფოსოსი.

cavitas glenoidalis სასახსრე ფოსო

globus, - i, მ. ლათ. ბურთი, გლობუსი, სფერო

globus pallidus მკრთალი სფერო; ოსპისებრი ბირთვის მედი-ალური, მკრთალი ნაწილი.

globosus, - a, - um ბურთისებრი

glomerulus, - i, მ. ლათ. პატარა გორგალი, გორგოლაკი. ანატ. გორგალი; თირკმლის გორგლები, რომლებიც იქმნებიან არტერიული კაპილარებით. გორგლის მომტანი და გამომტანი ძარღვები წარმოადგენენ არტერიოლებს; ძვეს გორგლის კაფსულაში და მასთან ერთად ქმნის თირკმლის სხეულაკს. (Malpighii).

glomeruli arteriosi cochleae ლოკოკინას არტერიული გორგლები; იქმნება ლაბირინთის არტერიის ლოკოკინასეული ტოტით; განლაგებულია ლოკოკინას ხვეულებს შორის; წარმოადგენს სპირალურად დაგრეხილ არტერიულ წნულს, რომელსაც თან ახლავს ღერძის სპირალური ვენა.

glomerulosus, - a, - um გორგლიანი, გორგლოვანი

g l o m u s, - e r i s, საშ. ლათ. (*glomerare* გორგლად დახვევა) გორგალი, გლომუსი.

glomus carolicum საძილე გორგალი; კაროტიდული გლომუსი; განეკუთვნება პარაგანგლიონების რიცხვს; ძვეს საერთო საძილე არტერიის გაყოფის ადგილას; აგებულია ქრომოფინული უჭრედები-საგან და უხვად არის მომარაგებული პრესო- და ჰემორეცეპტორე-ბით.

glomus choroideum სისხლძარღვოვანი გორგალი; ქოროიდუ-ლი გლომუსი; გვერდითი პარკუქის სისხლძარღვთა წნულის გაგა-ნიერება იმ ადგილას, სადაც იგი გვერდითი პარკუქის ცენტრალური ნაწილიდან გადადის ქვემო რქაში

g l o s s a, - a e, მდ. ბერძნ. ენა (ჩვეულებრივ იხმარება რთულ სიტ-ყევბში).

nervus glossopharyngeus ენა-ხახის ნერვი

g l o t t i s, - i d i s, მდ. ბერძნ. (*glotta-glossa* ენა) საკუთრივ მბგერავი აპარატი; უწინ ამ ტერმინს ხმარობდნენ ყიას აღსანიშნავად. ახლა ამ ტერმინით აღინიშნება მთლიანად მბგერავი აპარატი; მბგერავი იოგები, მბგერავი ნაოკები და ამ ნაოკებით შემოსაზღვრული სივრცე — ყია.

rima glottidis ყია; ხორხის ვიწრო ნაპრალი მბგერავ ნაოკებს შორის.

g l u t e u s, - a, - u m, ბერძნ. (*glutos* საჭდომი, დუნდულო) დუნ-დულა, დუნდულოვანი.

g o m p h o s i s, - i s, მდ. ბერძნ. (*gomphos* ლურსმანი, სარი, სო-ლი) ჩაქდეულობა; ძვალთა შეერთების სახე; კბილთა ფეს-ვების კბილბუდეებთან შეერთება შემაერთებელი ქსოვი-ლით.

g r a c i l i s, - e, ლათ. მოყვანილი, ტანადი, ნაზი

musculus gracilis ნაზი კუნთი

g r a n u l u m, - i, საშ. ლათ. (*granum* მარცვალი) მარცვალი

granularis, - e, granulosus, - a, - u m მარცვლოვანი

granulatio, - onis, მდ. ლათ. მარცვლოვანობა, გრანულაცია

granulationes arachnoideales ქსელისებრი გარსის გრანულა-ციები; ქსელისებრი გარსის ხაოების გროვები, რომელთა ზეწოლის შედეგად წარმოიქმნება თანამოსახელე ორმოები ქალასარქელის შიგ-ნითა ზედაპირზე, ზემო საგიტალური ნაკერის გასწვრივ; მონაწილეო-ბენ თავ-ზურგის ტვინის სითხის გატანაში ქსელქვეშა სივრციდან მა-გარი გარსის სინუსებში. (*Pacchioni*).

griseus, - a, - um, ლათ. რუხი

substantia grisea რუხი ნივთიერება

gubernaculum, - i, საშ. ლათ. (*gubernare* მესაკეობა, მართვა) საკე, ანატ. წარმმართველი ზონარი.

gubernaculum testis სათესლის წარმმართველი ზონარი; ჩანასახის ფიბროზულ-კუნთოვანი ბაგირაკი, რომელიც ზედა ბოლოთი უმაგრდება სათესლეს, ქვედა ბოლოთი კი — სასქესო მორგვის კანქვეშა მასას; მონაწილეობს სათესლის დაშვებაში. (Hunteri).

gustus, - us, მ. ლათ. (*gustare* გემოს გასინჯვა) გემო

gustatorius, - a, - um გემოვნებისა, გემოსი

gyrus, - i, მ. ბერძნ. (*gyros* წრე, რგოლი) ხვეული

gyri cerebri დიდი ტვინის ხვეულები

H

habenula, - ae, მდ. ლათ. (*habena* ღვედი, სადავე) სადავე; შედის ეპითალამუსის შემადგენლობაში; მდებარეობს მხედველობის ბორცვის დორსომედიალურად, სადავეს სამკუთხედსა და ჯალღუსისებრ სხეულს შორის; შედგება ნერვული ბოჭკოებისაგან.

hallux, - icis, მ. ლათ. ფეხის ცერი

hamatus, - a, - um, ლათ. (*hamus* კაუჭი, კავი) კავიანი
os hamatum კავიანი ძვალი

hamulus, - i, მ. ლათ. (კნინ. სიტყვ. *hamus*) კავი

hamulus lacrimalis საცრემლე კავი; ცრემლის ძვლის კავისებრი მორჩი.

hamulus ossis hamati კავიანი ძვლის კავი

hamulus laminae spiralis სპირალური ფირფიტის კავი; სპირალური ფირფიტის კავისებრი მომცრო მორჩი მის ზედა ბოლოში, ლოკოკინას მწვერვალთან, რომლითაც შემოსაზღვრულია ლოკოკინას ხვრელი — ჰელიკოტრემა.

hamulus pterygoideus ფრთისებრი კავი; სოლისებრი ძვლის ფრთისებრი მორჩის მედიალური ფირფიტის კავისებრი მორჩი.

haustrium, - i, საშ. ლათ. (*haurire* ამოხაპვა) ციცხვი, გამობერილობა

haustra coli კოლინჯის ციცხვები; კოლინჯის გამობერილობა

ბი განპირობებულია იმით, რომ კოლინჯის ზონრები უფრო მოკლეა ვიდრე კოლინჯი

helicotrema, - *atis*, საშ. ბერძნ. (*helix* ჭავლი, *trema* ხვრელი) ჰელიკოტრემა, ხვრელი; ლოკოინას მწვერვალის ღრუ, რომლითაც ერთმანეთს უერთდებიან დაფისა და კარიბჭის კიბეები. (*Hiatus Scarpae*).

helix, - *icis*, მდ. ბერძნ. ჭავლი; ყურის ნიჟარის გარეთა მომრგვალო ნაპირი.

helicinus, - *a*, - *um* ჭავლისებრი

arteriae helicinae ჭავლისებრი არტერიები; წარმოადგენენ ასოს ღრმა არტერიის ტოტებს, რომლებიც სპირალურად არიან დაგრეხილი და განლაგებული მღვიმოვანი ქსოვილის ძგიდეებზე.

hemi, -, ბერძნ. ნახევრად, ნახევარ — (იხმარება რთულ სიტყვებში)

hemiazys, ბერძნ. ნახევრად კენტი

hemispherium, - *ii*, საშ. ბერძნ. (*sphaira* სფერო) ნახევარსფერო, ჰემისფერო

hemispherium cerebelli ნათხემის ჰემისფერო

hemispherium cerebri დიდი ტვინის ჰემისფერო

hepar, - *atis*, საშ. ბერძნ. ღვიძლი

hepaticus, *a*, - *um*, ღვიძლისა

hiatus, - *us*, მ. ლათ. (*hiare* ღიად ყოფნა, პირის დაღება) ხვრელი, ნაპრალი, შესავალი.

hiatus aorticus აორტული ხვრელი; მდებარეობს შუასაძგიდის წელისეულ ნაწილში; მასში გადის აორტა და გულმკერდის ლიმფური სადინარი.

hiatus canalis n. petrosi majoris დიდი კლდოვანი ნერვის არხის ნაპრალი; ძვეს საფეთქლის ძვლის კლდოვანი ნაწილის წინა ზედაპირზე (*BNA* — *hiatus canalis facialis*; *foramen Tarini*).

hiatus canalis n. petrosi minoris მცირე კლდოვანი ნერვის არხის ნაპრალი; ძვეს საფეთქლის ძვლის კლდოვანი ნაწილის წინა ზედაპირზე.

hiatus esophageus საყლაპავისეული ხვრელი; მდებარეობს შუასაძგიდის წელისეულ ნაწილში; მასში გადის საყლაპავი მილი და ცთომილი ნერვები.

hiatus maxillaris ზედაყბის ნაპრალი; ზედაყბის წიაღის შესავალი ხვრელი ზედაყბის სხეულის მედიალურ ზედაპირზე.

hiatus sacralis გავის შესავალი; გავის არხის გამოსავალი ხვრელი გავის ძვლის მწვერვალის უკანა ზედაპირზე.

hiatus saphenus საჩინო შესავალი; წარმოადგენს ბარძაყის არხის გარეთა ხვრელს; მდებარეობს საზარდულის იოგის ქვემოთ, ბარძაყის სამკუთხედში, განიერი ფსაციის ზედაპირულ ფირფიტაზე; ლატერალურად მოსაზღვრულია ნამგლისებრი კილით, ქვემოდან — ქვემო რქით, ზემოდან კი ზემო რქით; დახურულია დაცხრილული ფსაციით (BNA — fossa ovalis).

hiatus semilunaris ნამგლისებრი ნაპრალი; ცხვირის ღრუს მრუდე გასავალი, რომელიც ზემოდან მოსაზღვრულია ცხავის ბუშტულით ქვემოდან კი — ცხავის ძვლის კავისებრი მორჩის კილით და წინისკენ გრძელდება ძაბრში.

hiatus tendineus (adductorius) მყესოვანი (მომზიდველი) შესავალი; იქმნება დიდი მომზიდველი კუნთის ბოჭკოების დაცილებით; წარმოადგენს მომზიდველი არხის ქვედა ხვრელს, რომელიც იხსნება მუხლქვეშა ფოსოში.

hilus, - i, მ. ლათ. (*hilum* წვრილმანი) პილუსი, კარი; სისხლძარღვების. ლიმფური ძარღვებისა, ნერვებისა და სხვა, ორგანოში შესვლის ან ორგანოდან გამოსვლის ადგილი.

hilus lienis ელენთის კარი

hilus nuclei dentati დაკბილული ბირთვის კარი; დაკბილული ბირთვის მედიალურად გახსნილი ნაპირი, რომელიც ამოვსებულია თეთრი ნივთიერებით.

hilus nuclei olivaris ოლივის ბირთვის კარი; ოლივის ბირთვის მედიალურად გახსნილი ნაპირი, რომელიც ამოვსებულია თეთრი ნივთიერებით — ოლივანათხემის ტრაქტის ბოჭკოებით.

hilus ovarii საკვერცხის კარი; ვიწრო ღარი საკვერცხის ჯორჯლისეულ კიდეზე.

hilus pulmonis ფილტვის კარი

hilus renalis თირკმლის კარი

hippocampus, - i, მ. ბერძნ. (*hippocampus* ზღვის ურჩხული ცხენის ტანით და თევზის კუდიით; *hippos* ცხენი, *kampto* მოღუნვა, გაღუნვა) ჰიპოკამპი, ზღვის ცხენი; მორგვისებრა მოგრძო შემალღება გვერდითი პარაკუქის ქვედა რქაში. წარმოადგენს ღართის უძველეს ნაწილს — არქიპალიუმს, რომლის განვითარება დაკავშირებულია ყნოსვის რეცეპტორთან.

- hirci, -orum, m.** ლათ. (hircus თხა) ილლიის თმა
- homo, -inis, m.** ლათ. ადამიანი
- horizontalis, -e, ბერძნ.** (horizon პორიზონტი) პორიზონტალური
- humerus, -i, m.** ლათ. მხარი, მხრის ძვალი
humeralis, -e მხრისა
ligamentum coracohumerale ნისკარტ-მხრის იოჯი
- humor, -oris, m.** ლათ. სისველე, ტენი, სითხე, ორგანიზმის სითხე, უჭრედგარე სითხე, ორგანიზმის თხიერი გარემო, ქსოვილთა სითხე, ლიმფა და სისხლი.
humor aquosus ნაში; თვალის სენაკების სითხე
humor vitreus მინისებრი სხეულის ნაში; მინისებრი სხეულის მასა შედგება ნაზი ბოქკოვანი ქსელისა და ცილებით მდიდარი სითხისაგან.
- hyaloideus, -a, -um, ბერძნ.** (hyalos მინა) მინისებრი
canalis hyaloideus მინისებრი არხი
fossa hyaloidea მინისებრი ფოსო; ჩაღრმავება მინისებრი სხეულის წინა ზედაპირზე, გამოწვეული ბროლით.
- hymen, -enis, m.** ბერძნ. (hymen კანი, აპკი და Hymen ბერძნული მითოლოგიით ქორწინების ღმერთი) საქალწულო აპკი; ლორწოვანი გარსის ნაოკი საშოს შესაველთან.
- hymenalis, -e, საქალწულო აპკისა**
- hyoideus, -a, -um, ბერძნ.** (hys გოკი, eides სახე; ღორის დინგის მსგავსი, ან ბერძნული ასო — იფსილონის მსგავსი) ინის ძვალი
- hypogastrium, -ii, საშ. ბერძნ.** (hypo ქვეშ, gaster მუცელი) ჰიპოგასტრიუმი, მუცლის ქვედა მიდამო; მუცლის ნაწილი, რომელიც მდებარეობს თეძოს წინა ზემო წვეტების შემაერთებელი ხაზის ქვემოთ.
hypogastricus, -a, -um ჰიპოგასტრული
- hypochondrium, -ii ბერძნ.** (hypo ქვეშ, chondros ხრტილი) ნეკნქვეშა მიდამო, ფერდქვეშა მიდამო; ეპიგასტრიუმის ლატერალური ნაწილები, რომლებიც მოთავსებული არიან ნეკნების ქვეშ.
- hypoglossus, -a, -um, ბერძნ.** ენისქვეშა
nervus hypoglossus ენისქვეშა ნერვი; კრანიალური ნერვების XII წყვილი.
- hyponychium, -ii, ბერძნ.** (hypo ქვეშ, onyx ფრჩხილი)

ფრჩხილქვეშა ფირფიტა, ჰიპონიქიუმში; ეპიდერმული უჯრედებისაგან აგებული შემსხვილებული მორგვი უშუალოდ ფრჩხილის ფირფიტის დისტალური ბოლოს ქვეშ.

h y p o p h y s i s, - i s, მ. ბერძნ. (hypo ქვეშ, phyo ზრდა) ჰიპოფიზი, ტვინის დანამატი; შინაგანი სეკრეციის კენტი ჯირკვალი; მდებარეობს თურქული კეხის ფოსოში ტვინის დანამატისათვის; შედგება განსხვავებული წარმოშობისა და ფუნქციის წინა (ადენოჰიპოფიზი) და უკანა (ნეიროჰიპოფიზი) წილებისაგან.

hypophysialis, - e ჰიპოფიზური, ტვინის დანამატისა
fossa hypophysialis ტვინის დანამატის ფოსო

h y p o t h a l a m u s, - i, მ. ბერძნ. ჰიპოთალამუსი, მხედველობის ბორცქვეშა მიდამო; შუამდებარე ტვინის ფილოგენეზურად უფრო ძველი ნაწილი, რომელიც მოთავსებულია ჰიპოთალამური ღარის ქვეშ. ჰიპოთალამუსის ნეირონებს აქვთ ნეიროსეკრეციის უნარი.

hypothalamicus, - a, - um ჰიპოთალამური, რაც განეკუთვნება მხედველობის ბორცქვეშა მიდამოს

sulcus hypothalamicus ჰიპოთალამური ღარი; ძვეს მხედველობის ბორცვის მედიალურ ზედაპირზე და მიემართება პარაკუქთაშუა ხერელიდან დიდი ტვინის წყალსადენის დასაწყისამდე. (Monroi).

h y p o t h e n a r, - a r i s, საშ. ბერძნ. ნეკის შემალლება; გამოწვეულია ნეკის მოკლე კუნთებით.

I

i l e u m, - i, საშ. ბერძნ. თეძოს ნაწლავი; წვრილი ნაწლავის ქვედა ნაწილი. (BNA intestinum ileum)

i l e o-, ლათ. (იხმარება რთულ სიტყვებში) თეძოს ნაწლავისა.
valva ileocecalis თეძო-ბრმა ნაწლავის სარქველი

i l i a, -i u m, მ. ლათ. (მრ. რიცხვ.) თეძოს ძვალი

i l i a c u s, - a, - u m თეძოსი

i l i o, ლათ. (იხმარება რთულ სიტყვებში) თეძოსი, რაც განეკუთვნება თეძოს ძვალს.

musculus iliopsoas თეძო-სუკის კუნთი

impar, - aris, ლათ. (in უარყოფითი ნაწილაკი, *par* თანაბარი) არათანაბარი, კენტი.

ganglion impar კენტი კვანძი

impressio, - onis, მდ. ლათ. (*imprimere* დაქერა, დაწოლა) ჩანაქდევნი; ჩაღრმავება ამა თუ იმ ორგანოს ზედაპირზე, რომელიც გამოწვეულია მეზობელი ორგანოს ზეწოლით.

impressio cardiaca გულის ჩანაქდევნი; გულის კვალი მარცხენა ფილტვის მედიალურ ზედაპირზე, კარის ქვემოთ, 2. გულის კვალი ღვიძლის დიაფრაგმულ ზედაპირზე მარჯვენა და მარცხენა წილებს შორის.

impressio colica კოლინჯის ჩანაქდევნი; კოლინჯის კვალი ღვიძლის მარჯვენა წილის ვისცერულ ზედაპირზე, ქვემო კიდესთან ახლოს.

impressio duodenalis თორმეტგოჯა ნაწლავის ჩანაქდევნი; თორმეტგოჯა ნაწლავის კვალი ღვიძლის მარჯვენა წილის ვისცერულ ზედაპირზე, ნაღვლის ბუშტის ფოსოს გვერდით.

impressio esophagea საყლაპავი მილის ჩანაქდევნი; საყლაპავი მილის კვალი ღვიძლის მარცხენა წილის ვისცერულ ზედაპირზე, ვენური იოგის ნაპრალის გვერდით.

impressio gastrica კუჭის ჩანაქდევნი; კუჭის კვალი ღვიძლის მარცხენა წილის ვისცერულ ზედაპირზე, საყლაპავი მილის ჩანაქდევნის წინ.

impressio ligamenti costoclavicularis ნეკნ-ლაიწის იოგის ჩანაქდევნი; ნეკნ-ლაიწის იოგის მიმაგრების ადგილი ლაიწის ქვემო ზედაპირზე, სამკერდე ბოლოსთან (*BNA — tuberositas costalis*).

impressio renalis თირკმლის ჩანაქდევნი; თირკმლის კვალი ღვიძლის მარჯვენა წილის ვისცერულ ზედაპირზე, კოლინჯის ჩანაქდევნის უკან.

impressio suprarenalis თირკმელზედა ჯირკვლის ჩანაქდევნი; თირკმელზედა ჯირკვლის კვალი ღვიძლის მარჯვენა წილის დიაფრაგმული ზედაპირის უკანა ნაწილში.

impressio trigemini სამწვერა კვანძის ჩანაქდევნი; სამწვერა კვანძის კვალი საფეთქლის ძეგლის კლდოვანი ნაწილის წინა ზედაპირზე, მის წვეროსთან ახლოს.

impressiones digitatae თითისებრი ჩანაქდევნები; თავის ტვინის ხვეულების კვალი ქალას შიგნითა ზედაპირზე.

imus, - a, - um, ლათ. (აღმატ. ხარ. სიტყვისა *inferus*) ყველაზე დაბლა მდებარე.

arteria thyroidea ima ფარისებრი ყველაზე ქვემო არტერია
incisio, - onis, მდ. ლათ. (*incidere* ჭრა, ამოჭრა, შეჭრა) კრი-
ლობა

incisura, - ae, მდ. ლათ. ნაკღევი

incisura acetabuli ტაბუხის ბუდის ნაკღევი; ნაკღევი, რომლი-
თაც წყდება ტაბუხის ბუდის ნაპირი ქვედა ნაწილში. ტაბუხის
ბუდის ნაკღევზე, ტაბუხის ბაგის ბოლოებს შორის, გადაჭიმულია
განივი იოგი.

incisura apicis cordis გულის მწვერვალის ნაკღევი; მომცრო
ლარი გულის მწვერვალზე პარკუჭთაშუა წინა და უკანა ღარების
ერთმანეთში გადასვლის ადგილას.

incisura ischiadica major et minor დიდი და მცირე საჯდომი
ნაკღევი; მცირე საჯდომი ნაკღევი მდებარეობს კუკუხოსა და საჯდომ
წვეტს შორის, დიდი საჯდომი ნაკღევი კი — თეძოს უკანა ქვემო და
საჯდომ წვეტებს შორის.

incisura mastoidea დვრილისებრი ნაკღევი; ღარი დვრილისებ-
რი მორჩის მედიალურ ზედაპირზე; ორმუცელა კუნთის უკანა მუც-
ლის მიმაგრების ადგილი.

incisura pancreatis პანკრეასის ნაკღევი; ძვეს პანკრეასის უკა-
ნა ზედაპირზე, მის თავსა და სხეულს შორის. პანკრეასის ნაკღევში
მოთავსებული არიან ჯორჯლის ზემო არტერია და ვენა. უკანასკნე-
ლი უერთდება აქ ელენთის ვენას.

incisura thyroidea inferior et superior ფარისებრი ქვემო და
ზემო ნაკღევი; ქვემო და ზემო ნაკღევი ფარისებრი ხრტილის მარჯვე-
ნა და მარცხენა ფირფიტებს შორის.

incisura tympanica დაფის ნაკღევი; ამ ნაკღევით წყდება და-
ფის ღარი მის ზედა ნაწილში; წინიდან მოსაზღვრულია დაფის დიდი
წვეტით, უკნიდან კი — დაფის მცირე წვეტით.

inclinatio, - onis, მდ. ლათ. (*inclinare* მოხრა) დახრილო-
ბა

inclinatio pelvis მენჯის დახრილობა; კუთხე, რომელიც იქმნე-
ბა მენჯის შესავლისა და ჰორიზონტალური სიბრტყეების გადაკვეთით და-
მერყეობს 55°-დან 75°-მდე. ქალებში კუთხე მეტია, ვიდრე მამაკა-
ცებში.

incus, - udis, მდ. ლათ. გრდემლი; სასმენი ძვალი

incudomallearis გრდემლ-ჩაქუჩისა

index, - icis, მ. ლათ. მაჩვენებელი, ანატ. მაჩვენებელი თითო

indusium, - i, საშ. ლათ. (*indutus* ჩაცმა, შემოსვა) სამოსელი

- indusium griseum* რუხი სამოსელი; რუხი ნივთიერება, რომლითაც დაფარულია კორძიანი სხეულის დორსალური ზედაპირი.
- inferior, - ius*, ლათ. (*inferus* ქვედა) დაბლა მყოფი, ქვედა, ქვემო.
- infra*, ლათ. (წინდებული, იხმარება ბრალდ. ბრ.) ქვემოთ, ქვეშ.
- infraclavicularis, - e*, ლავიწქვედა
- infraglenoidalis, - e* ქვედასასხსრე, სასახსრე ფოსოს ქვემოთ მდებარე
- inframandibularis, - e* ქვედაყბისქვედა
- infraorbitalis, - e* თვალბუდის ქვედა
- infrapatellaris, - e* კვირისტაქვედა
- infraspinatus, - a, - um* ქედქვედა
- infratemporalis, - e* საფეთქელქვედა
- infratrochlearis, - e* ქალქვედა
- infundibulum, - i* საშ. ლათ. (*infundere* ჩასხმა) ძაბრი; მესამე პარაკუქის ძირის გამონაზარდი, რუხი ბორცვის გაგრძელება, რომლის ქვემო, ყრუ ბოლოზე ჩამოკიდებულა ტვინის დანამატი.
- infundibulum ethmoidale* ცხავის ძაბრი; ძაბრისებრი არხი ცხავის ბუშტულის წინ, ცხავის ძვლის კავისებრ მორჩსა და ბუშტულას შორის, რომელიც ცხავის წინა უჯრედებსა და შუბლის წიაღს აკავშირებს ცხვირის შუა გასავალთან.
- infundibulum tubae uterinae* საშვილოსნოს ლულის ძაბრი; ლულის მუცლისკენა გაფართოებული ბოლო, რომელშიც გადადის ლულის ამპულა.
- inguen, - inis*, მდ. ლათ. საზარდული
- inguinalis, - e* საზარდულისა
- innervatio, - onis*, მდ. ლათ. ინერვიცია; სხეულის ამა თუ იმ ნაწილის ნერვებით მომარაგება.
- insertio, - onis*, მდ. ლათ. (*inserere* დართვა) მიმაგრება; კუნთის მიმაგრება ძვალზე.
- insula, - ae*, მდ. ლათ. კუნძული; თავის ტვინის ნაწილი, რომელიც ძვეს დიდი ტვინის ლატერალური ღარის სიღრმეში (*Insula Reili*).
- integumentum, - i*, საშ. ლათ. (*integere* გადაფარვა, გადახურვა) საფარველი
- integumentum commune* საერთო საფარველი; კანი

inter -, (წინდებული, იხმარება ბრალდ. ბრ.) ლათ. შორის, შუა
interalveolaris, - *e* ინტერალვეოლური, ალვეოლთაშორისი, კბილბუდეთაშორისი
interarticularis, - *e* სახსარშორისი, სახსართაშორისი
interarytenoideus, - *a - um*, ციცხვისებრ ხრტილთაშუა
interatrialis, - *e* წინაგულთაშუა
intercalaris, - *e*, ლათ. (*intercalare* ჩართვა) ჩართული
intercalatus, - *a, - um*, ლათ. ჩართული
intercarpeus, - *a, - um*, ამ ზედსართავის ქართულად თარგმნა ერთი სიტყვით, ვფიქრობთ, მოუხერხებელ ტერმინს მოგვეცემდა. ალბათ ჯობია ვიხმაროთ გამოთქმა — მაჯის ძვალთა. სიტყვა ძვალთაშუა აქ არ გამოდგება, ვინაიდან მაჯის სახსრებთან და იოგებთან დაკავშირებით იხმარება კიდევ ერთი ზედსართავი *interosseus*, რაც სიტყვასიტყვით ნიშნავს ძვალთაშუას. ქვემოთ მოგვეყავს ამ სახის ლათინური ტერმინების ქართული შესატყვისები. *articulationes intercarpeae* მაჯის ძვალთა სახსრები; *ligamenta intercarpea dorsalia* მაჯის ძვალთა დორსალური იოგები; მაგრამ, *ligamenta intercarpea interossea* მაჯის ძვალთაშუა იოგები.
intercavernosus, - *a, - um* მღვიმოვან სინუსთაშორისი, ინტერკავერნოზული
intercondylaris, - *e* როკთაშუა
intercostalis, - *e* ნეკნთაშუა
intercruralis, - *e* ფეხთაშუა
interganglionaris, - *e* კვანძთაშუა
intergyralis, - *e* დიდი ტვინის ხვეულთაშორისი
interlobaris, - *e* წილთაშუა
interlobularis, - *e* წილაკთაშუა
intermedius, - *a, - um*, შუამდებარე
intermuscularis, - *e* კუნთთაშუა
interosseus, - *a, - um* ძვალთაშუა
interpeduncularis, - *e* ფეხთაშუა
intersegmentalis, - *e* სეგმენტთაშუა
intertransversarius, - *a, - um* განივ მორჩთაშუა
intertubercularis, - *e* ბორცვთაშუა
intervertebralis, - *e* მალთაშუა
internus, - *a, - um*, ლათ. შიგნითა

intersectio, -onis, მდ. ლათ. (*sectio* გაკვეთა) შუაში გამკვეთი. ძგიდე

intersectiones tendinae მყესოვანი ძგიდეები; განივი მყესოვანი ზოლები, რომლებიც ყოფენ მუცლის სწორ კუნთს ცალკეულ სეგმენტებად. მათი არსებობა მიუთითებს ვენტრალური მუსკულატურის სეგმენტურ განვითარებაზე (*BNA — inscriptiones tendinae*).

interstitium, -ii საშ. ლათ. შუალედი, ინტერსტიციუმი; (*inter + sistere* დადგმა) თავისუფალი ან ამოვსებული ნაპრალისებრი სივრცეები ქსოვილებში ან ქსოვილოვან წარმონაქმნებში.

interstitialis, -e ინტერსტიციური, შუალედური

intestinum, -i, საშ. ლათ. (*intestinalis* შინაგანი, სიტყვიდან *intus* შიგნით) ნაწლავი.

intestinum crassum მსხვილი ნაწლავი; საკმლის მომწელებელი ტრაქტის ბოლო ნაწილი, თქძო-ბრმა ნაწლავის სარქველიდან ყითამდე; შედგება ბრმა ნაწლავისა, ასწვრივი, განივი, დასწვრივი და სიგმოიდური კოლინჯისა და სწორი ნაწლავისაგან.

intestinum tenue წვრილი ნაწლავი; საკმლის მომწელებელი ტრაქტის ნაწილი პილორუსიდან თქძო-ბრმა ნაწლავის ხვრელამდე; შედგება თორმეტგოჯა, მღივი და თქძოს ნაწლავისაგან.

intima, -ae, მდ. ლათ. (*intimus* იღუმალი, უშინაგანესი) ინტიმა; სისხლის ან ლიმფური ძარღვის კედლის შიგნითა. გარსი.

intra-, (წინდებული, იხმარება ბრალდ. ბრ.) ლათ. შიგნით

intralobularis, -e წილშიგა

introitus, -us, მ. ლათ. შესავალი; არხში ან ლულოვან ორგანოში

intumescencia, -ae, მდ. ლათ. (*intumescere* გასივება, გაბერვა) შემსხვილება.

intumescencia cervicalis კისრის შემსხვილება; ზურგის ტვინის შემსხვილება კისრის III—IV მალასა და გულმკერდის II მალას შორის; შეესაბამება სპინალური ნერვების გამოსვლის ადგილს ზემო კიდურებისათვის.

intumescencia lumbalis წელის შემსხვილება; ზურგის ტვინის შემსხვილება გულმკერდის IX—X მალასა და წელის I მალას შორის; შეესაბამება სპინალური ნერვების გამოსვლის ადგილს ქვემო კიდურებისათვის.

inversus, -a, -um, ლათ. (*invertere* გადაბრუნება) გაუკუღმართებული, გადაბრუნებული, გადანაცვლებული.

situs viscerum inversus შიგნეულობის გადანაცვლება მარცხ-
ნიდან მარჯვნივ ან პირუკუ.

i r i s, - i d i s, მდ. ბერძნ. (iris, iridos ცისარტყელა) ირისი, ფერა-
დი გარსი; სისხლძარღვოვანი გარსის წინა ნაწილი, თხე-
ლი დისკო, რომელიც შუაში გახვრეტილია გუგით.

iridocornealis ფერად-რქოვანასი, ირიდო-კორნეალური

i s c h i u m, - i i, საშ. ბერძნ. საჯდომი

ischiadicus, - a, - um საჯდომისა

nervus ischiadicus საჯდომი ნერვი

tuber ischiadicum საჯდომი ბორცვი, კუკუხო

i s t h m u s, - i, მ. ბერძნ. (isthmus ყელი, ვიწრობი) ვიწრობი,
შევიწროება, ყელი.

isthmus aortae აორტის ყელი; აორტის შევიწროებული ნაწი-
ლი, მარცხენა ლაეიწქვეშა არტერიის გამოსვლისა და არტერიული
სადინარის შესვლის ადგილებს შორის.

isthmus cartilaginis auris ყურის ხრტილის ყელი; ყურის
ნიჟარის ხრტილის შევიწროებული ადგილი გარეთა სასმენ შესავალ-
ში გადასვლის დროს.

isthmus faucium ხახის პირი; შევიწროებული ადგილი პირის
ღრუსა და ხახას შორის; შემოსაზღვრულია სასის ფარდით, ენით და
სასის რკალებით.

isthmus glandulae thyroideae ფარისებრი ჯირკვლის ყელი;
ფარისებრი ჯირკვლის ნაწილი მოთავსებული სასულეს წინ; ერთმა-
ნეთთან აერთებს ფარისებრი ჯირკვლის გვერდით წილებს.

isthmus gyri cinguli სარტყლის ხვეულის ყელი; სარტყლის
ხვეულის ვიწრო ნაწილი, რომელიც უშუალოდ გრძელდება პარაპი-
პოკამპურ ხვეულში.

isthmus prostatae წინამდებარეს ყელი; წინამდებარეს სოლისებ-
რი ნაწილი მარჯვენა და მარცხენა მშხეპავ სადინარებსა და შარდსა-
დენის უკანა ზედაპირს შორის.

isthmus rhombencephali რომბისებრი ტვინის ყელი; ემ-
ბრიონის ნერვული ლულის შევიწროებული ადგილი რომბისებრ
ტვინსა და შუა ტვინს შორის; მოიცავს ნათხემის წინა ფეხებს, ტვინის
წინა ფარდას და მარყუეის სამკუთხედს.

isthmus tubae auditivae სასმენი ლულის ყელი; სასმენი ლულის
შევიწროებული ნაწილი ძვლოვანი ნაწილის ხრტილოვან ნაწილში
გადასვლის ადგილას.

isthmus tubae uterinae საშვილოსნოს ლულის ყელი; საშვილოსნოს ლულის მედიალური, შევიწროებული ნაწილი, რომელიც გრძელდება ლულის ამპულაში; შეადგენს საშვილოსნოს ლულის ერთ მესამედს.

isthmus uteri საშვილოსნოს ზეყელი; საშვილოსნოს შევიწროებული ნაწილი საშვილოსნოს სხეულსა და ყელს შორის.

J

jejunum, - i, საშ. ლათ. (*jejunus* მქლე) მღივი ნაწლავი; წერილი ნაწლავის ნაწილი, თორმეტგოჯა და თექვსი ნაწლავებს შორის (*BNA — intestinum jejunum*).

jejunalis, - e მღივი ნაწლავისა

jugulum, - i, საშ. ლათ. (კნინ. სიტყვისა *jugum*) 1. ყელი 2. საულლე ფოსო; მდებარეობს მკერდის ტარის ზემოთ, ლავიწის ძვლებს შორის.

jugularis, - e საულლე

vena jugularis საულლე ვენა

jugum, - i, საშ. ლათ. (*jungere* შეერთება, შეკვრა) უღელი მთის თხემი, შემალლება.

jugum sphenoidale სოლისებრი შემალლება; სოლისებრი ძვლის სხეულის სატვინე ზედაპირის წინა ნაწილი, მცირე ფრთებს შორის და მხედველობის ნერვის ჯვარედინის ღარის წინ.

juga alveolaria კბილბუდეთა შემალლებანი; გასწვრივი შემალლებანი ზედა და ქვედაყბის კბილბუდეთა მორჩების წინა ზედაპირზე, რომლებიც შეესაბამებია კბილბუდეებს.

junctura, - a e, მდ. ლათ. (*jungere* შეერთება, შეკვრა) კავშირი, შეერთება.

junctura cartilaginea ხრტილოვანი შეერთება; ძვალთა უწყვეტი შეერთება ხრტილოვანი ქსოვილის საშუალებით.

junctura fibrosa ფიბროზული შეერთება; ძვალთა უწყვეტი შეერთება შემაერთებელი ქსოვილის საშუალებით (*BNA — synarthrosis*).

junctura lumbosacralis გავა-წელის შეერთება; შეერთება, გავის პირველ მალასა და წელის მეხუთე მალას შორის.

junctura sacrococcygea გავა-კუდუსუნის შეერთება; გავის მწვერ-

ვალის და კუდუსუნის ფუძის შეერთება, რომელთა შორის მოთავსებული მალთაშუა ხრტილი შეიცავს პატარა ღრუს.

junctura synovialis სინოვიური შეერთება; ანუ სახსარი; ძვალთა წყვეტილი, მოძრავი შეერთება; ყოველ სახსარში არჩევენ შენაწევრებული ძვლების სასახსრე ზედაპირებს, სასახსრე ჩანთას და სახსრის ღრუს (*BNA — diarthrosis + articulatio*).

juncturae zygapophyseales რკალმორჩების შეერთებანი; შეერთებანი მალთა სასახსრე მორჩებს შორის (რკალმორჩებს შორის), რომლებიც წარმოადგენენ ბრტყელ, კომბინირებულ სახსრებს.

j u x t a (წინდებული, იხმარება ბრალდ. ბრ.) ლათ. ახლოს, მახლობლად. იხმარება რთულ სიტყვებში.

L

l a b i u m, - i i, საშ. ლათ. ტუჩი, ბაგე, კიდე, ნაპირი

labia oris პირის ტუჩები

labium limbi tympanicum კიდის დაფისეული ბაგე; ლოკოკინას ძვლოვანი სპირალური ფირფიტის თავისუფალი კიდის ქვედა ბაგე, რომელსაც უმაგრდება ძირითადი ფირფიტა — *lamina basilaris*.

labium limbi vestibulare კიდის კარიბჭისეული ბაგე; ლოკოკინას ძვლოვანი სპირალური ფირფიტის თავისუფალი კიდის ზედა ბაგე, რომელიც შეჭრილია ლოკოკინას სადინარის ღრუში.

labium majus pudendi დიდი სასირცხო ბაგე; კანის ორი ნაოქი, რომლებითაც გვერდებიდან მოსაზღვრულია სასირცხო ნაპრალი.

labium minus pudendi მცირე სასირცხო ბაგე; კანის ორი გასწვრივი ნაოქი, რომლებიც მოთავსებული არიან დიდი სასირცხო ბაგეების შიგნით.

labialis, - e ტუჩისა

l a b r u m, - i, საშ. ლათ. ტუჩი, ბაგე, ნაპირი

labrum acetabulare ტაბუხის ბუდის ბაგე; ბოქკოვანხრტილოვანი ბაგე მიმაგრებული ტაბუხის ბუდის ნაპირზე, რომელიც საგრძნობლად აღრმავებს ტაბუხის ბუდეს (*BNA — labrum glenoidale*).

labrum glenoidale სასახსრე ბაგე; ბოქკოვანხრტილოვანი ბაგე მიმაგრებული ბეჭის სასახსრე ფოსოს ნაპირზე, რომელიც ადიდებს ფოსოს ფართობს, მაგრამ არ იწვევს მოძრაობის შემცირებას.

labyrinthus, - i, მ. ბერძნ. (labyrinthos ლაბირინთი) ლაბირინთი

labyrinthus ethmoidalis ცხვიის ძვლის ლაბირინთი

labyrinthus membranaceus აპკისებრი ლაბირინთი; მოიცავს აპკისებრ ნახევარკალოვან სადინარებს, ტიკს, პარკუქს, და ლოკოკინას სადინარს. შეიცავს სტატო-კინეტიკური და სმენის ანალიზატორების პერიფერიულ ნაწილებს.

labyrinthus osseus ძვლოვანი ლაბირინთი; მოთავსებულია საფეთქლის ძვლის კლდოვან ნაწილში; მოიცავს ძვლოვან ნახევარკალოვან არხებს, კარიბჭესა და ლოკოკინას. ლაბირინთის კედელი აგებულია კომპაქტური ძვლისაგან

lactifer, - tis, საშ. ლათ. რძე.

lactifer, - era, - erum (ferre ტარება, მოტანა) რძის გამომყოფი
lacerus, - a, - um, ლათ. დახეული, დაგლეჯილი, დაფლეთილი.

foramen lacerum დაფლეთილი ხვრელი; ვასაგებია, რომ ხვრელი არ შეიძლება იყოს დაფლეთილი, იგულისხმება ხვრელის უსწორმასწორო ნაპირები; ძვეს ქალას ფუძეზე საფეთქლის ძვლის კლდოვან ნაწილსა და სოლისებრი ძვლის სხეულს შორის; დახურულია ბოკკოვანი ხრტილით.

lacertus, - i, მ. ლათ. (lacerta ხვლიკი) ამ სიტყვით რომაელები აღნიშნავდნენ ხელის ნაწილს — მკლავს. ანატ. ნაკვითი, ბელტი, დამატებითი მყესი

lacertus musculi recti lateralis ლატერალური სწორი კუნთის დამატებითი მყესი; თვალის კაკლის ლატერალური სწორი კუნთი იწყება საერთო მყესოვანი რგოლიდან და დამატებითი მყესით — სოლისებრი ძვლის დიდი ფრთის თვალბუდისმხრივი ზედაპირიდან.

lacinia tus, - a, - um, ლათ. (lacinia კაბის კალთა) კიდის გასწვრივ დაფლეთილი, გაყოფილი.

lacrima, - ae, მდ. ლათ. ცრემლი

lacrimalis, - e საცრემლე, ცრემლისა

lacuna, - ae, მდ. ლათ. (კნინ. სირტყეისა lacus ტბა) ორმო, ფოსო, შუალედი, ლაკუნა.

lacuna musculorum კუნთოვანი შუალედი; საზარდულის იოგსა და მენჯის ძვალს შორის არსებული სივრცის ლატერალური ნაწილი, რომელიც გამიჯნულია სისხლძარღვოვან შუალედთან თეძო-ქედის რკალით, მასში ძვეს თეძო-სუყის კუნთი და ბარძაყის ნერვი.

lacuna vasorum სისხლძარღვოვანი შუალედი; საზარდულის იოგსა და მენჯის ძვალს შორის არსებული სივრცის მედიალური ნაწილი, სადაც ლატერალურად ძვეს ბარძაყის არტერია, მედიალურად კი — ბარძაყის ვენა, ხოლო ბარძაყის ვენის მედიალურად მოთავსებულია ბარძაყის რგოლი.

lacunae laterales ლატერალური ლაკუნები; მაგარი გარსის მომცრო სინუსები ზემო საგიტალური სინუსის გვერდებზე, რომლებიც უერთდებიან ამ უკანასკნელს.

lacunae urethrales შარდსადენის ლაკუნები; შარდსადენის ღრუბლისებრი ნაწილის ლორწოვანი გარსის წინისკენ გახსნილი მომცრო ჩაღრმავებები, რომლებიც უკეთ არიან გამოხატული შარდსადენის ზედა კედელზე. (*Morgagnii*).

lacunaris, -e შუალედისა

ligamentum lacunare შუალედის იოგი; მყესოვანი ბოქვების სამკუთხა ფორმის კონა, რომელიც გამოეყოფა საზარდულის იოგის მედიალურ ბოლოს და უმაგრდება ბოქვენის ქედს, სადაც გრძელდება ქედის იოგში.

lacus, -us, მ. ლათ. წყლის გობი, აუზი, ტბა

lacus lacrimalis ცრემლის ტბა; მომცრო ჩაღრმავება თვალის მედიალურ კუთხეში, ქუთუთოების კილოებსა და ნამგლისებრ ნაოქს შორის, სადაც საცრემლე კორძია მოთავსებული.

lambdoideus, -a, -um (*lambda* ლამბდა; ბერძნული ანბანის ერთ-ერთი ასო) ლამბდისებრი.

sutura lambdoidea ლამბდისებრი ნაკერი

lamella, -ae, მდ. ლათ. (კნინ. სიტყვისა *lamina*) ფირფიტა

lamellosus, -a, -um ფირფიტოვანი

corpuscula lamellosa ფირფიტოვანი სხეულაკები

lamina, -ae, მდ. ლათ. ფირფიტა

lamina affixa დართული ფირფიტა; წარმოადგენს ტვინის საბოლოო ბუშტის მედიალური კედლის ნაწილს, რომელიც ინვაგინაციის შედეგად თავსდება მხედველობის ბორცვის დორსალურ ზედაპირზე, სასაზღვრო ხაზსა და სისხლძარღვოვან ზონარს შორის. სხვა წარმონაქმნებთან ერთად ქმნის გვერდითი პარაკუქის ცენტრალური ნაწილის ძირს.

lamina alaris ფრთისებრი ფირფიტა; ჩანასახის ნერვული ლულის უკანა ლატერალური ნაწილი, სადაც ვითარდება აფერენტულ ნერვებთან დაკავშირებული, სენსორული ნერვული უჯრედები.

lamina basalis ბაზალური ფირფიტა; 1. ჩანასახის ნერვული ლულის წინა ლატერალური ნაწილი, სადაც ვითარდება ეფერენტული ნერვების მოტორული უჯრედები, 2. თხელი, უსტრუქტურო ფირფიტა, რომელიც საკუთრივ სისხლძარღვოვანი გარსის ყველაზე ღრმა ფენას წარმოადგენს და გრძელდება წამწამოვანი სხეულის ბაზალურ ფირფიტაში.

lamina arcus vertebrae მალის რკალის ფირფიტა; მალის რკალის უკანა ნაწილი; წინა ნაწილი წარმოდგენილია რკალის ფეხით.

lamina basilaris ძირითადი ფირფიტა; გადაჭიმულია ლოკოკინას ძვლოვანი სპირალური ფირფიტის კიდის დაფისეულ ბაგესა და ლოკოკინას გარეთა კედელს შორის, ძირითად ფირფიტაზე განლაგებულია სპირალური ორგანო.

lamina choroidocapillaris ქოროიდოკაპილარული ფირფიტა; სისხლძარღვოვან-კაპილარული ფირფიტა; თვალის საკუთრივ სისხლძარღვოვანი გარსის ერთ-ერთი ფენა, სისხლძარღვოვან ფირფიტასა — *lamina vasculosa* და ბაზალურ ფირფიტას შორის; შეიცავს უხვ კაპილარულ ქსელს. კაპილარები ხასიათდება დიდი ზომით და არათანაბარი ყალიბით. (Ruyschii).

lamina cribrosa დაცხრილული ფირფიტა; ცხავის ძვლის ჰორიზონტალურად მდებარე ფირფიტა, ქალას წინა ფოსოს შუაში; მის ხვრელებში გადიან ყნოსვის ნერვები.

lamina fusca sclerae სკლერის დაბურული ფირფიტა; სკლერის ყველაზე ღრმა ფენა, რომელიც ეკვრის სისხლძარღვოვან გარსს; შეიცავს პიგმენტურ უჯრედებს — მელანოციტებს.

lamina horizontalis ჰორიზონტალური ფირფიტა; სასის ძვლის ჰორიზონტალური ფირფიტა.

lamina limitans anterior წინა საზღვროვანი ფირფიტა; თხელი მკვრივი, ბოქოვანი აგებულების ფირფიტა, რომელიც მოთავსებულია უშუალოდ რქოვანას წინა ეპითელიუმის ქვეშ. (*BNA — lamina elastica anterior Bowmani*).

lamina limitans posterior უკანა საზღვროვანი ფირფიტა; ბოქოვანი აგებულების აპკი რქოვანას საკუთარ ნივთიერებასა და წინა სენაკის ენდოთელიუმს შორის. (*BNA — lamina elastica posterior, Demoursi, Descemeti*).

lamina medullaris lateralis et medialis ლატერალური და მედიალური ტვინოვანი ფირფიტა; თეთრი ნივთიერების ფირფიტები, რომლებითაც ოსპისებრი ბირთვი გაყოფილია სამ ნაწილად ჩენჩოსა და მედიალურად მდებარე ორ მკრთალ სფეროებად.

lamina membranacea აპკისებრი ფირფიტა; ფიბროზული ფირფიტა, რომელიც აერთებს სასმენი ლულის ხრტილის კიდეებს და ქმნის ლულის ლატერალურ და ქვემო კედელს.

lamina modioli ღერძის ფირფიტა; თხელი ძვლოვანი ფირფიტა, რომლითაც მთავრდება ლოკოკინას ღერძის წვერო.

lamina orbitalis თვალბუდისეული ფირფიტა; თხელი ძვლოვანი ფირფიტა, რომელიც გარედან ფარავს ცხავის ძვლის ლაბირინთს და ქმნის თვალბუდის მედიალურ კედელს (BNA — *lamina papiracea*).

lamina parietalis et visceralis პარიეტული და ვისცერული ფირფიტა; სეროზული გარსების კედლისამყოლი და ორგანმფარავი ფირფიტები.

lamina perpendicularis პერპენდიკულარული ფირფიტა; ცხავისა და სასის ძვლის პერპენდიკულარული ფირფიტები.

lamina pretrachealis სასულესწინა ფირფიტა; კისრის ფასციის ერთ-ერთი ფურცელი, რომლითაც დაფარულია სასულეს წინ მდებარე კუნთები და ორგანოები.

lamina prevertebralis ხერხემლისწინა ფირფიტა; კისრის ფასციის ერთ-ერთი ფურცელი, რომლითაც დაფარულია ხერხემლის წინ მდებარე და კიბისებრი კუნთები.

lamina septi pellucidi გამჭვირვალე ძვიდის ფირფიტა; ოდი საგრტალურად მდგარი ფირფიტა კორძიანი სხეულის წინა ნაწილებსა და თალის სხეულსა და სვეტებს შორის, რომელთა შორის მოთავსებულია გამჭვირვალე ძვიდის ღრუ; თითოეული ფირფიტა ქმნის გვერდითი პარაკუპის წინა რქის მედიალურ კედელს.

lamina spiralis ossea ძვლოვანი სპირალური ფირფიტა; ლოკოკინას ღერძის გარშემო სპირალურად დახვეული ძვლოვანი ფირფიტა, რომლის თავისუფალ კიდეც უმაგრდება სპირალური აპკი; იწყება კარიბჭიდან, ლოკოკინას სარკმლის მახლობლად და მთავრდება ლოკოკინას მწვერვალში სპირალური ფირფიტის კავით.

lamina spiralis secundaria მეორეული სპირალური ფირფიტა; ძვლოვანი ქედი ლოკოკინას არხის პირველი ხვეულის გარეთა კედელზე, ძვლოვანი სპირალური ფირფიტის მოპირდაპირე მხარეზე.

lamina suprachoroidea საკუთრივ სისხლძარღვოვანი გარსის ზედა ფირფიტა; სუპრაქოროიდული ფირფიტა; თვალის კაკლის საკუთრივ სისხლძარღვოვანი გარსის გარეთა ფენა, რომელიც ეკვრის სკლერას.

lamina tecli სახურავის ფირფიტა; შუა ტვინის სახურავის ოთხკუთხა ფირფიტა, რომელზეც განლაგებულია ზემო და ქვემო გორაკები.

lamina terminalis სასაზღვრო ფირფიტა; თხელი რუხი ფირფიტა, კორძიანი სხეულის ნისკარტსა და მხედველობის ჭვარედის ზემო ზედაპირს შორის; ქმნის მესამე პარაკუქის წინა კედელს.

lamina vasculosa სისხლძარღვოვანი ფირფიტა; საკუთრივ სისხლძარღვოვანი გარსის ფენა, რომელიც მოთავსებულია სუპრაქოროიდულ და ქოროიდეკაპილარულ ფირფიტებს შორის.

laminae albae თეთრი ფირფიტები; ნათხემის ტვინოვანი სხეულის (ნათხემის თეთრი ნივთიერება) განშტოებები, რომლებიც შეაღწევენ ნათხემის ფოთლებში.

laminae medullares thalami მხედველობის ბორცვის ტვინოვანი ფირფიტები; თეთრი ნივთიერება მხედველობის ბორცვის ბირთვებს შორის.

lanugo, - inis, მდ. ლათ. (*lana* ბეწვი) გინგლი; ნაყოფისა და ახალშობილის თმოვანი საფარი.

larynx, - gis, მ. ბერძნ. ხორხი

laryngeus - a, - um ხორხისა

lateralis, - e, ლათ. (*latus* გვერდი) გვერდითი, ლატერალური; შუა სიბრტყიდან შორს მდებარე. საპირისპირო ტერმინია — მედიალური.

latus, - eris, მ. ლათ. გვერდი

latus, - a, - um, ლათ. ფართო, განიერი

ligamentum latum uteri საშვილოსნოს განიერი იოგი

latissimus, - a, - um (აღმატებითი ხარისხი) უგანეირესი

musculus latissimus dorsi ზურგის უგანეირესი კუნთი

lemniscus, - i, მ. ბერძნ. (*lemniscos* ლენტი, ბაბთი) ყულფი, მარყუჭი

lemniscus lateralis ლატერალური მარყუჭი; ნერვული ბოჭკოები მერვე ნერვის ლოკოკინასეული ნაწილის ბირთვებსა და სმენის ქერქქვეშა ბირთვებს შორის.

lemniscus medialis მედიალური მარყუჭი; იქმნება მოგრძო ტვინში, სოლისებრი და ნაზი ბირთვიდან გამოსული გადაჯვარედინებული ბოჭკოებით; ატარებს პროპრიოცეპტულ იმპულსებს. მედიალური მარყუჭი გაივლის ხიდის დორსალურ ნაწილს, შუა ტვინის ქერს და მთავრდება მხედველობის ბორცვში. (Reili).

lemniscus spinalis ზურგის ტვინის მარყუევი; ტკივილის, თერ-
მული და ტაქტილური იმპულსების გამტარი აღმავალი ბოჭკოები, რომ-
ლებიც ზურგის ტვინიდან მიემართებიან მხედველობის ბორცვში.

lemniscus trigeminalis სამწვერა ნერვის მარყუევი; იქმნება
სამწვერა ნერვის სენსორული ბირთვებიდან გამოსული აღმავალი
ბოჭკოებით (მეორე ნეირონების აქსონებით), რომელთაც მოგრძო
ტვინში უკავიათ მედიალური მარყუევის ვენტრომედიალური ნაწილი,
ხილში და შუა ტვინში კი გადაინაცვლებენ მედიალური მარყუევის ლა-
ტერალურად და ეკვრიან ზურგის ტვინის მარყუეს, მთავრდება მხედ-
ველობის ბორცვის ვენტრალურ ბირთვში.

lens, - *tis*, მდ. ლათ. ბროლი, ოსპი

lenticula - *ae*, მდ. ლათ. მცირე ოსპი

lenticularis, - *e* ოსპისებრი

levator, - *oris*, მ. ლათ. (*levare* აწევა) ამწევი

musculus levator ani ყითას ამწევი კუნთი

liber, - *era*, - *erum*, ლათ. თავისუფალი

lien, - *lien**is*, მ. ლათ. ელენთა

lien accessorius დამატებითი ელენთა; ელენთის ქსოვილის მომ-
ცრო კვანძები ელენთის მახლობლად, რომლებიც ჩვეულებრივ გან-
ლაგებულია კუჭ-ელენთის იოგში და დიდ ბადექონში.

lienalis, - *e* ელენთისა

ligamentum, - *i*, საშ. ლათ. (*ligare* შეკვრა) იოგი

ligamentosus, - *a*, - *um* იოგოვანი

limbus, - *i*, მ. ლათ. კიდე, არშია, კილო

limbi palpebrales anteriores et posteriores ქუთუთოების წი-
ნა და უკანა კილოები; ქუთუთოების თავისუფალი ნაპირის წინა და
უკანა კიდეები.

limbus corneae რქოვანას კილო; რქოვანას ნახევრად გამ-
ჭვირვალე რგოლისებრი კიდე, რომელიც ემიჯნება სკლერას.

limbus fossae ovalis ოვალური ფოსოს კიდე; კუნთოვანი მორგ-
ვისებრი კიდე ოვალური ფოსოს გარშემო წინაგულთაშუა ძგიდის
მარჯვენა ზედაპირზე. (*Vioussensi*).

limbus laminae spiralis osseae ძვლოვანი სპირალური ფირ-
ფიტის კიდე; სპირალური ფირფიტის თავისუფალი ნაპირი, რომელიც
შიგნითა სპირალური ღარით გაყოფილია კიდის კარიბქისეულ
და დაფისეულ ბაგეებად

limen, - *in**is*, საშ. ლათ. ზღურბლი, საზღვარი.

limen insulae კუნძულის ზღურბლი; საბოლოო ტენის რუდი-
მენტული ნაწილი. რომელიც განეკუთვნება ყნოსვის ტენის, მდებარეობს კუნძულის მწვერვალსა და წინა დახვეტილ ნიეთაერებას შორის.

limen nasi ცხვირის ზღურბლი; რკალისებრი ნაოკი ცხვირის კარიბჭესა და საკუთრივ ცხვირის ღრუს შორის.

Limitans, - tis, ლათ. (*limes* საზღვარი, *limitare* შემოსაზღვრა) საზღვროვანი.

Linea, - ae, მდ. ლათ. ხაზი

linea alba თეთრი ხაზი; აბონევროზული ნაკერი, რომელიც იქმნება მუცლის განიერი კუნთების აბონევროზების შეერთებით. მარჯვენა და მარცხენა მყესოვანი ბოქკოები შეერთების ადგილას ჯვარდინდებიან როგორც ფრონტალურ, ისე საგიტალურ საბრტყეში. თეთრი ხაზი ვრცელდება მახვილისებრი მორჩიდან ბოქვენის სიმფიზამდე. ზედა ნაწილში იგი შედარებით ფართოა, ქვედა ნაწილში კი — უფრო ვიწრო და სქელი.

linea arcuata რკალოვანი ხაზი; მუცლის სწორი კუნთის ბუდის უკანა კედლის (უკანა ფირფიტის) ქვედა ბოლო, ჭიპსა და ბოქვენის სიმფიზს შორის. რკალოვანი ხაზის ქვემოთ მუცლის სწორი კუნთის უკანა ზედაპირი დაფარულია მხოლოდ განივი ტვასციით. (*BNA — linea semicircularis Douglasi*).

linea aspera ხორკლიანი ხაზი; მოთავსებულია ბარძაყის ძვლის უკანა ზედაპირზე; შედგება ლატერალური და მედიალური ბაგეებისგან; კუნთების მიმაგრების ადგილი.

linea axillaris ილიის ხაზი; ვერტიკალური ხაზი გატარებული ილიის ფოსოს შუა წერტილიდან.

linea epiphysialis ეპიფიზური ხაზი; ეპიფიზური ხრტილის პერიფერიული ნაპირი.

linea glutea anterior, inferior et posterior წინა, ქვემო და უკანა ღუნდულოვანი ხაზი; მდებარეობენ თეძოს ძვლის ფრთის გარეთა ზედაპირზე. ღუნდულოვანი კუნთების მიმაგრების კვალი.

linea intercondylaris როკთაშუა ხაზი; განივი ხაზი ბარძაყის ძვლის დისტალურ ბოლოზე, როკთაშუა ფოსოსა და მუხლქვეშა ზედაპირის საზღვარზე; მუხლის სახსრის ჩანთის უკანა ნაწილის მიმაგრების ადგილი.

linea intermedia შუამდებარე ხაზი; თეძოს ძვლის ქედის შუამდებარე ხაზი, შიგნითა და გარეთა ბაგეებს შორის.

linea intertrochanterica ციბრუტთაშუა ხაზი; დიდი და მცირე

ციბრუტის შემაერთებელი ხაზი ბარძაყის ძვლის წინა ზედაპირზე. სასახსრე ჩანთისა და თეძო-ბარძაყის იოგის მიმაგრების ადგილი.

linea mamillaris (*l. medioclavicularis*) დვრილის ხაზი (ლა-ვიწის შუა ხაზი); ვერტიკალური ხაზი, რომელიც გაივლის ძუძუს დვრილზე ან ლავიწის შუაში.

linea mediana anterior წინა შუა ხაზი; ვერტიკალური ხაზი, რომელიც გაივლის სხეულის წინა ზედაპირის შუაში.

linea mediana posterior უკანა შუა ხაზი; ვერტიკალური ხაზი, რომელიც გაივლის სხეულის უკანა ზედაპირის შუაში.

linea m. solei ქუსლის კუნთის ხაზი; ირიბი ხაზი დიდი წვივის ზედა ნაწილის უკანა ზედაპირზე. ქუსლის კუნთის დაწყების ერთ-ერთი ადგილი. (BNA — *linea poplitea*).

linea mylohyoidea ქვედაყბა-ინის ხაზი; ირიბი ხაზი ქვედაყბის შიგნითა ზედაპირზე, ნიკაპის წვეტის გვერდებზე; თანამოსახელე კუნთის მიმაგრების ადგილი.

linea nuchae inferior, superior et suprema ქედის ქვემო, ზემო და ზემდებარე ხაზი; მოთავსებული არიან კეფის ძვლის ქიცვის გარეთა ზედაპირზე.

linea pectinea ქედის ხაზი; ძვეს ბარძაყის ძვლის დიაფიზის პროქსიმალურ ნაწილში, უკანა ზედაპირზე; წარმოადგენს ხორკლიანი ხაზის მედიალური ბაგის გაგრძელებას; თანამოსახელე კუნთის მიმაგრების ადგილი.

linea scapularis ბეჭის ხაზი; ვერტიკალური ხაზი, რომელიც გაივლის ბეჭის ქვემო კუთხეზე.

linea semilunaris ნამგლისებრი ხაზი; ორი ნამგლისებრი ღარი მუცლის წინა კედელზე, მუცლის სწორი კუნთების გვერდებზე.

linea temporalis inferior et superior საფეთქლის ქვემო და ზემო ხაზი; რკალოვანი ხაზები თხემის ძვლის გარეთა ზედაპირზე; შესაბამისად საფეთქლის კუნთისა და ფასციის დაწყების ადგილი.

linea terminalis სასაზღვრო ხაზი; მდებარეობს დიდი და მცირე მენჯის საზღვარზე; წრიული ხაზია, რომელიც გაივლის კონცხს, მოპირდაპირე მხრის რკალოვან ხაზებს, ბოქვენის ქედებს და ბოქვენის სიმფიზის ზემო ნაპირს.

linea trapezoidea ტრაპეციული ხაზი; ძვეს ლავიწის აკრომიული ბოლოს ქვემო ზედაპირზე, კონუსისებრი ბორცვის მედიალურად; ტრაპეციული იოგის მიმაგრების ადგილი.

lineae transversae განივი ხაზები; გავის ძვლის განივი ხაზები, მენჯისმხრივ ზედაპირზე; მალთა სხეულების შექვალების ადგილი.

lingua, - ae, მდ. ლათ. ენა

lingualis, - e ენისა

lingula, - ae მდ. ლათ. პატარა ენა, ნაქი

lingula cerebelli ნათხემის ენა; ნათხემის კიის ყველაზე წინა წილაკი, რომლითაც დაფარულია ზემო ტვინოვანი ფარდის უკანა და შუა ნაწილი.

lingula mandibulae ქვედაყბის ნაქი; ქვედაყბის სამკუთხა მორჩი, რომლითაც მოსაზღვრულია შიგნიდან ქვედაყბის ხერელი; სოლისებრ-ქვედაყბის იოგის მიმაგრების ადგილი.

lingula pulmonis sinistri მარცხენა ფილტვის ენა; მარცხენა ფილტვის ზემო წილის წინა კიდის გამოშვებული ნაწილი, რომლითაც მოსაზღვრულია ქვემოდან მარცხენა ფილტვის გულისეული ნაქ-დევი.

lingula sphenoidalis სოლისებრი ძვლის ნაქი; მოკლე, უკან მიქცეული ძვლოვანი წვეტი, რომელიც მოთავსებულია საძილე ღარის ლატერალურად და უკან.

lingularis, - e ენისა, ნაქისა

liquor, - oris, მ. ლათ. სითხე

liquor cerebrospinalis თავ-ზურგის ტვინის სითხე; გამჭვირვალე უფერული სითხე, რომლითაც ამოვსებულია თავისა და ზურგის ტვინის ქსელქვეშა სივრცე, თავის ტვინის პარაკუქები და ზურგის ტვინის ცენტრალური არხი.

lobulus, - i, მ. ლათ. წილაკი

lobuli corticales ქერქოვანი წილაკები; თირკმლის ტვინოვანი ნივთიერება შექრილია ქერქოვან ნივთიერებაში სხივების სახით (ფერეინისეული სხივები). ამის გამო ქერქოვანი ნივთიერება შედგება თანამიმდევრულად განლაგებული ქერქოვანი და ტვინოვანი ნაწილებისაგან. ქერქოვანი წილაკი თირკმლის ქერქოვანი ნივთიერების ის უმცირესი დანაყოფია, რომელიც შეიცავს ერთ ტვინოვან და ერთ ქერქოვან ნაწილს. ქერქოვან ნაწილს დახვეული ნაწილი *pars convoluta* ეწოდება, ხოლო ტვინოვანს—სხივისებრი ნაწილი *pars radiata*. დახვეულ ნაწილში განლაგებულია თირკმლის სხეულაკები და კლაკნილი მილაკები, სხივისებრ ნაწილში კი—თირკმლის სწორი მილაკები.

lobuli testis სათესლის წილაკები; ერთმანეთისაგან განცალკევებული არიან სათესლის ძგიდეებით; მათი რიცხვი მერყეობს 100-დან 250-მდე; თითოეულ წილაკს აქვს კონუსის ფორმა, რომლის მწვერვალ

მიმართულია სათესლის შუასაყარისაკენ, ყოველ წილაკში განლაგებულია თესლის 3—4 კლაკნილი მილაკი.

lobulus biventer ორმუცელა წილაკი; ნათხემის ჰემისფეროს წილაკი მის ქვემო ზედაპირზე, ქვემო ნახევარმთვარისებრ წილაკსა და ნათხემის ნუშს შორის; შეესაბამება ჭიის პირამიდას.

lobulus centralis ცენტრალური წილაკი; ნათხემის ჭიის წილაკი ჭიის ნაქსა და კენწეროს შორის, ნათხემის ჰემისფეროზე შეესაბამება ცენტრალური წილაკის ფრთას.

lobulus paracentralis პარაცენტრალური წილაკი; მდებარეობს დიდი ტვინის ჰემისფეროს მედიალურ ზედაპირზე წინიდან მოსაზღვრულია პარაცენტრალური ღარით, უკანიდან კი — სარტყლის ღარის უკანა ბოლოთი; წინა და უკანა ცენტრალური ხვეულების ზედა ბოლოების ერთმანეთში გადასვლის ადგილი.

lobulus parietalis inferior et superior თხემის ქვემო და ზემო წილაკი; მოთავსებული არიან დიდი ტვინის ჰემისფეროს ზემო ლატერალურ ზედაპირზე, თხემშიგა ღარის ქვემოთ და ზემოთ.

lobulus quadrangularis ოთხკუთხა წილაკი; მდებარეობს ნათხემის ზემო ზედაპირზე, ცენტრალური წილაკის ფრთასა და ზემო ნახევარმთვარისებრ წილაკს შორის. შეესაბამება ჭიის კენწეროს.

lobulus semilunaris inferior ქვემო ნახევარმთვარისებრი წილაკი; მდებარეობს ნათხემის ჰემისფეროს ქვემო ზედაპირზე და გამოეყოფა თანამოსახელე ზემო წილაკს პორიზონტალური ღარით. შეესაბამება ჭიის ბორცვს.

lobulus semilunaris superior ზემო ნახევარმთვარისებრი წილაკი; მდებარეობს ნათხემის ზემო ზედაპირზე, მარტივი წილაკის უკან, შეესაბამება ჭიის ფოთოლს.

lobulus simplex მარტივი წილაკი; მდებარეობს ნათხემის ჰემისფეროს ზემო ზედაპირზე, ოთხკუთხა და ზემო ნახევარმთვარისებრ წილაკებს შორის, შეესაბამება ჭიის ფერდობს.

lobularis, - e წილაკოვანი

lobulus, - i, მ. ლათ. წილი

lobi glandulae mammariae სარძევე ჯირკვლის წილები; სარძევე ჯირკვლის ჯირკვლოვანი სხეული შედგება 15—20 განცალკევებული, რადიალურად განლაგებული, კონუსისებრი წილებისაგან, რომელთა წვეროები მიმართულია ძუძუს დვრილისაკენ. ყოველი წილი აღჭურვილია რძის სადინარით, რომელიც იხსნება ძუძუს დვრილზე.

lobi renales თირკმლის წილები; თირკმლის ყოველი წილი შე-

უსაბამეზა თირკმლის ერთ პირამიდას ირგვლივ მდებარე ქერქოვან ნივთიერებასთან ერთად. თირკმლის წილოვანი შენება გამოხატულია ნაყოფისა და ადრეული ასაკის ბავშვის ორგანიზმში.

lobus anterior (adenohypophysis) წინა წილი (ადენოჰიპოფიზი); ტვინის დანამატის წინა წილი. იხ. adenohypophysis.

lobus caudatus კუდიანი წილი; ღვიძლის კუდიანი წილი მდებარეობს ღვიძლის ვისცერულ ზედაპირზე, ღვიძლის კარის უკან.

lobus frontalis შუბლის წილი; დიდი ტვინის ჰემისფეროს შუბლის წილი.

lobus hepatis dexter ღვიძლის მარჯვენა წილი; შედგება წინა და უკანა სეგმენტებისაგან.

lobus hepatis sinister ღვიძლის მარცხენა წილი; შედგება მედიალური და ლატერალური სეგმენტებისა და კვადრატული ნაწილისაგან.

lobus inferior ქვემო წილი; ფილტვის ქვემო წილი

lobus medius (pulm. dext). (მარჯვენა ფილტვის) შუა წილი

lobus medius შუა წილი; წინამდებარეს შუა წილის ქვეშ გულისხმობენ წინამდებარეს გადიდებულ ყელს.

lobus occipitalis კეფის წილი; დიდი ტვინის ჰემისფეროს კეფის წილი.

lobus parietalis თხემის წილი; დიდი ტვინის ჰემისფეროს თხემის წილი.

lobus posterior (neurohypophysis) უკანა წილი (ნეიროჰიპოფიზი); ტვინის დანამატის უკანა წილი. იხ. neurohypophysis

lobus pyramidalis პირამიდული წილი; ფარისებრი ჭირკვლის არამუდმივი წილი, რომელიც გამოეყოფა ჭირკვლის ყელს და თავისი ზედა ბოლოთი ზოგჯერ აღწევს ინის ძვლის სხეულს.

lobus quadratus კვადრატული წილი; ღვიძლის კვადრატული წილი მოთავსებულია ღვიძლის კარის წინ

lobus superior ზემო წილი; ფილტვის ზემო წილი

lobus temporalis საფეთქლის წილი; დიდი ტვინის ჰემისფეროს საფეთქლის წილი

lobaris, - e წილოვანი

locus, - i, მ. ლათ. ალაგი, ადგილი

locus ceruleus ლურჯი ალაგი; მდებარეობს რომბისებრი ფოსოს მედიალური შემადლების ზემოთ და ლატერალურად. ლურჯი ფერი განპირობებულია უფრო ღრმად მდებარე პიგმენტირებული ნერვუ-

ლი უჭრედებით. ამ ტერმინის სინონიმია ქანგისფერი ნივთიერება — *substantia ferruginea*.

localis, - e ადგილობრივი, ლოკალური

Longitudo, - *inis*, მდ. ლათ. სიგრძე

longitudinalis, - e გასწვრივი

longus, - a, -um ლათ. ხანგრძლივი, გრძელი

longissimus, - a, -um უგრძესი

lucidus, - a, -um, ლათ. ნათელი, გამჭვირვალე

lumbricus, - i, მ. ლათ. ჭია

lumbricalis, - e ჭიისა

lumbus, - i, მ. ლათ. წელი

lumbalis, - e წელისა

lumen, - *inis*, საშ. ლათ. სინათლე. შუქი, ანატ. სანათური; ლუ-
ლოვანი ორგანოების სანათური

luna, - ae მდ. ლათ. მთვარე

lunaris, - ae სამთვარეო, მთვარისა

lunatus, - a, -um (*lunare* რკალად მოღუნვა მსგავსად მთვა-
რის ნამგლისა) მთვარისებრი, ნამგლისებრი

lunula, - ae, მდ. ლათ. (ცნინ. სირტყვისა *luna*) პატარა მთვარე,
ნამგალი ანატ. ფრჩხილის ხალი

lunulae valvularum semilunarium ნამგლისებრი აფრების ნამ-
გლები; აორტისა და ფილტვის ღეროს სარქველების აფრის ორი ვიწ-
რო, ნამგლისებრი ნაწილი აფრის კვანძის გვერდებზე.

luteus, - a, -um, ლათ. ყვითელი

lympha, - ae, მდ. ბერძნ. გამჭვირვალე სუფთა წყალი, წყარო,
ანატ. ლიმფა; ლიმფური ძარღვებისა და კაპილარების შიგ-
თავსი.

lymphaticus, - a, -um, ლიმფური

lymphonodus, - i, მ. ლიმფური კვანძი

M

macula, - ae, მდ. ლათ. ხალი; ბადურას ყველაზე მგრძნობიარე
ადგილი, განლაგებული მხედველობის ნერვის დისკოს ლა-
ტერალურად (*BNA — macula lutea*).

maculae cribrosae დაცხრილული ხალები; უმცირესი ხვრელე-
ბის დაჭუფებები შიგნითა ყურის კარიბჭის მედიალურ კედელზე,

რომლებშიც გადიან ნერვები აპკისებრი ლაბირინთიდან. არჩევენ ზემო, შუა და ქვემო დაცხრილულ ხალს.

macula sacculi პარკუჭის ხალი; სპეციალური სენსორული არე პარკუჭის წინა კედელზე, რომელიც აგებულია საყრდენი და სპეციალური ბეწვებიანი უჯრედებისაგან, ნეიროეპითელიუმისაგან (სტატო-კინეტიკური ანალიზატორის რეცეპტორი).

macula utriculi ტიკის ხალი; სპეციალური სენსორული არე ტიკის ქვემო ლატერალურ კედელზე, რომლის აგებულება და ფუნქცია იგივეა რაც პარკუჭის ხალისა.

magnus, - a, - um, ლათ. დიდი

major, *majus*, ნათ. *majoris*, ლათ. (შედარებითი ხარისხი სიტყვ. *magnus*) უფრო დიდი, დიდი

mala, - a e, მდ. ლათ. ზედაყბა, ყვრიმალი, ლოყა

malaris, - e ლოყისა

malleolus, - i, მ. ლათ. (კნინ. სიტყვ. *malleus*) ჩაქუჩი, გოჭი

malleus, - i, მ. ლათ. ჩაქუჩი; ერთ-ერთი სასმენი ძვალი

mamilla, - ae მდ. ლათ. (კნინ. სიტყვ. *mamma*) ძუძუს დვრილი

mamillaris, - e რაც განეკუთვნება ძუძუს დვრილს, დვრილისებრი

corpora mamillaria დვრილისებრი სხეულები

mamma, - a e მდ. ლათ. (*mamma* ბერძნ. დედა) ძუძუ

mamma masculina მამაკაცის ძუძუ; წარმოადგენს რუდიმენტულ ორგანოს.

mammae accessoriae დამატებითი ძუძუები; სარძევე ჯირკვალი ვითარდება „სარძევე ხაზის“ (ეპითელიუმის ორი გასწვრივი შემსხვილება სხეულის ვენტროლატერულ კედლებზე, ილიის ფოსოდან საზარდულის მიდამომდე) ეპითელიუმისაგან. ნორმაში ადამიანის ძუძუ ვითარდება გულმკერდის მიდამოში, მაგრამ არა-იშვიათად გვხვდება დამატებითი ძუძუების განვითარება სარძევე ხაზის სხვა დონეზეც. ანომალიების განვითარების თვალსაზრისით საინტერესოა ის ფაქტი, რომ დამატებითი ძუძუები შეიძლება გაჩნდეს არა მარტო სარძევე ხაზის გასწვრივ, არამედ უჩვეულო ადგილებშიც.

mammarius, - a, - u m, ძუძუსი

mandibula, - ae მდ. ლათ. (*mandere* ლექვა) ქვედაყბა

mandibularis, - e ქვედაყბისა

manubrium, - ii, საშ. ლათ. ტარი

manubrium mallei ჩაქუჩის ტარი; მისი ქვედა ბოლო შეზრდი-
ლია დაფის აპკთან.

manubrium sterni მეკრდის ტარი

manus, - us, მდ. ლათ. ხელი, მტევანი

manualis, - e ხელისა

margo, - inis, მ. ლათ. ნაპირი, კიდე

marginalis, - e სანაპირო

masculinus, - a, - um, ლათ. (mas მამაკაცი) მამაკაცისა, მამ-
რობითი სქესისა

massa, - ae, მდ. ლათ. მასა

massa lateralis ლატერალური მასა; ატლასის გვერდითი მასე-
ბი

masseter, - eris მ. ბერძნ. (masaomai ლექვა) სალექი

musculus masseter სალექი კუნთი

massetericus, - a, - um სალექი

masticatorius, - a, - um ლათ. (masticare ლექვა) სალექი

mastoideus, - a, - um, ბერძნ. (mastos დერილი) დერილი-
სებრი

mater, - tris, მდ. ლათ. დედა, ანატ. ტვინის გარსი

matrix, - icis, მდ. ლათ. მატრიქსი, წარმოშობის წყარო, პირ-
ველი წყარო, დედისეული ქსოვილი.

matrix unguis ფრჩხილის საწოლი; აგებულია საკუთრივ კა-
ნის შემაერთებელი ქსოვილისაგან და ეპიდერმისის საზრდელი შრისა-
გან, რომელიც განსაკუთრებით არის განვითარებული ფრჩხილის
ძირის მიდამოში და გამოსკვივის ფრჩხილის ხალის სახით. ფრჩხი-
ლის საწოლი წარმოადგენს ფრჩხილის საზრდელ შრეს, რის გამოც
მას მატრიქსი ეწოდება.

maxilla, - ae, მდ. ლათ. ზედაყბა

maxillaris, - e ზედაყბისა

maximus, - a, - um, ლათ. (ალმატ. ხარისხი სიტყვ. magnus)
უდიდესი

meatus, - us, მ. ლათ. (meare სიარული) ხერელი, გასავალი,
არხი, შესავალი.

meatus acusticus internus შიგნითა სასმენი შესავალი.

meatus acusticus externus გარეთა სასმენი შესავალი

meatus nasi inferior ცხვირის ქვემო გასავალი; ცხვირის
ღრუს ნაწილი ქვემო ნიჟარის ქვეშ და ლატერალურად.

meatus nasi medius ცხვირის შუა გასავალი, ცხვირის ღრუს ნაწილი შუა ნიჟარის ქვეშ და ლატერალურად.

meatus nasi superior ცხვირის ზემო გასავალი; ცხვირის ღრუს ნაწილი ზემო ნიჟარის ქვეშ და ლატერალურად.

meatus nasopharyngeus ცხვირ-ხახის გასავალი; ცხვირის ღრუს ნაწილი, რომელიც მდებარეობს ცხვირის ნიჟარების უკანა ბოლოებზე გატარებული ფრონტალური სიბრტყის უკან.

medialis, - e, ლათ. მედიალური; მედიანურ სიბრტყესთან ახლოს მდებარე; საპირისპირო ტერმინია — ლატერალური.

medianus, - a, - u m, ლათ. მედიანური, შუა

medianus, - i, მ. ლათ. საშუალო ნერვის — nervus medianus შემოკლებული დასახელება.

mediastinum, - i, საშ. ლათ. (quod per medium stat რაც შუაში დგას, იმყოფება) შუასაყარი; სივრცე მარჯვენა და მარცხენა პლევრალურ ღრუებს შორის, რომელიც ამოვსებულია ორგანოებით (BNA — septum mediastinale).

mediastinum anterius წინა შუასაყარი; შუასაყარის ნაწილი მკერდის ძვალსა და პერიკარდიუმს შორის, რომელშიც მდებარეობს ფარისებრი შემაერთებელი ქსოვილი, ლიმფური კვანძები და გულმკერდის შიგნითა არტერიის წვრილი ტოტები.

mediastinum medium შუა შუასაყარი; შუასაყარის ნაწილი, რომელშიც მდებარეობს გული პერიკარდიუმით, ასწვრივი აორტა, ზემო ღრუ ვენის ქვედა ნაწილი, კენტი ვენის საბოლოო ნაწილი, სასულეს გაორკაპება, მთავარი ბრონქები, ფილტვის ღერო, მარჯვენა და მარცხენა ფილტვის არტერიები და ვენები, შუასაძგიდის ნერვები და ბრონქ-სასულეს ლიმფური კვანძები.

mediastinum posterius უკანა შუასაყარი; შუასაყარის ნაწილი, რომელიც წინიდან მოსაზღვრულია სასულეს გაორკაპებით, ფილტვების ფესვებით და პერიკარდიუმით, უკანიდან კი — გულმკერდის მალეებით, მასში მდებარეობს გულმკერდის აორტა, კენტი და ნახევრად კენტი ვენები, ცთომილი და შიგნეულობის ნერვები, საყლაპავი მილი, გულმკერდის სადინარი და ლიმფური კვანძები.

mediastinum superius ზემო შუასაყარი; შუასაყარის ნაწილი პერიკარდიუმის ზემოთ, მკერდის ტარსა და გულმკერდის ზედა მალეებს შორის. ქვემოდან იგი მოსაზღვრულია პირობითი სიბრტყით, რომელიც გაივლის წინიდან უკან მკერდის კუთხესა და გულმკერდის მეოთხე მალის სხეულის ქვედა ნაწილს შორის; მასში მდებარეობს მკერდ-ინის და მკერდ-ფარისებრი კუნთების დასაწყისი მონაკვეთი-

ბი, აორტის რკალი, მხარ-თავის ღერო, მარცხენა საერთო საძილე და ლავიწქვეშა არტერიები, მხარ-თავის ვენები და ზემო ღრუ ვენის ზედა ნაწილი, ნეკნთაშუა მარცხენა ზემო ვენა, ცთომილი, შუასაძგიდისა და გულის ნერვები, ხორხის მარცხენა შებრუნებული ნერვი; სასულე, საყლაბავი მილი, გულმკერდის სადინარი, ლიმფური კვანძები და მკერდუკანა ჯირკვალი.

- *mediastinum testis* სათესლის შუასაყარი; სათესლის თეთრი გარსის გასქელება სათესლის უკანა კიდის ზედა ნაწილში. (*Corpus Highmori*).

mediastinalis, - e შუასაყარისა

medius, - a, - um, ლათ. (*medium* - ii შუაგული, შუა) შუა

medulla, - ae, მღ. ლათ. ტვინი, ტვინოვანი ნივთიერება

medulla oblongata მოგრძო ტვინი

medulla ossium flava—ძვლის ყვითელი ტვინი

medulla ossium rubra ძვლის წითელი ტვინი

medulla renis თირკმლის ტვინოვანი ნივთიერება; წარმოდგენილია თირკმლის კონუსისებრი წარმონაქმნებით — პირამიდებით. ტვინოვანი ნივთიერების ზოლები შექრილია ქერქოვან ნივთიერებაში, სადაც ქმნიან ქერქოვანი წილაკების სხივისებრ ნაწილს (*BNA* — *substantia medullaris*).

medulla spinalis ზურვის ტვინი

medullaris, - e ტვინოვანი, სატვინე

membrana, - ae მღ. ლათ. მემბრანა, გარსი, აპკი

membrana atlantooccipitalis anterior ატლას-კეფის წინა აპკი; ფართო, მაგარი აპკი, რომელიც გადაკიმულია კეფის დიდი ხვრელის წინა ნაპირსა და ატლასის წინა რკალს შორის.

membrana atlantooccipitalis posterior ატლას-კეფის უკანა აპკი; ფართო, თხელი აპკი, რომელიც გადაკიმულია კეფის დიდი ხვრელის უკანა ნაპირსა და ატლასის უკანა რკალს შორის.

membrana basalis ductus semicircularis ნახევარრკალოვანი სადინარის ბაზალური აპკი; ნახევარრკალოვანი სადინარის კედლის შუა ფენა მის საკუთარ ფირფიტასა და ეპითელურ საფარველს შორის.

membranae deciduae მოსავარდნი გარსები; ეწოდება ორსული საშვილოსნოს ენდომეტრიუმს, რომელიც სცილდება საშვილოსნოს მშობიარობის დროს.

membrana fibroelastica laryngis ხორხის ფიბროელასტიკური აპკი; მოთავსებულია ხორხის ლორწოვანი გარსის ქვეშ. უკან უმაგრდება ციცხვისებრ ხრტილს, წინ — ფარისებრ ხრტილს და ხორხსარქველს, ქვემოთ კი—ბექლისებრ ხრტილს. შედგება ოთხკუთხა

აპკისა — membrana quadrangularis და ელასტიკური კონუსისაგან — conus elasticus (იხ. შესაბამისი ტერმინები). (BNA — membrana elastica laryngis).

membrana fibrosa ფიბროზული აპკი; სასახსრე ჩანთის გარეთა გარსი (BNA — stratum fibrosum).

membrana intercostalis externa ნეკნთაშუა გარეთა აპკი; ამ აპკით შევსებულია ნეკნთაშუა სივრცის ნაწილი ნეკნების ხრტილებს შორის (BNA — ligg. intercostalia externa).

membrana intercostalis interna ნეკნთაშუა შიგნითა აპკი; ამ აპკით შევსებულია ნეკნთაშუა სივრცეები ხერხემლიდან ნეკნების კუთხემდე (BNA — ligamenta intercostalia interna).

membrana interossea antebrachii წინამხრის ძვალთაშუა აპკი; ფიბროზული, ელვარე ფირფიტა, რომელიც გადაჭიმულია სხივისა და იდაყვის ძვალთაშუა კიდეებს შორის.

membrana interossea cruris კანკის ძვალთაშუა აპკი; ფიბროზული აპკი, რომლის ბოჭკოები მიემართება ქვემოთ და ლატერალურად; გადაჭიმულია დიდი და მცირე წვივის ძვალთაშუა კიდეებს შორის და თითქმის მთლიანად ავსებს კანკის ძვალთაშუა სივრცეს.

membrana obturatoria დამხურავი აპკი; უმაგრდება დახურული ხერხელის ნაპირებს და მთლიანად ავსებს ამ ხერხელს, გარდა დამხურავი ღარისა, სადაც იქმნება დამხურავი არხი.

membrana propria ductus semicircularis ნახევარკალოვანი სადინარის საკუთარი ფირფიტა; ნახევარკალოვანი სადინარის კედლის გარეთა შემაერთებელქსოვილოვანი გარსი.

membrana pupillaris გუგის აპკი; სისხლძარღვოვანი აპკი, რომლითაც დახურულია ნაყოფის გუგა. ჩანასახოვანი ცხოვრების ექვსი თვის შემდეგ განიცდის უკუგანვითარებას. (Membrana Wachendorffi).

membrana quadrangularis ოთხკუთხა აპკი; ხორხის ფიბროელასტიკური აპკის ზედა ნაწილი, რომლის ქვემო ნაპირი ქმნის კარიბჭის იოგს.

membrana reticularis ბადისებრი აპკი; მეტად თხელი, ნაზი აპკი, რომლითაც დაფარულია სპირალური ორგანოს ბეწვებიანი უჯრედების თავისუფალი ზედაპირი. ბეწვებიანი უჯრედების ბეწვები გამოშვერილია ბადისებრი აპკიდან.

membrana spiralis სპირალური აპკი ანუ ლოკოკინას სადინარის დაფისეული კედელი; გადაჭიმულია ძვლოვანი სპირალური ფირფიტის კიდის დაფისეულ ბაგესა და ლოკოკინას არხის გარეთა კედელს

შორის, სადაც ფიქსირებულია სპირალური იოგით. სპირალურ აპკზე განლაგებულია სპირალური ორგანო.

membrana stapedis უზანგის აპკი; გადაჭიმულია უზანგის ფეხებსა და ფუძეს შორის.

membrana statoconiorum სტატოკონიების აპკი; შედგება ლაბასებრი ქსოვილისაგან, რომელშიც ჩართულია სტატოკონიები; მოთავსებულია ტიკისა და პარაკუქის ხალების ბეწვებიანი უჯრედების — ნეიროეპითელიუმის თავისუფალ ზედაპირზე და პენეტრირებულია ბეწვებიანი უჯრედების ბეწვებით.

membrana sterni მკერდის აპკი; იქმნება მკერდ-ნეკნის მარჯვენა და მარცხენა სხივისებრი იოგებით მკერდის ძვლის წინა ზედაპირზე.

membrana suprapleuralis პლევრასზედა აპკი; სუპრაპლევრული აპკი; გულმკერდის შიგნითა ფასციის ზედა ნაწილი, რომელიც წინ უმაგრდება პირველი ნეკნის შიგნითა კიდეზე, უკან კი — კისრის მეშვიდე მალის განივ მორჩს; ამაგრებს პლევრის გუმბათს. (Sibson).

membrana synovialis სინოვიური აპკი; სასახსრე ჩანთის შიგნითა გარსი, რომელიც შიგნიდან ამოფენილია ენდოთელიუმით, ქმნის სინოვიურ ხაობებსა და ნაოკებს, გამოყოფს სინოვიურ სითხეს. (BNA — stratum synoviale).

membrana tectoria მფარავი აპკი; 1. ატლას-აქსისის სახსრის მფარავი აპკი; უკანიდან ფარავს ატლას-აქსისის სახსრების იოგოვან აპარატს, იწყება თავქვედან და უმაგრდება კისრის მესამე მალის სხეულს, ქვემოთ გრძელდება უკანა გასწვრივ იოგში. 2. ლოკოკინას სადინარის მფარავი აპკი; მისი ფიქსირებული კიდე უმაგრდება ძვლოვანი სპირალური ფირფიტის კარიბჭისებულ ბაგეს. წარმოადგენს ლაბასებრი კონსისტენციის ლენტისებრ ფირფიტას, რომელიც ვრცელდება სპირალური ორგანოს მთელ სიგრძეზე და ეკვრის მისი ბეწვებიანი უჯრედების წვეროებს. (Cortii.)

membrana thyrohyoidea ფარ-ინის აპკი; ფართო, ფიბროზულ-ელასტიკური აპკი ფარისებრი ხრტილის ზემო ნაპირსა და ინის ძვალს შორის, რომლის წინა გასქელებული ნაწილი ქმნის ფარ-ინის შუა იოგს, ხოლო უკანა გასქელებული ნაპირები — ფარ-ინის იოგებს. (BNA — *membrana hyothyroidea*).

membrana tympani დაფის აპკი; მოთავსებულია გარეთა და შუა ყურის საზღვარზე, დგას ირიბად და დახრილია წინ და ქვემოთ. მისი უმეტესი, დაჭიმული ნაწილი ფიქსირებულია ფიბროზულ-ხრტილოვან-

ნი რგოლით დაფის ღარში, მოდუნებული ნაწილი კი, რომელიც შეესაბამება დაფის ნაქდევს, უმაგრდება საფეთქლის ძვლის ქიცვს.

membrana tympani secundaria დაფის მეორეული აპკი; აპკი, რომლითაც დახურულია ლოკოკინას სარკმელი. (*Membrana Scarpa*).

membrana vestibularis კარიბჭის აპკი ანუ ლოკოკინას საღინარის კარიბჭისეული კედელი; გადაჭიმულია ძვლოვან სპირალურ ფირფიტასა და ლოკოკინას გარეთა კედელს შორის. წარმოადგენს ლოკოკინას საღინარის ყველაზე თხელ კედელს, რომლითაც გამიჯნულია კარიბჭის კიბე და ლოკოკინას საღინარი (*BNA — membrana vestibularis Reissneri*).

membrana vitrea მინისებრი აპკი; გარს ეკვრის მინისებრ სხეულს, წარმოადგენს თხელ, უსტრუქტურო, სრულიად გამჭვირვალე გარსს, რომელიც თავისი გარეთა ზედაპირით ეკვრის ბადურას, ხოლო შიგნითა ზედაპირით ძალიან მჭიდროდ არის შეერთებული მინისებრი სხეულის მასასთან (*BNA — membrana hyaloidea*).

membranaceus, - a, - um, აპკისებრი

membranosus, - a, - um აპკოვანი

membrum, - i, საშ. ლათ. კიღური

membrum inferius ქვემო კიღური (*BNA — extremitas inferior*).

membrum superius ზემო კიღური (*BNA — extremitas superior*)

meninx, - ingis, მდ. ბერძნ. ტვინის გარსი

meningeus, - a, - um ტვინის გარსისა, მენინგეალური

meniscus, - i, მ. ბერძნ. (*meniskos* კნინ. სიტყვ. *mene* მოვარე) მენისკი;

meniscus articularis სასახსრე მენისკი; ბოჭკოვან-ხრტილოვანი, ნამვლისებრი წარმონაქმნი, რომელიც სახსარშიგა დისკოებთან ერთად განეკუთვნება სახსარშიგა ხრტილებს.

meniscus lateralis et medialis ლატერალური და მედიალური მენისკი; მუხლის სახსრის მენისკები.

mentum, - i, საშ. ლათ. ნიკაპი

mentalis, - e ნიკაპისა

mesencephalon, - i, საშ. ბერძნ. (*mesos* შუა, *enkephalon* თავის ტვინი) შუა ტვინი; ტვინის ნაწილი, რომელიც მოიცავს შუა ტვინის სახურავს—*tectum mesencephali* და დიდი ტვინის ფეხს. განივ განაკვეთზე დიდი ტვინის ფეხი—*pedunculus cer-*

ebri შავი ნივთიერებით იყოფა დორსალურ და ვენტრალურ ნაწილებად. დორსალურ ნაწილს ჰერი—*tegmentum* ეწოდება, ვენტრალურს კი დიდი ტვინის კანკი — *crus cerebri*.

mesencephalicus, - a, - um მეზენცეფალური, შუა ტვინის *mesenterium*, - ii, საშ. ლათ. (*mesos* შუა, *enteron* ნაწლავი) ჯორჯალი; პერიტონეუმის დუპლიკატურა, რომლითაც ნაწლავი უმაგრდება მუცლის უკანა კედელს. ჩვეულებრივ ამ ტერმინით აღინიშნება წვრილი ნაწლავის ჯორჯალი. სხვა ორგანოების ჯორჯალს კი სპეციალური დასახელებანი აქვთ. ჯორჯლის ორ ფურცელს შორის გაივლის სისხლსა და ლიმფური ძარღვები და ნერვები.

mesenterium dorsalis communis საერთო დორსალური ჯორჯალი; წარმოადგენს ჩანასახის დორსალური ჯორჯლის ნაწილს, რომლითაც მუცლის უკანა კედელზე მიმაგრებულია წვრილი და წმსხვილი ნაწლავი. საერთო დორსალური ჯორჯლიდან ვითარდება წვრილი ნაწლავის, კიანაწლავისა, განივი და სიგმოიდური კოლინჯის ჯორჯალი. მსხვილი ნაწლავის დანარჩენ ნაწილებში იგი ქრება. საერთო დორსალური ჯორჯალი ანომალიის სახით შეიძლება შემორჩეს დაბადების შემდეგაც და მაშინ ნაწლავის ყველა განყოფილება ინარჩუნებს ჯორჯალს და ისანი მოთავსებული არიან ინტრაპერიტონეულად (*BNA — mesenterium communae*).

mesenterialis, - e ჯორჯლისა

mesentericus, - a, - um ჯორჯლისა

meso, - ბერძნ. (*mesos*) შორის, შუა

mesoappendix, - icis, მდ. კიანაწლავის ჯორჯალი; პერიტონეუმის დუპლიკატურა, სამკუთხა ფორმის ჯორჯალი, რომელიც ერთი მხრივ უმაგრდება კიანაწლავს მთელ სიგრძეზე, მეორე მხრივ კი—წვრილი ნაწლავის ჯორჯლის ქვედა ბოლოს. მის ორ ფურცელს შორის მოთავსებულია სისხლისა და ლიმფური ძარღვები, ნერვები და ლიმფური კვანძები.

mesocolon, - i, საშ. კოლინჯის ჯორჯალი

mesocolon sigmoideum სიგმოიდური კოლინჯის ჯორჯალი; პერიტონეუმის დუპლიკატურა, მოთავსებულია თეძოს მარცხენა ფოსოში, მისი ფესვი მიემართება ზემოდან ქვემოთ და მარჯვნივ სასაზღვრო ხაზისაკენ და აღწევს გავის III მალის წინა ზედაპირს.

mesocolon transversum განივი კოლინჯის ჯორჯალი; წარმოადგენს პერიტონეუმის დუპლიკატურას, რომლის ფესვის მიმაგრების

ბაზი მარჯვნიდან მარცხნივ გადაკვეთს მარჯვენა თირკმლის ზემო ბოლოს, თორმეტგოჯა ნაწლავის დასწვრივ ნაწილს, პანკრეასის თავს, პანკრეასის სხეულის ქვემო კიდეს და მარცხენა თირკმლის წინა ზედაპირს.

mesogastrium, - ii, საშ. კუჭის ჯორჯალი; ჩანასახის დორსალური ჯორჯლის ნაწილი კუჭსა და მუცლის უკანა კედელს შორის. როდესაც კუჭი შემობრუნდება ვერტიკალური ღერძის გარშემო, კუჭის ჯორჯალი გრძელდება, ორად იკეცება და ქმნის პერიტონეუმის ოთხი ფურცლისაგან შემდგარ დიდ ბადეჭონს.

mesometrium, - ii, საშ. საშვილოსნოს ჯორჯალი; საშვილოსნოს განიერი იოგის ნაწილი საკვერცხის ჯორჯლის ქვემოთ.

mesonephros, - i, მ. მეზონეფროსი; პირველადი თირკმელი; ძუძუმწოვართა ემბრიონის პროვიზორული ორგანო, რომელიც შედგება მეზონეფროსის სადინარის ზედა ნაწილის მედიალურად მდებარე განივი მილაკებისაგან. განივი მილაკების ერთი ბოლო მთავრდება ყრუდ, მეორე ბოლო კი იხსნება მეზონეფროსის სადინარში. მამაკაცში მეზონეფროსის ნაშთს წარმოადგენს: სათესლის გამომტანი მილაკები, ცთომილი მილაკები და რუდიმენტული ორგანო პარადიდიმისი, ქალში კი — ეპოოფორონისა და პაროოფორონის რუდიმენტული მილაკები. მეზონეფროსს მეორეულ თირკმელსაც უწოდებენ (BNA — corpus Wolffii).

mesorchium, - ii, საშ. სათესლის ჯორჯალი; სათესლე დართულია ჯორჯლით ჩანასახოვან პერიოდში. ჯორჯლის საშუალებით სათესლე უმაგრდება მუცლის უკანა კედელს. ზოგიერთ ძუძუმწოვარს, რომელსაც აღენიშნება სათესლის სეზონური დაშვება, სათესლის ჯორჯალი შემორჩება მთელი სიცოცხლის განმავლობაში. ძუძუმწოვართა უმეტეს ნაწილს, ადამიანის ჩათვლით, რომელთაც სათესლე სამუდამოდ ეშვებათ სათესლის პარკში, სათესლის ჯორჯალი მხოლოდ ნაყოფის პერიოდში აქვთ.

mesosalpinx, - gis, მდ. საშვილოსნოს ლულის ჯორჯალი; საშვილოსნოს განიერი იოგის სამკუთხა, ზედა ნაწილი საკვერცხის ჯორჯალსა და საშვილოსნოს ლულას შორის.

mesotendineum, - ii, საშ. მყესის ჯორჯალი; მყესის სინო-
ვიური ბუდის დუპლიკატურა, რომელიც იქმნება მყესის სი-
ნოვიური ბუდის პარიეტული ფირფიტის ვისცერულ ფირფი-
ტაში გადასვლის ადგილას. ჯორჯლის ორ ფირფიტას შორის
მოთავსებულია ნერვები და სისხლძარღვები მყესისათ-
ვის.

mesothelium, - ii, საშ. მეზოთელიუმში ერთშირიანი ბრტყე-
ლი ეპითელიუმში, რომლითაც ამოფენილია სეროზული
გარსები (პერიტონეუმი, პერიკარდიუმი, პლევრა, სათეს-
ლის სეროზული გარსი)

mesovarium, - ii, საშ. საკვერცხის ჯორჯალი; პერიტონეუ-
მის კალთა, დუპლიკატურა, რომლითაც საკვერცხე უმაგრ-
დება საშვილოსნოს განიერ იოვს

meta -, ბერძნ. შემდეგ, იქით, შორის, შუა

metacarpus, - i, მ. ბერძნ. (karpos ხელის მტევანი) ნები
metacarpalis, - e ნებისა

metaphysis, - is, მ. მეტაფიზი; გრძელი ძვლის ნაწილი ეპიფი-
ზსა და დიაფიზს შორის

metatarsus, - i, მ. წინა ტერფი
metatarsalis, - e წინა ტერფისა

metathalamus, - i, საშ. მეტათალამუსი; მხედველობის ბორ-
ცვის უკანა მიდამო; შუამდებარე ტვინის ნაწილი, რომელიც
მოიცავს ლატერალურ და მედიალურ დამუხვებელ სხეულებს

metencephalon, - i, საშ. (enkephalon თავის ტვინი) მე-
ტენცეფალონი, უკანა ტვინი; შედგება ხილისა და ნათხე-
მისაგან.

minimumus, - a, - um, ლათ. (აღმატ. ხარ. სიტყვისათვის parvus)
მეტად პატარა, უმცირესი.

digiti minimus ნეკი

minor, minus, ლათ. (შედარებითი ხარისხი სიტყვისათვის
parvus) უფრო პატარა, უფრო მცირე, მცირე.

mirabilis, - e, ლათ. (mirare გაკვირვება) საკვირველი, საო-
ცარი

rete mirabile საოცარი ბადე

mitra, - ae, მდ. ბერძნ. მიტრა, თავსახვევი

mitralis, - e მიტრალური, ორკარიანი

mobilis, - e, ლათ. (movere მოძრაობაში მოყვანა) მოძრავი
pars mobile septi nasi ცხვირის ძვილის მოძრავი ნაწილი

modiolus, - i, მ. ლათ. (ცნინ. სიტყვისა *modius* საწყაო) ლერძი; ლოკოინას კონუსისებრი ძვლოვანი ლერძი, რომელიც ქმნის ლოკოინას სპირალური არხის შიგნითა კედელს და აგებულია ღრუბლისებრი ძვლოვანი ნივთიერებისაგან. ლერძის ფუძე ჩადგმულია ლოკოინას ძირითად ხვეულში, შეზრდილია მასთან და მიქცეულია შიგნითა სასმენი შესავლის ძირისაკენ. ლერძის მწვერვალი მთავრდება ლოკოინას მწვერვალში ლერძის ფირფიტით.

mola, - a e, მდ. ლათ. წისქვილის ქვა; ანატომიაში იხმარება ამ სიტყვიდან ნაწარმოები ზედსართავი — *molaris*, - e დიდი ძირითადი კბილების, როგორც დამფქველი აპარატის, აღსანიშნავად.

molaris, - e წისქვილის ქვისა, ანატ. მოლარული, დიდი ძირითადი კბილებისა.

dentes molares დიდი ძირითადი კბილები

mollis, - e, ლათ. რბილი

mons, - tis, მ. ლათ. მთა, მაღლობი

mons pubis ბოქვენის მაღლობი; კანის შემალღება ბოქვენის სიმფიზის წინ და დიდი სასირცხო ბაგეების ზემოთ, რომელიც გამოწვეულია კანქვეშა ცხიმოვანი ბალიშით. ბოქვენის მაღლობი და დიდი სასირცხო ბაგეების გარეთა ზედაპირი დაფარულია თმით. მას ვენერის მაღლობსაც უწოდებენ.

monticulus, - i, მ. ლათ. (ცნინ. სიტყვისა *mons*) მაღლობი, გორაკი; ნათხემის ქიის ზემო ზედაპირზე მდებარე წილაკის ძველი დასახელება, რომელსაც ახლა შეესაბამება ქიის კენწერო და ფერდობი.

motor, - is, მ. ლათ. ამამოძრავებელი, ძრავა

motorius, - a, - um მოტორული, მამოძრავებელი

mucus, - i, მ. ლათ. ლორწო

mucosus, - a, - um ლორწოვანი

multifidus, - a, - um, ლათ. (*multus* მრავალი, *findere* ორად გაყოფა, გაპობა) მრავალწილოვანი

musculus multifidus მრავალწილოვანი კუნთი

musculus, - i, მ. ლათ. (ბერძნ. *mys*, ლათ. *mus*, თაგვი) კუნთი

muscularis, - e კუნთოვანი

myel, -, *myelo*-, ბერძნ. (*myelos* ძვლის ტვინი, მოგრძო ტვინი)

რთულ სიტყვებში ნიშნავს რაც განეკუთვნება ძვლის ტვინს
ან მოგრძო ტვინს.

m y e l e n c e p h a l o n, - i საშ. (myel -, + enkephalon თავის
ტვინი) მოგრძო ტვინი, მიელენცეფალონი; რომბისებრი
ტვინის კაუდალური ნაწილი, რომლისგანაც ვითარდება
მოგრძო ტვინი — medulla oblongata.

m y o c a r d i u m, - i i, საშ. (mys, myos კუნთი, cardia გული)
მიოკარდიუმი, გულის კუნთი; გულის კუნთოვანი გარსი.

m y o m e t r i u m, - i i, საშ. (mys, myos კუნთი, metra საშვი-
ლოსნო) მიომეტრიუმი, საშვილოსნოს კუნთოვანი გარსი

N

n a r i s, - i s, მდ. ლათ. ნესტო

n a s u s, - i, მ. ლათ. ცხვირი

nasalis, - e ცხვირისა

n a t i s, - i s, მდ. ლათ. დუნდულო

n a t u s, - a, - u m, ლათ. შობილი

n a v i c u l a, - a e მდ. ლათ. (ცნინ. სიტყვ. navis ნავი) პატარა ნა-
ვი

n a v i c u l a r i s, - e ნავისებრი

n e o n a t u s, - i, მ. ლათ. (neos ახალი, natus „შობილი“) ახალშო-
ბილი

n e r v u s, - i, მ. ლათ. (neuron თავდაპირველი მნიშვნელობით მყე-
სი, აქედან — aponeurosis აპონევროზი) ნერვი |

nervi spinales სპინალური (ზურგის ტვინის) ნერვები; წარმო-
დგენილია 31 წყვილი შერეული ხასიათის ნერვით (8-კისრის,
12 — გულმკერდის, 5 — წელის, 5 — გავისა და 1 — კუდუსუნის);
იქმნება დორსალური სენსორული და ვენტრალური მოტორული ფეს-
ვების შეერთებით. სპინალური ნერვი შეიცავს შემდეგი ტიპის ბოჭ-
კოებს: სომურ აფერენტულ (ატარებენ ტკივილის, თერმულ და ტაქ-
ტილურ იმპულსებს სხეულის ზედაპირიდან და პროპრიოცეპტულ
იმპულსებს მყესებიდან და კუნთებიდან); ვისცერულ აფერენტულ
(ატარებენ იმპულსებს შინაგანი ორგანოებიდან); სომურ ეფე-
რენტულ ბოჭკოებს (ანერვებენ სომურ მუსკულატურას) და
ვისცერულ ეფერენტულ ბოჭკოებს (განეკუთვნებიან ორნეირო-

ნიანი ჯაქვის ელემენტებს, რომლებიც ანერვებენ გლუვ კუნთებს და ჯირკვლებს). აფერენტული ნეირონების სხეულები განლაგებულია სპინალურ კვანძში, სომური ეფერენტული ნეირონებისა—ზურგის ტვინის წინა რქაში, ხოლო ვისცერული ეფერენტული ნეირონებისა—ზურგის ტვინის გვერდით რქაში. მალთაშუა ხვრელიდან გამოსვლის შემდეგ სპინალური ნერვი იყოფა ოთხ ტოტად; 1. დორსალურ; 2. ვენტრალურ; 3. მენინგეალურ და 4. შემაერთებელ ტოტებად. დორსალური ტოტი მიემართება უკან და ანერვებს ზურგის აუტოქტონურ კუნთებს და კანს. ვენტრალური ტოტი მიემართება წინ და ანერვებს ტანის ვენტრალურ კედელს და კიდურებს. თავდაპირველ მეტამერულობას ვენტრალური ტოტები მხოლოდ გულმკერდის მიდამოში ინარჩუნებენ, სხვა მიდამოებში კი ისინი იხლარებიან და ქმნიან კისრის, მხრის, წელის, გავისა და კუდუსუნის წნულებს. მენინგეალური ტოტი მალთაშუა ხვრელით ბრუნდება ხერხემლის არხში და ანერვებს ზურგის ტვინის გარსებს. შემაერთებელი ტოტებით სპინალური ნერვი უკავშირდება სიმპათიკურ წველს.

nervus abducens განშზიდველი ნერვი; კრანიალური ნერვების VI წყვილი; მამოძრავებელი ნერვია, რომლის განვითარება დაკავშირებულია თავის მიოტომებთან; ახდენს თვალის კაკლის გარეთა კუნთის ინერვაციას.

nervus accessorius დამატებითი ნერვი; კრანიალური ნერვების XI წყვილი; მამოძრავებელი ნერვია, რომლის განვითარება დაკავშირებულია ბოლო სალაცუჩე რკალებთან; შედგება კრანიალური და სპინალური ფესვებისაგან; ახდენს ტრაპეციული და მკერდ-ლავიწდვრილისებრი კუნთების ინერვაციას.

nervus facialis სახის ნერვი; კრანიალური ნერვების VII წყვილი; შერეული ხასიათის ნერვია, რომლის განვითარება დაკავშირებულია მეორე სალაცუჩე რკალთან; მამოძრავებელი ბოჭკოებით ახდენს მიმიკური კუნთების და უზანგის კუნთის ინერვაციას. სახის ნერვის შემადგენლობაში გაივლის შუამდებარე ნერვი, რომელიც პარასიმპათიკური სეკრეტორული ბოჭკოებით ახდენს სახის ღრუების თითქმის ყველა ჯირკვლების ინერვაციას, გარდა ყბა-ყურის ჯირკვლისა. შუამდებარე ნერვი შეიცავს მგრძნობიარე ბოჭკოებსაც, რომლებიც დამუხვლილ კვანძში აღმოცენდებიან. ამათგან გემოვნების ბოჭკოები ატარებენ იმპულსებს ენის წინა ორი მესამედიდან, ხოლო აფერენტული სომური ბოჭკოები — ყურის კანის მცირე უბნიდან.

nervus glossopharyngeus ენა-ხახის ნერვი, კრანიალური ნერვების IX წყვილი; შერეული ხასიათის ნერვია, რომლის განვითარება დაკავშირებულია მესამე სალახუჩე რკალთან; შეიცავს: 1. მგრძობიარე ბოჭკოებს, რომლებიც ენა-ხახის ნერვის ზემო და ქვემო კვანძებში აღმოცენდებიან და ატარებენ იმპულსებს ყურის კანის მცირე უბნიდან, პირ-ხახის, სასის რკალების, ნუშების, დაფის ღრუსა და სასმენი ლულის ლორწოვანი გარსიდან და ენის უკანა მესამედიდან (გემოვნების ბოჭკოები); 2. სპეციალურ ვისცერულ ეფერენტულ ბოჭკოებს სადგის-ხახის კუნთის საინერვაციოდ და 3. პარასიმპათიკურ სეკრეტორულ ბოჭკოებს ყბა-ყურის ჭირკვლისათვის.

nervus hypoglossus ენისქვეშა ნერვი; კრანიალური ნერვების XII წყვილი. ემბრიონულ პერიოდში რომბისებრი ფსოსს ქვედა ნაწილში ჩაისახება რამდენიმე სეგმენტურად განლაგებული ბირთვი, როგორც ზურგის ტვინის წინა რქის უშუალო გაგრძელება. ამ ბირთვიებიდან გამოდის 3—5 ნერვული ღერო, რომელთა შერწყმით წარმოიქმნება ენისქვეშა ნერვი. მამოძრავებელი ნერვია და ანერვებს ენის კუნთებს.

nervus oculomotorius თვალის მამოძრავებელი ნერვი; კრანიალური ნერვების III წყვილი; მამოძრავებელი ნერვია, რომლის განვითარება დაკავშირებულია თავის მიოტომებთან; სომური ეფერენტული ბოჭკოებით ანერვებს თვალის კაკლის ქვემო და მედიალურ სწორ და ქვემო ირიბ კუნთებს და ზემო ქუთუთოს ამწვე კუნთს; შეიცავს აგრეთვე დამატებით ბირთვში აღმოცენებულ პარასიმპათიკურ ბოჭკოებს გუგის სფინქტერისა და წამწამოვანი კუნთის საინერვაციოდ.

nervi olfactorii ყნოსვის ნერვები; კრანიალური ნერვების I წყვილი; მსგავსად მხედველობის ნერვისა იზრდება თავის ტვინიდან და თავისი წარმოშობით და აგებულებით განსხვავდება სხვა მგრძობიარე ნერვებისაგან; შედგება 15—20 ნერვისაგან, რომლებიც წარმოადგენენ ყნოსვის უჯრედების ცენტრალური მორჩების ერთობლიობას. ყნოსვის ნერვები დაცხრილული ფირფიტით შედიან ქალას ღრუში და მთავრდებიან ყნოსვის ბოლქვში.

nervus opticus მხედველობის ნერვი; კრანიალური ნერვების II წყვილი; წარმოადგენს წინა სატვინე ბუშტის ლატერალური კედლის გამონაზარდს; შედგება ბადურას განგლიონური უჯრედების ცენტრალური მორჩებისაგან, რომლებიც მხედველობის ჭვარედინის და ტრაქტის გავლით აღწევენ მხედველობის ქერქქვეშა ცენტრებს.

nervi terminales ტერმინალური ნერვები; ბოლო ნერვები; რამდენიმე ნერვული ტოტი ყნოსვის ტრაქტისა და ბოლქვის მედიალური ზედაპირის გასწვრივ, რომლებიც გაივლიან დაცხრილულ ფირფიტას და ვრცელდებიან ცხვირის ღრუს ლორწოვან გარსში; შეიცავენ ამ ტოტებზე მიმობნეული ბიპოლარული და მულტიპოლარული უჯრედების ურბილგარსო ბოქოებს. ცხოველებში აღწერილია ამ ნერვის ცენტრალურად გავრცელება ყნოსვის სამკუთხედში, სასაზღვრო ფირფიტაში და ჰიპოთალამურ მიდამოში. ტერმინალური ნერვების კავშირები და ფუნქცია გაურკვეველია. ზოგი მათ მიაკუთვნებს ავტონომიური ნერვული სისტემის კრანიალურ ნაწილს, რომლითაც ინერვირდება ცხვირის ღრუს სისხლძარღვები და ჭირკვლები.

nervus trigeminus სამწვერა ნერვი; კრანიალური ნერვების V წყვილი; შერეული ხასიათის ნერვია, რომლის განვითარება დაკავშირებულია I სალახუჩე რკალთან; შედგება მამოძრავებელი და მგრძნობიარე ფესვისაგან. მამოძრავებელი ფესვის სპეციალური ვისცერული ეფერენტული ბოქოები ანერვებენ საღეკ კუნთებს, ყბა-ინის კუნთს, ორმუცელა კუნთის წინა მუცელს და დაფისა და სასის გამჭიმავ კუნთებს. მგრძნობიარე ფესვზე განლაგებულია სამწვერა კვანძი, რომლის უჯრედებში აღმოცენებული ბოქოები ატარებენ იმპულსებს სახისა და შუბლის კანის, პირის ღრუს ლორწოვანი გარსის, კბილების და თავის ტვინის გარსების რეცეპტორებიდან და აგრეთვე კუნთებიდან.

nervus trochlearis ჭალის ნერვი; კრანიალური ნერვების IV წყვილი; მამოძრავებელი ნერვია, რომლის განვითარება დაკავშირებულია თავის მიოტომებთან; შეიცავს სომურ ეფერენტულ ბოქოებს თვალის კაკლის ზემო ირიბი კუნთის საინერვაციოდ.

nervus vagus ცთომილი ნერვი; კრანიალური ნერვების X წყვილი; შერეული ხასიათის ნერვია, რომლის განვითარება დაკავშირებულია IV და მომდევნო სალახუჩე რკალებთან; შეიცავს სპეციალურ ვისცერულ ეფერენტულ ბოქოებს, რომლებიც ანერვებენ ხორხისა და ხახის ბრანქიომერული წარმოშობის კუნთებს; პარასიმპათიკურ ბოქოებს, რომლებიც ტერმინალურ კვანძებში განლაგებულ პოსტგანგლიონურ ნეირონებზე გადართვის შემდეგ ანერვებენ გულის კუნთს, სისხლძარღვებს, სასულეს, ბრონქების, საყლაპავი მილის, კუჭისა და ნაწლავების (სიგმოიდურ კოლინჯამდე) კუნთოვან გარსს და ჭირკვლებს, ღვიძლს, პანკრეასს, ელენთას და თირკმელს. ცთომილი ნერვის აფერენტული ბოქოები აღმოცენდებიან ზემო და ქვემო სენსორულ კვანძებში. სომური აფერენტული ბოქოები ატარებენ იმპულსებს ყურის

კანიდან, ვისცერული აფერენტული ბოჭკოები — ზემოთ ჩამოთვლილი ორგანოების რეცეპტორებიდან, ხოლო გემოვნების ბოჭკოები (სპეციალური ვისცერული აფერენტული ბოჭკოები) — ხორხსარქველის ლორწოვან გარსში მიმობნეული გემოვნების კვირტებიდან.

nervus vestibulocochlearis (N. octavus) კარიბჭე-ლოკოკინას ნერვი (მერვე ნერვი); კანიალური ნერვების VIII წყვილი; სენსორული ნერვი; შედგება ორი ნაწილისაგან: კარიბჭისა და ლოკოკინასი. კარიბჭისეული ნაწილის სენსორული კვანძი მდებარეობს შიგნითა სასმენი შესავლის ძირზე, ამ კვანძის ბიპოლარული უჯრედების პერიფერიული მორჩები ბოლოვდებიან ნახევარკალოვანი სადინარების ამპულების ქედებში და ტიკისა და პარკუქის ხალებში, ცენტრალური ბოჭკოები კი — კარიბჭის მედიალურ, ლატერალურ, ზემო და ქვემო ბირთვებში. კარიბჭისეული ნაწილის ბოჭკოები ატარებენ შიგნითა ყურიდან წონასწორობის იმპულსებს და განიხილება როგორც სპეციალური სომატური აფერენტული — პროპრიოცეპტული ბოჭკოები. ლოკოკინასეული ნაწილის სენსორული კვანძი — სპირალური კვანძი მდებარეობს ლოკოკინას ღერძის სპირალურ არხში; ამ კვანძის ბიპოლარული უჯრედების პერიფერიული ბოჭკოები ბოლოვდება სპირალურ ორგანოში, ცენტრალური ბოჭკოები კი ხიდში — ლოკოკინას ვენტრალურ და დორსალურ ბირთვში. ლოკოკინასეული ნაწილის ბოჭკოები ატარებენ ბევრით იმპულსებს და განეკუთვნებიან სპეციალური სომატური აფერენტული ბოჭკოების კატეგორიას

nervosus, - a, - um ნერვული

neuroepithelium, - ii, საშ. ნეიროეპითელაუმი; განსაკუთრებული ნერვული უჯრედები, რომლებიც ალიქვამენ და გადასცემენ ნერვულ იმპულსებს. პარიზის ანატომიური ნომენკლატურის თანახმად ეს ტერმინი იხმარება ბადურას ფოტორეცეპტორებისა და ამპულების ქედებში და ტიკისა და პარკუქის ხალებში განლაგებული ბეწვებიანი უჯრედების მიმართ

neurohypophysis, - is, მ. ნეიროჰიპოფიზი; ტვინის დანამატის უკანა წილი; ტვინის დანამატის წინა წილისაგან განსხვავებით, უკანა წილი ვითარდება შუამდებარე ტვინის გამონაზარდიდან — ძაბრის მორჩიდან იხ. *hypophysis*.

nervon, - i, საშ. ბერძნ. (თავდაპირველად ნიშნავდა მყესს) ნეირონი, ნერვული უჯრედი.

niger, - gra, - grum, ლათ. შავი

n o d u l u s, - i, მ. ლათ. (ცნინ. სიტყვ. *nodus*) კვანძი

noduli thymici accessorii მკერდუკანა ჭირკვლის დამატებითი კვანძები; მკერდუკანა ჭირკვლის ქსოვილის მომცრო, იზოლირებული კვანძები, რომლებიც ზოგჯერ გვხვდება ფარისებრი ჭირკვლის მახლობლად

noduli valvularum semilunarium ნამგლისებრი აფრების კვანძები; აორტისა და ფილტვის არტერიის სარქველების ყოველი აფრის თავისუფალი ნაპირის შუაში განლაგებულია ერთი მომცრო კვანძი. ეს კვანძები ხელს უწყობენ სარქველის უფრო მჭიდრო დახურვას. (*Arantii*).

n o d u s, - i, მ. ლათ. კვანძი

nodosus, - a, - um კვანძიანი, კვანძისა

n o m e n, - i n i s, საშ. ლათ. სახელი, დასახელება

n o m e n c l a t u r a, - a e, მდ. ლათ. (*nomen* სახელი, *calare* სახელის დარქმევა) ნომენკლატურა; სისტემაში მოყვანილი სპეციალურ სახელწოდებათა ნუსხა, რომელიც მიღებულია მეცნიერების რომელიმე დარგში.

n o r m a, - a e, მდ. ლათ. ნორმა, წესი, კანონი, ნიმუში

n o r m a l i s, - e ნორმალური, მართებული, ჩვეულებრივი

n u c h a, - a e მდ. არაბ. კეფა, კისრის უკანა ნაწილი

n u c h a l i s, - e კეფისა, ქედისა

n u c l e o l u s, - i, მ. ლათ. ბირთვაკი

n u c l e u s, - i, მ. ლათ. (*nux* კაკალი, კაკლის გული) ბირთვი; ანატომიაში ამ ტერმინით აღინიშნება: 1. უჯრედის ბირთვი, 2. რაიმე წარმონაქმნის შუა ადგილი, მაგალითად, მალთაშუა დისკოს რბილი ბირთვი, ბროლის ბირთვი, 3. ცენტრალურ ნერვულ ქსისტემაში განლაგებული უჯრედების გროვა.

nucleus ambiguus ორმაგი ბირთვი; განლაგებულია მოგრძო ტვინში, ცთომილი ნერვის სამკუთხედის სისტემაში. ამ მოტორულ ბირთვში აღმოცენდებიან ბრანქიომერული წარმოშობის კუნთების საინერვაციო ბოჭკოები რომლებიც შედიან ენა-ხახისა, ცთომილი და დამატებითი ნერვის შემადგენლობაში.

nuclei arcuati რკალოვანი ბირთვები; ნერვული უჯრედების გროვები მოგრძო ტვინის პირამიდის ვენტრალურ და მედიალურ ზედაპირზე; ამ ბირთვების ნეირონებზე ხდება ვენტრალური გარეთა რკალოვანი ბოჭკოების გადართვა.

nucleus caudatus კუდიანი ბირთვი; რუხი ნივთიერების მასა

განლაგებული მხედველობის ბორცვის ლატერალურად; წარმოადგენს დიდი ტვინის ჰემისფეროს ქერქქვეშა ბირთვს და შედის ზოლიანი სხეულის შემადგენლობაში.

nuclei cochleares, ventralis et dorsalis ლოკოკინას ბირთვები, ვენტრალური და დორსალური; განლაგებული არიან ხიდში, ლოკოკინას არეს სისქეში. ამ ბირთვებში განლაგებულია სმენის ანალიზატორის მეორე ნეირონები.

nucleus colliculi inferioris ქვემო გორაკის ბირთვი; განლაგებულია შუა ტვინის ქვემო გორაკის სისქეში; ამ ბირთვში მთავრდება ლატერალური მარყუჟის ბოქკოების ნაწილი, რომლებიც ატარებენ სმენით იმპულსებს.

nuclei corporis geniculati laterales ლატერალური დამუხვლილი სხეულის ბირთვები; განლაგებული არიან ლატერალური დამუხვლილი სხეულის სისქეში; აქ მთავრდება მხედველობის ტრაქტის ბოქკოების ნაწილი; ამ ბირთვში აღმოცენებული ბოქკოები კი მიემართება მხედველობის ქერქულ ცენტრში.

nucleus corporis geniculati medialis მედიალური დამუხვლილი სხეულის ბირთვი; ნერვული უჯრედების ჯგუფი მედიალური დამუხვლილი სხეულის სისქეში; აქ მთავრდება ლატერალური მარყუჟის ბოქკოების ნაწილი; ამ უჯრედებიდან აღმოცენებული ბოქკოები მიემართებიან სმენის ქერქულ ცენტრში.

nuclei corporis mamillaris დვრილისებრი სხეულის ბირთვები; ნერვული უჯრედების გროვები, რომელთა აქსონები ქმნიან დვრილ-მხედველობის ბორცვის კონას, დვრილ-ჭერის კონას და დვრილისებრი სხეულის ფეხს.

nuclei corporis trapezoidi ტრაპეციული სხეულის ბირთვები; არჩევენ ტრაპეციული სხეულის დორსალურ და ვენტრალურ ბირთვს; განლაგებული არიან ხიდის ტრაპეციული სხეულის ლატერალურ ნაწილში, შესაბამისად დორსალურად და ვენტრალურად; ამ ბირთვებში მთავრდება ლოკოკინას თანაგვერდითი ან მოპირდაპირე მხრის ვენტრალური ბირთვიდან გამოსული ბოქკოები და იწყება სმენის გზის მესამე ნეირონები. ამ უჯრედების ბოქკოები გადაჯვარედინდებიან მოპირდაპირე მხრის ბოქკოებთან, შეუერთდებიან ლოკოკინას დორსალური ბირთვიდან გამოსულ ბოქკოებს და ქმნიან ლატერალურ მარყუჟს.

nucleus cuneatus სოლისებრი ბირთვი; განლაგებულია თანამოსახელე ბორცვის სისქეში. ამ ბირთვის უჯრედებზე მთავრდებიან სო-

ლისებრი კონის ბოქკოები, ხოლო თვით ეს უჯრედები პროპრიოცეპტული იმპულსების გამტარი გზის მეორე ნეირონებია.

nucleus dentatus დაკბილული ბირთვი; განლაგებულია ნათხემის ჰემისფეროს ტვინოვან სხეულში; წარმოადგენს რუხ დაკლანკილ, მოდრეკილ ფირფიტას; ფილოგენეზურად ახალი ბირთვია (ნეოცერებელში), რომელიც ვითარდება კიდურებით გადაადგილებასთან დაკავშირებით. დაკბილული ბირთვის რთული კავშირებიდან აქ აღვნიშნავთ ოლივა-ნათხემის ტრაქტის ბოქკოებს, ნათხემ-წითელი ბირთვისა და ნათხემ-მხედველობის ბორცვის ტრაქტის ბოქკოებს.

nucleus dorsomedialis დორსომედიალური ბირთვი; განლაგებულია ჰიპოთალამუსში, ვენტრომედიალური ბირთვის დორსალურად; ამ ბირთვიდან გამოსული ბოქკოები ამყარებენ კავშირს მეზობელ ბირთვებთან და უერთდებიან პარავენტრიკულურ ბოქკოებს.

nucleus emboliformis საცობისებრი ბირთვი; მომცრო ბირთვი ნათხემის ჰემისფეროს ტვინოვან სხეულში, დაკბილული ბირთვის კარის მედიალურად; განეკუთვნება ძველ ნათხემს — *paleocerebellum*, რომელიც ვითარდება ტანის მოძრაობებთან დაკავშირებით.

nucleus fastigii კარვის ბირთვი; განლაგებულია ჰემის თეთრი ნივთიერების შუა ხაზის გვერდით, ნათხემის დანარჩენი ბირთვების მედიალურად; განეკუთვნება ნათხემის უძველეს ნაწილს. — *archicerebellum*, რომელიც ვითარდება ვესტიბულურ აპარატთან დაკავშირებით. აღსანიშნავია კარვის ბირთვის ორმხრივი კავშირები კარიბჭის ბირთვებთან.

nucleus globosus მომრგვალებული ბირთვი; შედგება მრავალი მცირე, წერტილისებრი კუნძულებისაგან; განლაგებულია ნათხემის ტვინოვან სხეულში საცობისებრ და კარვის ბირთვებს შორის; საცობისებრ ბირთვთან ერთად განეკუთვნება ნათხემის ძველ ნაწილს — *paleocerebellum*. ამ ორი ბირთვიდან გამოსული ბოქკოები უერთდება დაკბილული ბირთვიდან გამოსულ ბოქკოებს.

nucleus gracilis ნაზი ბირთვი; განლაგებულია ნაზი კონის ზედა ბოლოში, ნაზი ბირთვის ბორცვის სისქეში; ნაზი ბირთვი შეიცავს პროპრიოცეპტული იმპულსების გამტარი გზის მეორე ნეირონებს; აქ მთავრდებიან ნაზი კონის ბოქკოები — პროპრიოცეპტული გზის პირველი ნეირონები. ნაზი და სოლისებრი ბირთვიდან გამოსული ბოქკოები (შიგნითა რკალოვანი ბოქკოები) გადაჯვარედინდებიან მოპირდაპირე მხრის თანაგვარ ბოქკოებთან და ქმნიან მედიალურ მარყუჟს.

nucleus habenulae medialis et lateralis სადავის მედიალური და ლატერალური ბირთვი; განლაგებულია არიან სადავის სამკუთხედ-

ში; სადავის ბირთვები დაკავშირებულია ყნოსვის ცენტრალურ გზებთან. სადავის ბირთვებში მთავრდებიან მხედველობის ბორცვის ზოლის შემადგენელი ბოქკოები (თალის ბოქკოები, წინა დახვრეტილი სუბსტანციიდან გამოსული ბოქკოები, თალამუსში აღმოცენებული ბოქკოები); ეს ბოქკოები ნაწილობრივ მთავრდება თანაგვერდით ბირთვებში, ნაწილობრივ კი — მოპირდაპირე მხრის ბირთვებში (სადავის შესართავის გავლით). სადავის ბირთვიდან გამოდის შებრუნებული კონის ბოქკოები, რომლებიც მიემართებიან ფეხთაშუა ბირთვში.

nucleus intercalatus ჩართული ბირთვი; ენისქვეშა ნერვის ბირთვსა და ცთომილი ნერვის დორსალურ ბირთვს შორის განლაგებული, გაურკვეველი ფუნქციის ბირთვი.

nucleus intermediolateralis (lateralis) ლატერალური შუამდებარე ბირთვი (ლატერალური ბირთვი); განლაგებულია ზურგის ტვინის რუხი ნივთიერების გვერდით რქაში (გულმკერდის I სეგმენტიდან წელის II—III სეგმენტამდე); ამ ბირთვში აღმოცენებული ბოქკოები (სიმპათიკური ბოქკოები) შედიან სპინალური ნერვის წინა ფესვის შემადგენლობაში. წელის ქვედა სეგმენტებში ეს ბირთვი ქრება და ისევ ჩნდება გავის II—IV სეგმენტებში, სადაც მას გამოეყოფა უკვე პრეგანგლიონური პარასიმპათიკური ბოქკოები. ეს ბოქკოები შედიან გავის სპინალური ნერვების წინა ფესვების შემადგენლობაში და შემდეგ შიგნეულობის მენჯისეული ნერვების სახით გამოეყოფიან გავის წნულს.

nucleus intermediomedialis (medialis) მედიალური შუამდებარე ბირთვი (მედიალური ბირთვი); განლაგებულია ზურგის ტვინის რუხი ნივთიერების შუამდებარე ნივთიერებაში. ამ ბირთვის უჩრდოების აქსონები შედიან ზურგისტვინ-ნათხემის წინა ტრაქტის შემადგენლობაში.

nucleus interpeduncularis ფეხთაშუა ბირთვი; ნერვული უჩრდოების მცირე ჯგუფი უკანა დახვრეტილი სუბსტანციის უკანა ნაწილში, ხიდის წინა კილის მახლობლად; ამ ბირთვში მთავრდებიან სადავის ბირთვიდან გამოსული ბოქკოები (შებრუნებული კონა). ფეხთაშუა ბირთვის უჩრდოებიდან აღმოცენებული ბოქკოები მიემართებიან ცენტრალური რუხი ნივთიერების ვენტრალურ ნაწილში განლაგებულ ასოციაციურ ნეირონებისაკენ. ფეხთაშუა ბირთვი დაკავშირებულია ყნოსვის ცენტრალურ ასოციაციურ გზებთან.

nucleus lemnisci lateralis ლატერალური მარყუჟის ბირთვი;

ნერვული უჯრედების მცირე გროვა ლატერალური მარყუჟის მედიალურ მონაკვეთში, ხიდის ზედა ნაწილში; აქ მთავრდება სმენის ცენტრალური გზის ბოქკოების ნაწილი: ტრაპეციული სხეულის თანაგვერდითი და მოპირდაპირე მხრის დორსალური ბირთვებიდან გამოსული ბოქკოების ნაწილი და ლოკოკინას დორსალური ბირთვებიდან გამოსული ბოქკოების ნაწილი. ლატერალური მარყუჟის ბირთვიდან გამოსული ბოქკოები ნაწილობრივ მიყვება ლატერალური მარყუჟის ბოქკოებს სმენის ქერქქვეშა ბირთვებამდე, ნაწილობრივ კი უკავშირდება მედიალურ გასწვრივ კონას.

nucleus lentiformis ოსპისებრი ბირთვი; განლაგებულია დიდი ტეინის ჰემისფეროს სისქეში, შიგნითა კაფსულის ლატერალურად; ტეინოვანი ფირფიტებით გაყოფილია სამ ნაწილად; ლატერალურად მოთავსებულია ჩენჩო, მედიალურად კი ორი მკრთალი სფერო. ფილოგენეზურად მკრთალი სფერო უფრო ძველი წარმონაქმნია — paleostriatum, ვიდრე ჩენჩო და კუდიანი ბირთვი. ამიტომ მკრთალ სფეროს პალიდუმის — pallidum სახელწოდებით ცალკე მორფოლოგიურ ერთეულად გამოყოფენ. ამ შემთხვევაში ზოლიანი სხეულის სახელწოდების ქვეშ გულისხმობენ მხოლოდ ჩენჩოს და კუდიან ბირთვს, ხოლო ზოლიან სხეულს მკრთალ სფეროსთან ერთად სტრიოპალიდურ სისტემას უწოდებენ. სტრიოპალიდური სისტემა ექსტრაპირამიდული სისტემის მთავარი ნაწილია და ამის გარდა წარმოადგენს ვეგეტაციური ფუნქციების (ნახშირწყლების და სითბოს რეგულაცია) უმაღლეს სარეგულაციო ცენტრს, რომელიც დომინირებს ჰიპოთალამუსის თანაგვარ ცენტრებზე.

nucleus motorius n. trigemini სამწვერა ნერვის მოტორული (მამოძრავებელი) ბირთვი; განლაგებულია ხიდის დორსალურ ნაწილში, რომბისებრ ფოსოზე პროეცირდება ლურჯი ალაგის მედიალურად; ამ ბირთვში აღმოცენდებიან სამწვერა ნერვის სპეციალური ვისცერული ეფერენტული ბოქკოები საღეჭი კუნთებისა, ორმუცელა კუნთის წინა მუცლის, ყბა-ინის და დაფისა და სასის გამჭიმავი კუნთების საინერვაციოდ.

nucleus n. abducentis განმზიდველი ნერვის ბირთვი; განლაგებულია ხიდის დორსალურ ნაწილში, სახის ნერვის ბორცვის სისქეში; მამოძრავებელი ბირთვია.

nucl. n. accessorii დამატებითი ნერვის ბირთვები; დამატებით ნერვს ორი მოტორული ბირთვი აქვს; 1. ორმაგი ბირთვი, რომლის ბოქკოები შედიან ენა-ხახის, ცთომილი და დამატებითი ნერვის შემად-

გენლობაში. 2. დამატებითი ნერვის სპინალური ბირთვი — განლაგებულია ზურგის ტვინის ზედა ექვსი სეგმენტის წინა რქის ლატერალურ ნაწილში. ამ ბირთვიდან გამოსული ბოქკოები ქმნიან დამატებითი ნერვის სპინალურ ფესვებს.

nucleus n. facialis სახის ნერვის ბირთვი; ხიდის ბადისებრ ფორმაციაში განლაგებული მოტორული ბირთვი. სახის ნერვის შემადგენლობაში განიხილავენ აგრეთვე შუამდებარე ნერვს, რომელსაც ორი ბირთვი აქვს; 1. ზემო სანერწყვე ბირთვი — ვისცერულ მოტორული (ვეგეტაციური) ბირთვი და 2. განკერძოებული კონის ბირთვი — სენსორული ბირთვი.

nucleus n. hypoglossi ენისქვეშა ნერვის ბირთვი; მოტორული ბირთვი განლაგებული მოგრძო ტვინში, ენისქვეშა ნერვის სამკუთხედის ქვეშ.

nuclei n. oculomotorii თვალის მამოძრავებელი ნერვის ბირთვები; განლაგებული არიან შუა ტვინის ქერში, ცენტრალურ რუხ ნივთიერებაში ზემო გორაკის დონეზე; თვალის მამოძრავებელი ნერვის შემდეგ ბირთვებს არჩევენ: დორსოლატერალურს, ვენტრომედიალურს, კუდალურ ცენტრალურსა და დამატებით ანუ ავტონომიურს; პირველი სამი სომატური მოტორული ბირთვია, მეოთხე ბირთვი კი ვისცერულ მოტორული, რომელშიც აღმოცენდებიან თვალის მამოძრავებელი ნერვის შემადგენლობაში შემავალი პრეგანგლიონური პარასიმპათიკური ბოქკოები.

nuclei n. trigemini სამწვერა ნერვის ბირთვები; სამწვერა ნერვს შემდეგი ბირთვები აქვს: 1. სამწვერა ნერვის მოტორული ბირთვი — აღწერილია ზემოთ; 2. სამწვერა ნერვის მთავარი სენსორული ბირთვი — განლაგებულია ხიდის დორსალურ ნაწილში, სამწვერა ნერვის მოტორული ბირთვის ლატერალურად და უკან; 3. სამწვერა ნერვის სპინალური ტრაქტის ბირთვი — განლაგებულია მოგრძო ტვინის დორსალური ნაწილის მთელ სიგრძეზე და ვრცელდება მთავარი სენსორული ბირთვიდან ზურგის ტვინის ზედა სეგმენტებამდე, უკანა რქის ელატინურ ნივთიერებამდე; 4. სამწვერა ნერვის მეზენცეფალური ტრაქტის ბირთვი — ისევე როგორც წინა ორი, სენსორული ბირთვია; განლაგებულია შუა ტვინის ქერში, დიდი ტვინის წყალსადენის გვერდით; ამ ბირთვში მთავრდებიან სამწვერა ნერვის პროპრიოცეპტული ბოქკოები საღეჭი კუნთებიდან, წინა ორ ბირთვში კი — სამწვერა ნერვის დანარჩენი სენსორული ბოქკოები.

nucleus n. trochlearis კალისებრი ნერვის ბირთვი; მოტორული

ბირთვი განლაგებული შუა ტვინის ცენტრალურ რუხ ნივთიერებაში, ქვემო გორაკის ღონეზე.

nuc. n. vagi ცთომილი ნერვის ბირთვები; ცთომილ ნერვს ორი მოტორული და ერთი სენსორული ბირთვი აქვს; 1. ორმაგი ბირთვი — აქ აღმოცენდებიან ცთომილი ნერვის სპეციალური ვისცერული ეფერენტული ბოჭკოები ხორხისა და ხახის ბრანქიომერული კუნთების საინერვაციოდ; 2. ცთომილი ნერვის დორსალური ბირთვი — ვეგეტაციური ბირთვი, რომელიც განლაგებულია მოგრძო ტვინში, ცთომილი ნერვის სამკუთხედში; ამ ბირთვიდან აღმოცენდებიან ცთომილი ნერვის პრეგანგლიონური პარასიმპათიკური ბოჭკოები; 3. განკერძოებული ტრაქტის ბირთვი — სენსორული ბირთვი, სადაც მთავრდებიან ცთომილი ნერვის აფერენტული ბოჭკოები.

nuclei n. vestibulocochlearis კარიბჰე-ლოკოკინას ნერვის ბირთვები; მოიცავს კარიბჰის ბირთვებს და ლოკოკინას ბირთვებს. ლოკოკინას ბირთვები აღწერილია ზემოთ. კარიბჰის ბირთვები განლაგებული არიან რომბისებრი ფოსოს გვერდით კუთხეში — კარიბჰის ველში. არჩევენ: 1. კარიბჰის მედიალურ ბირთვს — მას მთავარ, შვალბეს ბირთვს უწოდებდნენ; 2. კარიბჰის ლატერალურ ბირთვს — მას დეიტერსის ბირთვს უწოდებდნენ; 3. კარიბჰის ზემო ბირთვს — მას ბენტერევის ბირთვს უწოდებდნენ და 4. კარიბჰის ქვემო ბირთვს. ამ ბირთვებში განლაგებული არიან სტატო-კინეტიკური ანალიზატორის მეორე ნეირონები, პირველი ნეირონების სხეული ძვეს კარიბჰის კვანძში. აღსანიშნავია კარიბჰის ბირთვების შემდეგი კავშირები: კარიბჰის ბირთვის ბოჭკოები ნათხემის უკანა ფეხის გავლით უკავშირდებიან ნათხემის უძველეს ნაწილს — კვანძსა და კვირტს, ხოლო კარვის ბირთვის დაღმავალი ბოჭკოები მთავრდებიან კარიბჰის ბირთვებში, კარიბჰის ბირთვების კავშირი ზურგის ტვინთან ხორციელდება კარიბჰე-ზურგის ტვინის ტრაქტის საშუალებით. კარიბჰის ბირთვიდან გამოსული ბოჭკოები შედიან მედიალური გასწვრივი კონის შემადგენლობაში და უკავშირდებიან თვალის კაკლის კუნთების ნერვების ბირთვებს. რეტიკულური ფორმაციის საშუალებით კარიბჰის ბირთვები უკავშირდება ენა-ხახისა და ცთომილი ნერვის ბირთვებს. კარიბჰის ბირთვების გადაჭარედიებული ბოჭკოები მიემართებიან მხედველობის ბორცვში, ხოლო აქედან მესამე ნეირონები დიდი ტვინის ქერქში. ვარაუდობენ, რომ სტატო-კინეტიკური ანალიზატორის ქერქული ბოლო მიმობნეულია საფეთქლისა და თხემის წილის ქერქში.

nucleus olivaris ოლივის ბირთვი; რუხი დაკლავნილი, მოღრეკილი ფირფიტა ოლივის სისქეში; დაკავშირებულია ნათხემის დაკბილულ ბირთვთან და წარმოადგენს წონასწორობის შორისულ ბირთვს.

nucleus paraventricularis პარავენტრიკულური ბირთვი; განლაგებულია ჰიპოთალამუსში, დორსომედიალური ბირთვის წინ; დაკავშირებულია ეპითალამუსთან, მხედველობის ბორცვთან, ჰიპოფიზთან; აწვდის ბოჭკოებს დორსალურ გასწვრივ კონას და ამყარებს კავშირებს ტვინის ღეროს მოტორულ და ვისცერულ ბირთვებთან; ემსახურება ვეგეტაციური ფუნქციების რეგულაციას.

nuclei pontis ხიდის ბირთვები; განლაგებული არიან ხიდის ბაზალურ ნაწილში; ლებულობენ იმპულსებს დიდი ტვინის ქერქიდან და აწვდიან მათ ნათხემს.

nucleus posterior უკანა ბირთვი; განლაგებულია ჰიპოთალამუსში, დვრილისებრი სხეულის დორსალურად; მისი ეფერენტული ბოჭკოების მსულებლობა ზუსტად არ არის გარკვეული.

nucleus ruber წითელი ბირთვი; განლაგებულია შუა ტვინის ფეხის ქერში, შავი ნივთიერების დორსალურად; წარმოადგენს ექსტრაპირამიდული სისტემის საკოორდინაციო ცენტრს; გარდა კავშირებისა ექსტრაპირამიდული სისტემის ნაწილებთან, წითელ ბირთვში მთავრდებიან ნათხემიდან გამოსული ბოჭკოები და იწყება წითელ ბირთვ-ზურგის ტვინის ტრაქტი.

nucleus salivatorius inferior ქვემო სანერწყვე ბირთვი; უჭრედების გროვა მოგრძო ტვინის ბადისებრი ფორმაციის სისქეში, ოლივის ბირთვსა და ორმაგ ბირთვს შორის; ვეგეტაციური ბირთვი, სადაც აღმოცენდებიან ენა-ხახის ნერვის პრეგანგლიონური პარასიმპათიკური ბოჭკოები ყბა-ყურის ჭირკვლის საინერვაციოდ.

nucleus salivatorius superior ზემო სანარწყვე ბირთვი; განლაგებულია ხიდის ბადისებრ ფორმაციაში, სახის ნერვის ბირთვის დორსალურად; ვეგეტაციური ბირთვი, სადაც აღმოცენდებიან სახის ნერვის (შუამდებარე ნერვის) პრეგანგლიონური პარასიმპათიკური ბოჭკოები ენისქვეშა, ქვედაყბისქვეშა და ცრემლის ჭირკვლის საინერვაციოდ.

nucleus subthalamicus სუბთალამური ბირთვი; განლაგებულია სუბთალამურ მიდამოში შავი ნივთიერების ლატერალურად; განეკუთვნება ექსტრაპირამიდული სისტემის ბირთვებს. (BNA — nucleus hypothalamicus, corpus Luysi).

nucleus supraopticus სუპრაოპტიკური ბირთვი; განლაგებულია

ჰიპოთალამუსში, მხედველობის ჯვარედინის დორსალურად; ღებულობს ბოჭკოებს მხედველობის ბორცვის ტვინოვანი ზოლიდან; სუპრაოპტიკურ-ჰიპოფიზური ტრაქტით აწვდის ბოჭკოებს ჰიპოფიზის უკანა წილს.

nuclei tegmenti კერის ბირთვები; ტეგმენტუმის ბირთვები; ნერვული უჯრედების გროვა შუა ტვინის! ბადისებრ ფორმაციაში.

nucleus thoracicus გულმკერდის ბირთვი; განლაგებულია ზურგის ტვინის რუხი ნივთიერების უკანა რქის ფუძის მედიალურ ნაწილში; როგორც სახელწოდებიდან ჩანს ეს ბირთვი უკეთ არის გამოხატული ზურგის ტვინის გულმკერდის სეგმენტებში; ამ ბირთვში განლაგებულია ზურგისტვინ-ნათხემის უკანა ტრაქტის მეორე ნეირონები (პირველი ნეირონი ძვეს სპინალურ კვანძში). (BNA — nucleus dorsalis, Stillingi, Clarki).

nuclei tuberales ბორცვის ბირთვები; განლაგებული არიან რუხ ბორცვში; წარმოადგენენ უმაღლეს ვეგეტაციურ ცენტრებს, რომლებიც, კერძოდ, მოქმედებენ ნივთიერებათა ცვლაზე და სიზბოს რეგულაციაზე.

nucleus ventromedialis ვენტრომედიალური ბირთვი; განლაგებულია ჰიპოთალამუსში, რუხი ბორცვის ზემოთ და დორსომედიალური ბირთვის ქვემოთ; ღებულობს ბოჭკოებს სუბთალამუსიდან და სასაზღვრო ზოლიდან. ეს ბირთვი არ უნდა აგვერიოს თვალის მამოძრავებელი ნერვის ვენტრომედიალურ ბირთვში.

nutricius, - a, - um, ლათ. (nutrix ძიძა, მარჩენალი) მკვებავი, მასაზრდოებელი.

canalis nutricius მასაზრდოებელი არხი; ძვლის კომპაქტური ნივთიერების გამჭოლი არხი. მასში გაივლიან სისხლძარღვები და ნერვები.

O

obex, - icis, მ. ლათ. ურდული; მცირე, სამკუთხა, ტვინოვანი ფირფიტა რომბისებრი ფოსოს ქვედა კუთხეში, რომელიც რჩება სისხლძარღვოვანი სარქველის მოცილების შემდეგ; გვერდებზე გრძელდება მეოთხე პარაკუქის ზონრებში.

obliquus, - a, - um, ლათ. ირიბი

oblongatus, - a, - um, ლათ. მოგრძო

obturator, - oris, ლათ. (obturare დახურვა) დამხურავი

- obturatorium, - ii, საშ.** ლათ. სახურავი, საცობი
obturatorius, - a, - um დამხურავი
obturatus, - a, - um დახურული
obtusus, - a, - um ლათ. ბლაგვი
occiput - itis, საშ. ლათ. (ob წინ, caput თავი) კეფა
occipitalis, - e კეფისა
occultus, - a, - um, ლათ. (occulere დამალვა) ფარული, მალული
occlusus, - a, - um, ლათ. (octo რვა) მერვე
oculus, - i, მ. ლათ. თვალი
ocularis, - e თვალისა
oculomotorius, - a, - um, ლათ. (movere მოძრაობა) თვალის მამოძრავებელი.
olecranon, - i, საშ. ბერძნ. (olene იდაყვი, kranion თავი) იდაყვის მორჩი
olfactus, - us, მ. ლათ. (olfacere ყნოსვა) ყნოსვა
olfactorius, - a, - um ყნოსვისა
bulbus olfactorius ყნოსვის ბოლქვი
oliva, - ae, მდ. ლათ. ზეთისხილის ხე, ზეთისხილის შტო, ანატ: ოლივა; ოვალური შემალღება მოგრძო ტვინის წინა ლატერალურ ზედაპირზე, რომელიც წინა 'ლატერალური ღარით გამიჯნულია პირამიდასთან. მის სისქეში მოთავსებულია ოლივის ბირთვი.
olivaris, - e ოლივისა
omentum, - i, საშ. ლათ. ბადექონი

omentum majus დიდი ბადექონი; მუცლის ფარი; შედგება პერიტონეუმის ოთხი ფურცლისგან. დიდი ბადექონის წინა ორი ფურცელი კუჭის დიდი სიმრუდიდან ეშვება ქვემოთ კიპის ღონემდე, ზოგჯერ ბოქვენის სიმფიზამდე, სადაც უხვევს ზემოთ და ქმნის დიდი ბადექონის უკანა ორ ფურცელს, რომელიც უერთდება განივი კოლინჯის ჯორჯალს. დიდი ბადექონის წინა და უკანა ფურცლები ერთმანეთში შეზრდილია და ჩვეულებლივ მათ შორის ღრუა; არ არსებობს.

omentum minus მცირე ბადექონი; პერიტონეუმის დუპლიკატურა, რომელიც გაკიმულია ღვიძლის კარსა და კუჭის მცირე სიმრუდესა და თორმეტგოჯა ნაწლავის დასაწყის ნაწილს შორის. მცირე ბადექონში არჩევენ ორ ნაწილს: ღვიძლ-კუჭისა და ღვიძლ-თორმეტგოჯას იოვს.

- omentalis, - e ბადექონისა
- om o - , ბერძნ. იხმარება რთულ სიტყვებში. (omoplate ბეჭი, omos მხარი) მხარი, ბეჭი
- musculus omohyoideus ბეჭ-ინის კუნთი
- o m p h a l o s, ბერძნ. კიპი
- o n t o g e n e s i s, - i s, მდ. ბერძნ. (ontos არსება, genesis წარმოშობა) ონტოგენეზი; ცოცხალი არსების ინდივიდუალური განვითარების ისტორია.
- o n y x, o n y c h o s მ. ბერძნ. ფრჩხილი
- o o p h o r o n, - i, საშ. ბერძნ. (oon კვერცხი, pherre ტარება) საკვერცხე.
- o p e r c u l u m, - i, საშ. ლათ. (operire დახურვა) სახურავი, ოპერკულუმი; დიდი ტვინის ჰემისფეროს შუბლის, თხემისა და საფეთქლის წილების ის ნაწილები, რომლებითაც დაფარულია კუნძული; ქმნის ლატერალური ღარის ნაპირებს და მისი ტოტებით იყოფა სამ ნაწილად: შუბლისეულ, შუბლ-თხემისეულ და საფეთქლისეულ სახურავებად.
- opercularis, - e სახურავისა
- o p h t h a l m i c u s, - a, - u m, ბერძნ. (ophthalmos თვალი) თვალისა, თვალბუდისა.
- arteria ophthalmica თვალბუდის არტერია
- o p p o n e n s, - e n t i s, ლათ. (opponere დაპირისპირება) პირისპირ დამყენებელი, დამაპირისპირებელი.
- o p p o s i t i o, - o n i s, მდ. ლათ. დაპირისპირება, პირისპირ დაყენება; მოძრაობა, რომლის შედეგად ხელის ცერი უპირისპირდება დანარჩენ თითებს.
- o p t i c u s, - a, - u m, ბერძნ. (opsis მხედველობა) მხედველობისა, ოპტიკური.
- nervus opticus მხედველობის ნერვი
- o r a, - a e მდ. ლათ. კიდე, ნაპირი
- ora serrata დაკბილული ნაპირი; ბადურას ტალღისებრი ხაზი შის უკანა, ოპტიკურ და წინა ბრმა ნაწილებს შორის, რომელიც შეესაბამება წამწამოვანი სხეულის უკანა კიდეს; ქმნის საზღვარს ბადურას სტრუქტურულად და ფუნქციურად განსხვავებულ ნაწილებს შორის.
- o r b i c u l u s, - i, მ. ლათ. (orbis წრე) წრე, რგოლი
- orbiculus ciliaris წამწამოვანი რგოლი; წამწამოვანი სხეულის

უკანა ნაწილი, რომელიც დაკბილული ნაპირის ღონეზე შეუმჩნეველად გადადის საკუთრივ სისხლძარღვოვან გარსში.

orbicularis ირგვლივი

musculus orbicularis oculi თვალის ირგვლივი კუნთი

musculus orbicularis oris პირის ირგვლივი კუნთი

orbitalis, - *e* თვალბუდისა

orbitalis, - *e* თვალბუდისა

orchis, - *is*, მ. ბერძნ. სათესლე

organum, - *i*, საშ. ბერძნ. ორგანო

organa genitalia feminina ქალის სასქესო ორგანოები

organa genitalia masculina მამაკაცის სასქესო ორგანოები

(BNA — *organa genitalia virilia*).

organa oculi accessoria თვალის დამატებითი ორგანოები

organa uropoetica საშარდო ორგანოები

organum gustus გემოვნების ორგანო

organum olfactus ყნოსვის ორგანო; წარმოადგენს ყნოსვის

ანალიზატორის პერიფერიულ აპარატს, მდებარეობს ცხვირის ღრუს. ლორწოვანი გარსის ყნოსვის მიდამოში, რომელსაც უკავია ცხვირის ზემო გასავლის მიდამო და ცხვირის ძვიდის ზედა ნაწილი. ყნოსვის მიდამოში ლორწოვანი გარსი მოყვითალო-მომუქო ფერისაა და აგებულია საყრდენი და რეცეპტორული უჯრედებისაგან. ყნოსვის უჯრედებს აქვთ მოკლე პერიფერიული და გრძელი ცენტრალური მორჩი. ცენტრალური მორჩების — აქსონების ერთობლიობა ქმნის ყნოსვის ნერვებს.

organum spirale სპირალური ორგანო; სმენის ანალიზატორის რთული აგებულების რეცეპტორი, რომელიც განლაგებულია ლოკოკინას სადინარის ძირითად აპკზე. (BNA — *organon spirale*, Cortii).

organum vestibulocochleare კარიბჭე-ლოკოკინას ორგანო; შედგება გარეთა, შუა და შიგნითა ყურისაგან. ანატომიაში არის ყურის ნაწილების აღმნიშვნელი ტერმინები, მაგრამ არ არის ცნება-ტერმინი — ყური. სწორად ამ ცნება-ტერმინის ნაცვლად იხმარება ტერმინი — კარიბჭე-ლოკოკინას ორგანო, რომელიც მიუთითებს იმაზე, რომ ყური შეიცავს განსხვავებული ფუნქციის, სმენისა და წონასწორობის რეცეპტორებს (BNA — *organon auditus*).

organum visus მხედველობის ორგანო.

organum vomeronasale სახნის-ცხვირის ორგანო; ყნოსვის რუ-

დიმენტული ორგანო ცხვირის ძვიდის ქვედა ნაწილში, იგი კარგად არის განვითარებული ზოგიერთ ცხოველებში. (Jacobsoni).

orificium, - ii, საშ. ლათ. (os, oris პირი, facies სახე) პირი, ხერელი.

origo, - inis, მდ. ლათ. (oriri აღმოცენება, წარმოშობა) წარმოშობა, დასაბამი, დასაწყისი.

os, oris, საშ. ლათ. პირი
oralis, - e პირისა

os, ossis, საშ. ლათ. ძვალი

osseus, - a, - um ძვლოვანი

ossificatio, - onis, მდ. ლათ. (os, ossis ძვალი, facere გაკეთება) გაძვალბა.

ossiculum, - i, საშ. ლათ. (კნინ. სიტყვ. os, ossis) პატარა ძვალი, ძვალი.

ossicula auditus სასმენი ძვლები

osteologia, - ae, მდ. ბერძნ. (osteon ძვალი, logos მოძღვრება) ანატომიის ნაწილი, რომელიც შეისწავლის ძვლებს.

osteon, - i, საშ. ბერძნ. ოსტეონი; ძვლის სტრუქტურული ერთეული

ostium, - ii, საშ. ლათ. (os, oris პირი) ხერელი, შესავალი, პირი.

ostia venarum pulmonalium ფილტვის ვენების ხერელები

ostium abdominale tubae uterinae საშვილოსნოს ლულის მუცლისკენა ხერელი; იხსნება პერიტონეუმის ღრუში. ამ ხერელით პერიტონეუმის ღრუ საშვილოსნოს ლულის, საშვილოსნოს და საშოს გზით დაკავშირებულია გარემოსთან.

ostium aortae აორტის ხერელი; ხერელი, რომლითაც სისხლი მარცხენა პარკუჭიდან მიედინება ასწვრივ აორტაში.

ostium appendicis vermiformis ჭიანჭლის ხერელი; იხსნება ბრმა ნაწლავის ღრუში.

ostium atrioventriculare dextrum მარჯვენა წინაგულ-პარკუჭის ხერელი; მოსაზღვრულია მარჯვენა ფიბროზული რგოლით. ატარებს სისხლს მარჯვენა წინაგულიდან შესაბამის პარკუჭში.

ostium atrioventriculare sinistrum მარცხენა წინაგულ-პარკუჭის ხერელი; მოსაზღვრულია მარცხენა ფიბროზული რგოლით. ატარებს სისხლს მარცხენა წინაგულიდან შესაბამის პარკუჭში.

ostium cardiacum კარდიის ხერელი; საყლაპავი მილისა და კუჭის შემაერთებელი ხერელი, რომელიც მოკლებულია ანატომიურ სფინქტერს.

ostium ileocecale თეძო-ბრმა ნაწლავის ხვრელი; თეძოსა და ბრმა ნაწლავის შემაერთებელი ხვრელი, რომელიც აღქურვილია თანამოსახელე სარქველით.

ostium pharyngeum tubae auditivae სასმენი ლულის ხახისკენა ხვრელი; იხსნება ცხვირ-ხახის ლატერალურ კედელზე.

ostium pyloricum პილორუსის ხვრელი; კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის შემაერთებელი ხვრელი.

ostium trunci pulmonalis ფილტვის ღეროს ხვრელი; ხვრელი, რომლითაც სისხლი მარჯვენა პარკუჭიდან მიედინება ფილტვის ღეროში.

ostium tympanicum tubae auditivae სასმენი ლულის დაფისკენა ხვრელი; იხსნება დაფის ღრუში.

ostium ureteris შარდსაწვეთის ხვრელი; იხსნება შარდის ბუშტის ღრუში, შარდის ბუშტის სამკუთხედის ფუძის გვერდით კუთხეში (BNA— orificium ureteris).

ostium urethrae externum შარდსადენის გარეთა ხვრელი; მამაკაცის შარდსადენის გარეთა ხვრელი იხსნება ასოს თავზე, ქალისა კი — საშოს კარიბჭეში, საშოს ხვრელის წინ (BNA orificium urethrae externum).

ostium urethrae internum შარდსადენის შიგნითა ხვრელი; ნამგლისებრი მოყვანილობის ხვრელი, რომელიც იხსნება შარდის ბუშტის სამკუთხედის წვეროსთან (BNA — orificium urethrae internum).

ostium uteri საშვილოსნოს ხვრელი; საშვილოსნოს ყელის არხისა და საშოს შემაერთებელი ხვრელი; მოსაზღვრულია წინა და უკანა ბაგეებით. მშობიარობამდე საშვილოსნოს ხვრელი მრგვალი ფორმისაა, მშობიარობის შემდეგ კი იგი ღებულობს განივი ნაპრალის ფორმას. ბაზელის ანატომიური ნომენკლატურის თანახმად აღინიშნება საშვილოსნოს შიგნითა და გარეთა ხვრელი. პარიზის ანატომიურ ნომენკლატურაში საშვილოსნოს შიგნითა ხვრელი შეცვლილია ცნება-ტერმინით — საშვილოსნოს ზეყელი, isthmus uteri. რის გამოც მომდევნო ტერმინში, სრულიად მართებულად, მოიხსნა სიტყვა — გარეთა. (BNA — orificium externum uteri).

ostium uterinum tubae ლულის საშვილოსნოსკენა ხვრელი; იხსნება საშვილოსნოს ღრუში.

ostium vaginae საშოს ხვრელი; იხსნება საშოს კარიბჭეში. ქალწულებში საშოს ხვრელი ნაწილობრივ დახურულია ლორწოვანი გარსის დუპლიკატურით — საქალწულო აპკით.

ostium venae cavae inferioris ქვემო ღრუ ვენის ხერელი; იხსნება მარჯვენა წინაგულში. ძვეს მარჯვენა წინაგულის ზემო და უკანა კედლის საზღვარზე.

ostium venae cavae superioris ზემო ღრუ ვენის ხერელი; იხსნება მარჯვენა წინაგულში, ძვეს მარჯვენა წინაგულის ზემო და წინა კედლის საზღვარზე.

o t i c u s, - a, - u m, ბერძნ. (us, otos ყური) ყურისა
ganglion oticum ყურის კვანძი

o v a l i s, - e, ლათ. ოვალური

o v a r i u m, - i i, საშ. ლათ. (ovum კვერცხი) საკვერცხე
ovaricus, - a, - u m საკვერცხისა

o v u l a t i o, - o n i s, მდ. ლათ. ოვულაცია; ბუშტუკისებრი ფოლიკულის გასკდომა და საკვერცხიდან კვერცხუჭრედის გამოსვლა.

o v u m, - i, საშ. ლათ. კვერცხი, კვერცხუჭრელი

P

p a l a t u m, - i, საშ. ლათ. სასა

palatum durum მაგარი სასა; სასის წინა ნაწილი, რომელიც იქმნება ზედა ყბების სასისეული მორჩებით და სასის ძვეალთა ჰორიზონტალური ფირფიტებით.

palatum molle, (velum palatinum) რბილი სასა (სასის ფარდა); სასის უკანა ნაწილი, რომელიც იქმნება კუნთებით.

palatinus, - a, - u m სასისა

p a l l i d u s, - a, - u m, ლათ. ფერმკრთალი, მკრთალი
globus pallidus მკრთალი სფერო

p a l l i u m, - i i, საშ. ლათ. პალიუმი, ღართი; დიდი ტვინის ქერქი — ჰემისფეროს ყველაზე დიდი და ახალგაზრდა ნაწილი (ნენცეფალონი), რომლითაც ღართივით გადაფარებულია და სასრული ტვინის დანარჩენი ნაწილები. უმაღლეს განვითარებას აღწევს ადამიანში.

p a l m a, - a e, მდ. ლათ. ხელისგული
palma manus ხელისგული

palmaris, - e ხელისგულისა, ხელგულისმხრივი, პალმარული

p a l p e b r a, - a e, მდ. ლათ. ქუთუთო

palpebra inferior ქვემო ქუთუთო

palpebra superior ზემო ქუთუთო

palpebralis, - e ქუთუთოსი

pampiniformis, - e, მდ. ლათ. (pampinus ვაზის რქა) ვაზისებრი

plexus pampiniformis ვაზისებრი წნული; სათესლის ვენების ზშირი ვენური წნული სათესლე ბაგირაკში.

pancreas, - atis, საშ. ბერძნ. (pan ყველა, საყოველთაო; kreas ხორცი) პანკრეასი.

pancreas accessorium დამატებითი პანკრეასი; პანკრეასის ქსოვილის პატარა კუნძულები, რომლებიც ზოგჯერ გვხვდება კუჭის, თორმეტგოჯა და მღივი ნაწლავის კედლებში.

pancreaticus, - a, - um პანკრეასისა

panniculus, - i, მ. ლათ. (pannus ქსოვილის ნაგლეჯი, ნაფლეთი) ნაფლეთი.

panniculus adiposus კანქვეშა ცხიმოვანი ქსოვილი, ფენა

papilla, - a e, მდ. ლათ. დვრილი.

papilla dentis კბილის დვრილი; ეწოდება ემალის ორგანოში მოთავსებულ მეზენქიმის უჯრედების გროვას, რომელიც კბილის პულპისა და დენტინის ნერგს წარმოადგენს.

(papilla duodeni major et minor თორმეტგოჯა ნაწლავის დიდი და მცირე დვრილი; დიდი დვრილი მდებარეობს თორმეტგოჯა ნაწლავის გასწვრივი ნაოქის ქვედა ბოლოში და მასზე იხსნება ღვიძლ-პანკრეასის ამპულა. (BNA — papilla duodeni, Santorini). მცირე დვრილი მოთავსებულია დიდი დვრილის ოდნავ ზემოთ და მასზე იხსნება პანკრეასის დამატებითი სადინარი

papilla incisiva საკრელი დვრილი; სასის ლორწოვანი გარსის მცირე შემალლება სასის ნაკერის წინა ბოლოში, რომელიც შეესაბამება საკრელ ხვრელს.

papilla lacrimalis საცრემლე დვრილი; კონუსისებრი შემალლება ქუთუთოს თავისუფალი ნაპირის მედიალურ ბოლოზე, სადაც საცრემლე წერტილით იწყება ცრემლის მილაკი.

papilla mammae ძუძუს დვრილი

papilla parotidea ყბა-ყურის ჭირკვლის დვრილი; ლოყის ლორწოვანი გარსის შემალლება ზემო მეორე დიდი ძირითადი კბილის პირდაპირ, სადაც იხსნება ყბა-ყურის ჭირკვლის სადინარი.

papilla pili თმის დვრილი; თმის ბოლქვის ცენტრალუ-

რი ნაწილი, რომელიც წარმოდგენილია უხვი სისხლძარღვოვანი შემაერთებელი ქსოვილით.

papillae conicae კონუსისებრი დვრილები; ენის ზურგის ლორწოვანი გარსის კონუსისებრი შემალღებანი ენის წინა ორ მესამედში.

papillae filiformes ძაფისებრი დვრილები; ენის ზურგის ლორწოვანი გარსის ძაფისებრი შემალღებანი ენის წინა ორ მესამედში, რომლებიც განსაკუთრებით გამოხატულია ენის ზურგის შუა ნაწილსა და შემოზღუდული დვრილების მახლობლად. ძაფისებრი დვრილები ენის ზურგს აძლევენ ხავერდისმაგვარ სახეს.

papillae foliatae ფოთლისებრი დვრილები; ენის ლორწოვანი გარსის ფოთლისებრი ნაოქები ენის გვერდებზე. ადამიანში რუდიმენტულია.

papillae vallatae შემოზღუდული დვრილები; 7—12 დვრილი ენის სხეულსა და ძირს შორის; განლაგებული არიან სასაზღვრო ხაზის წინ და პარალელურად. ცენტრალური შემოზღუდული დვრილი ძვეს ბრმა ხერელის წინ. ყოველი შემოზღუდული დვრილი შედგება ცილინდრული შემალღებისაგან, რომელიც შემოზღუდულია ღარით. ღარი კი შემოფარგლულია ლორწოვანი გარსის მორგვით. შემოზღუდულ დვრილებში განლაგებულია გემოვნების კვრტები.

papillae fungiformes სოკოსებრი დვრილები; ენის ზურგის ლორწოვანი გარსის სოკოსებრი შემალღებანი, ძირითადად ენის გვერდების მახლობლად. სოკოსებრ დვრილებში განლაგებულია გემოვნების კვრტები.

papillae renales თირკმლის დვრილები; თირკმლის პირამიდის კონუსისებრი წვერო.

p a p i l l a r i s, - e დვრილისა, დვრილისებრი

musculi papillares დვრილისებრი კუნთები

p a p y r a c e u s, - a, - u m, ბერძნ. (*papyrus* პაპირუსი) ქალაღისებრი

p a r a, -, ბერძნ. (იხმარება რთულ სიტყვებში) ახლოს, გვერდით

p a r a c e n t r a l i s, - e, ლათ. პარაცენტრალური

p a r a d i d y m i s, - i d i s, მდ. ბერძნ. (*didymoi* სათესლეები)

პარადიდიმისი; სათესლის დანამატის დანართი; რუდიმენტული ორგანო, მეზონეფროსის მილაკების ნაშთი; მდებარეობს სათესლის დანამატის დორსალურად (*organon Giraldesi*).

paraganglion, - ii, საშ. ბერძნ. (para-, ganglion კვანძი პარაგანგლიონი (იხ. შემდეგი სიტყვა)

paraganglia, (მრ. რიცხ. ბერძნ.) პარაგანგლიონები ანუ ქრომოფინული ორგანოები; თავისი წარმოშობით მჭიდროდ არიან დაკავშირებული სიმპათიკურ კვანძებთან და განლაგებული არიან მათ მეზობლად. თირკმელზედა ჯირკვლის ტვინოვანი ნივთიერების მსგავსად ისინი შეიცავენ ქრომოფინულ უჯრედებს (უჯრედებს, რომლებიც ინტენსიურად იღებება ქრომის მარილებით). პარაგანგლიონებისა და თირკმელზედა ჯირკვლის ტვინოვანი ნივთიერების ფუნქცია იდენტურია. პარაგანგლიონებს განეკუთვნებიან: საძილე გორგალი, პარააორტული სხეულაკები, გულის ზედა პარაგანგლიონები, თირკმელზედა ჯირკვლის ტვინოვანი ნივთიერება და სხვა.

parametrium, - ii, საშ. პარამეტრიუმი; ფაშარი შემაერთებული ქსოვილი განიერი იოვის ორ ფურცელს შორის, საშვილოსნოს გვერდებზე.

parasternalis, - e; პარასტერნალური, მკერდის ძვლის გვერდით მდებარე.

parasympathicus, - i, მ. პარასიმპათიკუსი; ავტონომიური ნერვული სისტემის პარასიმპათიკური ნაწილი

parathyroidea, - ae, მდ. პარათიროიდული, ფარისებრახლო, თანაფარისებრი

paraumbilicalis, - e პარაუმბილიკალური, ქიპის ახლოს მდებარე.

paraurethralis, - e პარაურეთრული, შარდსადენის ახლოს მდებარე.

paravertebralis, - e პარავერტებრალური, ხერხემლის ახლოს მდებარე.

parenchyma, - atis, საშ. ბერძნ. (para-, encheo ვასხამ) პარენქიმა; ორგანოს სპეციფიკური, მაგალითად, ჯირკვლის ფუნქციური ნაწილი. იხმარება ორგანოს სტრომის საპირისპიროდ.

parenchyma testis სათესლის პარენქიმა; სათესლის ჯირკვლოვანი ნაწილი, რომელიც შედგება კლაკნილი მილაკებისაგან.

parenchymatosus, - a, - um პარენქიმატოზული

paries, - etis, მ. ლათ. კედელი

paries caroticus საძილე კედელი; დაფის ღრუს წინა კედელი

paries externus ductus cochlearis ლოკოკინას სადინარის გარე-

თა კედელი; ეკვრის ლოკოკინას გარეთა; კედლის ძვლისაზრდელას. შედგება სამი ფენისაგან: გარეთა — შემაერთებელქსოვილოვანი, შუა—სისხლძარღვოვანი ზოლისაგან, და შიგნითა—ეპითელური საფარველისაგან.

paries jugularis საუღლე კედელი; დაფის ღრუს ქვემო კედელი
paries labyrinthicus ლაბირინთისეული კედელი; დაფის ღრუს შიგნითა კედელი.

paries mastoideus დერილისებრი კედელი; დაფის ღრუს უკანა კედელი.

paries membranaceus აპკისებრი კედელი; დაფის ღრუს გარეთა კედელი.

paries tegmentalis სახურავისეული კედელი; დაფის ღრუს ზემო კედელი, რომელიც წარმოდგენილია დაფის სახურავით — *tegmen tympani*.

paries tympanicus ductus cochlearis (membrana spiralis) ლოკოკინას სადინარის დაფისეული კედელი (სპირალური აპკი); იხ. *membrana spiralis*.

paries vestibularis ductus cochlearis (membrana vestibularis) ლოკოკინას სადინარის კარიბჭისეული კედელი (კარიბჭის აპკი); იხ. *membrana vestibularis*.

parietalis, - e პარიეტული, კედლის ამყოლი

parolfactorius, - a, - um პაროლფაქტორული, ყნოსვის სამკუთხედთან ახლოს მდებარე.

paroo-phoron, - ii მ. ბერძნ. პაროოფორონი. საკვერცხის გვერდითი დანამატი; მდებარეობს საშვილოსნოს ლულის ჯორჯალში, საკვერცხის მედიალურად. რუდიმენტული ორგანო, მეზონეფროსის მილაკების ნაშთი.

parotis, - is, მდ. ბერძნ. (*us, otos* ყური) ყბა-ყურის ჯირკვავი. იხ. *glandula parotis*.

parotideus, - a, - um ყბა-ყურის ჯირკვლისა

pars, - tis, მდ. ლათ. ნაწილი

parvus, - a, - um ლათ. მცირე

patella, - ae, მდ. ლათ. ჯამი, ანატ. კვირისტავი

patellaris, - e კვირისტავისა

pecten, - inis, მ. ლათ. სავარცხელი, ქედი

pecten ossis pubis ბოქვენის ძვლის ქედი

pectinatus, - a, - um სავარცხელა

musculi pectinati სავარცხელა კუნთები

pectineus, - a, - um ქედისა

musculus pectineus ქედის კუნთი

pectus, - oris, საშ. ლათ. მკერდი, გულმკერდი

pectoralis, - e მკერდისა, გულმკერდისა

pedunculus, - i, pediculus, - i, მ. ლათ. (კნინ. სიტყვე-

pes ფეხი) ფეხი

pediculus arcus vertebrae მალის რკალის ფეხი; მალის რკალის წინა ნაწილი.

pedunculus cerebellaris inferior ნათხემის ქვემო ფეხი; წყვილი თოკისებრი სხეული მოგრძო ტვინის დორსოლატერალურ ზედაპირებსა და ნათხემს შორის, რომლებითაც გვერდებიდან მოსაზღვრულია მეოთხე პარკუქის ქვედა ნაწილი. შედგება აღმავალი და დაღმავალი ბოჭკოებისაგან. (BNA — corpus restiformis).

pedunculus cerebellaris medius ნათხემის შუა ფეხი; წყვილი, შედარებით დიდი ფეხი ხიდსა და ნათხემს შორის. შედგება ქერქხიდ-ნათხემის გზის მეორე ნეირონების ბოჭკოებისაგან, რომლებიც იწყებიან ხიდის ბირთვებში და მიემართებიან ახალი ნათხემისაკენ — neocerebellum. (BNA — brachium pontis).

pedunculus cerebellaris superior ნათხემის ზემო ფეხი; წყვილი ფეხი ნათხემსა და შუა ტვინს შორის; შედგება დაღმავალი და აღმავალი ბოჭკოებისაგან. (BNA — brachium conjunctivum).

pedunculus cerebri დიდი ტვინის ფეხი; წყვილი ცილინდრული მასა, რომლებიც გამოეყოფა ხიდის წინა კიდეს და მიემართება დიდი ტვინის ჰემისფეროების სისქეში. შუა ტვინი იყოფა ორ ნაწილად: დორსალურად მდებარეობს შუა ტვინის სახურავი — tectum mesencephali, ვენტრალურად კი — დიდი ტვინის ფეხი. დიდი ტვინის ფეხი რთული აგებულებისაა და შედგება როგორც ბირთვებისაგან, ისე აღმავალი და დაღმავალი ბოჭკოებისაგან

pedunculus corporis mamillaris დვრილისებრი სხეულის ფეხი; ნერვული ბოჭკოების კონა, რომელიც იწყება დვრილისებრ სხეულში და მიემართება შუა ტვინის ქერში — ტეკმენტუმში.

pedunculus flocculi კვირტის ფეხი; თეთრი ნივთიერების ზოლები ნათხემის ჰემისფეროს კვირტსა და ჰიის კვანძს შორის, რომლებიც გადადიან ქვემო ტვინოვან ფარდაში.

pedunculus thalami inferior მხედველობის ბორცვის ქვემო ფეხი; შედგება ჰიპოთალამუსიდან მხედველობის ბორცვში მიმავალი ბოჭკოებისაგან.

peduncularis, - e ფეხისა

pellis, - is, მდ. ლათ. კანი

pellucidus, - a, - um, ლათ. ნათელი, გამჭვირვალე

septum pellucidum გამჭვირვალე ძვილე; ქმნის გვერდითი პარაკუჭების წინა რქების მედიალურ კედელს; შედგება გამჭვირვალე ძვილის ორი ფირფიტისაგან, რომელთა შორის მოთავსებულია თანამოსახელე ღრუ.

pelvis, - is, მდ. ლათ. მენჯი

pelvis major დიდი მენჯი; მენჯის ნაწილი, რომელიც უკანიდან მოსაზღვრულია წელის მეხუთე მალით, გვერდებიდან კი — თეძოს ძვლის ფრთებით; მენჯის ზემო შესავლით ქვემოსკენ გადადის მცირე მენჯში.

pelvis minor მცირე მენჯი; მენჯის ნაწილი, სასაზღვრო ხაზის ქვემოთ, უკანიდან მოსაზღვრულია გავისა და კუდუსუნის ძვლებით, წინიდან — ბოქვენის ძვლებით, გვერდებიდან კი — საჯდომი ძვლებითა და თეძოს ძვალთა სხეულებით.

pelvis renalis თირკმლის მენჯი; იქმნება დიდი ფიალების შეერთებით; მდებარეობს თირკმლის სინუსში, სისხლძარღვების უკან. აქვს კონუსისებრი ფორმა, გამოდის თირკმლის კარიდან და გრძელდება შარდსაწვეთში.

pelvicus, - ai - um მენჯისა

pelvinius, - a, - um მენჯისა

penicillus, - i, მ. ლათ. ყალამი, ფუნჯი

pennicilli ფუნჯები; ფუნჯისებრი არტერიები; ელენთის არტერიის ტოტების საბოლოო არტერიოლები, რომლებიც ფუნჯის მსგავსად გამოეყოფა არტერიებს მათი თეთრი პულპიდან გამოსვლის შემდეგ.

penis, - is, მ. ლათ. მამაკაცის ასო

penna, - ae, მდ' ლათ. ფრთა

perforans, - ntis, ლათ. (perforare გახვრეტა) გამხვრეტი, გამგმირავი

perforatus, - a, - um დახვრეტილი.

peri, ბერძნ. (იხმარება რთულ სიტყვებში) ირგვლივ, გარშემო

pericardium, - ii, საშ. (cardia გული) პერიკარდიუმი, გულის პერანგი; შედგება ორი ნაწილისაგან ფიბროზული და სეროზული.

pericardium fibrosum ფიბროზული პერიკარდიუმი; პერიკარდიუმის გარეთა ბოჭკოვანი გარსი, რომლითაც პერიკარდიუმი ფიქსი-

რებულია შუასაძგიდზე, მსხვილი სისხლძარღვების კედლებზე და მკერდ-პერიკარდიუმის იოგებით მკერდის ძვალზე.

pericardium serosum სეროზული პერიკარდიუმი; პერიკარდიუმის შიგნითა ნაწილი, რომელიც შედგება პარიეტული და ვისცერული ფირფიტებისაგან. პარიეტული ფირფიტა ამოფენს ფიბროზულ პერიკარდიუმს და უწყვეტად გრძელდება ვისცერულ ფირფიტაში, ანუ ეპიკარდიუმში, რომელიც მკიდროდ არის მიზრდილი მიოკარდიუმზე. სეროზული პერიკარდიუმის პარიეტულ და ვისცერულ ფირფიტებს შორის მოთავსებულია პერიკარდიუმის ღრუ.

perichondrium, - ii, საშ. (chondros ხრტილი) ხრტილსაზრდელა

pericranium, - ii, საშ. ქალასარქელის ძვლისაზრდელა

perilympha, - ae, მდ. პერილიმფა; გამკვირვალე სითხე შიგნითა ყურის ძვლოვან და აკისებრ ლაბირინთებს შორის. (aquula Cotunnii).

perimetrium, - ii, საშ. (metra საშვილოსნო) პერიმეტრიუმი; საშვილოსნოს სეროზული გარსი.

perimysium, - ii, საშ. პერიმიზიუმი; კუნთოვანი ბოქკოების ან მათი კონების შემაერთებელქსოვილოვანი გარსი.

perineum, - ei, საშ. შორისი; ვიწრო გაგებით შორისის ქვეშ გულისხმობენ ქსოვილების უბანს ყითას წინა კიდესა და გარეთა სასქესო ორგანოების უკანა კიდეს შორის. უფრო ფართო გაგებით შორისის ქვეშ იგულისხმება მცირე შენჯის გამოსავალი მიდამო. მას რომბის ფორმა აქვს და შემოსაზღვრულია წინიდან ბოქვენის კუთხით, გვერდებდან — ბოქვენის ძვალა ქვემო ტოტებით, საჯლომი ძვლების ტოტებით და გავა-კუ-კუხოს იოგებით, უკანიდან კი — კულუსუნით.

perinealis, - e შორისისა

periodontium, - ii, საშ. (odus, odontos კბილი) კბილის ფესვის ძვლისაზრდელა (BNA — periosteum alveolare).

periorbita, - ae, მდ. თვალბუდის ძვლისაზრდელა

periosteum, - i, საშ. ძვლისაზრდელა

peripheria, - ae მდ. (peripherea წრეხაზი, პერიფერია) პერიფერია

periphericus, - a, - um პერიფერიული, განაპირა

peritendineum, - i, საშ. პერიტენდინეუმი, მყესის საერთო შემაერთებელქსოვილოვანი გარსი.

peritoneum, - i, საშ. ბერძნ. (peritonaion შემოჭიმვა) პერიტონეუმი, მუცლის აპკი; სეროზული აპკი, რომლითაც დაფარულია მუცლის ღრუს კედლები და ორგანოები, ქმნის პერიტონეუმის ნაოქებს, ჯორჯლებს, ბადექონს, იოგებს. მისი შიგნითა ზედაპირი მოფენილია მეზოთელიუმით. მამაკაცის პერიტონეუმის ღრუ დახშულია, ქალისა კი საშვილოსნოს ლულით დაკავშირებულია გარემოსთან (BNA — peritoneaem).

peritoneum parietale პარიეტული პერიტონეუმი; კედლის ამჟოლი პერიტონეუმი; პერიტონეუმის ნაწილი, რომლითაც ამოფენილია მუცლის ღრუს კედლები, უწყვეტად გრძელდება ვისცერულ პერიტონეუმში.

peritoneum viscerale ვისცერული პერიტონეუმი; ორგანოსმფარავი პერიტონეუმი; პერიტონეუმის ნაწილი, რომლითაც დაფარულია მუცლისა და მენჯის ღრუს ორგანოები.

perivascularis, - e პერივასკულური, სისხლძარღვის ირგვლივ მდებარე.

periventricularis, - e პერივენტრიკულური, პარაკუქის ირგვლივ მდებარე.

permanens, - ntis, ლათ. (permanere დარჩენა) პერმანენტული, მუდმივი.

peroneus, - a, - u m, ბერძნ. (perone მცირე წვივი) მცირე წვივისა

perpendicularis, - e, ლათ. პერპენდიკულარული

pes, - dis, მ. ლათ. ფეხი, ტერფი

pes-hippocampi ჰიპოკამპის ფეხი; ზღვის ცხენის ფეხი; ზღვის ცხენის წინა, უფრო ფართო ნაწილი, რომლის ზედაპირზე შეიმჩნევა ღარებით გაყოფილი სამი ან ოთხი თითისებრი შემალღება.

petiolus, - i, მ. ლათ. ყლორტი

petiolus epiglottidis ხორხსარქველის ყლორტი; ხორხსარქველის ქვედა, შევიწროებული ნაწილი, რომელიც ფარ-ხორხსარქველის იოგით უმაგრდება ფარისებრი ხრტილის კუთხის შიგნითა ზედაპირს.

petrosus, - a, - u m, ბერძნ. (petra კლდე) კლდოვანი

pars petrosa კლდოვანი ნაწილი; საფეთქლის ძვლის კლდოვანი ნაწილი.

phalanx, - gis, მდ. ბერძნ. (ფალანგი—ალექსანდრე მაკედონელის ჯარის წყობა) ფალანგი; ხელის ან ფეხის თითების ერთ-ერთი ძვალი. არჩევენ პროქსიმალურ, შუა და დისტალურ ფალანგებს.

phallus, - i, მ. ბერძნ. (phallos მამაკაცის ასო) მამაკაცის ასო

pharynx, - gis, მ. ბერძნ. ხახა; კუნთოვანი ლულა, რომელიც იწყება ქალას ფუძიდან და კისრის VI მალის დონეზე გრძელდება საყლაპავ მილში, მასში არჩევენ სამ ნაწილს: ცხვირის, პირისა და ხორხისას.

pharyngeus, a, - um ხახისა

philtrum, - i, საშ. ბერძნ. ფილტრი; ვერტიკალური ღარი ზემო ტუჩსა და ცხვირის ძვიდეს შორის.

phrenicus, - a, - um, ბერძნ. (phren დიაფრაგმა, შუასაძგიდი) შუასაძგიდისა.

nervus phrenicus შუასაძგიდის ნერვი

pilus, - i, მ. ლათ. თმა

pilosus, - a, - um თმიანი

pinealis, - e, ლათ. (pinea ფოკვი, გირჩი, ჯალღუზი) გირჩისებრი, ჯალღუზისებრი.

pinna, - ae, მდ. ლათ. ფრთა

piriformis, - e, ლათ. (pirum მსხალი) მსხლისებრი

pisiformis, - e, ლათ. (pisum ცერცვი) ცერცვისებრი

pituita, - ae, მდ. ლათ. ლორწო

pituitarius, - a, - um ლორწოვანი

pius, - a, - um, ლათ. ნაზი, რბილი

pia mater encephali თავის ტვინის რბილი გარსი; ფაშარი შემაერთებელქსოვილოვანი, სისხლძარღვოვანი გარსი, რომელიც უშუალოდ ეკვრის თავის ტვინის ზედაპირს, მთლიანად ფარავს მას და შედის ტვინის ღარებისა და ნაპრალების სიღრმეში. შემაერთებელქსოვილოვანი ხარისხებით დაკავშირებულია ქსელისებრ გარსთან. ქმნის მეოთხე და მესამე პარაკუქის სისხლძარღვოვან სარკველებს და მეოთხე, მესამე და გვერდითი პარაკუქების სისხლძარღვთა წნულებს; ქვემოთ გრძელდება ზურგის ტვინის რბილ გარსში.

pia mater spinalis ზურგის ტვინის რბილი გარსი; თავის ტვინის რბილი გარსის უშუალო გაგრძელება; მკიდროდ ეკვრის ზურგის ტვინის ზედაპირს და შედის მის წინა ნაპრალში. ქვემოთ გრძელდება ზურგის ტვინის ტერმინალურ ძაფზე და ფარავს მას.

placenta, - ae მდ. ლათ. პლაცენტა, მომყოლი; დედის ორგანიზმსა და ნაყოფს შორის ნივთიერებათა ცვლის ორგანო; წარმოქმნილია დედისეული (ბაზალური მოსავარდნი გარსი) და ნაყოფისეული (ბუსუსებიანი ქორიონი) ნაწილები-საგან

placentalis, - e პლაცენტური, მომყოლისა

planta, - ae, მდ. ლათ. ტერფისძირი

plantaris, - e პლანტარული, ტერფძირისმხრივი, ტერფძირისა

planus, - a, - um, ლათ. ბრტყელი

platysma, - atis, საშ. ბერძნ. (*platys* განიერი, ფართო) პლატიზმა, კისრის კანქვეშა კუნთი.

pleura, - ae, მდ. ბერძნ. პლევრა; სეროზული გარსი, რომელიც შედგება ვისცერული, ანუ ფილტვის პლევრისა და პარიეტული პლევრისაგან. პლევრის ეს ორი ფირფიტა უწყვეტად გადადის ერთმანეთში ფილტვის ფესვის მიდამოში და ამრიგად იქმნება დახშული სეროზული პარკი, რომლის ნაპრაღისებრ სივრცეს პლევრის ღრუ ეწოდება.

pleura costalis ნეკნების პლევრა; პარიეტული პლევრის ნაწილი, რომელიც შეზრდილია გულმკერდის კედლებთან.

pleura diaphragmatica შუასაძგიდის პლევრა; პარიეტული პლევრის ნაწილი, რომლითაც დაფარულია დიაფრაგმის ზემო ზედაპირი.

pleura mediastinalis შუასაყარის პლევრა; პარიეტული პლევრის ნაწილი, რომელიც მიქცეულია შუასაყარისაკენ და ქმნის მის ლატერალურ კედელს.

pleura pulmonalis ფილტვის პლევრა; პლევრის ვისცერული ფირფიტა, რომელიც მკიდროდ არის შეზრდილი ფილტვის ზედაპირთან.

pleuralis, - e პლევრული

plexus, - us, მ. ლათ. (*plectere* დაწნა) წნული

plexiformis, - e დაწნული, წნულის ფორმისა

plica, - ae მდ. ლათ. (*plicare* ნაოჭებად შეკრება) ნაოჭი

plica aryepiglottica ციცხვ-ხორხსარქველის ნაოჭი; ლორწოვანი გარსის წყვილი ნაოჭი ციცხვისებრ ხრტილებსა და ხორხსარქველს შორის, რომლებითაც გვერდებიდან მოსაზღვრულია ხორხის შესავალი.

plica axillaris anterior et posterior ილლიის წინა და უკანა ნაოჭი; ილლიის ფოსოს წინა და უკანა კიდე.

plica cecalis vascularis ბრმა ნაწლავის სისხლძარღვოვანი ნაოჭი; პერიტონეუმის ნაოჭი თედოს ნაწლავის ბოლო ნაწილის ზემო კიდე, ბრმა ნაწლავსა და თედოს ნაწლავის ჯორჯალს შორის. მისსისქეში მოთავსებულია ბრმა ნაწლავის წინა არტერია თანამგზავრი ვენით; წინიდან შემოსაზღვრავს თედო-ბრმა ნაწლავის ზემო ჯიბეს.

plica chordae tympani დაფის სიმის ნაოჭი; ლორწოვანი გარსის ნაოჭი შუა ყურის ლატერალურ კედელზე, რომლითაც დაფარულია დაფის სიმი.

plica duodenalis inferior (plica duodenomesocolica) თორმეტგოჯა ნაწლავის ქვემო ნაოჭი (თორმეტგოჯა-კოლინჯ-ჯორჯლის ნაოჭი); პერიტონეუმის უსისხლძარღვო, სამკუთხა ნაოჭი, რომელიც მიემართება თორმეტგოჯა ნაწლავის ასწვრივი ნაწილის ქვედა ბოლოდან მარცხნივ, განივი კოლინჯის ჯორჯლისაკენ; მისი თავისუფალი კიდე მიქცეულია ზემოთ; წინიდან შემოსაზღვრავს თორმეტგოჯა ნაწლავის ქვემო ჯიბეს.

plica duodenalis superior (plica duodenojejunalis) თორმეტგოჯა ნაწლავის ზემო ნაოჭი (თორმეტგოჯა-მლივი ნაწლავის ნაოჭი); პერიტონეუმის ნაოჭი, რომელიც თორმეტგოჯა-მლივი ნაკეცის ქვედა ნაპირიდან მიემართება მარცხნივ, პარიეტული პერიტონეუმისაკენ; მისი ნამგლისებრი თავისუფალი ნაპირი მიმართულია ქვემოთ; წინიდან შემოსაზღვრავს თორმეტგოჯა ნაწლავის ზემო ჯიბეს.

plica fimbriata ფოჩისებრი ნაოჭი; ლორწოვანი გარსის წყვილი ნაოჭი ენის ქვემო ზედაპირის გვერდებზე, რომლებიც ერთმანეთს უახლოვდება ენის წვეტთან. ფოჩისებრი ნაოჭის გასწვრივ იხსნებიან ენის წინა ჯირკვლის სადინარები.

plica glossoepiglottica lateralis ენა-ხორხსარქველის ლატერალური ნაოჭი; ლორწოვანი გარსის წყვილი ნაოჭი ენის ძირსა და ხორხსარქველის გვერდით ნაპირებს შორის.

plica glossoepiglottica mediana ენა-ხორხსარქველის შუა ნაოჭი; ლორწოვანი გარსის ნაოჭი, რომელიც გაკიმულია შუა ხაზზე ენის ძირსა და ხორხსარქველს შორის.

plica ileocecalis თედო-ბრმა ნაწლავის ნაოჭი; პერიტონეუმის ნაოჭი თედოს ნაწლავის ბოლო ნაწილის წინა და ქვემო ზედაპირსა და ქიანაწლავის ძირს შორის (ბრმა ნაწლავს შორის); უხვად შეიცავს სისხლძარღვებს; მისი თავისუფალი კიდე მიქცეულია ქვემოთ და

მარცხნივ; წინიდან შემოსაზღვრავს თეძო-ბრმა ნაწლავის ქვემო ჯიბეს.

plica interureterica შარდსაწვეთთაშუა ნაოკი; შარდის ბუშტის ლორწოვანი გარსის განივი ნაოკი შარდსაწვეთების ხერელებს შორის, რომელიც ქმნის შარდის ბუშტის სამკუთხედის ფუძეს (BNA— *plica ureterica*).

plica lacrimalis საცრემლე ნაოკი; ლორწოვანი გარსის სარკველისებრი ნაოკი ცხვირ-ცრემლის არხის ქვედა ბოლოში. (Hasneri).

plica longitudinalis duodeni თორმეტგოჯა ნაწლავის გასწვრივი ნაოკი; ლორწოვანი გარსის ნაოკი თორმეტგოჯა ნაწლავის დასწვრივი ნაწილის უკანა კედლის მედიალურ მონაკვეთში, რომლის ქვედა ბოლო მთავრდება თორმეტგოჯა ნაწლავის დიდი დვრილით.

plica nervi laryngei ხორხის ნერვის ნაოკი; მსხლისებრი ჯიბის ლორწოვანი გარსის ნაოკი, რომლის ქვეშ მოთავსებულია ხორხის ზემო ნერვის შიგნითა ტოტი (BNA — *plica mucosa*).

plica palpebronasalis ცხვირ-ქუთუთოს ნაოკი; კანის არამუდმივი ნაოკი თვალის მედიალურ კუთხესთან; მას ეპიკანტუსაც უწოდებენ.

plica paraduodenalis პარადუოდენური ნაოკი; პერიტონეუმის არამუდმივი ნაოკი, რომელიც თორმეტგოჯა ნაწლავის ასწვრივი ნაწილიდან მიემართება მარცხნივ და მდებარეობს თორმეტგოჯა ნაწლავის ზემო ნაოკის ლატერალურად; მის სისქეში მოთავსებულია ჯორჯლის ქვემო ვენა და კოლინჯის მარცხენა არტერიის ასწვრივი ტოტი; პარადუოდენური ნაოკის თავისუფალი კიდე მიქცეულია მარჯვნივ; წინიდან შემოსაზღვრავს თანამოსასელე ჯიბეს.

plica rectouterina სწორნაწლავ-საშვილოსნოს ნაოკი; პერიტონეუმის წყვილი ნაოკი; ყოველი ნაოკი გაჭიმულია სწორი ნაწლავის გვერდით ზედაპირსა, მენჯის უკანა კედელსა და საშვილოსნოს ყელს შორის; მის სისქეში მოთავსებულია სუსტად გამოხატული თანამოსასელე კენთი. სწორნაწლავ-საშვილოსნოს ნაოკებით გვერდებიდან მოსაზღვრულია სწორნაწლავ-საშვილოსნოს ჩაღრმავება. (Douglasi).

plica salpingopalatina ლულა-სასის ნაოკი; ლორწოვანი გარსის ნაოკი ცხვირ-ხახის ლატერალურ კედელზე, სასმენი ლულის ხახისკენა ხერელსა და რბილ სასას შორის.

plica salpingopharyngea ლულა-ხახის ნაოკი; ლორწოვანი გარსის ნაოკი ცხვირ-ხახის ლატერალურ კედელზე, რომელიც სასმე-

ნი ლულის მორგვიდან ეშვება ქვემოთ; გამოწვეულია მის ქვეშ მდებარე თანამოსახელე კუნთით.

plica semilunaris conjunctivae კონიუნქტივის ნამგლისებრი ნაოკი; კონიუნქტივის ვერტიკალური ნაოკი საცრემლე კორძის ლატერალურად.

plica spiralis სპირალური ნაოკი; ნაღვლის ბუშტის სადინარის ლორწოვანი გარსის სპირალური ნაოკი (BNA — *valvula spiralis Heisteri*).

plica sublingualis ენისქვეშა ნაოკი; პირის ღრუს ძირის ლორწოვანი გარსის წყვილი ნაოკი; მოთავსებულია ენისქვეშა კორძის გვერდზე და ფარავს თანამოსახელე ჯირკვალს; მასში იხსნებიან ენისქვეშა ჯირკვლის მცირე სადინარები.

plica synovialis სინოვიური ნაოკი; სასახსრე ჩანთის სინოვიური აპკის დუპლიკატურები.

plica synovialis infrapatellaris კვირისტავქვედა სინოვიური ნაოკი; მუხლის სახსრის ჩანთის სინოვიური აპკის ნაოკი კვირისტავის მწვერვალსა და როკთაშუა ფოსოს წინა ნაპირს შორის (BNA — *plica synovialis patellaris*).

plica umbilicalis lateralis ჰიპის ლატერალური ნაოკი; პერიტონეუმის წყვილი ნაოკი მუცლის წინა კედლის შიგნითა ზედაპირზე; საზარდულის იოგის შუა მონაკვეთიდან მიემართება ზემოთ და მედიალურად; გამოწვეულია ქვემო ეპიგასტრული არტერიით (BNA — *plica epigastrica*).

plica umbilicalis media ჰიპის შუა ნაოკი; პერიტონეუმის ნაოკი მუცლის წინა კედლის შიგნითა ზედაპირზე, შარდის ბუშტის მწვერვალსა და ჰიპს შორის; გამოწვეულია ურახუსით.

plica umbilicalis medialis ჰიპის მედიალური ნაოკი; პერიტონეუმის წყვილი ნაოკი მუცლის წინა კედლის შიგნითა ზედაპირზე; შარდის ბუშტის გვერდითი ზედაპირიდან მიემართება ჰიპისაკენ; გამოწვეულია ობლიტერირებული ჰიპის არტერიით — ჰიპის მედიალური იოგით (BNA — *plica umbilicalis lateralis*).

plica venae cavae sinistrae მარცხენა ღრუ ვენის ნაოკი; სეროზული, სამკუთხა ნაოკი მარცხენა წინაგულის უკანა ლატერალურ ზედაპირზე; გამოწვეულია მარცხენა ზემო ღრუ ვენის კედლის ნაშთით — ფიბროზული ბოკკოებით.

plica vestibularis კარიბჭის ნაოკი; ხორხის ლორწოვანი გარსის წყვილი ნაოკი, რომლებითაც გვერდებიდან მოსაზღვრულია კა-

რიბკის შესავალი; მის სისქეში მოთავსებულია კარიბკის იოგი (*BNA—plica ventricularis*).

plica vocalis მბგერავი ნაოკი; ხორხის ლორწოვანი გარსის წყვილი ნაოკი, რომლებითაც გვერდებიდან მოსაზღვრულია ყია; გაქიმულია ფარისებრი ხრტილის კუთხესა და ციცხვისებრი ხრტილის მბგერავ მორჩს შორის; მის სისქეში მოთავსებულია მბგერავი იოგი.

plicae alares ფრთისებრი ნაოკები; მუხლის სახსრის ჩანთის სინოვიური აპკის წყვილი დუპლიკატურა კვირისტავის ქვემოთ.

plicae cecales ბრმა ნაწლავის ნაოკები; პერიტონეუმის ნაოკები ბრმა ნაწლავის ლატერალურ ზედაპირსა და მუცლის უკანა კედელს შორის, რომლებიც მარჯვენა მხრიდან შემოსაზღვრავენ ბრმა ნაწლავის უკანა ჯიბეს.

plicae ciliares წამწამოვანი ნაოკები; წამწამოვანი სხეულის ნაოკები წამწამოვან მორჩებს შორის.

plicae circulares ირგვლივი ნაოკები; წვრილი ნაწლავის ლორწოვანი გარსის ირგვლივი ნაოკები. (*Kerkringi*).

plicae gastricae კუქის ნაოკები; კუქის ლორწოვანი გარსის ნაოკები, რომლებიც მცირე სიმრუდის მიდამოში ლებულობენ გასწვრივ მიმართულებას.

plicae gastropancreaticae კუქ-პანკრეასის ნაოკები; პერიტონეუმის ნაოკები კუქის უკანა ზედაპირსა და პანკრეასს შორის, რომელშიც არჩევენ მარცხენა და მარჯვენა ნაწილებს; კუქ-პანკრეასის მარცხენა ნაოკი გამოწვეულია კუქის მარცხენა არტერიით, მარჯვენა კი — ღვიძლის არტერიით.

plicae iridis ფერადი გარსის ნაოკები; კონცენტრული ნაოკები ფერადი გარსის დიდი რგოლის მიდამოში.

plicae palatinae transversae სასის განივი ნაოკები; მაგარი სასის ლორწოვანი გარსის განივი ნაოკები.

plicae palmatae პალმისებრი ნაოკები; ლორწოვანი გარსის ირიბი ნაოკები საშვილოსნოს ყელის არხის წინა და უკანა კედლებზე.

plicae semilunares coli კოლინჯის ნამგლისებრი ნაოკები; კოლინჯის ლორწოვანი გარსის ნაოკები.

plicae transversales recti სწორი ნაწლავის განივი ნაოკები; სწორი ნაწლავის ლორწოვანი გარსის სამი ან მეტი ნამგლისებრი ნაოკი, რომლებიც კუნთოვან ელემენტებსაც შეიცავენ; ყველაზე ზემო

ნაოქი დაახლოებით 10 სმ-ით არის დაცილებული ყითას. (Houstoni).

plicae tubariae საშვილოსნოს ლულის ნაოქები; საშვილოსნოს ლულის ლორწოვანი გარსის გასწვრივი ნაოქები, რომლებიც უკეთ არიან გამოხატული ლულის ამჟულაში.

plicae tunicae mucosae ves. felleae ნაღვლის ბუშტის ლორწოვანი გარსის ნაოქები; ლორწოვანი გარსის მცირე ნაოქები, რომლებიც აძლევენ ნაღვლის ბუშტის შიგნითა ზედაპირს ბადის სახეს.

plicae villosae ხაოიანი ნაოქები; ლორწოვანი გარსის ბუსუსებიანი ნაოქები კუჭის არეებში, რომლებითაც მოსაზღვრული არიან კუჭის ორმოები.

pneumaticus, - a, - u m, ბერძნ. (pneuma ჰაერი, სუნთქვა) 1. პნევმატიკური, ჰაეროვანი, ჰაერით სავსე, 2. სასუნთქი, სუნთქვისა

pollex, - icis, მ. ლათ. ხელის ცერი

polus, - i, მ. ლათ. პოლუსი

polus anterior წინა პოლუსი; თვალის კაკლის წინა პოლუსი; რქოვანას წინა ზედაპირის ყველაზე გამობურცული ადგილი.

polus anterior lentis ბროლის წინა პოლუსი; ბროლის წინა ზედაპირის ყველაზე გამობურცული წერტილი.

polus frontalis შუბლის პოლუსი; დიდი ტვინის ჰემისფეროს შუბლის წილის წინ გამომწერილი ბოლო.

polus occipitalis კეფის პოლუსი; დიდი ტვინის კეფის წილის უკან გამომწერილი ბოლო.

polus posterior უკანა პოლუსი; თვალის კაკლის უკანა პოლუსი; მდებარეობს თვალის კაკლის უკანა სეგმენტის ცენტრში, მხედველობის ნერვის გამოსვლის ადგილიდან ოდნავ ლატერალურად.

polus posterior lentis ბროლის უკანა პოლუსი; ბროლის უკანა ზედაპირის ყველაზე გამობურცული წერტილი.

polus temporalis საფეთქლის პოლუსი; დიდი ტვინის საფეთქლის წილის წინ გამომწერილი ბოლო.

polaris, - e პოლარული, პოლუსისა

pons, - tis, მ. ლათ. ხიდი; განეკუთვნება უკანა ტვინს. შედგება ნერვული უჯრედებისა და ბოქოებისაგან. მოთავსებულია შუა ტვინსა და მოგრძო ტვინს შორის. მასში არჩევენ დორსალურ და ვენტრალურ ნაწილებს.

poples, - itis, მ. ლათ. მუხლქვეშა ჩაღრმავება

p o p l i t e u s, - a, u m მუხლქვეშა

fossa poplitea მუხლქვეშა ფოსო

p o r t a, - a e, მდ. ლათ. შესავალი, კარი

porta hepatis ღვიძლის კარი; განივი შესავალი ღვიძლის ვისცერულ ზედაპირზე, კვადრატულ და კუდიან წილებს შორის

Vena portae კარის ვენა; იქმნება ელენთისა და ჯორჯლის ზემო და ქვემო ვენების შეერთებით; შედის ღვიძლში ღვიძლის კარით; აგროვებს სისხლს ძირითადად მუცლის ღრუს კენტი ორგანოებიდან.

p o r t a l i s, - e კარისა

p o r t i o, - o n i s, მდ. ლათ. ნაწილი

portio supravaginalis cervicis ყელის საშოსზედა ნაწილი; საშვილოსნოს ყელის ზემო ორი მესამედი.

portio vaginalis cervicis ყელის საშოსეული ნაწილი; საშვილოსნოს ყელის ქვედა ერთი მესამედი, რომელიც მოთავსებულია საშოში.

p o r u s, - i, მ. ბერძნ. შესავალი, ხვრელი, ფორი

porus acusticus externus გარეთა სასმენი ხვრელი;

porus acusticus internus შიგნითა სასმენი ხვრელი;

porus sudoriferus საოფლე ფორი; ხვრელი, რომლითაც ოფლის საღინარი იხსნება კანის ქედზე.

p o s t e r i o r, - i u s, ლათ. უკანა

pre-, (**pra e**), წინდ. იხმარება ბრალდ. ბრუნვ. ლათ.: წინ, წინა

precuneus, - i, მ. წინასოლი; მოთავსებულია დიდი ტვინის თხემის წილის მედიალურ ზედაპირზე, სოლის წინ.

premolari s, - e მცირე ძირითადი კბილი, პრემოლარი

preputium, - i i, საშ. ჩუჩა; კანის თავისუფალი ნაოჭი, რომლითაც დაფარულია მამაკაცის ასოს თავი.

preputium clitoridis სავენებოს ჩუჩა; კანის ნაოჭი, რომლითაც დაფარულია სავენებოს თავი, უკანისკენ გრძელდება მცირე ბაგეების ლატერალურ ფეხებში.

primarius, - a, - u m, ლათ. უპირველესი, პირველადი

primus, - a, - u m, ლათ. (აღმატ. ხარისხი სიტყვ. prior) პირველი

primordium, - i i, საშ. ლათ. (primus პირველი, ordiri დაწყება) დასაბამი, საწყისი, პრიმორდიუმი.

primordialis, - e პრიმორდიული, პირველყოფადი, საწყისი

p r i n c e p s, - i p i s ლათ. (primus+capere აღება, არჩევა) პირველი, მთავარი

p r i s m a, - a t i s, საშ. ბერძნ. პრიზმა

prismata adamantina მინანქრის პრიზმები; მინანქრის 3—5 შიკრონის სისქის გრძელი გაკიროვნებული ბოქვები, რომლებიც ერთმანეთთან მკიდროდ არიან დაკავშირებული და დენტინის ზედაპირის პერპენდიკულარულად მიემართებიან.

p r o c e r u s, - a, - u m, ლათ. (procer დიდგვაროვანი) მაღალი, გამართული

musculus procerus სიამაყის კუნთი; ამ კუნთის შეკუმშვა იწვევს კანის განივი ნაოქების შექმნას წარბებს შორის.

p r o c e s s u s, - u s, მ. ლათ. (procedere წინ სვლა) მორჩი

p r o f u n d u s, - a, - u m, ლათ. (pro -, წინ, fundus ფსკერი, ძირი) ღრმა

p r o j e c t i o, - o n i s. მდ. ლათ. (projicere წინ გასროლა) პროექცია

p r o m i n e n s, - t i s, საშ. ლათ. (prominere წინ გაშვება) წარზიდული

vertebra prominens: წარზიდული მალა

p r o m i n e n t i a, - a e, მდ. ლათ. შემადლება

prominentia canalis facialis სახის არხის შემადლება; შემადლება დაფხედა ჯიბის მედიალურ კედელზე, კარიბჭის სარკმლის ზემოთ. გამოწვეულია სახის ნერვის არხით.

prominentia canalis semicircularis lateralis ლატერალური ნახევარკალოვანი არხის შემადლება; შემადლება დაფხედა ჯიბის მედიალურ კედელზე სახის არხის შემადლების ზემოთ და პარალელურად. გამოწვეულია ლატერალური ნახევარკალოვანი არხით.

prominentia laryngea ხორხის შემადლება; კანქვეშა შემადლება, რომელიც იქმნება ფარისებრი ხრტილის ორი ფირფიტის შეერთების შედეგად წარმოქმნილი კუთხით.

prominentia spiralis სპირალური შემადლება; ლოკოკინას სადინარის გარეთა კედლის შემადლება, მის ქვედა ნაწილში, რომლის სისქეში მოთავსებულია წარზიდული ძარღვი — **vas prominens**.

prominentia styloidea სადგისისებრი შემადლება; შემადლება დაფის ღრუს საულლე კედელზე. გამოწვეულია სადგისისებრი მორჩის ზედა ბოლოთი.

p r o m o n t o r i u m, i i, საშ. ლათ. კონცხი; 1. მენჯის

ლრუსაკენ გაშვერილი შემალლება, რომელიც იქმნება გავის ძვლის ფუძის წელის V მალასთან შეერთების ადგილას, 2. შემალლება დაფის ღრუს მედიალურ კედელზე. გამოწვეულია ლოკოკინას ძირითადი ხვეულით.

pronatio, - onis, მდ. ლათ. (pronus წინ დახრილი) პრონაცია; შიგნით ბრუნვა; მოძრაობა, რომლის შედეგად ხელისგული მიქცეულია უკან.

pronator, - oris, მ. ლათ. პრონატორი, შიგნით მბრუნველი კუნთი

proprius, - a, - um, ლათ. საკუთარი

prosencephalon, - i, საშ. ლათ. (pros — წინ, encephalos თავის ტვინი) წინა ტვინი; წინა ტვინის ბუშტიდან ვითარდება დასასრული და შუამდებარე ტვინი.

prostata, - ae, მდ. ბერძნ. (prostates წინ მდგომი) წინამდებარე; მამაკაცის სასქესო ჯირკვავი მენჯის ღრუში, შარდის ბუშტის ქვეშ.

protuberantia, - ae, მდ. ლათ. შემალლება

protuberantia mentalis ნიკაპის შემალლება; შემალლება ქვედაყბის სხეულის წინა ზედაპირს შუა, ქვემო კიდესთან უფრო ახლოს. თანამედროვე ადამიანის დამახასიათებელი ნიშანი.

protuberantia occipitalis externa კეფის გარეთა შემალლება; შემალლება კეფის ძვლის ქიცვის გარეთა ზედაპირს შუა; მას უმაგრდება ქედის იოგი.

protuberantia occipitalis interna კეფის შიგნითა შემალლება; შემალლება კეფის ძვლის ქიცვის შიგნითა ზედაპირს შუა.

proximus, - a, - um, ლათ. (ალმატ. ხარისხი სიტყვ. propior) უახლოესი

proximalis, - e პროქსიმალური; სხეულის შუა სიბრტყესთან ან ტორსთან უფრო ახლოს მდებარე. საპირისპირო ტერმინია — დისტალური.

psoas, - atis, მ. ბერძნ. წელი

pterygoideus, - a, - um, ბერძნ. (pteryx, - ygos, ფრთა, eides სახე) ფრთისებრი.

pubes, - is, მდ. ლათ. ბოქვენი; ბოქვენის თმა

pubicus, - a, - um ბოქვენისა

puendum, - i, საშ. ლათ. (pudere შერცხვენა) გარეთა სასქესო ორგანოები.

pu^den^du^s, - a, - u^m სასირცხო

pu^den^dal^{is}, - e სასირცხო, რაც განეკუთვნება გარეთა სასქესო ორგანოებს.

pu^lmo, - oⁿis, მ. ლათ. ფილტვი

pu^lmoⁿal^{is}, - e ფილტვისა

pu^lpa, - a^e, მდ. ლათ. პულპა, სირბილე

pu^lpa ^{dentis} კბილის პულპა; შედგება ფაშარი შემაერთებული ქსოვილისა, სისხლძარღვებისა და ნერვებისაგან. კბილის პულპით ამოვსებულია კბილის გვირგვინისა და ფესვის ღრუ.

pu^lpa ^{lienis} ელენთის პულპა; ელენთაში არჩევენ თეთრ და წითელ პულპას, რომელთა სტრომა აგებულია რეტიკულური ქსოვილით. თეთრ პულპას უკავია ორგანოს 1/5 და კუნძულების სახით მიმობნეულია მთელ ელენთაში; იგი ძირითადად შედგება ცენტრალური არტერიის გარშემო განლაგებული ლიმფური ფოლიკულებისაგან. ელენთის დანარჩენი ნაწილი უკავია წითელ პულპას, რომელიც შედგება სისხლის თავისუფალი ელემენტებისა, შემაერთებულქსოვილოვანი უჯრედებისა და სისხლძარღვებისაგან — ძირითადად ვენური სინუსებისაგან.

pu^lpo^su^s, - a, - u^m პულპოზური, ხორციანი

pu^lviⁿar, - a^ris, საშ. ლათ. ბალიში

pu^lviⁿar ^{thalami} მხედველობის ბორცვის ბალიში; მხედველობის ბორცვის უკანა ლატერალური ნაწილი.

puⁿct^um, - i, საშ. ლათ. წერტილი

puⁿct^um ^{lacrimale} საცრემლე წერტილი; ცრემლის მილაკის ხვრელი საცრემლე დვრილზე.

puⁿct^{atus}, - a, - u^m წერტილოვანი

pu^pilla, - a^e, მდ. ლათ. (კნინ. სიტყვისა pu^pa გოგო, თოჯინა) გუგა; ფერადი გარსის ხვრელი.

pu^pillar^{is}, - e გუგისა

pu^ta^men, - iⁿis, საშ. ლათ. ჩენჩო; ოსპისებრი ბირთვის ლატერალური ნაწილი

py^loru^s, - i, საშ. ბერძნ. (pyloros მეკარე, დარაჯი; pyle კარი, uros დარაჯი) კუჭის გასავალი, პილორუსი.

py^loric^{us}, - a, - u^m პილორული, პილორუსისა

py^ram^{is}, - i^dis, მდ. ბერძნ. პირამიდა; იხმარება როგორც საფეთქლის ძვლის კლდოვანი ნაწილის სინონიმი.

pyramides renales თირკმლის პირამიდები; თირკმლის ტვინოვანი ნივთიერების კონუსისებრი წარმონაქმნები, რომელთა ფუძე მიქცეულია ქერქოვანი ნივთიერებისაქენ, წვერო კი—მცირე ფიალებისაქენ. მათი რიცხვი 10-15 აღწევს. ერთმანეთისაგან განცალკევებული არიან თირკმლის სვეტებით. (Pyramides Malpighii).

pyramis medullae oblongatae მოგრძო ტვინის პირამიდა; ორი კონუსისებრი შემსხვილება მოგრძო ტვინის ვენტრალურ ზედაპირზე, შუა ნაპრალის გვერდებზე. შედგება პირამიდული ტრაქტის ბოქოებისაგან.

pyramis vermis კიის პირამიდა; ნათხემის კიის წილაკი კიის ბორცვსა და ნაქს შორის. შეესაბამება ნათხემის ჰემისფეროს ორმუცელა წილაკს. (Pyramis Malacarnei).

pyramis vestibuli კარიბჭის პირამიდა; ძვლოვანი ლაბირინთის კარიბჭის ქედის წინა ბოლო, რომლის კიდეებით შემოსაზღვრულია ლოკოკინას ჯიბე.

pyramidalis, - e პირამიდული

Q

q u a d r a n g u l a r i s, - e, ლათ. (quattuor ოთხი, angulus კუთხე) ოთხკუთხა

q u a d r a t u s, - a, - u m, ლათ. კვადრატული

musculus quadratus femoris ბარძაყის კვადრატული კუნთი

q u a d r i c e p s, - i t i s, მ. ლათ. (quattuor ოთხი, caput თავი) ოთხთავა

musculus quadriceps femoris ბარძაყის ოთხთავა კუნთი

q u a d r i g e m i n u s, - a, - u m, ლათ. (quattuor+geminus ტყუპი) ოთხმაგი

lamina quadrigemina ოთხგორაკის ფირფიტა

q u a r t u s, - a, - u m, ლათ. მეოთხე

ventriculus quartus მეოთხე პარკუჭი

R

r a c e m u s, - i, მ. ლათ. მტევანი

racemosus, - a, - u m, მტევნისებრი

radiatio, -onis, მდ. ლათ. (*rediare* გამოსხივება) გასხივება, განსხივება.

radiatio acustica სმენის განსხივება; წარმოქმნილია მედიალური დამუხვლილი სხეულიდან გამოსული ნერვული ბოჭკოებით, რომლებიც შიგნითა კაფსულის უკანა ფეხის გავლით მიემართებიან საფეთქლის ზემო ხვეულის შუა ნაწილისაკენ — სმენის სენსორულ არეში. ჰემისფეროს სისქეში ეს ბოჭკოები გაივლიან ოსპისებრი ბირთვის ქვემოთ და უკან.

radiatio corporis callosi კორძიანი სხეულის განსხივება; წარმოქმნილია ბოჭკოებით, რომლებიც კორძიანი სხეულიდან მიემართებიან დიდი ტვინის ქერქის სხვადასხვა უბანში.

radiatio optica მხედველობის განსხივება; წარმოქმნილია ლატერალური დამუხვლილი სხეულიდან გამოსული ბოჭკოებით, რომლებიც, შიგნითა კაფსულის ოსპისუკანა ნაწილის გავლით მიემართებიან კეფის წილის ქერქში — მხედველობის სენსორულ არეში; აგრეთვე შეიცავს მხედველობის ქერქქვეშა და რეტინულური ფორმაციის ბირთვებისაკენ მიმავალ ცენტრლანულ ბოჭკოებს. (*Cratioleti*).

radius, -ii, მ. ლათ. სხივი, სხივის ძვალი.

radii lentis ბროლის სხივები; სამი ან მეტი მკრთალი ხაზი, ნაკერი ბროლის პოლუსებზე, რომლებიც პოლუსიდან რადიალურად მიემართება ბროლის ეკვატორისაკენ.

radialis, -e სხივისა

arteria radialis სხივის არტერია

radiatus, -a, -um სხივისებრი

ligamenta sternocostalia radiata მკერდ-ნეკნის სხივისებრი იოგები

radix, -icis, დ. ლათ. ფესვი

radix dentis კბილის ფესვი; კბილის ნაწილი, რომელიც დაფარულია ცემენტით.

radix dorsalis დორსალური ფესვი; სპინალური ნერვის სენსორული ფესვი, რომელიც იქმნება სპინალური კვანძის ფსევდონიპოლარული უჯრედების აქსონებით; შედის ზურგის ტვინში უკანა ლატერალური ლარით. (*BNA — radix posterior*).

radix mesenterii ჯორჯლის ფესვი; წვილი ნაწლავის ჯორჯლის ძირი, რომელიც უმაგრდება მუცლის ღრუს უკანა კედელს.

radix motoria მოტორული, მამოძრავებელი ფესვი; სამწვერა ნერვის ფესვი, რომელიც იქმნება სამწვერა ნერვის მამოძრავებელი ბირთვის უჯრედების აქსონებით.

radix nasi ცხვირის ფესვი

radix oculomotoria თვალის მამოძრავებელი ფესვი; ნერვული ტოტი თვალის მამოძრავებელი ნერვის ქვემო ტოტსა და წამწამოვან კვანძს შორის, რომელიც შედგება პრეგანგლიონური პარასიმპათიკური ბოქკოებისაგან (BNA — radix brevis ganglii ciliaris).

radix penis მამაკაცის ასოს ფესვი; მღვიმოვანი სხეულების უკანა წაწვეტებული ბოლოები

radix pili თმის ფესვი

radix pulmonis ფილტვის ფესვი; იქმნება იმ წარმონაქმნებით, რომლებიც შედიან ან გამოდიან ფილტვის კარიდან.

radix sensoria სენსორული (მგრძნობიარე) ფესვი; სამწვერა ნერვის სენსორული ფესვი იქმნება სამწვერა კვანძის უჯრედების ცენტრალური ბოქკოებით, რომლებიც შედიან თავის ტვინში და მთავრდებიან სამწვერა ნერვის სენსორულ ბირთვებში (BNA — portio major).

radix ventralis ვენტრალური ფესვი; სპინალური ნერვის მოტორული ფესვი; შედგება ზურგის ტვინის წინა რუხი სვეტის მოტორული უჯრედების აქსონებისაგან და გარკვეულ მიდამოში აგრეთვე ლატერალური რუხი სვეტის სიმპათიკური უჯრედების აქსონებისაგან. (BNA — radix anterior).

r a m u s, - i, მ. ლათ. ტოტი

r a p h e, - e s, მდ. ბერძნ. ნაკერი; ორგანოს ან სხეულის ნაწილის ორი ნახევრის შემაერთებელი ხაზი.

raphe palati სასის ნაკერი; საგიტალური, შუა ხაზი სასის ლორწოვან გარსზე.

raphe palpebralis lateralis ქუთუთოს ლატერალური ნაკერი; იქმნება თვალის ირგვლივი კუნთის ბოქკოების გადახლართვით და თვალბუდის ძვიდის ფიბროზული ბოქკოებით; მოთავსებულია ქუთუთოს ლატერალური იოვის ზედაპირულად.

raphe penis მამაკაცის ასოს ნაკერი; სათესლე პარკის ნაკერის გაგრძელება წინისკენ ასოს ქვემო ზედაპირის გასწვრივ.

raphe pharyngis ხახის ნაკერი; მყესოვანი ხაზი ხახის უკანა ზედაპირის გასწვრივ, ხახის მარჯვენა და მარცხენა მომქერ კუნთებს შორის.

raphe pterygomandibularis ფრთა-ქვედაყბის ნაკერი; მყესოვანი იოვი ქვედაყბასა და სოლისებრიქვლის ფრთისებრი მორჩის კავს შორის, საიდანაც იწყება ხახის ზემო მომქერი და ლოყის კუნთი.

raphe scroti სათესლე პარკის ნაკერი; მომცრო შემალღება სათესლე პარკის შუა ხაზზე, რომელიც შეესაბამება სათესლე პარკის ძგიდეს.

recessus, - us, მ. ლათ. (recedere უკან დახევა) ჩაღრმავება, ჯიბე

recessus cochlearis ლოკოკინას ჯიბე; მომცრო ჩაღრმავება შიგნითა ყურის კარიბჭის ქვემო კედელზე, სადაც ძვეს ლოკოკინას საღინარის ბრმა კარიბჭისეული ბოლო.

recessus costodiaphragmaticus ნეკნ-შუასაძგიდის ჯიბე; ჩაღრმავება ნეკნების პლევრასა და შუასაძგიდის პლევრას შორის. (BNA — sinus phrenicocostalis).

recessus costomediastinalis ნეკნ-შუასაყრის ჯიბე; უბე ნეკნების პლევრასა და შუასაყრის პლევრას შორის, მკერდისა და ნეკნთა ხრტილების უკან (BNA — sinus costomediastinalis).

recessus duodenalis inferior თორმეტგოჯა ნაწლავის ქვემო ჯიბე; პერიტონეუმის უბე თორმეტგოჯა ნაწლავის ასწვრივი ნაწილის დასაწყისის მარცხნივ, რომელიც წინიდან მოსაზღვრულია თორმეტგოჯა ნაწლავის ქვემო ნაოკით; ჯიბე გახსნილია ზემოთ.

recessus duodenalis superior თორმეტგოჯა ნაწლავის ზემო ჯიბე; ქვემოთ გახსნილი პერიტონეუმის მცირე უბე, თორმეტგოჯა ნაწლავის ასწვრივი ნაწილის ბოლო მონაკვეთის მარცხნივ, რომელიც წინიდან მოსაზღვრულია თორმეტგოჯა ნაწლავის ზემო ნაოკით.

recessus ellipticus ელიფსური ჯიბე; ჩაღრმავება კარიბჭის მედიალურ კედელზე, კარიბჭის ქედის უკან; რომელშიც მშრთავსებულია ტიკი — utriculus. ელიფსურ ჯიბეს უერთდებიან ნახევარკალოვანი არხები.

recessus epitympanicus დაფზედა ჯიბე; დაფის ღრუს ნაწილი დაფის აპკის ზემოთ, სადაც მშრთავსებულია გრდემლის უმეტესი და ჩაქუჩის ზედა ნაწილი; ზემოთ და უკან გადადის დაფის მღვიმეში.

recessus hepatorenalis ღვიძლ-თირკმლის ჯიბე; პერიტონეუმის ჯიბე, რომელიც მშრთავსებულია ღვიძლის მარჯვენა წილის უკან და ქვემოთ; ზემოდან მოსაზღვრულია გვირგვინოვანი და მარჯვენა სამკუთხა იოგით.

recessus ileocecalis inferior თეძო-ბრმა ნაწლავის ქვემო ჯიბე; ქვემოთ და მარცხნივ გახსნილი პერიტონეუმის ჯიბე, რომელიც მშრთავსებულია თეძო-ბრმა ნაწლავის ნაოკსა და კიანაწლავის ჯორჯალს შორის.

recessus ileocecalis superior თეძო-ბრმა ნაწლავის ზემო ჯიბე; ქვემოთ და მარცხნივ გახსნილი პერიტონეუმის ჯიბე, რომელიც წინიდან მოსაზღვრულია ბრმა ნაწლავის სისხლძარღვოვანი ნაოქით, უკანიდან — თეძოს ნაწლავის ჯორჯლით, ქვემოდან თეძოს ნაწლავის ბოლო ნაწილით და მარჯვნიდან თეძო-ბრმა ნაწლავის შეერთებით.

recessus inferior omentalis ბადექონის ქვემო ჯიბე; ბადექონის აბგის ნაწილი კუჭსა და პანკრეასს შორის.

recessus infundibuli ძაბრის ჯიბე; დიდი ტვინის მესამე პარაკუპის ღრუს გაგრძელება ძაბრის ძირში.

recessus intersigmoideus სიგმოიდური კოლინჯის ჯიბე; ქვემოთ და მარცხნივ გახსნილი პერიტონეუმის მომცრო ჯიბე; მოთავსებულია სიგმოიდური კოლინჯის ჯორჯლის ფესვით წარმოქმნილი კუთხის წვეროსთან.

recessus lateralis ventriculi quarti მეოთხე პარაკუპის ლატერალური ჯიბე; მოთავსებულია რომბისებრი ფოსოს ლატერალურ კუთხესთან (BNA — *recessus lateralis fossae rhomboideae*).

recessus lienalis ელენთის ჯიბე; ბადექონის აბგის ნაწილი, ბადექონის ქვემო ჯიბის გაგრძელება მარცხნივ, რომელიც მოთავსებულია შუასაძგიდ-ელენთისა და კუჭ-ელენთის იოგებს შორის.

recessus membranae tympani superior დაფის აპკის ზემო ჯიბე; დაფის ღრუს ლორწოვანი გარსის ზემოთ და წინ გახსნილი ჯიბე; მოთავსებულია დაფის აპკის მოდუნებულ ნაწილსა და ჩაქუჩის ყელს შორის.

recessus membranae tympani anterior დაფის აპკის წინა ჯიბე; დაფის ღრუს ლორწოვანი გარსის ქვემოთ და წინ გახსნილი ჯიბე, რომელიც მოთავსებულია დაფის აპკსა და ჩაქუჩის წინა ნაოქს შორის.

recessus membranae tympani posterior დაფის აპკის უკანა ჯიბე; დაფის ღრუს ლორწოვანი გარსის ქვემოთ გახსნილი ჯიბე, რომელიც მოთავსებულია დაფის აპკსა და ჩაქუჩის უკანა ნაოქს შორის.

recessus opticus მხედველობის ჯიბე; მესამე პარაკუპის ღრუს გაგრძელება მხედველობის ტრაქტებს შორის, სასაზღვრო ფირფიტასა და მხედველობის ჯვარედინს შორის.

recessus paraduodenalis პარადუოდენური ჯიბე; თორმეტგოჯა ნაწლავის გვერდითი ჯიბე; პერიტონეუმის არამუდმივი, მარჯვნივ გახსნილი ჯიბე; მოთავსებულია თორმეტგოჯა-მლივი ნაკეცის მარცხნივ და წინიდან მოსაზღვრულია პარადუოდენური ნაკეცით.

recessus pharyngeus ხახის ჯიბე; ხახის ლორწოვანი გარსის წყვი-

ლი ჯიბე; მოთავსებულია ხახის გვერდით კედელზე, სასმენი ლულის მორგვის უკან. (Fossa Rosenmulleri).

recessus pinealis ქალღუზისებრი სხეულის ჯიბე; მესამე პარაკუქის ღრუს გაგრძელება სადავეების შესართავსა და უკანა შესართავს შორის.

recessus piriformis მსხლისებრი ჯიბე; ხორხ-ხახის ლორწოვანი გარსის წყვილი ჯიბე; მოთავსებულია ფარისებრი ხრტილის ფირფიტასა და ხორხის გვერდით კედელს შორის.

recessus pleuralis პლევრის ჯიბე; პლევრის ღრუს უბეები, რომლებიც იქმნება ნეკნების პლევრის გადასვლის ადგილას შუასაძგიდისა და შუასაყარის პლევრაში (BNA — sinus pleurae).

recessus retrocecalis რეტროცეკალური ჯიბე; ბრმა ნაწლავის უკანა ჯიბე; პერიტონეუმის ფართო, ქვემოთ გახსნილი ჯიბე, რომელიც წინიდან მოსაზღვრულია ბრმა ნაწლავით, უკანიდან — პარიეტული პერიტონეუმით, გარეთა მხრიდან კი — ბრმა ნაწლავის ნაოქით. ზოგ შემთხვევაში რეტროცეკალურ ჯიბეში მოთავსებულია კიანაწლავი.

recessus retroduodenalis რეტროდუოდენური ჯიბე; თორმეტგოჯა ნაწლავის უკანა ჯიბე, პერიტონეუმის არამუდმივი, ქვემოთ და მარცხნივ გახსნილი ჯიბე, რომელიც მოთავსებულია თორმეტგოჯა ნაწლავის ასწვრივი ნაწილის მარცხენა კილის უკან.

recessus sacciformis პარკისებრი ჯიბე; სხივ-იდაყვის დისტალური სახსრის ჩანთის ზემოთ მიმართული ჯიბე, რომელიც მოთავსებულია წინამხრის ძვლებს შორის და ძვალთაშუა აპკის წინ.

recessus sphenoidaloidalis სოლისებრ-ცხავის ჯიბე; ვიწრო სივრცე, რომელიც ზემოდან მოსაზღვრულია ცხავის ძვლის დაცხრილული ფირფიტითა და სოლისებრი ძვლის სხეულით, ქვემოდან კი — ცხვირის ზემო ნიჟარით. სოლისებრ-ცხავის ჯიბეში იხსნება სოლისებრი წიაღი.

recessus sphericus სფერული ჯიბე; ჩაღრმავება ძვლოვანი კარიბჭის მედიალურ კედელზე, კარიბჭის ქედის წინ და ქვემოთ. მასში მოთავსებულია პარაკუქი — sacculus.

recessus subhepatici ღვიძლქვეშა ჯიბე; მოთავსებულია ღვიძლის მარცხენა წილსა და განივი კოლინჯის ჯორჯლის ზემო ზედაპირს შორის.

recessus subphrenici შუასაძგიდქვეშა ჯიბე; პერიტონეუმის ჯიბე შუასაძგიდსა და ღვიძლის მარჯვენა წილის დიაფრაგმულ ზედაპირს შორის, რომელიც უკანიდან მოსაზღვრულია გვირგვინო-

ვანი და მარჯვენა სამკუთხა იოგებით (BNA — recessus phrenicohepatici).

recessus subpopliteus მუხლქვეშა ჯიბე; მუხლის სახსრის ჩანთის სინოვიური აპკის ჯიბე მუხლქვეშა კუნთსა და ბარძაყის ლატერალურ როკს შორის (BNA — bursa m. poplitei).

recessus superior omentalis ბაღექონის ზემო ჯიბე; ბაღექონის აბგის ნაწილი ღვიძლის კუდიან წილსა და შუასაძგიდს შორის.

recessus suprapinealis ჯალღუზის ზედა ჯიბე; მესამე პარაკუტის ეპენდიმური საფარველის გამონაზარდი, რომელიც მოთავსებულია ჯალღუზისებრი სხეულის ზემოთ.

rectum, - i, საშ. ლათ. სწორი ნაწლავი (BNA — intestinum rectum).

rectalis, - e სწორი ნაწლავისა

rectus, - a, - um, ლათ. სწორი

musculus rectus abdominis მუცლის სწორი კუნთი

recurrens, - ntis, ლათ. (recurere დაბრუნება) შებრუნებულ

regio, - onis, მდ. ლათ. (regio მიმართულება, მხარე, ქვეყანა; regere მართვა) სხეულის ნაწილი, მიდამო.

ren, renis, მ. ლათ. თირკმელი

renal, - e თირკმლისა

respiratio, - onis, მდ. ლათ. (respirare სუნთქვა) სუნთქვა

respiratorius, - a, - um რესპირატორული, სასუნთქი, სუნთქვისა

rete, - is, საშ. ლათ. ქსელი, ბაღე

rete acromiale აკრომიული ბაღე; არტერიული ბაღე აკრომიონის გარეთა ზედაპირზე; იქმნება ბეჭხედა არტერიისა და გულმკერდაკრომიონის არტერიის აკრომიული ტოტების ანასტომოზებით.

rete articulare cubiti იდაყვის სახსრის ბაღე; არტერიული ბაღე იდაყვის სახსრის გარშემო; იქმნება იდაყვის ზემო და ქვემო გვერდითი არტერიების, სხივის, იდაყვის და ძვალთაშუა შებრუნებული არტერიების, შუა გვერდითი და სხივის გვერდითი არტერიების ანასტომოზებით.

rete articulare genus მუხლის სახსრის ბაღე; არტერიული ბაღე მუხლის სახსრის გარშემო; იქმნება მუხლის მედიალური და ლატერალური ზემო და ქვემო არტერიების, დიდი წვივის შებრუნებული წინა არტერიის, მცირე წვივის შემომხვევი ტოტის, მუხლის შუა არტერიისა და მუხლის დასწვრივი არტერიის ანასტომოზებით..

rete calcaneum ქუსლის ბაღე; კანქვეშა არტერიული ბაღე ქუსლის ბორცვის უკანა ზედაპირზე; იქმნება დიდი წვივის უკანა არტერიისა და მცირე წვივის არტერიის ქუსლისეული ტოტების ანასტომოზებით.

rete carpi dorsale მაჯის დორსალური ბაღე; არტერიული ბაღე მაჯის დორსალურ ზედაპირზე; იქმნება იდაყვისა და სხივის არტერიების მაჯისეული დორსალური ტოტებისა და ძვალთაშუა წინა და უკანა არტერიების ანასტომოზებით. მაჯის დორსალურ ბაღეს გამოეყოფა ნების II, III და IV დორსალური არტერიები.

rete malleolare laterale ლატერალური გოჯის ბაღე; არტერიული ბაღე ლატერალური გოჯის გარშემო; იქმნება მცირე წვივის არტერიის გოჯისეული ლატერალური ტოტების და დიდი წვივის წინა არტერიის ტოტის — გოჯის წინა ლატერალური არტერიის ანასტომოზებით.

rete malleolare mediale მედიალური გოჯის ბაღე; არტერიული ბაღე მედიალური გოჯის გარშემო; იქმნება გოჯის მედიალური ტოტებისა (დიდი წვივის უკანა არტერიის ტოტები) და გოჯის მედიალური არტერიის (დიდი წვივის წინა არტერიის ტოტი) ანასტომოზებით.

rete mirabile საოცარი ბაღე; ეწოდება არტერიული ან ვენური სისტემის ისეთ ბაღეს, როდესაც როგორც მომტანი (სისხლძარღვი, რომელიც იყოფა კაპილარებად), ისე გამომტანი (სისხლძარღვი, რომელშიც თავს იყრის მომტანი ძარღვიდან გამოსული კაპილარები) ძარღვი განეკუთვნება ერთ შემთხვევაში მხოლოდ არტერიულებს, მეორე შემთხვევაში კი — მხოლოდ ვენულებს. არტერიული საოცარი ბაღის მაგალითია თირკმლის გორგლები, ვენური საოცარი ბაღისა კი — ტვინის დანამატისა და ღვიძლის წილშიგა კაპილარების სისტემა.

rete patellae კვირისტავის ბაღე; მუხლის სახსრის არტერიული ბაღის ზედაპირული ნაწილი კვირისტავის გარშემო.

rete testis სათესლის ბაღე; თესლის სწორი მილაკების ანასტომოზებით წარმოქმნილი ბაღე სათესლის შუასაყარში. სათესლის ბაღეს გამოეყოფა სათესლის გამომტანი მილაკები. (Halleri).

rete venosum dorsale manus ხელის მტევნის დორსალური ვენური ბაღე; ხელზურგის ვენური ბაღე, რომელიც იქმნება ნების დორსალური ვენებით; აგროვებს სისხლს თითებიდან და დასაბამს აძლევს სალამისა და შევარდენის ვენებს.

rete venosum dorsale pedis ტერფის დორსალური ვენური ბაღე; ტერფზურგის ვენური ბაღე; იქმნება წინა ტერფის დორსალური

ვენების ანასტომოზებით, რომლებიც წარმოქმნიან ტერფის დორსალურ ვენურ რკალს. ტერფის დორსალური ვენური ბადის მედიალური ნაწილიდან სისხლი მიედინება დიდ საჩინო ვენაში, ლატერალური ნაწილიდან კი — მცირე საჩინო ვენაში.

rete venosum plantare ტერფძირის ვენური ბადე; ტერფძირის კანქვეშა ხშირი ვენური ბადე.

reticulum, - i, საშ. ლათ. (ცნინ. სიტყვ. *rete*) ბადე, ქსელი
reticularis, - e ბადისებრი, რეტიკულური

retina, - a e მდ. ლათ. (*rete* ბადე) ბადისებრი გარსი, ბადურა

retinaculum, - i, საშ. ლათ. (*retinare* შეკავება, შეჩერება)
შემკავებელი, საბმელი.

retinacula cutis კანის საბმელები; ფიბროზული ბოჭკოების კონები კანქვეშა ქსოვილში, რომლებიც განსაკუთრებით არიან გამოხატული სახსრების მიდამოში.

retinacula unguis ფრჩხილის საბმელები; შემაერთებელქსოვილოვანი ბოჭკოების კონები დისტალური ფალანგის ძვლისაზრდელასა და ფრჩხილს შორის.

retinaculum caudale კუდალური საბმელი; ფიბროზული ბოჭკოები, რომლითაც კანი უმაგრდება კუდუსუნს. ამ ადგილას კანის გარეთა ზედაპირზე ხშირად იქმნება კუდუსუნის ორმო.

retinaculum extensorum გამშლელების საბმელი; წინამხრის ფასციის განივი შემსხვილება მაჯის დორსალურ ზედაპირზე, რომლის ქვეშ მოთავსებულია გამშლელების მყესები (*BNA — lig. carpi dorsale*).

retinaculum flexorum მომხრელების საბმელი; წინამხრის ფასციის შემსხვილება მაჯის ხელგულისმხრივ ზედაპირზე, რომელიც უმაგრდება მაჯის ლარის ნაპირებს და ქმნის მაჯის არხს; მის ქვეშ გაივლიან მომხრელების მყესები და საშუალო ნერვი (*BNA — lig. carpi transversum*).

retinaculum musculi extensorum inferiores გამშლელი კუნთების ქვემო საბმელი; კანკის ფასციის ქვედა ნაწილის გასქელება, რომელიც იწყება ქუსლის ლატერალური მხრიდან, მიეჭარბება მედიალურად და იყოფა ორ ფეხად. ზემო ფეხი უმაგრდება მედიალურ გოჯს, ქვემო კი—ტერფძირის აპონევროზს. (*BNA—lig. cruciatum cruris*).

retinaculum musculi extensorum superiores გამშლელი კუნთების ზემო საბმელი; კანკის ფასციის ქვედა ნაწილის გასქელება დიდი

წვივის წინა ქედსა და მცირე წვივს შორის, რომლის ქვეშ გაივლიან გამშლელი კუნთების მყესები (BNA — lig. transversum cruris).

retinaculum musculi flexorum მომხრელი კუნთების საბმელი; კანქის ფასციის გასქელება მედიალურ გოჯსა და ქუსლს შორის; მონაწილეობს ოთხი განცალკევებული ფიბროზული არხის შექმნაში. ერთში მოთავსებულია დიდი წვივის უკანა კუნთის მყესი, მეორეში — ფეხის ცერის გრძელი მომხრელის მყესი, მესამეში — თითების გრძელი მომხრელის მყესი, მეოთხეში კი — დიდი წვივის უკანა არტერია, ვენა და დიდი წვივის ნერვი.

retinaculum musculi peroneorum (fibularium) inferius მცირე წვივის კუნთების ქვემო საბმელი; წვივის ფასციის გასქელება ქუსლის ძვლის ლატერალურ ზედაპირზე, რომელიც ქმნის ძვლოვან-ფიბროზულ არხებს მცირე წვივის კუნთების მყესებისათვის.

retinaculum musculi peroneorum (fibularium) superius მცირე წვივის კუნთების ზემო საბმელი; წვივის ფასციის გასქელება ქუსლსა და ლატერალურ გოჯს შორის.

retinaculum patellae laterale et mediale კვირისტავის ლატერალური და მედიალური საბმელი; მოთავსებული არიან კვირისტავის გვერდებზე და ძირითადად იქმნებიან ბარძაყის ოთხთავა კუნთის მყესით.

retro, - ლათ. რთულ სიტყვებში ნიშნავს — უკან

retrocecalis, - e რეტროცეკალური, ბრმა ნაწლავის უკან მდებარე

retroflexio, - onis, მდ. ლათ. (flexio მოხრა) რეტროფლექსია, უკან მოხრა

retroflexus, - a, - um გადაკეცილი, შებრუნებული

retromandibularis, - e ქვედაყბისუკანა

retroperitonealis, - e რეტროპერიტონეული, პერიტონეუმის უკან მდებარე

reuniens, - ntis, მდ. ლათ. (reunire შეერთება) შემაერთებელი

ductus reuniens შემაერთებელი სადინარი; აპკოვანი მილი პარაკუქსა და ლოკოკინას სადინარს შორის.

rhinencephalon, - i, საშ. ბერძნ. (rhin ცხვირი, enkephalon თავის ტვინი) ყნოსვის ტვინი; წინა ტვინის ფილოგენეზურად უფრო ძველი ნაწილი, რომელიც ვითარდება ყნოსვის რეცეპტორთან დაკავშირებით. აღამიანში სუსტად არის

განვითარებული; გამარტივებული სქემით მოიცავს ყნოსვის ბოლქვს, ტრაქტს, სამკუთხედს, წინა დახვრეტილ სუბსტანციას, ჰიპოკამპს, დაკბილულ ხვეულს, თალის ხვეულსა და კაუქს.
r h o m b e n c e p h a l o n, - i, საშ. ბერძნ. (rhombus რომბი, enkephalon თავის ტვინი) რომბისებრი ტვინი; თავის ტვინის მესამე ბუშტი, რომელიც იყოფა მიელენცეფალონსა და მეტენცეფალონად.

r h o m b o i d e u s, - a, - u m, ბერძნ. (rhombus რომბი, eides სახე) რომბისებრი

r i m a, - a e, მდ. ლათ. ნაპრალი.

rima glottidis ყია; საგიტალური ნაპრალი მბგერავ ნაოქებს შორის, რომელშიც არჩევენ წინა, აპკთაშუა და უკანა, უფრო ფართო, ხრტილთაშუა ნაწილს ციცხვისებრ ხრტილებს შორის.

rima oris პირის ნაპრალი; განივი ნაპრალი ტუჩებს შორის

rima pudendi სასირცხო ნაპრალი; გასწვრივი ნაპრალი დიდ სასირცხო ბაგეებს შორის.

r i s o r i u s, - a, - u m, ლათ. (ridere სიცილი) ღიმილისა

musculus risorius ღიმილის კუნთი; მიმიკური კუნთი, რომელიც იწყება სალუკი ფასციიდან და უმაგრდება პირის კუთხის კანს; შეკუმშვის დროს ხშირად ქმნის მცირე ორმოს ლოყაზე, პირის კუთხესთან ახლოს.

r i v u s, - i, მ. ლათ. ნაკადი

rivus lacrimalis ცრემლის ნაკადი; არხი დახუჭული ქუთუთოების უკანა კილოებსა და თვალის კაკალს შორის, რომლითაც ცრემლი მიედინება ცრემლის ტბაში.

r o s t r u m, - i, საშ. ლათ. ნისკარტი

rostrum corporis callosi კორძიანი სხეულის ნისკარტი; კორძიანი სხეულის წინა ნაწილი, რომელიც ქვემოთ უერთდება სასაზღვრო ფირფიტას.

rostrum sphenoidale სოლისებრი ნისკარტი; სოლისებრი ძვლის ქედის ქვედა ნაწილი.

rostralis, - e ნისკარტისებრი, როსტრალური; ემბრიოლოგიაში ტერმინი როსტრალური აღნიშნავს — სხეულის წინა ბოლოსთან უფრო ახლოს მდებარეს.

r o t a t o r, - o r i s, მ. ლათ. (rotare ბრუნება) მბრუნველი

musculi rotatores მბრუნველი კუნთები

r u b e r, - b r a, - b r u m, ლათ. წითელი

r u d i m e n t u m, - i, საშ. ლათ. (საწყისი) რუდიმენტი; განუვითარებელი ან ნაწილობრივ განვითარებული ორგანო, ორგანოს ნაშთი, ჩანასახოვანი ორგანო, ორგანო, რომელიც სრულფასოვანი იყო განვითარების წინა სტადიებში.

rudimentarius, - e, - um ლათ. რუდიმენტული

r u g a, - a e, მდ. ლათ. ნაოქი

rugae vaginales საშოს ნაოქები; საშოს ლორწოვანი გარსის განივი ნაოქები, რომლებიც უფრო გამოხატულია საშოს წინა და უკანა კედელზე' სადაც ქმნიან ნაოქიან სვეტებს.

S

s a c c u l u s, - i, მ. ლათ. (კნინ. სიტყვ. **saccus** პარკი) პარკუჭი; შიგნითა ყურის აპკისებრი ლაბირინთის ნაწილი, მცირე სფერული პარკი, რომელიც მოთავსებულია ძელოვანი კარიბჭის სფერულ ჭიბეში; შემაერთებული სადინარით დაკავშირებულია ლოკოკინას სადინართან, ხოლო ტიკ-პარკუჭის სადინარით ტიკთან და ენდოლიმფის სადინართან.

sacculi alveolares ალვეოლური პარკები; ფილტვის ალვეოლური მილაკების ყრუ დაბოლოებანი.

sacculus laryngis ხორხის პარკი; ჭიბე, რომელშიც გრძელდება ხორხის პარკუჭი (**BNA — appendix ventriculi laryngis**).

saccularis, - e პარკისა, პარკუჭისა

s a c c u s, - i, მ. ლათ. პარკი

saccus conjunctivae კონიუნქტივის პარკი; კონიუნქტივით მოსაზღვრული სივრცე, რომელიც იხსნება წინ თვალის გახელისას.

saccus endolymphaticus ენდოლიმფის პარკი; ენდოლიმფის სადინარის ყრუ, გაფართოებული ბოლო, რომელიც ძვეს საფეთქლის ძვლის კლდოვანი ნაწილის უკანა, ზედაპირზე, მაგარი გარსის სისქეში.

saccus lacrimalis ცრემლის პარკი; ცხვირ-ცრემლის სადინარის ზემო გაფართოებული ბოლო, რომელიც მოთავსებულია თვალის მედიალურ კუთხეში, ცრემლის პარკის ფოსოში.

saciformis, - e პარკისებრი

s a c e r, - c r a, - c r u m, ლათ. საღრმთო, წმინდა

os sacrum გავა, გავის ძვალი; სიტყვასიტყვით — წმინდა ძვა-

ლი. ბერძნები დიდ საგნებს უწოდებდნენ წმინდას, რითაც აიხსნება ხერხემლის უდიდესი ძვლის სახელწოდება.

sacralis, - e გავისა

sacrocoecygeus, - a, - um გავა-კუდუსუნისა

sagitta, - ae, მდ. ლათ. ისარი

sagittalis, - e საგიტალური, ისრის მიმართულების, წინა-უკანა მიმართულებით მდებარე

sutura sagittalis საგიტალური ნაეკერი; ქალასარქვლის გასწვრივი ნაეკერი თხემის ძვლებს შორის.

saliva, - ae, მდ. ლათ. ნერწყვი

salivaris, - e ნერწყვისა, სანერწყვე

glandulae salivares სანერწყვე ჯირკვლები

salivarius, - a, - um ნერწყვიანი

salpinx, - ngis, მდ. ბერძნ. ბუკი, ნალარა, ანატ. საშვილოსნოს ლულა

mesosalpinx საშვილოსნოს ლულის ჯორჯალი

sanguis, - inis, მ. ლათ. სისხლი

sanguineus, - a, - um სისხლიანი, სისხლისა

saphenus, - a, - um (saphin ძვ. ებრ. შემნახველი) უჩინარი vena saphena magna et parva დიდი და მცირე საჩინო ვენა;

ქვემო კიდურის კანქვეშა ვენები

sartorius, - ii, - um, ლათ. (sartor თერძი) თერძისა

musculus sartorius თერძის კუნთი

scala, - ae, მდ. ლათ. კიბე

scala tympani დაფის კიბე; ლოკოკინას სპირალური არხის ქვედა ნაწილი, რომელიც მოთავსებულია ძვლოვანი სპირალური ფირფიტისა და ლოკოკინას სადინარის ქვემოთ. წარმოადგენს პერილიმფურ სივრცეს.

scala vestibuli კარიბჭის კიბე; ლოკოკინას სპირალური არხის ზედა ნაწილი, რომელიც მოთავსებულია ძვლოვანი სპირალური ფირფიტისა და ლოკოკინას სადინარის ზემოთ; წარმოადგენს პერილიმფურ სივრცეს. ლოკოკინას სადინარს, რომელიც დაფისა და კარიბჭის კიბეებს შორის არის მოთავსებული, ზოგჯერ შუა კიბეს უწოდებენ.

scalenus, - a, - um, ბერძნ. (skalenos არატოლფერდა სამკუთხედი) კიბისებრი.

musculus scalenus anterior, medius et posterior წინა, შუა და უკანა კიბისებრი კუნთები.

scapula, - ae, მდ. ბერძნ. (scaphe გობი, ნავი) ნავი; ყურის ნიჟარის ჩაღრმავება წინა და უკანა ქავლს შორის.

scaphoideus, - a, - um ნავისებრი

fossa scaphoidea ნავისებრი ფოსო; მდებარეობს სოლისებრი ძვლის ფრთისებრი მორჩის მედიალური ფირფიტის უკანა ზედაპირზე, ზედა მონაკვეთში; ამ ფოსოში იწყება რბილი სასის გამჭიმავი კუნთი.

os scaphoideum ნავისებრი ძვალი; მაჯის პირველი რიგის ძვალი.

scapula, - a e, მდ. ლათ. ბეჭი

scapularis, - e ბეჭისა

scapus, - i, მ. ლათ. ღერძი, ყლორტი

scapus pili თმის ღერძი; თმის კანზედა თავისუფალი ნაწილი

sceletum, - i, საშ. ბერძნ. (skeleton გამომშრალი, მუშია) ჩონჩხი.

sclera, - a e, მდ. ბერძნ. (skleros მაგარი) სკლერა; თვალის კაკლის ფიბროზული გარსის უკანა, უმეტესი ნაწილი; თვალის კაკლის გარეთა, თეთრი გარსი, რომელსაც უმაგრდება თვალის კაკლის კუნთები.

scriptorius, - a, - um, ლათ. საწერი

scrobiculus, - i, მ. ლათ. (კნინ. scrobis) პატარა ორმო

scrobiculus cordis გულის ორმო; იგივეა რაც ეპიგასტრიუმი

scrobis, - i, მ. ლათ. ორმო

scrotum, - i, საშ. ლათ. სათესლე პარკი

scrotalis, - e სათესლე პარკისა

sebum, - i, საშ. ლათ. ქონი, თებო

sebaceus, - a, - um ქონისა, თებოსი

glandulae sebaceae ქონის, თებოს ჯირკვლები

secretio, - onis, მდ. ლათ. (secernere გამოყოფა) სეკრეცია, გამოყოფა— ჯირკვლების მიერ სეკრეტის გამოყოფა.

secretum, - i, საშ. ლათ. სეკრეტი — ჯირკვლების მიერ გამოყოფილი ნივთიერებანი.

secretorius, - a, - um სეკრეტორული, საწრეტი, გამომყოფი

sectio, - onis, მდ. ლათ. (secare გაჭრა, გაკვეთა) გაკვეთა, სექცია

sectiones cerebelli ნათხემის განაკვეთები

secundus, - a, - um, ლათ. მეორე

secundarius, - a, - um მეორეული

segmentum, - i, საშ. ლათ. სეგმენტი, ნაწილი

segmenta bronchopulmonalia ბრონქ-ფილტვის სიტმენტები; ყოველი სეგმენტი წარმოადგენს ფილტვის დანაყოფს, დამოუკიდებელ ერთეულს, რომელიც მარაგდება ერთი სეგმენტური ბრონქით და ერთი არტერიით. სეგმენტები გამოიწველია შემაერთებელქსოვილოვანი ძვიდეებით, რომელშიც გაივლის ორი მეზობელი სეგმენტის მადრენირებელი ვენა. ყოველ სეგმენტს დაახლოებით კონუსის ფორმა აქვს, რომლის წვერო მიმართულია ფილტვის კარისაკენ, ფუძე კი — ფილტვის ზედაპირისაკენ. ბრონქ-ფილტვის სეგმენტი ფილტვის მორფოლოგიური და ფუნქციური ერთეულია, რომლის ფარგლებში თავდაპირველად იწყება ზოგიერთი პათოლოგიური პროცესი: პარიზის ანატომიური ნომენკლატურის თანახმად მარჯვენა ფილტვში 11 სეგმენტია (ამასთან ერთი — არამუდმივია), მარცხენაში კი — 10.

segmenta hepatis ღვიძლის სეგმენტები ქირურგიის განვითარებამ და ღვიძლის დეტალურმა შესწავლამ განაპირობა ამ ორგანოს სეგმენტურად დაყოფა; სეგმენტი ეს არის ღვიძლის ნაწილი, რომელიც შეესაბამება კარის ვენის მსხვილ ტოტს და მის თანამგზავრ ღვიძლის არტერიის ტოტებსა და ნაღვლის სადინარებს. სხვადასხვა ავტორების მიერ მოწოდებულია ღვიძლის სეგმენტების განსხვავებული რაოდენობა. აქ მოგვყავს ღვიძლის სეგმენტებად დაყოფა პარიზის ანატომიური ნომენკლატურის მიხედვით. ღვიძლის მარჯვენა წილში არჩევენ: წინა სეგმენტს — *segmentum anterius* და უკანა სეგმენტს — *segmentum posterius*, ღვიძლის მარცხენა წილში კი — მედიალურ სეგმენტს — *segmentum mediale*, რომელიც მოიცავს კვადრატულ ნაწილს — *pars quadrata* (შეესაბამება ღვიძლის თანამოსახელე წილს), და ლატერალურ სეგმენტს — *segmentum laterale*.

segmenta renales თირკმლის სეგმენტები; თირკმელში არჩევენ ოთხ მილაკოვან სისტემას: არტერიებს, ვენებს, ლიმფურ ძარღვებსა და თირკმლის მილაკებს, რომელთა მსვლელობაში რამდენადმე შეიმჩნევა პარალელიზმი. მ. პრივესის მონაცემებით, შესაბამისობა განსაკუთრებით გამოხატულია თირკმლის არტერიის ორგანოსშიგა ტოტებსა და თირკმლის ფიალებს შორის. ყველაფერი ეს დაედო საფუძვლად თირკმლის სეგმენტაციას. არჩევენ თირკმლის ხუთ სეგმენტს: *segmentum superius* ზემო სეგმენტი; შეესაბამება თირკმლის ზემო პოლუსს; *segmentum anterius superius* ზემო წინა სეგმენტი; განლაგებულია თირკმლის მენჯის წინ, ზემო სეგმენტსა და ქვემო წინა სეგმენტს შორის; მოიცავს თირკმლის წინა ზედაპირის შუა ნა-

წილის ზედა განყოფილებას; *segmentum anterius inferius* ქვემო წინა სეგმენტი; განლაგებულია თირკმლის მენჯის წინ, ზემო წინა სეგმენტსა და ქვემო სეგმენტს შორის; მოიცავს თირკმლის წინა ზედაპირის შუა ნაწილის ქვედა განყოფილებას; *segmentum inferius* ქვემო სეგმენტი; შეესაბამება თირკმლის ქვემო პოლუსს; *segmentum posterius* უკანა სეგმენტი; განლაგებულია თირკმლის მენჯის უკან, ზემო და ქვემო სეგმენტებს შორის და უკავია თირკმლის უკანა ზედაპირი.

sella, - *a e*, მდ. ლათ. სავარძელი, კეხი

sella turcica თურქული კეხი; ჩაღრმავება სოლისებრი ძვლის ზემო ზედაპირზე, კეხის ბორცვის უკან, რომლის ძირში მოთავსებულია ტვინის დანაწილი.

semen, - *inis*, საშ. ლათ. თესლი

seminalis, - *e* სათესლე

seminifer, - *era*, - *erum* (*ferre* ტარება) თესლის გამტარი

tubuli seminiferi contorti თესლის კლაკნილი მილაკები

semiti, -, ლათ. ნახევრად, ნახევარი

semicanalis, - *e* ნახევარარხი

semicanalis musculi tensoris tympani დაფის გამჭიმავი კუნთის ნახევარარხი; კუნთ-ლულის არხის უმცირესი, ზედა ნაწილი.

semicanalis tubae auditivae სასმენი ლულის ნახევარარხი; კუნთ-ლულის არხის უმეტესი, ქვედა ნაწილი; წარმოადგენს სასმენი ლულის ძვლოვან ნაწილს.

semicircularis, - *e* ნახევარკალოვანი

semilunaris, - *e* ნახევარმთვარისებრი, ნამგლისებრი

semimembranosus, - *a*, - *um* ნახევრადაპკისებრი

musculus semimembranosus თითისტარა კუნთი; ქართული ანატომიური ტერმინოლოგიის თანახმად ამ კუნთს ეწოდება არა ნახევრადაპკისებრი, არამედ თითისტარა კუნთი.

semispinalis, - *e* ნახევრად წვეტიანი

musculi semispinales ნახევრად წვეტიანი კუნთები; განეკუთვნებიან ზურგის ღრმა კუნთების ჯგუფს.

semitendinosus, - *a*, - *um* ნახევრად მყესოვანი

musculus semitendinosus ნახევრად მყესოვანი კუნთი

sensorium, - *ii*, საშ. ლათ. (*sentire* გრძნობა, შეგრძნება) გონება, შეგრძნების აღმქმელი აპარატი.

sensus, - *us*, მ. ლათ. შეგრძნება

sensorius, - *a*, - *um* სენსორული, მგრძნობიარე, რაც განეკუთვნება გრძნობათა ორგანოებს.

septulum, - i, საშ. ლათ. პატარა ძვიდე

septum, - i, საშ. ლათ. ძვიდე

septum atrioventriculare წინაგულ-პარკუქის ძვიდე; პარკუქ-თაშუა ძვიდის აპკისებრი ნაწილის ზედა უკანა ნაწილი მარჯვენა წინაგულსა და მარცხენა პარკუქს შორის.

septum canalis musculotubarius კუნთ-ლულის არხის ძვიდე; თხელი, ჰორიზონტალური ძვიდე, რომელიც ყოფს კუნთ-ლულის არხს ორ ნახევარარხად.

septum cervicale intermedium კისრისეული შუამდებარე ძვიდე; გასწვრივი ძვიდე ზურგის ტვინის კისრის ნაწილში სოლისებრ და ნაზ კონებს შორის, რომელიც იქმნება ზურგის ტვინის რბილი გარსით.

septum corporum cavernosorum მღვიმოვანი სხეულების ძვიდე; დაცხრილული, ფიბროზული ძვიდე სავნებოს მღვიმოვან სხეულებს შორის.

septum femorale ბარძაყის ძვიდე; მუცლის განივი ფასციის ფაშარი, სისხლძარღვებით დახვრეტილი ნაწილი, რომლითაც დახურულია ბარძაყის არხის შიგნითა რგოლი. (Cloqueti).

septum interatriale წინაგულთაშუა ძვიდე; ძვიდე მარჯვენა და მარცხენა წინაგულებს შორის (BNA — septum atriorum).

septum intermusculare anterior cruris კანკის წინა კუნთთაშუა ძვიდე; კანკის ფასციით შექმნილი ძვიდე კანკის წინა და ლატერალურ კუნთებს შორის.

septum intermusculare brachii laterale მხრის ლატერალური კუნთთაშუა ძვიდე; მხრის ფასციის ფიბროზული მორჩი, რომელიც უმაგრდება მხრის ძვლის ლატერალურ ნაპირს და მოთავსებულია მხრის წინა და უკანა კუნთებს შორის.

septum infermusculare brachii mediale მხრის მედიალური კუნთთაშუა ძვიდე; მხრის ფასციის ფიბროზული მორჩი, რომელიც უმაგრდება მხრის ძვლის მედიალურ ნაპირს და მედიალური მხრიდან განაცალკევებს მხრის წინა და უკანა კუნთებს.

septum intermusculare femoris laterale ბარძაყის ლატერალური კუნთთაშუა ძვიდე; ბარძაყის განიერი ფასციის მორჩი, რომელიც უმაგრდება ბარძაყის ხორკლიანი ხაზის გარეთა ბაგეს და მოთავსებულია ბარძაყის წინა და უკანა კუნთებს შორის.

septum intermusculare femoris mediale ბარძაყის მედიალური კუნთთაშუა ძვიდე; ბარძაყის განიერი ფასციის მორჩი, რომელიც უმაგრდება ბარძაყის ხორკლიანი ხაზის შიგნითა ბაგეს და მოთავსებულია ბარძაყის წინა და მედიალური ჯგუფის კუნთებს შორის.

septum intermusculare posterius cruris კანკის უკანა კუნთთაშუა ძგიდე; კანკის ფასციის მორჩი, რომელიც უმაგრდება მცირე წვივს და მოთავსებულია კანკის ლატერალურ და უკანა კუნთებს შორის.

septa interradicularia ფესვთაშუა ძგიდეები; ორ და სამფესვიანი კბილების ბუდეების ძგიდეები ფესვთა შორის.

septum interventriculare პარკუქთაშუა ძგიდე; ძგიდე გულის მარჯვენა და მარცხენა პარკუქებს შორის, რომელშიც არჩევენ აპკისებრ და კუნთოვან ნაწილებს (*BNA — septum ventriculorum*).

septum linguae ენის ძგიდე; სუსტად განვითარებული, ვერტიკალური ფიბროზული ძგიდე ენის ორ სიმეტრიულ ნაწილებს შორის.

septum nasi ცხვირის ძგიდე; ყოფს ცხვირის ღრუს ორ სიმეტრიულ ნაწილად; მასში არჩევენ ძვლოვან ნაწილს, ცხვირის ძგიდის ხრტილს და აპკისებრ ნაწილს.

septum orbitale თვალბუდის ძგიდე; შემაერთებელქსოვილოვანი აპკი, თვალბუდის ძვლისაზრდელას გაგრძელება; იწყება თვალბუდის კიდეებიდან და შედის ქუთუთოების სისქეში; ზემო ქუთუთოში გადადის ზემო ქუთუთოს ამწევი კუნთის აპონევროზში, ქვემო ქუთუთოში კი — ქუთუთოს ხრტილის წინა ზედაპირზე; იხვრიტება სისხლძარღვებითა და ნერვებით.

septum pellucidum გამჭვირვალე ძგიდე; ვერტიკალურად მდგარი ძგიდე, რომელიც შედგება ორი ფირფიტისაგან და ერთმანეთისაგან განაცალკევებს გვერდითი პარკუქების წინა რქებს; გაკიმულია კორძიანი სხეულის წინა ნაწილსა და თალს შორის.

septum penis მამაკაცის ასოს ძგიდე; ფიბროზული, დაცხრილული ძგიდე მღვიმოვან სხეულებს შორის.

septum rectovaginale სწორნაწლავ-საშოს ძგიდე; მენჯის ვისცერული ფასციის ნაწილი სწორი ნაწლავის ამპულასა და საშოს შორის.

septum rectovesicale სწორნაწლავ-ბუშტის ძგიდე; იქმნება წინამდებარეს ფასციით (მენჯის ვისცერული ფასციის ნაწილი); მოთავსებულია სწორი ნაწლავის ამპულასა და შარდის ბუშტისა და წინამდებარეს ფუძეებს შორის.

septum scroti სათესლე პარკის ძგიდე; ხორციანი გარსით შექმნილი ძგიდე სათესლე პარკის ორ ნახევრებს შორის.

septum sinuum frontaliuum შუბლის სინუსთა ძგიდე; ძვლოვანი ვერტიკალური ფირფიტა შუბლის სინუსებს შორის. ძგიდე ოდნავ გადახ-

რილია, რაც განაპირობებს შუბლის წიაღების არათანაბარ სი-
დიდეს.

septum sinuum sphenoidalium სოლისებრი წიაღების ძვიდე;
ასიმეტრიულად განლაგებული, ვერტიკალური ძვლოვანი ფირფიტა
სოლისებრი ძვლის მარჯვენა და მარცხენა წიაღებს შორის.

serotinus, -a, -um, ლათ. (serus გვიანი, დაგვიანებული)
გვიანი

dens serotinus = dens sapientiae (გვიანი) სიბრძნის კბილი

serratus, -a, -um, ლათ. (serra ხერხი) დაკბილული

musculus serratus დაკბილული კუნთი

serum, -i, საშ. ლათ.. შრატე

serosus, -a -um სეროზული, შრატოვანი — სეროზული გარსისა
ან სეროზული სითხისა.

sesamoides, sesamoides, -a, -um, ბერძნ. (sesame
ქუნჯუთი) ქუნჯუთისებრი, სესამოიდური

ossa sesamoidea სესამოიდური ძვლები; მომცრო ძვლოვანი ან
ბოქვოვან-ხრტილოვანი წარმონაქმნები, რომლებიც მოთავსებულია
მყესის სისქეში. კუნთის შეკუმშვის დროს სესამოიდური ძვალი გა-
ნაპირობებს მყესის ოდნავ წამოწევას, რის შედეგად ძვალსა და მყესს
შორის იქმნება მყესის ძვალზე მოქმედების ხელსაყრელი კუთხე. ყვე-
ლაზე დიდი სესამოიდური ძვალი კვირისტავია, რომელიც მოქცეუ-
ლია ბარძაყის ოთხთავა კუნთის დისტალურ მყესში.

sexus - us, მ. ლათ. სქესი

sexualis, -e სქესობრივი, სექსუალური

sigmoides, -a, -um, ბერძნ. (sigma ბერძნული ასო სიგ-
მა) სიგმოიდური

simplex, -icis, ლათ. მარტივი

sinciput, -itis, მ. ლათ. (semi+caput თავის ნახევარი)
თავის წინა ნაწილი, შუბლი.

singularis, -e ლათ. ცალკე, ცალკეული

sinister, -tra, -trum, ლათ. მარცხენა

sinus, -us, მ. ლათ. სინუსი, წიაღი, უბე

sinus aortae აორტის სინუსი; უბე აორტის კედელსა და ნამგლი-
სებრ აფრას შორის. (Walsalvae).

sinus anales ყითას სინუსები; მომცრო ჩაღრმავებები, უბე-
ები ყითას სარქველების უკან. (BNA — sinus rectales. Sinus Mor-
gagnii).

sinus caroticus საძილე სინუსი; საერთო საძილე არტერიის ზედა ბოლოს გაფართოება, რომელიც ჩვეულებრივ გრძელდება შიგნითა საძილე არტერიის დასაწყის მონაკვეთზე.

sinus cavernosus მღვიმოვანი სინუსი; მაგარი გარსის წყვილი სინუსი, რომლებიც თურქული კეხის გვერდებზე არიან განლაგებული; მრავალრიცხოვანი ხარისხებით დაყოფილი ღრუ აძლევს მას მღვიმოვანი სხეულის სახეს, რამაც განაპირობა მისი დასახელება. მღვიმოვანი სინუსი რთული კომპლექსია, რომლის შემადგენლობაში გარდა სინუსისა შედის აგრეთვე საძილე არტერია, ნერვები და შემაერთებული ქსოვილი, რომელიც გარს ეკვრის მათ. თურქული კეხის წინ და უკან მღვიმოვანი სინუსები შეერთებულია ინტერკავერნოზული სინუსებით. მღვიმოვან სინუსში იხსნება თვალბუდის ზემო ვენა.

sinus coronarius გვირგვინოვანი სინუსი; მდებარეობს უკანა გვირგვინოვანი ლარის მარცხენა ნაწილში და იხსნება მარჯვენა წინაგულში; იგი გულის ვენების მთავარი კოლექტორია; წარმოადგენს კიუვეს მარცხენა სადინარის ნაშთს.

sinus durae matris მაგარი გარსის სინუსები; ვენური არხები მაგარი გარსის ორ ფურცელს შორის; მათ არ გააჩნიათ სარქველები და განივ კვეთზე აქვთ სამკუთხედის ფორმა. სინუსების კედლები აგებულია მაგარი გარსის მაგრად დაჭიმული ფურცლებისაგან, რაც განაპირობებს სისხლის თავისუფალ, შეუფერხებელ ცირკულაციას ქალასშივა წნევის ცვალებადობის დროს.

sinus epididymidis სათესლის დანამატის სინუსი; სათესლის ბუდისებრი გარსის ვისცერული ფირფიტის ჰიბე სათესლესა და სათესლის დანამატის სხეულს შორის ლატერალური მხრიდან, რომელიც ზემოდან და ქვემოდან მოსაზღვრულია სათესლის დანამატის ზემო და ქვემო იოგით.

sinus ethmoidalis ცხავის სინუსი; მოიცავს ცხავის ძვლის წინა, შუა (იხსნებიან ცხვირის შუა გასავალში) და უკანა (იხსნებიან ცხვირის ზემო გასავალში) უჯრედებს.

sinus frontalis შუბლის წიაღი; შუბლის ძვლის არათანაბრად გაყოფილი წყვილი წიაღი; ძაბრის საშუალებით იხსნება ცხვირის შუა გასავალში.

sinus intercavernosi ინტერკავერნოზული სინუსი; მღვიმოვან სინუსთაშორისი სინუსი; მაგარი გარსის წყვილი, განივი ვენური სინუსი, რომლებიც ტვინის დანამატის წინ და უკან ერთმანეთთან აერთებენ მღვიმოვან სინუსებს; მღვიმოვან სინუსებთან ერთად ქმნი-

ან წრიულ სინუსს, რომელსაც რიდეისეულ ვენტურ წრეს უწოდებდნენ.

sinus lactiferi რძის სინუსი; რძის სადინარის გაფართოებ ული ნაწილი ძუძუს დვრილის ძირთან.

sinus lienis ელენთის სინუსი; ელენთის ერთ-ერთი ვენტური სინუსი, სინუსოიდი.

sinus maxillaris ზედაყბის წიაღი; ყველაზე დიდი პარანაზალური, პეროვანი წიაღი; ზედაყბის სხეულის ღრუ, რომელიც იხსნება ცხვირის შუა გასავალში. (*antrum Highmori*).

sinus obliquus pericardii პერიკარდიუმის ირიბი სინუსი; პერიკარდიუმის ჯიბე, რომელიც იქმნება სეროზული პერიკარდიუმის ვისცერული ფირფიტის პარიეტულ ფირფიტაში გადასვლით. მოთავსებულია ეპიკარდიუმით დაფარული მარცხენა წინაგულის უკანა ზედაპირსა და პერიკარდიუმს შორის და მოსაზღვრულია ერთი მხრივ ქვემო ღრუ ვენითა და მარჯვენა ფილტვის ვენებით, ხოლო მეორე მხრივ მარცხენა ფილტვის ვენებით.

sinus occipitalis კეფის სინუსი; მაგარი გარსის ვენტური სინუსი ნათხემის ნამგლის ფიქსირებული კიდის სისქეში, კეფის შიგნითა ქედის გასწვრივ; იწყება სინუსების შერთულიდან და მიემართება დიდი ხვრელისაკენ, სადაც იყოფა ორად, რომელთაგან თითოეული ერთგის შესაბამისი მხრის სიგმოიდურ სინუსს.

sinus paranasales პარანაზალური წიაღები; თავის ქალას ძვლების ღრუები, რომლებიც იხსნებიან ცხვირის ღრუში; ამოფენილი არიან ლორწოვანი გარსით, რომელიც გრძელდება ცხვირის ღრუს ლორწოვან გარსში.

sinus petrosus inferior et superior ქვემო და ზემო კლდოვანი სინუსი; მაგარი გარსის ვენტური სინუსები, რომლებიც მოთავსებული არიან თანამოსახელე ღარებში.

sinus posterior უკანა სინუსი; მომცრო ჩალრმავება დაფის ღრუში, მღვიმის მედიალურ კედელზე, პირამიდული შემადლების ზემოთ.

sinus prostaticus წინამდებარეს სინუსი; ლორწოვანი გარსის წყვილი უბე სათესლე გორაკის გვერდებზე, სათესლე გორაკსა და შარდსადენის კედელს შორის, სადაც იხსნებიან წინამდებარეს სადინარები.

sinus rectus სწორი სინუსი; მაგარი გარსის ვენტური სინუსი მოთავსებული დიდი ტვინის ნამგლის შეერთების ხაზზე ნათხემის კარავთან; აგროვებს სისხლს დიდი ტვინის დიდი ვენიდან, ნათხემის ვენებიდან და ქვემო საგიტალური სინუსიდან.

sinus renalis თირკმლის სინუსი; თირკმლის ღრუ, რომელშიც გადადის თირკმლის კარი; მასში მოთავსებულია თირკმლის მენჯი და ფიალები, სისხლძარღვები, ნერვები, ლიმფური კვანძები და ცხიმოვანი ქსოვილი.

sinus sagittalis inferior ქვემო საგიტალური სინუსი; ვენური სინუსი, რომელიც მოთავსებულია დიდი ტვინის ნამგლის ქვემო ნაპირის სისქეში; ერთვის სწორ სინუსს.

sinus sagittalis superior ზემო საგიტალური სინუსი; ვენური სინუსი დიდი ტვინის ნამგლის ფიქსირებული კიდის სისქეში, რომელიც უფრო ხშირად მარჯვენა განივ სინუსს ერთვის.

sinus sigmoideus სიგმოიდური სინუსი; მაგარი გარსის ვენური სინუსი მოთავსებული საფეთქლის ძვლის თანამოსახელე ღარში; წარმოადგენს განივი სინუსის გაგრძელებას; ერთვის საუღლე ვენას.

sinus sphenoidalis სოლისებრი წიაღი; წყვილი, ასიმეტრიული სინუსი სოლისებრი ძვლის სხეულში; იხსნება სოლისებრ-ცხავის. ჯიბეში.

sinus sphenoparietalis სოლისებრ-თხემის სინუსი; წყვილი ვენური სინუსი; მოთავსებულია სოლისებრი ძვლის მცირე ფრთის გასწვრივ; იხსნება მღვიმოვან სინუსში.

sinus tarsi უკანა ტერფის წიაღი; კოკისა და ქუსლის ღარებს შორის მოთავსებული უბე, რომელიც თითქმის მთლიანად შევსებულია კოკ-ქუსლის ძვალთაშუა იოგით.

sinus transversus განივი სინუსი; წყვილი ვენური სინუსი ნათხემის კარვის ფიქსირებული კიდის სისქეში, კეფის ძვლის განივი ღარის გასწვრივ; იწყება სინუსების შერთულიდან და გრძელდება სიგმოიდურ სინუსში.

sinus transversus pericardii პერიკარდიუმის განივი სინუსი; პერიკარდიუმის უბე, არხი, რომელიც წინიდან მოსაზღვრულია აორტიითა და ფილტვის ღეროთი, უკნიდან — ზემო ღრუ ვენითა და წინაგულების წინა ზედაპირით, ზემოდან კი — პერიკარდიუმით; განივი სინუსი გვერდებიდან გახსნილია.

sinus trunci pulmonalis ფილტვის ღეროს სინუსი: უბე ფილტვის ღეროს კედელსა და ნამგლისებრ აფრას შორის.

sinus tympani დაფის სინუსი; მომცრო ჩაღრმავება დაფის ღრუში, კარიბჭისა და ლოკოკინას სარკმლებს შორის.

sinus unguis ფრჩხილის სინუსი; კანის უბე, რომელშიც მოთავსებულია ფრჩხილის ფესვი.

sinus urogenitalis შარდ-სასქესო სინუსი; ჩანასახის კლოაკის ვენტრალური ნაწილი, რომელშიც იხსნებიან მეზონეფროსისა და პარამეზონეფროსის სადინარები; შარდსასქესო სინუსიდან მამაკაცებს უვითარდებათ შარდსადენის ნაწილი წინამდებარეს საშვილოსნოს ქვემოთ, და ბოლქვ-შარდსადენის ჭირკვლები, ქალებს კი — კარიბჭის დიდი ჭირკვლები და საშოს კარიბჭე.

sinus venarum cavarum ღრუ ვენების სინუსი; მარჯვენა წინაგულის ნაწილი, სადაც იხსნებიან ზემო და ქვემო ღრუ ვენა; ვითარდება ვენური სინუსიდან.

sinus venosus ვენური სინუსი; ჩანასახის პროვიზორული ორგანო; თხელკედლიანი ვენური უბე, რომელიც იხსნება მარჯვენა წინაგულში. ვენურ სინუსში იხსნებიან კარდინალური, საყვითრე და ჰიპის ვენები; განვითარების შემდგომ სტადიებში ვენური სინუსი სრულიად რედუცირდება და მისი კედელი მარჯვენა წინაგულის კედლის შემადგენლობაში შედის.

sinus venosus sclerae სკლერის ვენური სინუსი; ენდოთელიუმით ამოფენილი სკლერის ირგვლივი არხი, სკლერასა და რქოვანას საზღვარზე, რომელიც ლატერალურად უკავშირდება წინა წამწამოვან ვენებს (*canalis Schlemmi, Lauthi*).

s i t u s, - *u s* მ. ლათ. მდებარეობა.

s m e g m a, - *a t i s*, საშ. ლათ. (*smao* დავზელავ, წავუხვამ) სმეგმა, საცხი; მამაკაცის ასოს თავისა და ჩუჩის თებოს ჭირკვლების სეკრეტი.

s o l a r i s, - *e*, ლათ. (*sol* მზე) მზისა

s o l e u s, - *a*, - *u m*, ლათ. (*solea* 1. ლანჩა, 2. ბრტყელი თევზის დასახელება) ლანჩისებრი, თევზისებრი.

musculus soleus ქუსლის კუნთი; აქილევის მყესით უმაგრდება ქუსლის ბორცვს.

s o l i t a r i u s, - *a*, - *u m*, ლათ. (*solus* ერთი, მარტო) განკერძოებული

tractus solitarius განკერძოებული ტრაქტი

s o l u m, - *i*, საშ. ლათ. ძირი, ფსკერი

s o m a, - *a t i s*, საშ. ბერძნ. *სომა*, სხეული (თავი, კისერი და ტანი უკიდურებოდ).

s o m a t i c u s, - *a*, - *u m* სომატური, სომური, სხეულისა

s p a t i u m - *i i*, საშ. ლათ. სივრცე

spatia anguli iridocornealis ფერად-რქოვანას კუთხის სივრცე-

ები; სივრცეები ფერად-რქოვანას კუთხის სავარცხელა იოგის ხარბებს შორის, რომელთა საშუალებით თვალის კაკლის წინა სენაის ნაბი მიეიდინება სკლერის ვენურ სინუსში (BNA — spatia anguli iridis, Fontanae).

spatia interglobularia ინტერგლობულარული სივრცეები; ბურთებშორისი სივრცეები; გაუკიროვნებელი სივრცეები დენტინის პერიფერიულ უბნებში; კბილის გვირგვინში ისინი დიდი ზომისა არიან, ფესვში მათი ზომა კლებულობს რაოდენობა კი მატულობს. ვარაუდობენ, რომ ბურთებშორისი სივრცეები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ დენტინის ნივთიერებათა ცვლაში.

spatia interossea metacarpi ნების ძვალთაშუა სივრცეები; შუალედები ნების მეზობელ ძვლებს შორის.

spatia interossea metatarsi წინა ტერფის ძვალთაშუა სივრცეები; შუალედები წინა ტერფის მეზობელ ძვლებს შორის.

spatia intervaginalia ბუდეთაშორისი სივრცეები; სივრცეები მხედველობის ნერვის ბუდეებს შორის, რომლებიც სუბდურალური და ქსელქვეშა სივრცეების გაგრძელებას წარმოადგენენ.

spatia zonularia სარტყლის სივრცეები; ნაპრალები წამწამოვანი სარტყლის ბოჭკოებს შორის, რომლებიც ბროლის ეკვატორის გარშემო ქმნიან ირგვლივ ლიმფურ სივრცეს (BNA — canalis Peliti).

spatium episclerale ეპისკლერული სივრცე; სივრცე სკლერასა და თვალის კაკლის ბუდეს შორის (BNA — spatium interfasciale Tenoni).

spatium intercostale ნეკნთაშუა სივრცე; შუალედები მეზობელ ძვლოვან და ხრტილოვან ნეკნებს შორის.

spatium perichoroideale პერიქოროიდული სივრცე; თვალის კაკლის საკუთრივ სისხლძარღვოვანი გარსის სუბრაქოროიდულ ფირფიტაში არსებული, ენდოთელიუმით ამოფენილი სივრცეები.

spatium perilymphaticum პერილიმფური სივრცე; სივრცე აპკისებრ და ძვლოვან ლაბირინთებს შორის, რომელიც ამოვსებულია პერილიმფით.

spatium perinei profundum შორისის ღრმა სივრცე; სივრცე შარდ-სასქესო შუასაძგიდის ზემო და ქვემო ფასციებს შორის, რომელიც შეიცავს შარდსადენის აპკისებრ ნაწილს, შორისის ღრმა განივ კუნთს, შარდსადენის სფინქტერს, მამაკაცებში ბოლქვ-შარდსადენის ჭირკვლებს, ქალებში კი — კარიბჭის დიდ ჭირკვლებს.

spatium perinei superficiale შორისის ზედაპირული სივრცე; სივრცე შარდ-სასქესო შუასაბჯიდის ქვემო ფასციასა (შორისის აპკ-სა) და შორისის ზედაპირულ ფასციას შორის, რომელიც შეიცავს ასოს ფესვს.

spatium retroperitoneale რეტროპერიტონეული სივრცე; სივრცე პარიეტული პერიტონეუმის უკან, სადაც მოთავსებულია ცხიმოვანი ქსოვილი, პერიტონეუმისქვეშა, ფაშარი ფასცია, თირკმლები, თირკმელზედა ჯირკვლები, შარდსაწვეთები, სისხლძარღვები და ნერვები.

spatium retropubicum ბოქვენისუკანა სივრცე; სივრცე ბოქვენის სიმფიზსა და შარდის ბუშტს შორის, პერიტონეუმის ქვემოთ; სივრცე ამოვსებულია ცხიმოვანი ქსოვილით და ქვემოდან მოსაზღვრულია ბოქვენ-წინამდებარეს იოგებით (*Spatium Retziusi*).

sperma, - atis, საშ. ბერძნ. (*speiro* ვთესავ) სპერმა, თესლი
spermatikus, - a, - um სათესლე, თესლისა

sphenoidal is, - e, ბერძნ. (*sphen* სოლი) სოლისებრი

sphera, - ae მდ. ბერძნ. ბურთი, სფერო

sphericus, - a, - um ბურთისებრი, სფერული

spheroides, spheroides, - a, - um ბურთისებრი, სფეროიდული

sphincter, - eris, საშ. ბერძნ. (*spingo* მოვუჭერ, მოკვამავ) მომჭერი, სფინქტერი, დამხშველი კუნთი; რგოლისებრი კუნთი, რომელიც შეკუმშვის დროს ხურავს ხერვლს.

spina, - ae, მდ. ლათ. 1. ეკალი, წვეტი, ქედი, 2. ხერხემალი

spina heli cis ქავლის წვეტი; მდებარეობს ყურის ნიჟარის ქავლის წინა ნაწილში.

spinae iliaca e თეძოს ძვლის წვეტები; თეძოს ძვლის ქედის წინა და უკანა ზემო და ქვემო წვეტები.

spina ischiadica საჯლომი წვეტი; საჯლომი ძვლის წვეტი დიდ და მცირე საჯლომ ნაჭდევებს შორის.

spina mentalis ნიკაპის წვეტი; წვეტი ქვედაყბის სხეულის შიგნითა ზედაპირზე, შუა ხაზზე.

spina nasalis anterior et posterior ცხვირისეული წინა და უკანა წვეტი; ცხვირისეული ქედის წინა და უკანა ბოლო.

spina ossis sphenoidal is სოლისებრი ძვლის წვეტი; სოლისებრი ძვლის დიდი ფრთის უკანა წაწვეტებული ბოლო.

spinae palatinae სასის ქედები; გასწვრივი ქედები მაგარი სასის ქვემო ზედაპირზე.

spina suprameatum ყურის შესავლის ზედა წვეტი; მომცრო ძვლოვანი წვეტი ყურის გარეთა შესავლის ზემოთ და უკან.

spina scapulae ბეჭის ქედი; მდებარეობს ბეჭის დორსალურ ზედაპირზე, ქედზედა და ქედქვედა ფოსოების საზღვარზე.

spina trochlearis ქალის წვეტი; ძვლოვანი წვეტი თვალბუდის ზედა კედელზე მედიალურ კუთხესთან, თანამოსახელე ღრმულის გვერდით, სადაც მიმაგრებულია ბოქკოვან-ხრტილოვანი ქალი ზემო ირიბი კუნთის მყესისათვის.

spina tympanica major et minor დაფის დიდი და მცირე წვეტი; წვეტები, რომლებითაც წინიდან და უკანიდან მოსაზღვრულია დაფის ნაკღევი.

spinalis, - e 1. წვეტიანი, წვეტისა, 2. ზურგის ტვინისა, სპინალური

spinatus, - a, - um წვეტისა, ხერხემლისა

spinosus, - a, - um წვეტიანი

spiralis, - e (spira ხვეულა) სპირალური

splanchnicus, - a, - um, ბერძნ. (splanchnon შიგნეულობა)

1. ვისცერული, ფაშვისა 2. შიგნეულობისა.

nervus splanchnicus შიგნეულობის ნერვი

splanchnologia, - ae, მდ. ბერძნ. (splanchnon შიგნეულობა, logos სიტყვა, მოძღვრება) ანატომიის ნაწილი, რომელიც შეისწავლის შიგნეულობას.

splen, - is მ. ბერძნ. ელენთა

splenum, - ii, საშ. ბერძნ. სალბუნი, სახვევი, მორგვი

splenum corporis callosi კორძიანი სხეულის მორგვი; კორძიანი სხეულის უკანა შემსხვილებული ნაწილი.

splenius, - a, - um სალმუნისებრი, ლვედისებრი

spondylus, - i, მ. ბერძნ. მალა

spongiosus, - a, - um, ბერძნ. (spongia ღრუბელი) ღრუბლისებრი, ღრუბლოვანი.

spurius, - a, - um, ლათ. ცრუ

costae spuriae ცრუ ნეკნები

squama, - ae, მდ. ლათ. ქიცივი

squama frontalis შუბლის ძვლის ქიცივი

squamosus, - a, - um ქიცივანი, ქიცივისებრი

stapes, - dis, მ. ლათ. (stare დგომა, pes ფეხი) უზანგი; ერთ-ერთი სასმენი ძვალი.

stapedius, a, - um უზანგისა

musculus stapedius უზანგის კუნთი; ვარაუდობენ, რომ შეკუმშვის დროს უზანგის კუნთი უზანგს ეწევა უკან და გამოაქვს იგი ოვალური სარკმლიდან

statoconia, - ae, მდ. ბერძნ. (statos მდგომი, konia მტვერი, კირის მტვერი) სტატოკონია; კალციუმის კარბონატის კრისტალები ლაბასებრი ნივთიერების სისქეში, რომლითაც დაფარულია ტიკისა და პარაკუქის (შიგნითა ყური) ხალების ნეიროეპითელიუმი (BNA — otoconia).

status, - us, მ. ლათ. (stare დგომა) სტატუსი, მდგომარეობა

stella, - ae, მდ. ლათ. ვარსკვლავი

stellatus, - a, - um ვარსკვლავისებრი

ganglion stellatum ვარსკვლავისებრი კვანძი

sternum, - i, საშ. ბერძნ. მკერდი, მკერდის ძვალი

sternalis, - e მკერდისა, სამკერდე

stoma, - atis, საშ ბერძნ. პირი

stomachus, - i, მ. ბერძნ. კუჭი

stratum, - i, საშ. ლათ. საფენი, ფენა, შრე

stratum basale (cylindricum) ბაზალური (ცილინდრული) შრე; ეპიდერმისის ყველაზე ღრმა შრე, რომლის უჯრედები განლაგებულია ბაზალურ მემბრანაზე.

stratum cerebrale ტვინოვანი შრე; ბაღურას ოპტიკური ნაწილი გარეთა პიგმენტური და შიგნითა ტვინოვანი შრეებისაგან შედგება; ტვინოვან შრეში არჩევენ ნეიროეპითელურ ფენას, ბაღურას განგლიონურ ფენასა და მხედველობის ნერვის განგლიონურ ფენას. ბაღურას ანატომიური და ჰისტოლოგიური შრეობრივი დაყოფა ერთმანეთს არ ემთხვევა, ვინაიდან, ანატომიაში ბაღურას მხოლოდ ის მთავარი შრეებია გამოყოფილი, სადაც განლაგებული ნერვული უჯრედები ქმნიან მხედველობის ანალიზატორის სამწირონიან ჯაჭვს.

stratum circulare ირგვლივი შრე; ირგვლივი კუნთოვანი შრე

stratum corneum რქოვანი შრე; ეპიდერმისის ზედაპირული შრე

stratum corneum unguis ფრჩხილის რქოვანი შრე

stratum cutaneum კანისეული შრე; დაფის აპკის გარეთა შრე

stratum ganglionare n. optici მხედველობის ნერვის განგლიონური შრე; ბაღურას ტვინოვანი შრის ყველაზე შიგნითა ფენა, რო-

მელიც შეიცავს განგლიონურ უჯრედებს; ამ უჯრედების აქსონები ქმნიან მხედველობის ნერვს.

stratum ganglionare retinae ბაღურას განგლიონური შრე; ბაღურას ტვინოვანი შრის შუა ფენა. აქ განლაგებული უჯრედებიდან გამოეყოფთ ბიპოლარულ ნერვულ უჯრედებს, რომლებიც ნეიროეპითელურ უჯრედებს (ფოტორეცეპტორებს) აკავშირებენ მხედველობის ნერვის განგლიონური შრის უჯრედებთან.

stratum germinativum unguis ფრჩხილის გერმინატიული (საზრდელი) შრე; ფრჩხილის ზრდა ხდება ფრჩხილის საწოლის ეპითელიუმის იმ უბნიდან, რომელიც ძვეს ფრჩხილის ფესვის ქვეშ.

stratum granulosum მარცვლოვანი შრე; 1. ნათხემის ქერქის შიგნითა შრე, რომელიც შეიცავს პატარა ნერვულ უჯრედებს — ზარცვლებს. 2. ეპიდერმისის მარცვლოვანი შრე, რომელიც მოთავსებულია წვეტებიან და ელვარე შრეებს შორის; შედგება შედარებით ბრტყელი უჯრედების 3—4 რიგისაგან, რომელთა ციტოპლაზმა შეიცავს კერატოპიალინის მარცვლებს. 3. საკვერცხის ბუშტუკისებრი ფოლიკულის მარცვლოვანი შრე, რომლითაც შიგნიდან არის ამოფენილი ფოლიკულის შემაერთებელქსოვილოვანი გარსი და შედგება მრავალშრიანი ფოლიკულური უჯრედებისაგან.

stratum longitudinale გასწვრივი შრე; გასწვრივი კუნთოვანი შრე

stratum lucidum გამჭვირვალე (ელვარე) შრე; ეპიდერმისის ელვარე შრე; რომელიც მოთავსებულია რქოვანი შრის ქვეშ; შედგება ბრტყელი უჯრედების 3—4 რიგისაგან, რომელთა ციტოპლაზმა დიფუზურად არის გაყენილი განსაკუთრებული ცილოვანი ნივთიერებით — ელედინით.

stratum griseum colliculi superioris ზემო გორაკის რუხი შრე; შუა ტვინის ზემო გორაკის რუხი ნივთიერება მოთავსებული მის სისქეში, სადაც მთავრდება მხედველობის ნერვის აფერენტული ბოჭკოები.

stratum moleculare მოლეკულური შრე; ნათხემის ქერქის გარეთა შრე, რომელიც შეიცავს განგლიონურ (პურკინიეს უჯრედები), ვარსკვლავისებრ და კალათისებრ უჯრედებს.

stratum mucosum ლორწოვანი შრე; დაფის აპკის შიგნითა შრე

stratum neuroepitheliale ნეიროეპითელური შრე; ბაღურას ტვინოვანი შრის გარეთა ფენა, რომელიც შეიცავს ჩხირისებრი და

კოლბისებრი მორჩებით აღჭურვილ ფოტორეცეპტორებს — ნეირო-
ეპითელურ უჯრედებს.

stratum papillare დვრილოვანი შრე; საკუთრივ კანის ზედაპი-
რული შრე; რომელიც მოთავსებულია უშუალოდ ეპიდერმისის ქვეშ;
ქმნის მრავალრიცხოვან დვრილებს, რომლებიც შექრილია ეპიდერ-
მისში და განაპირობებენ კანის საერთო სურათს; შედგება ფაშარი
შემაერთებელი ქსოვილისაგან. (BNA — corpus papillare).

stratum pigmenti პიგმენტური შრე; ბაღურას გარეთა შრე, რო-
მელიც შედგება კუბური პიგმენტური უჯრედებისაგან.

stratum radiatum სხივისებრი შრე; დაფის აპკის შემაერთებელ-
ქსოვილოვანი ფირფიტის ბოქკოების განლაგების მიხედვით არჩევენ
გარეთა სხივისებრ შრეს, რომელიც კანისეული შრისაკენ არის მიქცე-
ული და შიგნითა — ირგვლივ შრეს, რომელიც ეკვრის დაფის აპკის
ლორწოვან შრეს.

stratum reticulare ბადისებრი შრე; საკუთრივ კანის ღრმა შრე,
რომელიც მოთავსებულია დვრილოვან შრესა და კანქვეშა ცხიმო-
ვან ქსოვილს შორის; შედგება მკვრივი შემაერთებელი ქსოვილისაგან,
რომლის კოლაგენური და ელასტიკური ბოქკოები ქმნიან ბადეს;
მასში განლაგებული არიან ოფლის და ქონის ჭირკვლები და აგრეთვე
თმის ძირები. ბადისებრი შრე განაპირობებს კანის სიმკვრივეს.

stratum spinosum წვეტებიანი შრე; ეპიდერმისის წვეტებიანი
უჯრედების შრე, რომელიც მოთავსებულია ბაზალურ და მარცვლო-
ვან შრეებს შორის; შედგება პოლიგონალური უჯრედების 5—10
რიგისაგან, რომლებიც აღჭურვილია წვეტებით — პროტოპლაზმის
მორჩებით.

stratum zonale სარტყლის შრე; თეთრი ნივთიერების ვიწრო
შრე, რომლითაც დაფარულია მხედველობის ბორცვის ზემო ზედაპი-
რი.

s t r i a, - a e, მდ. ლათ. ზოლი

stria longitudinalis lateralis et medialis ლატერალური და
მედიალური გასწვრივი ზოლი; ორი წყვილი თეთრი ტვინოვანი ზოლი
კორძიანი სხეულის ღორსალურ ზედაპირზე, რუხ სამოსელში, რომ-
ლებიც წინისკენ მთავრდებიან შესაბამისი მხარის პარატერმინალურ
ხვეულში, ხოლო უკანისკენ გადადიან დაკბილულ ხვეულში; შეი-
ცავს ყნოსვის ტვინის ასოციაციურ ბოქკოებს. ისევე, როგორც რუ-
ხი სამოსელი, დაკბილული ხვეული და ჰიპოკამპი, გასწვრივი ზოლე-
ბი განეკუთვნებიან, ეგრეთ წოდებულ, ჰიპოკამპურ ფორმაციას,
რომელიც შედის ყნოსვის ტვინის შემადგენლობაში.

stria mallearis ჩაქუჩის ზოლი; პატარა ზოლი დაფის აპკის გარეთა ზედაპირზე, რომელიც გამოწვეულია დაფის აპკის შიგნითა ზედაპირზე ჩაქუჩის ტარის მიმაგრებით.

stria terminalis სასაზღვრო ზოლი; ტვინოვანი ზოლი მხედველობის ბორცვსა და კუდიან სხეულს შორის; შედგება ნერვული ბოჭკოებისაგან, რომლებიც იწყებიან ნუშისებრ სხეულში. ნაწილი ამ ბოჭკოებისა უერთდება დიდი ტვინის წინა შესართავს, ნაწილი კი მთავრდება ჰიპოთალამუსის ბირთვებში.

stria medullaris thalami მხედველობის ბორცვის ტვინოვანი ზოლი; მდებარეობს მხედველობის ბორცვის დორსალური და მედიალური ზედაპირების საზღვარზე; იწყება მხედველობის ბორცვის წინა ბოლოში და უკანისკენ გადადის სადავის სამკუთხედში; შედგება სადავის ბირთვის აღმავალი ბოჭკოებისაგან, რომელთა ნაწილი იწყება წინა დახვრეტილ ნივთიერებაში, ხოლო ნაწილი გამოეყოფა თალის წინა სვეტს და მიემართება სადავის ბირთვში.

stria vascularis სისხლძარღვოვანი ზოლი; სისხლძარღვოვანი ფენა ლოკოკინას სადინარის გარეთა კედლის შემაერთებელქსოვილოვან შრესა და ეპითელიუმს შორის, ძირითადი ქედის ზემოთ. ვარაუდობენ, რომ სისხლძარღვოვანი ზოლი ასრულებს სეკრეტორულ ფუნქციას, გამოიმუშავებს ენდოლიმფას.

striae medullares ventriculi quarti მეოთხე პარაკუქის ტვინოვანი ზოლები; განივი ზოლები რომბისებრ ფოსოზე, რომლებიც ყოფენ მას ზედა და ქვედა სამკუთხედებად; შეიცავს ლოკოკინას დორსალური ბირთვიდან გამოსულ ბოჭკოებს, რომლებიც რომბისებრი ფოსოს შუა ღარით შედიან ტვინის სიღრმეში და უერთდებიან ტრაპეციულ სხეულს.

striae olfactoriae ყნოსვის ზოლები; რუდიმენტული ხვეულები. ყნოსვის ტრაქტის უკანა ნაწილს გამოეყოფა სამი ტვინოვანი ზოლი: 1. ყნოსვის მედიალური ზოლი, რომლის ბოჭკოები მთავრდება კორქვეშა არეში, პარატერმინალურ ხვეულში და გამჭვირვალე ძგიდეში, 2. ყნოსვის შუამდებარე ზოლი, რომლის ბოჭკოები მთავრდება წინა დახვრეტილ ნივთიერებაში და 3. ყნოსვის ლატერალური ზოლი, რომლის ბოჭკოები კუნძულის ზღურბლის გავლით აღწევენ პარაჰიპოკამპურ ხვეულს.

striatus, - a, - u m, ზოლიანი

corpus striatum ზოლიანი სხეული

stroma, - a t i s, საშ. ბერძნ. (*stroma* საფენი) სტრომა, ჩონჩხი;

ორგანოს შემაერთებელქსოვილოვანი საყრდენი სტრუქტურა, ორგანოს ჩონჩხი.

structura, - ae, მდ. ლათ. (struere აგება, აშენება) სტრუქტურა, აგებულება.

stylus, - i, მ. ბერძნ. (stylos წვეტიანი ჯოხი, სვეტი, სადგისი) სადგისი

stryloideus, - a, - um სადგისისებრი

processus styloideus სადგისისებრი მორჩი

sub-, წინდებული (იხმარება ბრალდ. ბრუნვ.) ლათ. ქვეშ

subacromialis, - e, აკრომიონისქვეშა

subarachnoidealis, - e სუბარაქნოიდული, ქსელქვეშა

subarcuatus, - a, - um რკალქვეშა

subclavius, - a, - um ლავიწქვეშა

subcostalis, - e ნეკნქვეშა

subcutaneus, - a, - um კანქვეშა

subdiaphragmaticus, - a, - um სუბდიაფრაგმული, შუასაძგიდქვეშა

subduralis, - e სუბდურალური, მაგარი გარსის ქვეშ მდებარე

subiculum, - i, საშ. ლათ. საბჯენი, საყრდენი

subiculum promontorii კონცხის საბჯენი; ძვლოვანი ქელი დაფის ღრუს შიგნითა კედელზე, რომელიც უკანიდან შემოსაზღვრავს კარიბჭის სარკმელს.

sublingualis, - e, ენისქვეშა

submandibularis, - e ქვედაყბისქვეშა

submaxillaris, - e ზედაყბისქვეშა

submental, - e ნიკაპქვეშა

submucosus, - a, - um ლორწოქვეშა, ლორწოვანი გარსის ქვეშ მდებარე

suboccipitalis, - e კეფისქვეშა

subpatellaris, - e კვირისტავქვეშა

subperitonealis, - e სუბპერიტონეული, პერიტონეუმის ქვეშ მდებარე

subscapularis, - e ბეჭქვეშა

subserosus, - a, - um სუბსეროზული, სეროზული გარსის ქვეშ მდებარე

substantia, - ae, მ. ლათ. (substare არსებობა) სუბსტანცია, მატერია, არსი, ნივთიერება.

substantia alba თეთრი ნივთიერება; თავისა და ზურგის ტვინის თეთრი ნივთიერება, რომელიც შედგება ნერვული ბოჭკოებისაგან.

substantia compacta კომპაქტური ნივთიერება; ძვლის გარეთა მკვრივი ნივთიერება

substantia gelatinosa ელასტიკური ნივთიერება; რუხი ნივთიერება, რომელიც მოთავსებულია ზურგის ტვინის უკანა რქის წვეროზე, შედგება ნერვული უჯრედებისა და ნეიროგლიისაგან. (Rolandi).

substantia grisea რუხი ნივთიერება; თავისა და ზურგის ტვინის რუხი ნივთიერება, რომელიც შედგება ნერვული უჯრედებისაგან.

substantia grisea centralis ცენტრალური რუხი ნივთიერება; არჩევენ ზურგის ტვინისა და შუა ტვინის ცენტრალურ რუხ ნივთიერებას; ზურგის ტვინში იგი მოთავსებულია ცენტრალური არხის გარშემო, შუა ტვინში კი — დიდი ტვინის წყალსადენის ირგვლივ და მასში მოთავსებული არიან თვალის მამოძრავებელი და ქალისებრი ნერვების ბირთვები და სამწვერა ნერვის მეზენცეფალური ტრაქტის ბირთვის უჯრედები.

substantia intermedia centralis ცენტრალური შუამდებარე ნივთიერება; ზურგის ტვინის რუხი ნივთიერების ნაწილი, რომელიც განლაგებულია უშუალოდ ცენტრალური არხის გარშემო.

substantia intermedia lateralis ლატერალური შუამდებარე ნივთიერება; ზურგის ტვინის რუხი ნივთიერების ნაწილი, რომელიც განლაგებულია ცენტრალური შუამდებარე ნივთიერების გვერდზე (მისი უშუალო გაგრძელებაა), წინა და უკანა რქებს შორის.

substantia lentis ბროლის ნივთიერება; სრულად გამკვირვალე და უფერულია; არ შეიცავს სისხლძარღვებსა და ნერვებს. ბროლის ნივთიერებაში გამოყოფენ ცენტრალურ, უფრო მკვრივ ნაწილს — ბროლის ბირთვს და პერიფერიულ ნაწილს — ბროლის ქერკის.

substantia nigra შავი ნივთიერება; შუა ტვინის ბირთვი, რომელიც განლაგებულია დიდი ტვინის ფეხის სისქეში, ქერსა და დიდი ტვინის კანქს შორის; შავი ფერი გამოწვეულია ნერვული უჯრედების შავი პიგმენტი — მელანინით; ფუნქციურად განეკუთვნება ექსტრაპირამიდულ სისტემას. (Soemmeringi).

substantia perforata anterior წინა დახვრეტილი ნივთიერება; მდებარეობს დიდი ტვინის ჰემისფეროს ქვემო ზედაპირზე მხედველობის ტრაქტსა და კაუქს შორის; წინიდან მოსაზღვრულია ყნოსვის სამკუთხედით. ხოლო ლატერალური მხრიდან კუნძულის ზღურ-

ბლით; იხვრიტება დიდი ტვინის წინა და შუა არტერიის ტოტებით; განეკუთვნება ყნოსვის ტვინს.

substantia perforata posterior უკანა დახვრეტილი ნივთიერება; რუხი ნივთიერება, რომელიც მოთავსებულია დიდი ტვინის ფეხთაშუა ფოსოს უკანა ნაწილში; მის უკანა ნაწილში ძვეს ფეხთაშუა ბირთვი; იხვრიტება დიდი ტვინის უკანა არტერიის ტოტებით; განეკუთვნება შუა ტვინს. (*Spatium Tarini*).

substantia propria corneae რქოვანას საკუთარი ნივთიერება; მოთავსებულია რქოვანას წინა და უკანა საზღვროვან ფირფიტებს შორის; შედგება თხელი შემაერთებელქსოვილოვანი ფირფიტებისაგან, რომლებიც აგებულია კოლაგენური ფიბრილების პარალელურად განლაგებული კონებისაგან. ფირფიტებს შორის არსებულ სივრცეებში მოთავსებული არიან ფიბრობლასტების ტიპის ბრტყელი უჯრედები — რქოვანას სხეულაკები.

substantia propriae sclerae სკლერის საკუთარი ნივთიერება; შედგება კოლაგენური ბოჭკოების მკვირივი ფირფიტებისაგან; კოლაგენურ ბოჭკოებს შორის განლაგებულია ფიბრობლასტები; კოლაგენურ ბოჭკოებთან ერთად სკლერაში გვხვდება ცალკეული ელასტიკური ბოჭკოებიც.

substantia spongiosa ღრუბლისებრი ნივთიერება; ძელის შიგნითა, ღრუბლისებრი ნივთიერება.

s u c c u s, - i, მ. ლათ. წვენი; მაგალითად, კუქის წვენი, პანკრეასის წვენი.

s u d o r, - o r i s, მ. ლათ. (*sudare* გაოფლიანება) ოფლი

s u l c u s, - i, მ. ლათ. ღარი

s u p e r, წინდებული, იხმარება ბრალდ. ბრუნვასთან. ლათ. ზემოთ-ზე

s u p e r c i l i u m, - i i, საშ. ლათ. (*cilium* წამწამი) წარბი
s u p e r c i l i a r i s, - e წარბზედა

s u p e r f i c i a l i s, - e ზედაპირული

s u p e r i o r, - i u s, ლათ. (შედარ. ხარ. სიტყვისა *superus*) უფრო ზევით მყოფი, ზემო, ზედა

s u p i n a t i o, - o n i s, მდ. ლათ. (*supinare* აღმა ბრუნება) სუპინაცია, გარეთ ბრუნვა.

s u p i n a t o r, - o r i s, მ. ლათ. სუპინატორი, გარეთ მბრუნველი

musculus supinator გარეთ მბრუნველი კუნთი, სუპინატორი; სხივის ძვალს აბრუნებს გარეთ.

supra, ლათ. (წინდებული, იხმარება ბრალდ. ბრუნვასთან) ზემოთ, -ზე

suprachoroideus, - a, - um სუპრაქოროიდული, საკუთრივ სისხლძარღვოვანი გარსის ზემოთ მდებარე.

supraclavicularis, - e ლავიწზედა

supracondylaris, - e როკზედა

supraglenoidalis, - e ზედასასახსრე, სასახსრე ფოსოს ზემოთ მდებარე

suprahyoideus, - a, - um ინისზედა

supraorbitalis, - e თვალბუდის ზედა, თვალბუდის ზემოთ მდებარე

suprarenalis, - e თირკმელზედა

supraspinatus, - a, - um ქედზედა

suprasternalis, - e მკერდზედა

supremus, - a, - um, ლათ. (აღმატ. ხარ. სიტყვისა superus) უმაღლესი, უკანასკნელი.

sura, - ae, მდ. ლათ. კანჭი

suralis, - e კანჭისა

suspensorius, - a, - um, ლათ. (suspendere ჩამოკიდება) საკიდი

ligamentum suspensorium penis ასოს საკიდი იოგი;

sustentaculum, - i, საშ. ლათ. (sustentare მხარში ამოღვომა, დაჭერა) საყრდენი, საბჯენი.

sustentaculum tali კოკის საბჯენი; ძვლოვანი მორჩი ქუსლის მედიალურ ზედაპირზე, რომელსაც ეყრდნობა კოკი.

sutura, - ae, მდ. ლათ. (suere კერვა) ნაკერი; ძვალთა უწყვეტი შეერთება შემაერთებელი ქსოვილით.

sutura coronalis გვირგვინოვანი ნაკერი; ნაკერი შუბლის ძვლის ქიცვის უკანა კიდეა და თხემის ძვლების წინა კიდეებს შორის.

sutura ethmoidomaxillaris ცხავ-ზედაყბის ნაკერი; ნაკერი ცხავის ძვლის თვალბუდისეული ფირფიტის ქვემო კიდეა და ზედაყბის თვალბუდისეული ზედაპირის მედიალურ კიდეს შორის.

sutura frontalis (metopica) შუბლის ნაკერი (მეტოპიური ნაკერი); ნაკერი შუბლის ძვლის ქიცვის ორ ნახევარს შორის, რომელიც გაძვალებას განიცდის ბავშვობის ხანაში; მოზრდილ ადამიანებში შუბლის ნაკერი გამოხატულია 10 % და ამ შემთხვევაში მას მეტოპიურ ნაკერს უწოდებენ

sutura frontoethmoidalis შუბლ-ცხავის ნაკერი; წყვილი ნაკერი შუბლის ძვლის თვალბუდისეულ ნაწილებსა და ცხავის ძვალს შორის.

sutura frontolacrimalis შუბლ-ცრემლის ნაკერი; ნაკერი შუბლის ძვლის თვალბუდისეული ნაწილის მედიალური კიდის წინა ნაწილსა და ცრემლის ძვლის ზემო კიდეს შორის.

sutura frontomaxillaris შუბლ-ზედაყბის ნაკერი; ნაკერი შუბლის ძვლის ცხვირისეულ ნაწილსა და ზედა ყბის შუბლისეულ მორჩს შორის.

sutura frontonasalis შუბლ-ცხვირის ნაკერი; ნაკერი შუბლის ძვლის ცხვირისეულ ნაწილსა და ცხვირის ძვლის ზედა კიდეს შორის.

sutura frontozygomatica შუბლ-ყვრიმალის ნაკერი; ნაკერი შუბლის ძვლის ყვრიმალისეულ მორჩსა და ყვრიმალის ძვლის შუბლისეულ მორჩს შორის.

sutura incisiva საჭრელი ნაკერი; ნაკერი ზედაყბასა და საჭრელ ძვალს შორის, რომელიც დაბადებიდან ერთი წლის შემდეგ განიცდის გაძვალვას.

sutura infraorbitalis თვალბუდის ქვედა ნაკერი; არამუდმივი ნაკერი ზედაყბასა და ზედაყბის ყვრიმალისეულ მორჩს შორის, რომელიც ვრცელდება თვალბუდიდან თვალბუდის ქვედა ხვრელამდე.

sutura intermaxillaris ზედაყბის ძვალთა ნაკერი; სასის შუა ნაკერის წინა ნაწილი.

sutura internasalis ცხვირის ძვალთა ნაკერი; ნაკერი ცხვირის ძვალთა მედიალურ კიდევებს შორის.

sutura lacrimoconchalis ცრემლ-ნიჟარის ნაკერი; ნაკერი ცრემლის ძვლის ქვემო კიდესა და ცხვირის ქვემო ნიჟარის საცრემლე მორჩს შორის.

sutura lacrimomaxillaris ცრემლ-ზედაყბის ნაკერი; ნაკერი ცრემლის ძვლის წინა კიდესა და ზედა ყბის შუბლისეულ მორჩს შორის.

sutura lambdoidea ლამბდისებრი ნაკერი; ნაკერი თხემის ძვალთა უკანა კიდევებსა და კეფის ძვლის ქიცვის წინა კიდეს შორის.

sutura nasomaxillaris ცხვირ-ზედაყბის ნაკერი; ნაკერი ცხვირის ძვლის ლატერალურ კიდესა და ზედა ყბის შუბლისეულ მორჩს შორის.

sutura occipitomastoidea კეფა-დვრილისებრი ნაკერი; ნაკერი.

კეფის ძვლის ქიცვსა და საფეთქლის ძვლის დერილისებრ მორჩს შორის.

sutura palatina mediana სასის შუა ნაკერი; საგიტალური ნაკერი ზედა ყბის ძვალთა სასისეულ მორჩებსა და სასის ძვალთა ჰორიზონტალურ ფირფიტებს შორის.

sutura palatina transversa სასის განივი ნაკერი; ნაკერი ზედა ყბების სასისეული მორჩების უკანა ნაპირსა და სასის ძვლების ჰორიზონტალური ფირფიტების წინა ნაპირს შორის.

sutura palatoethmoidalis სასა-ცხავის ნაკერი; ნაკერი სასის ძვლის თვალბუდისეულ მორჩსა და ცხავის ძვლის თვალბუდისეულ ფირფიტას შორის, რომელიც წინისკენ გრძელდება ცხავ-ზედაყბის ნაკერში.

sutura palatomaxillaris სასა-ზედაყბის ნაკერი; ნაკერი სასის ძვლის თვალბუდისეულ მორჩსა და ზედა ყბის თვალბუდისეულ ზედაპირს შორის.

sutura parietomastoidea თხემ-დერილისებრი ნაკერი; ნაკერი თხემის ძვლის ქვედა კილის უკანა ნაწილსა და საფეთქლის ძვლის დერილისებრი მორჩის ზემო კიდეს შორის.

sutura plana ბრტყელი ნაკერი; ნაკერთა ერთ-ერთი სახე. ნაკერი, რომლითაც შეერთებულია ძვალთა გლუვი ნაპირები, მაგალითად, ცხვირის ძვალთა ნაკერი.

sutura sagittalis საგიტალური ნაკერი; ნაკერი თხემის ძვალთა ზემო კიდეებს შორის.

sutura serrata დაკბილული ნაკერი; ნაკერთა ერთ-ერთი სახე, როდესაც ერთი ძვლის კბილისებრი მორჩები ჩასმულია მეორე ძვლის შესაბამის ნაკდეგებში, მაგალითად, ლამბდისებრი ნაკერი.

sutura sphenoethmoidalis სოლისებრ-ცხავის ნაკერი; ნაკერი სოლისებრი ძვლის სხეულის წინა კიდესა და ცხავის ძვლის დაცხრილული ფირფიტის უკანა კიდეს შორის.

sutura sphenofrontalis სოლისებრ-შუბლის ნაკერი; ნაკერი სოლისებრი ძვლის მცირე ფრთის წინა კიდესა და შუბლის ძვლის თვალბუდისეული ნაწილის უკანა კიდეს შორის.

sutura sphenomaxillaris სოლისებრ-ზედაყბის ნაკერი; ნაკერი სოლისებრი ძვლის ფრთისებრ მორჩსა და ზედაყბის სხეულის უკანა ზედაპირს შორის.

sutura sphenoparietalis სოლისებრ-თხემის ნაკერი; ნაკერი სოლი-

სებრი ძვლის დიდი ფრთის ზემო კიდეა და თხემის ძვლის ქვემო კიდეის წინა ნაწილს შორის.

sutura sphenozygomatica სოლისებრ-ყვრიმალის ნაკერი; ნაკერი სოლისებრი ძვლის დიდი ფრთის წინა კიდეა და ყვრიმალის ძვალს შორის.

sutura squamosa ქიცვისებრი ნაკერი; 1. ნაკერთა ერთ-ერთი სახე, როდესაც ერთი ძვლის ნაპირი მოთავსებულია მეორე ძვლის ნაპირზე, 2. ნაკერი თხემის ძვლის ქვემო კიდეის შუა ნაწილსა და საფეთქლის ძვლის ქიცვისებრი ნაწილის ზემო კიდეს შორის.

sutura squamomastoidea ქიცვ-დვრილისებრი ნაკერი; ნაკერი საფეთქლის ძვლის ქიცვისებრ ნაწილსა და დვრილისებრ მორჩს შორის, რომელიც დაბადებიდან ერთი წლის შემდეგ განიცდის გაძვალებას.

sutura temporozygomatica საფეთქელ-ყვრიმალის ნაკერი; ნაკერი საფეთქლის ძვლის ყვრიმალისეულ მორჩსა და ყვრიმალის ძვლის საფეთქლისეულ მორჩს შორის.

sutura zygomaticomaxillaris ყვრიმალ-ზედაყბის ნაკერი; ნაკერი ყვრიმალის ძვლის ზედაყბისეულ კიდეა და ზედაყბის ყვრიმალისეულ მორჩს შორის.

sympathicus, -i, საშ. ლათ. (*syn* ერთად, *pathos* ტანჯვა) სიმპათიკუსი; სიმპათიკური ნერვული სისტემა—ავტონომიური ნერვული სისტემის ნაწილი.

symp h y s i s, - i s მდ. ბერძნ. (*syn* + *phyo* ზრდა) სიმფიზი; ნახევრად სახსარი; გარდამავალი ფორმა უწყვეტ შეერთებასა და სახსარს შორის, ვინაიდან ხრტილი, რომლითაც შეერთებულია ორი ძვალი, შეიცავს ვიწრო ნაპრალს — სახსრის ღრუს ნასახს. ძვალთა შეერთების ამ სახეს განეკუთვნება ბოქვენის სიმფიზი, ზოგიერთი ხერხემლიანების მალთა სხეულებს შეერთება და ა. შ.

syn, ბერძნ. -ურთ, - ით, - თან, ერთად (ვინმესთან ან რამესთან)

syn d e s m o l o g i a, - a e, მდ. ბერძნ. (*syn* + *desmos* იოგი, კავშირი, *logos* — სიტყვა, მოძღვრება) სინდესმოლოგია; ანატომიის ნაწილი, რომელიც შეისწავლის ძვალთა შეერთებას.

syn d e s m o s i s, - i s, მდ. ბერძნ. სინდესმოზი; ძვალთა უწყვეტი შეერთება ბოქკოვანი შემაერთებელი ქსოვილით.

syn e r g i a, - a e, მდ. ბერძნ. (*syn* + *ergon* მუშაობა, მოქმედება) სინერგია; ორგანოთა ერთობლივი, შეთანხმებული

მოქმედება საერთო მიმართულებით; მოქმედების ურთიერთ
გაძლიერება.

synovia, -ae, მდ. (პარაცელსუსის მიერ მოწოდებული ლინგ-
ვისტურ საფუძველს მოკლებული სიტყვა) სინოვია, სინოვიუ-
რი სითხე, სახსართა საცხი; სითხე, რომელსაც გამოყოფს
სასახსრე ჩანთის სინოვიური ფირფიტა; შეიცავს წყალს,
ცილას, ჩამოქერცილ უჯრედებს და ცხიმოვან წვეთებს.

systema, -atis, საშ. ბერძნ. სისტემა; ორგანოთა ჯგუფი,
რომლებიც გაერთიანებულია საერთო ფუნქციით. არჩევენ
ნერვულ სისტემას, საკმლის მომწოდებელ, ლიმფურ, შარდ-
სასქესო და სხვა სისტემებს.

systema nervosum autonomicum ავტონომიური ნერვული სის-
ტემა: ვეგეტაციური ნერვული სისტემა; ნერვული სისტემის ნაწილი;
განაგებს ყველა იმ ორგანოების მოქმედებას, რომლებიც განაპირო-
ბებენ ორგანიზმის ვეგეტაციურ ფუნქციას; წარმოადგენს ნერვული
სისტემის მამოძრავებელ ნაწილს, რომელსაც სომატური ნერვული
სისტემის მოტორული ნაწილისაგან განსხვავებით ახასიათებს ორნე-
ირონიანი ჯაჭვი. ამ ჯაჭვის პირველი ნეირონის სხეული განლაგე-
ბულია ცენტრალურ ნერვულ სისტემაში და იმპულსის გატარების
მიმართულებით ეს ნეირონი ვეგეტაციურ კვანძამდეა მოთავსებული,
ამიტომ მას პრეგანგლიონურ ნეირონს უწოდებენ. ვეგეტაციურ
კვანძში ძვეს მეორე ნეირონის სხეული. მეორე ნეირონი იმპულსებს
ატარებს კვანძის მიღმა, ორგანოსაკენ და მას პოსტგანგლიონური
ნეირონი ეწოდება. ავტონომიური ნერვული სისტემა ორი ნაწი-
ლისაგან შედგება პარასიმპათიკური და სიმპათიკური. მათში არჩევენ
ცენტრალურ და პერიფერიულ ნაწილებს. პარასიმპათიკური სისტე-
მის ცენტრალური ნაწილი განლაგებულია თავის ტვინში და ზურ-
გის ტვინის გავის II—IV სეგმენტებში. პერიფერიული ნაწილი შედ-
გება: ნერვული ბოჭკოებისაგან, რომლებიც შედიან III, VII, IX,
და X წყვილი კრანიალური ნერვებისა და გავის (I), II, III, IV,
(V) სპინალური ნერვების შემადგენლობაში, და ტერმინალური კვან-
ძებისაგან. სიმპათიკური ნერვული სისტემის ცენტრალური ნაწილი
განლაგებულია ზურგის ტვინის გვერდით რქებში, მოყოლებული
კისრის VIII სეგმენტიდან წელის II—III სეგმენტამდე. პერიფე-
რიული ნაწილი კი შედგება მარჯვენა და მარცხენა სიმპათიკური
წველისაგან, ნერვებისაგან, რომლებიც გამოეყოფა სიმპათიკურ წვე-
ლებს და ნერვული წნულებისა და მათში შემავალი კვანძებისაგან.

პარიზის ნომენკლატურის თანახმად ავტონომიურ ნერვულ სისტემაში (მის პერიფერიულ ნაწილში) არჩევენ თავისა და კისრის, გულმკერდის, მუცლისა და მენჯის ნაწილებს. ავტონომიური ნერვული სისტემა იმყოფება დიდი ტვინის ჰემისფეროების ქერქის კონტროლის ქვეშ.

T

tactilis, - e, ლათ. (*tangere* შეხება) შეხებისა, ტაქტილური

tactus, - us, მ. ლათ. შეხება

talus, - i, მ. ლათ. ქუსლი, სათამაშო ძვალი; ანატ. კოჭი, კოჭის ძვალი

tarsus, - i, მ. ბერძნ. (*tarsos* ტერფის ძირი) 1. წინა ტერფი; 2. ქუთუთოს ხრტილი, ტარსუსი.

tarsalis, - e *tarseus*, - a, - um 1. წინა ტერფისა; 2. ქუთუთოს ხრტილისა

glandulae tarsales ტარსალური ჯირკვლები, ქუთუთოს ხრტილის ჯირკვლები.

tectorius, - a, - um, ლათ. (*tegere* გადაფარება) მფარავი, საფარი

membrana tectoria მფარავი აპკი

tectum, - i, საშ. ლათ. სახურავი

tectum mesencephali შუა ტვინის სახურავი; ვითარდება შუა ტვინის ღორსოლატერალურ კედლებიდან; შედგება სახურავის ფირფიტისა, ზემო და ქვემო გორაკებისა და ზემო და ქვემო გორაკების მკლავებისაგან.

tegmen, - inis, საშ. ლათ. სახურავი, სარკველი

tegmen tympani დაფის სარკველი; საფეთქლის ძვლის კლდოვანი ნაწილის წინა ზედაპირის თხელი ძვლოვანი ფირფიტა, რომელიც ქმნის დაფის ღრუს სახურავს.

tegmen ventriculi quarti მეოთხე პარაკუქის სახურავი; აქვს კარვის ფორმა; იქმნება ნათხემის ზემო ფეხებით და ზემო და ქვემო ტვინოვანი ფარდით. ქვემო ტვინოვან ფარდას შიგნიდან დართული აქვს მეოთხე პარაკუქის სისხლძარღვოვანი სარკველი.

tegumentalis, - e სახურავისა, სარკველისა

tegumentum, - i, საშ. ლათ. სახურავი, საფარი; ანატ. ტეგმენტუმი, კერი; შუა ტვინის ნაწილი სახურავსა და დიდი ტვი-

ნის კანქს შორის; დიდი ტვინის ფეხის დორსალური ნაწილი, რომელიც გამოეყოფა ვენტრალურად მდებარე დიდი ტვინის კანქს შავი ნივთიერებით.

tegumentum rhombencephali რომბისებრი ტვინის ქერი; რომბისებრი ტვინის (მოგრძო ტვინისა და ხიდის) დორსალური ნაწილი, რომელიც განვითარების პროცესში გამიჯნულია ვენტრალური ნაწილისაგან სასაზღვრო ღარით და შეიცავს აფერენტულ ბირთვებს.

t e l a, - *a e* მდ. ლათ. ქსოვილი, საფუძველი

tela choroidea ventriculi quarti მეოთხე პარაკუქის სისხლძარღვოვანი სარქველი; განვითარების პროცესში წარმოქმნილია რბილი გარსისა და სისხლძარღვების ინვაგინაციით მეოთხე პარაკუქში; შიგნიდან ეკვრის უკანა ტვინოვან ფარდას, გამიჯნულია პარაკუქის ღრუსაგან ეპითელური ფირფიტით; თავდაპირველად სრულად ხურავს პარაკუქის ღრუს, შემდეგში კი მასში ჩნდება სამი ხერელი ერთი — რომბისებრი ფოსოს ქვედა კუთხესთან, და ორი — მეოთხე პარაკუქის გვერდით ჯიბეებთან. ამ ხერელებით მეოთხე პარაკუქი უკავშირდება ქსელქვეშა სივრცეს.

tela choroidea ventriculi tertii მესამე პარაკუქის სისხლძარღვოვანი სარქველი; განვითარების პროცესში წარმოქმნილია რბილი გარსისა და სისხლძარღვების ინვაგინაციით სისხლძარღვოვან ნაპრალში — *fissura choroidea*. წარმოადგენს რბილი გარსის სამკუთხა ფორმის, ორფურცლიან ფირფიტას. რომელიც თავისი წვეროთი მიმართულია პარაკუქთაშუა ხერელებისაკენ, ხოლო უკანისკენ გრძელდება თავის ტვინის რბილ გარსში; მოთავსებულია კორძიანი სხეულისა და თალის ქვეშ; მის ორ ფურცელს შორის განლაგებულია ფაშარი შემაერთებული ქსოვილი და დიდი ტვინის ორი შიგნითა ვენა.

tela subcutanea კანქვეშა ქსოვილი; მდებარეობს საკუთრივ კანის ბადისებრი შრის ქვეშ; შედგება მსხვილი კოლაგენური და ელასტიკური ბოჭკოებისაგან, ეს ბოჭკოები ფაშარად არიან განლაგებული და მათ შორის არსებული სივრცეები ამოვსებულია ცხიმოვანი ქსოვილით.

tela submucosa ლორწოქვეშა ქსოვილი; შემაერთებული ქსოვილი, რომელიც მოთავსებულია ლორწოვანი გარსის ქვეშ.

tela subserosa სუბსეროზული ქსოვილი; სეროზული გარსების ქვეშ მდებარე შემაერთებული ქსოვილი.

t e l e n c e p h a l o n, - *i*, საშ. ბერძნ. (*telos* ბოლო, *enkephalon* თავის ტვინი) ტელენცეფალონი, ბოლო ტვინი, დასასრული ტვი-

ნი; წარმოდგენილია ორი ჰემისფეროთი; ყოველი ჰემისფეროს შემადგენლობაში შედის ლართი, ცნოსვის ტვინი და ბაზალური ბირთვები; საბოლოო ტვინის ბუშტის ღრუდან კი ვითარდება გვერდითი პარაკუქები

tempus, - oris, საშ. ლათ. საფეთქელი (მეორე მნიშვნელობით დრო) ეს სიტყვა იხმარება აგრეთვე მრავლობით რიცხვში; *tempora, - um*

temporalis - e საფეთქლისა

tendo, - inis, მდ. ლათ. (*tendere* დაქიმვა) მყესი

tendo conjunctivus შემაერთებელი მყესი; იხ. საზარდულის წამგალი — *falx inguinalis*:

tendo calcaneus (Achillis) ქუსლის (აქილევის) მყესი; კანკის სამთავა კუნთის დისტალური მყესი, რომელიც უმაგრდება ქუსლის ბორცვს.

tendo cricoesophageus ბექდ-საყლაპავი მილის მყესი; კუნთოვან-მყესოვანი ბოქვები საყლაპავ მილსა და ბექდისებრი ხრტილის ფირფიტის უკანა ზედაპირს შორის.

tendineus, - a, - um მყესისა

tendinosus, - a, - um მყესოვანი

tenia, - a e, მდ. ლათ. ყაითანი, ზონარი (*BNA — taenia*)

tenia choroidea სისხლძარღვოვანი ზონარი; მდებარეობს მხედველობის ბორცვის დორსალურ ზედაპირზე, დართული ფირფიტის მედიალურად. წარმოადგენს ეპითელური ფირფიტის მიმაგრების კვალს. ამ ეპითელური ფირფიტით დაფარულია გვერდითი პარაკუქის სისხლძარღვთა წნულის შიგნითა ზედაპირი.

tenia fornicis თალის ზონარი; გვერდითი პარაკუქის სისხლძარღვთა წნულის მიმაგრების ხაზი თალის ფეხისა და ჰიპოკამპის ფოჩის ლატერალურ ნაპირზე.

tenia libera თავისუფალი ზონარი; კოლინჯისა და ბრმა ნაწლავის თავისუფალი ზონარი; იქმნება გასწვრივი კუნთოვანი შრით, რომელიც მიემართება ნაწლავის თავისუფალ ზედაპირზე.

tenia mesocolica ჯორჯლისეული ზონარი; კოლინჯისა და ბრმა ნაწლავის ერთ-ერთი ზონარი, რომელიც შეესაბამება განივ კოლინჯზე ჯორჯლის მიმაგრების ადგილს; იქმნება გასწვრივი კუნთოვანი შრით.

tenia omentalis ბადექონისეული ზონარი; კოლინჯისა და ბრმა ნაწლავის ერთ-ერთი ზონარი, რომელიც შეესაბამება განივ კოლინჯ-

ზე დიდი ბაღეკონის მიმაგრების ხაზს; იქმნება გასწვრივი კუნთოვანი შრით.

tenia telae სარქველის ზონარი; ცენტრალური ნერვეული სისტემის ზონრების კრებითი სახელწოდება; ეს ზონრები წარმოადგენენ სისხლძარღვოვანი სარქველებისა და წნულების ეპითელური ფირფიტის მიმაგრების კვალს, რომელიც რჩება მათი მოცილების შემდეგ

tenia thalami მხედველობის ბორცვის ზონარი; მდებარეობს მხედველობის ბორცვის ტვინოვანი ზოლის მედიალურად; წარმოადგენს მესამე პარაკუქის სისხლძარღვოვანი სარქველის ეპითელური ფირფიტის მიმაგრების კვალს.

tenia ventriculi quarli მეოთხე პარაკუქის ზონარი; წარმოადგენს მეოთხე პარაკუქის სისხლძარღვოვანი სარქველის ეპითელური ფირფიტის მიმაგრების კვალს; ზონარი იწყება ურდულიდან, მიემართება ლატერალურად მეოთხე პარაკუქის გვერდით ჭიბისაკენ, გადადის ნათხემის კვირტის ფეხზე და უკანა ტვინოვანი ფარდის გავლით აღწევს ნათხემის კვანძს, სადაც უერთდება მოპირდაპირე მხრის ზონარს.

tensor, - oris, მ. ლათ. (*lendere* გაჭიმვა) გამჭიმავი

musculus tensor tympani დაფის გამჭიმავი კუნთი

tensus, - a, - um ლათ. გაჭიმული

tentorium, - ii, საშ. ლათ. კარავი

tentorium cerebelli ნათხემის კარავი; თავის ტვინის მაგარი გარსის დუპლიკატურა, მორჩი მოთავსებული დიდი ტვინის კეფის წილის ქვემო ზედაპირსა და ნათხემს შორის.

tenuis, - e, ლათ. წვრილი

intestinum tenue წვრილი ნაწლავი

teres, - etis, ლათ. (*terere*: სრესა) მრგვალი

musculus teres major et minor დიდი და მცირე მრგვალი კუნთი

terminatio, - onis, მდ. ლათ. ბოლო, დაბოლოება

terminationses nervorum liberae თავისუფალი ნერვეული დაბოლოებანი

terminus, - i, მ. ლათ. 1. საზღვარი, ბოლო, დასასრული;

2. ტერმინი, მეცნიერული დასახელება.

terminalis, - e ტერმინალური, სასაზღვრო, საბოლოო

tertius, - a, - um, ლათ. მესამე

testis, - is, მ. ლათ. სათესლე

testicularis, - e სათესლისა, რაც განეკუთვნება სათესლეს
thalamencephalon, - i, საშ. ბერძნ. (thalamos ცალკე
ოთახი, საწოლი ოთახი; ანატ. მხედველობის ბორცვი, en-
kephalos თავის ტვინი) თალამენცეფალონი, მხედველობის
ტვინი; შუამდებარე ტვინის ფილოგენეზურად უფრო ახა-
ლი ნაწილი, შედგება მხედველობის ბორცვისა, ეპითალა-
მუსისა და მეტათალამუსასაგან

thalamus - i, საშ. ბერძნ. (thalamos ცალკე ოთახი, საწოლი
ოთახი) თალამუსი, მხედველობის ბორცვი; ყველა სა-
ხის მგრძნობელობის ქერქქვეშა ცენტრი; კვერცხის ფორ-
მის, წყვილი, რუხი შემსხვილება III პარაკუქის გვერ-
დებზე, რომლის წინა ბოლო შევიწროებულია და წარ-
მოდგენილია წინა ბორცვით, უკანა ბოლო კი გაფარ-
თოებული და შემსხვილებულია და წარმოდგენილია
ბალიშით. თალამუსის რუხი მასა თეთრი ტვინოვანი
ფირფიტებით დაყოფილია ცალკეულ ბირთვებად.

theca, - ae მდ. ბერძნ. (theke კოლოფი, ქარქაში) კაფსული,
გარსი, თეკა

theca folliculi ფოლიკულის გარსი; საკვერცხის ბუშტუკისებ-
რი ფოლიკულის გარეთა შემაერთებელქსოვილოვანი გარსი, რომე-
ლიც გარს ეკერის მარცვლოვან შრეს; შედგება გარეთა მკერივი ბოჭ-
კოვანი შრისაგან და შიგნითა უჭრედოვანი შრისაგან, რომელიც ლა-
რიბია ბოჭკოებით და შეიცავს მრავალრიცხოვან უწვრილეს ძარლ-
ვებს.

thenar, - aris, საშ. ბერძნ. (thenar ხელისგული) ხელის ცე-
რის შემალღება, რომელიც გამოწვეულია ცერის მოკლე კუნ-
თებით.

thorax, - acis, საშ. ბერძნ. (thorax ჯავშანი, სიტყვიდან tho-
resso ჯავშნით აღჭურვა) გულმკერდი.

thoracalis,-e, thoracicus,-a, - um თორაკალური, გულმკერდისა
thymus, - i, მ. ბერძნ. (thymos სული, ან thymos ბეგქონდარა,
რომლის ყვავილებს მოგვაგონებს ჭირკვლის სტრუქტურა)
თიმუსი, მკერდუკანა ჭირკვალი; ბრანქიოგენური ჯგუ-
ფის შინაგანი სეკრეციის ჭირკვალი; მდებარეობს უშუალოდ
მკერდის უკან, ზემო და ნაწილობრივ წინა შუასაყარში,
შედგება ორი წილისაგან, რომლებიც ერთმანეთთან დაკავ-
შირებული არიან შემაერთებელი ქსოვილით; სქესობრივი
მომწიფების შემდეგ განიცდის უკუგანვითარებას.

thymicus, - a, - um თიმუსისა, მკერდუკანა ჯირკვლისა
thyroideus, - a, - um, ბერძნ. (thyreos ფარი, eides სახე)
ფარისებრი

tibia, - ae, მდ. ლათ. (ფლეიტა, რომელსაც უწინ მსხვილფეხა სა-
ქონლის დიდი წვივისაგან აკეთებდნენ) დიდი წვივი

tibialis, - e დიდი წვივისა

tonsilla, - ae, მდ. ლათ. ნუში; ნუშისებრი წარმონაქმნი

tonsilla cerebelli ნათხემის ნუში; ნათხემის ჰემისფეროს წილა-
კი; მოთავსებულია ჰემისფეროს ქვემო ზედაპირზე, ორმუცელა წილა-
კის წინ; შეესაბამება ნათხემის ჰემის ნაქს.

tonsilla lingualis ენის ნუში; ლიმფოიდური ქსოვილის გროვა
ენის ლორწოვან გარსში, ენის უკანა ერთ მესამედში.

tonsilla palatina სასის ნუში; ლიმფოიდური ქსოვილის მასა ნუ-
შის სინუსში, სასა-ენისა და სასა-ხახის რკალებს შორის.

tonsilla pharyngea ხახის ნუში; ლიმფოიდური ქსოვილის გრო-
ვა ხახის თალსა და უკანა კედელზე, შუა ხაზზე; ასაკთან დაკავშირე-
ბით საგრძნობლად მცირდება და ზოგჯერ სრულიად ქრება.

tonsilla tubaria სასმენი ლულის ნუში; ლიმფოიდური ქსოვი-
ლის გროვა სასმენი ლულის ხახისკენა ხვრელის მიდამოში. (Eustac-
hii).

tonsillaris, - e ნუშისა

torulus, - i, მ. ლათ. (ენინ. სიტყვისა torus) მორგვი, შემალლე-
ბა

toruli tactiles შეხების მორგვები; კანის მომცრო შემალლებანი
ხელისგულზე და ტერფის ძირზე; მის სისქეში განლაგებულია ცხი-
მოვანი ქსოვილი, შემაერთებელქსოვილოვანი ხარისხები და ნერვული
დაბოლოებანი. შეხების აღქმის სპეციალური არეები.

torus, - i, მ. ლათ. მორგვი, შემალლება

torus levatorius ამწევი კუნთის მორგვი; ლორწოვანი გარსის შე-
მალლება ხახის გვერდით კედელზე, ლულის მორგვის წინ; გამოწვე-
ულია სასის ამწევი კუნთით.

torus palatinus სასის მორგვი; მაგარი სასის არამუდმივი ძვლო-
ვანი შემალლება სასის შუა ნაკერის ადგილას.

torus tubarius ლულის მორგვი; ლორწოვანი გარსის შემალლება
სასმენი ლულის ხახისკენა ხვრელის უკან, სადაც ლორწოვანი გარ-
სით დაფარულია სასმენი ლულის ხრტილის ბოლო.

trabecula, - ae მდ. ლათ. (trabs მორი) ხარისა, ტრაბეკულა

trabecula septomarginalis ძგიდე-სანაპირო ხარისხა; კუნთოვანი ხარისხა მარჯვენა პარკუჭის მწვერვალთან; აკავშირებს პარკუჭთაშუა ძგიდეს წინა დვრილისებრი კუნთის ფუძესთან და შეიცავს წინაგულ-პარკუჭის კონის მარჯვენა ტოტის მნიშვნელოვან განშტოებას. წანააღმდეგობას უწევს პარკუჭის ზედმეტ გაფართოებას. (Reili).

trabeculae carnae ხორციანი ხარისხები; სხვადასხვა ზომის და მიმართულების კუნთოვანი ხარისხები გულის პარკუჭების შიგნითა ზედაპირზე, რომლებიც იქმნება მიოკარდიუმის შიგნითა შრით.

trabeculae corporis cavernosi მღვიმოვანი სხეულების ხარისხები; მამაკაცის ასოს მღვიმოვანი სხეულების ფიბროზული ძგიდეები, რომლებითაც ერთმანეთისაგან გამიჯნული არიან მღვიმეები.

trabeculae corporis spongiosi ღრუბლისებრი სხეულის ხარისხები; მამაკაცის ასოს ღრუბლისებრი სხეულის ფიბროზული ხარისხები.

trabeculae lienis ელენთის ხარისხები; მრავალრიცხოვანი ფიბროზულ-ელასტიკური ძგიდეები, რომლებიც ელენთის კაფსულიდან მიემართება ელენთის პულპაში.

trabecularis, - e ხარისისა, ტრაბეკულური

trachea, - ae, მდ. ბერძნ. (trakhys ხორკლიანი, არასწორი. ბერძნები სასულეს უწოდებდნენ ხორკლიან არტერიას — *arteria tracheia*, არტერიას კი არისტოტელე უწოდებდა გლუვ არტერიას — *arteria leia*) სასულე, ტრაქეა; ცილინდრული მილი, რომელიც იწყება ბექდისებრი ხრტილიდან და გულმკერდის V მალის ზემო კიდესთან იყოფა ორ მთავარ ბრონქად.

trachealis, - e სასულესი

tractus, - us, მ. ლათ. (trahere თრევა, წევა) ბაგირაკი, გზა, ტრაქტი

tractus cerebellorubralis ნათხემ-წითელი ბირთვის ტრაქტი; დაკბილული ბირთვიდან ნათხემის ზემო ფეხის გავლით მიემართება შუა ტვინის ჭერში, სადაც მონაწილეობს ნათხემის ზემო ფეხების ჯვანდინის შექმნაში და მთავრდება მოპირდაპირე მხრის წითელ ბირთვში (BNA — *tractus cerebello-tegmentalis*).

tractus cerebellothalamicus ნათხემ-მხედველობის ბორცვის ტრაქტი; იწყება ნათხემის დაკბილულ ბირთვში და მიემართება მხედ-

ველობის ბორცვის მედიალურ ბირთვში; თავსდება ნათხემ-წითელი ბირთვის ტრაქტთან და იმეორებს მის მსვლელობას.

tractus corticohypothalamicus კორტიკოჰიპოთალამური ტრაქტები; დაღმავალი ბოქკოები შუბლის წილიდან ჰიპოთალამუსისაკენ.

tractus cerebellopontini ქერქ-ხიდის ტრაქტები; დაღმავალი ბოქკოები შუბლის. ნათხემის, საფეთქლისა და კეფის წილების ქერქის უჯრედებიდან ხიდის თანაგვერდით ბირთვებისაკენ. (BNA — tractus corticis ad pontem).

tractus corticospinalis (pyramidalis) anterior ქერქ-ზურგის ტვინის, კორტიკოსპინალური (პირამიდული) წინა ტრაქტი; თანაშოსახელე ლატერალურ ტრაქტთან ერთად იწყება წინა ცენტრალური ხვეულიდან, შიგნითა კატსულის გავლით ეშვება მოგრძო ტვინში და გადაუჯვარედინებლად გრძელდება ზურგის ტვინის წინა ლარში; ზურგის ტვინში გადაჯვარედინდება და მთავრდება მოპირდაპირე მხრის წინა რქაში.

tractus corticospinalis (pyramidalis) lateralis ქერქ-ზურგის ტვინის, კორტიკოსპინალური (პირამიდული) ლატერალური ტრაქტი; პირამიდული გზის უმეტესი ნაწილი, რომელიც გადაჯვარედინდება მოგრძო ტვინში და ეშვება ზურგის ტვინის მოპირდაპირე მხრის გვერდით ლარში; მთავრდება ზურგის ტვინის რუხი ნივთიერების წინა რქაში. ამრიგად როგორც ლატერალური, ისე წინა პირამიდული ტრაქტი საბოლოოდ მთლიანად გადაჯვარედინებული აღმოჩნდება.

tractus iliotibialis თეძო-წვივის ტრაქტი; ბარძაყის განიერი ფასციის ლატერალური, სქელი, მკვრივი ნაწილი, რომელიც უმაგრდება დიდი წვივის ლატერალურ როკს; მისი შუამდებარე ნაწილი იწყება თეძოს ძვლის ქედიდან, წინა ნაწილი შეიცავს განიერი ფასციის გამჭვირავი კუნთის მყესს, უკანა ნაწილი კი დიდი ღუნღულა კუნთის მყესის ბოქკოებს, (Maissiati).

tractus mesencephalicus n. trigemini სამწვერა ნერვის მეზენცეფალური ტრაქტი; ძვეს დიდი ტვინის წყალსადენის ლატერალურად; შედგება სამწვერა ნერვის პროპრიოცეპტული ბოქკოებისაგან, რომლებიც ატარებენ იმპულსებს საღეჭი კუნთებიდან.

tractus nervosi commissurales კომისურული ნერვული ტრაქტები; დიდი ტვინის მოპირდაპირე მხრის ჰემისფეროების შემაერთებელი ბოქკოები. კომისურულ ნერვულ ტრაქტებს განეკუთვნება კორ-

ძიანი სხეული, წინა შესართავი, უკანა შესართავი, სადავეების შესართავი, თალის შესართავი და სუპრაოპტიკური შესართავი.

tractus nervosi projectionis პროექციული ნერვული ტრაქტები; ნერვული ბოჭკოები, რომლებიც აკავშირებენ დიდი ტვინის ქერქს ცენტრალური ნერვული სისტემის ქვედა ნაწილებთან ზურგის ტვინის ჩათვლით. არჩევენ აღმავალ და დაღმავალ პროექციულ ნერვულ ტრაქტებს.

tractus olfactorius ყნოსვის ტრაქტი; ყნოსვის ტვინის ნაწილი ყნოსვის ბოლქვიდან თანამოსახელე სამკუთხედამდე; ძვეს ყნოსვის ლარში, ჰემისფეროს ქვემო ზედაპირზე; შედგება ნერვული ბოჭკოებისაგან.

tractus olivocerebellaris ოლივა-ნათხემის ტრაქტი; აღმავალი ბოჭკოები ოლივის ბირთვიდან, რომლებიც ნათხემის ქვემო ფენის გავლით აღწევენ ნათხემის ქერქს; ოლივა-ნათხემის ტრაქტი ნაწილობრივ არის გადაჯვარედინებული. (BNA — *fibrae cerebelloolivares*).

tractus opticus მხედველობის ტრაქტი; მხედველობის ჯვარედინს გამოეყოფა მარჯვენა და მარცხენა მხედველობის ტრაქტი; თითოეული მათგანი გარედან შემოეხვევა დიდი ტვინის ფენს და იყოფა მედიალურ და ლატერალურ ფესვებად; მედიალური ფესვი შეიცავს გუდენის შესართავის ბოჭკოებს და მთავრდება მედიალურ დამუხვლილ სხეულში. ლატერალური ფესვი შეიცავს მხედველობის აფერენტულ ბოჭკოებს, რომლებიც მთავრდებიან ლატერალურ დამუხვლილ სხეულში, მხედველობის ბორცვის ბალიშში და ზემო გორაკში. მარჯვენა ტრაქტი შეიცავს მარჯვენა თვალის ლატერალური ნახევრიდან და მარცხენა თვალის მედიალური ნახევრიდან გამოსულ ბოჭკოებს, მარცხენა ტრაქტი კი — მარცხენა თვალის ლატერალური ნახევრისა და მარჯვენა თვალის მედიალური ნახევრის ბოჭკოებს.

tractus reticulospinalis ბადისებრ-ზურგის ტვინის ტრაქტი; რეტიკულოსპინალური ტრაქტი; ტვინის ღეროს ბადისებრი ფორმაციის უჯრედების აქსონებისაგან შედგენილი დაღმავალი ტრაქტი, რომელიც ეშვება ზურგის ტვინის წინა ლარში და მთავრდება რუხი ნივთიერების წინა სვეტის უჯრედებში.

tractus rubrospinalis წითელბირთვ-ზურგის ტვინის ტრაქტი; რუბროსპინალური ტრაქტი; დაღმავალი ტრაქტი, რომლის ბოჭკოები იწყებიან წითელ ბირთვში, შუა ტვინის ქერში ქმნიან ჯვარედინს, ეშვებიან ზურგის ტვინის მოპირდაპირე მხრის ლატერალურ ლარში და მთავრდებიან რუხი ნივთიერების წინა რქაში; წარმოადგენს ექსტრაპირამიდული სისტემის მთავარ დაღმავალ ტრაქტს.

tractus solitarius განკერძოებული ტრაქტი; მოთავსებულია მოგრძო ტვინში, ცთომილი ნერვის დორსალური ბირთვის ვენტრო-ლატერალურად; შედგენილია სახის, ენა-ხახისა და ცთომილი ნერვის აფერენტული ვისცერული ბოქკოებით, რომლებიც მთავრდებიან განკერძოებული ტრაქტის ბირთვში. (*fasciculus Gierke*).

tractus spinalis n. trigemini სამწვერა ნერვის სპინალური ტრაქტი; მოთავსებულია მოგრძო ტვინში, რომბისებრი ფოსოს გვერდითი ნაწილის სისქეში და ვრცელდება ზურგის ტვინის ზედა ორ სემენტში; შედგენილია სამწვერა ნერვის კვანძის ცენტრალური ბოქკოების დაღმავალი ტოტებით, რომლებიც მთავრდებიან სამწვერა ნერვის სპინალური ტრაქტის ბირთვში.

tractus spinocerebellaris anterior ზურგისტვინ-ნათხემის წინა ტრაქტი; უნებლიე პროპრიოცეპტული იმპულსების გამტარი გზა; შედგება ორნეირონიანი ჯაჭვისაგან; პირველი ნეირონი განლაგებულია სპინალურ კვანძში; მეორე ნეირონი მოთავსებულია ზურგის ტვინის რუხ ნივთიერებაში: მედიალურ შუამდებარე ბირთვში და უკანა რქაში; მეორე ნეირონების აქსონების ნაწილი წვება თანამოსახელე მხრის გვერდით ლარში, ნაწილი კი თეთრი შესართავით გადადის მოპირდაპირე მხრის გვერდით ლარში; მეორე ნეირონების აქსონები აღიან მოგრძო ტვინში, გაივლიან მოგრძო ტვინს, ხიდს, წინა ტვინოვან ფარდაში გადაჯვარედინდებიან და ნათხემის წინა ფეხით აღწევენ ნათხემს. (*Goversi*).

tractus spinocerebellaris posterior ზურგისტვინ-ნათხემის უკანა ტრაქტი; უნებლიე პროპრიოცეპტული იმპულსების გამტარი გზა; შედგება ორნეირონიანი ჯაჭვისაგან; პირველი ნეირონი განლაგებულია სპინალურ კვანძში, მეორე კი ზურგის ტვინის რუხ ნივთიერებაში, გულმკერდის ბირთვში; მეორე ნეირონების აქსონები თანამოსახელე მხრის გვერდითი ლარით აღიან მოგრძო ტვინისაკენ და ნათხემის ქვემო ფეხით აღწევენ ნათხემს. (*Flechsigi*).

tractus spinotectalis ზურგისტვინ-სახურავის ტრაქტი; სპინოტექტური ტრაქტი; აღმავალი გზა, რომელიც დაკავშირებულია სხეულის შეთანხმებულ მოძრაობასთან თავისა და თვალის მოძრაობებთან; ამ ტრაქტის პირველი ნეირონი ძვეს სპინალურ კვანძში; მეორე ნეირონი კი — ზურგის ტვინის უკანა რქაში; მეორე ნეირონის აქსონები გადადიან ზურგის ტვინის მოპირდაპირე მხრის გვერდით ლარში და აღიან შუა ტვინის სახურავის წინა გორაკში.

tractus spinothalamicus anterior ზურგისტვინ-მხედველობის

ბორცვის წინა ტრაქტი; წინა სპინოთალამური ტრაქტი; ტკივილის, თერმული და ტაქტილური იმპულსების გამტარი გზა; ეს გზა ზურგის ტვინიდან დიდი ტვინის ქერქამდე შედგება სამნეირონიანი ჯაჭვისაგან; პირველი ნეირონი განლაგებულია სპინალურ კვანძში, მეორე ნეირონი — ზურგის ტვინის რუხი ნივთიერების უკანა რქაში; მეორე ნეირონების აქსონები გადადიან მოპირდაპირე მხრის წინა ლარში და აღიან მხედველობის ბორცვში, სადაც მოთავსებულია მესამე ნეირონები, რომელთა აქსონები აღწევენ დიდი ტვინის ქერქს.

tractus spinothalamicus lateralis ზურგისტვინ-მხედველობის ბორცვის ლატერალური ტრაქტი; ლატერალური სპინოთალამური ტრაქტი; თანამოსახელე წინა ტრაქტისაგან განსხვავდება მსვლელობით; ლატერალური ტრაქტის მეორე ნეირონის აქსონები გადადიან ზურგის ტვინის მოპირდაპირე მხრის ლატერალურ ლარში..

tractus spiralis foraminosus ხვრელებიანი სპირალური ტრაქტი; სპირალურად დაჯგუფებული ხვრელები ლოკოკინას ლერძის ფუძეზე; ამ ხვრელებით იხსნებიან ლერძის გასწვრივი არხები, რომლებშიც გაივლიან სპირალური კვანძის ცენტრალური ბოჭკოები.

tractus sup:opticohypophysialis სუპრაოპტიკურ - ჰიპოფიზური ტრაქტი; შედგება სუპრაოპტიკურ და პარავეტიკულურ ბირთვებში აღმოცენებული ბოჭკოებისაგან, რომლებიც მიემართებიან ჰიპოფიზის უკანა წილში.

tractus tectospinalis სახურავ-ზურგის ტვინის ტრაქტი; ტექტო-სპინალური ტრაქტი; დაღმავალი ბოჭკოები, რომლებიც იწყებიან შუა ტვინის სახურავის გორაკებში, შუა ტვინის ჭერში ქმნიან ჯვარედინს, ეშვებიან ზურგის ტვინის მოპირდაპირე მხრის წინა ლარში და მთავრდებიან რუხი ნივთიერების წინა რქაში; ამ ტრაქტით ხორციელდება რეფლექტორული დაცვითი მოძრაობები მხედველობიანი და სმენითი გაღიზიანებების დროს.

tractus vestibulospinalis კარიბჭე-ზურგის ტვინის ტრაქტი; დაღმავალი ბოჭკოები, რომლებიც აღმოცენდებიან კარიბჭის ლატერალურ ბირთვში, ეშვებიან ზურგის ტვინის წინა ლარში და მთავრდებიან რუხი ნივთიერების წინა რქაში; ამ ტრაქტით ხდება ვესტიბულური რეფლექსების გავრცელება კისრის, ტორსისა, და კიდურების მუსკულატურაზე და მათი ტონუსის რეგულაცია.

tr a g u s , - i , მ. ლათ. (სიტყვასიტყვით თხა) სახური; ყურის ნიჟარის შემადგენელი გარეთა სასმენი ხვრელის წინ-
tragi თხის წვერი; ანატ.: ყურის თმა

tragicus, - a, - um სახურისა

transversus, - a, - u m, ლათ. (transvertere გადაბრუნება)
განივი

processus transversus განივი მორჩი

transversalis, - e; transversarius, - s, - um განივი, განივად
მდებარე

trapezius, - a, - u m, ლათ. ტრაპეციული

triangularis, - e, ლათ. (tri სამი, angulus კუთხე) სამ-
კუთხა

triceps, - i p i t i s, ლათ. (tri + caput თავი) სამთავა

tricuspidalis, - e, ლათ. (tri + cuspis წვეტი; ანატ.; საგდუ-
ლი) სამკარიანი, სამსაგდულიანი

trigeminus, - a, - u m, ლათ. (tri + geminus ტყუპი, ორმაგი;
trigeminus სამმაგი) სამწვერა.

trigonum, - i, საშ. ლათ. სამკუთხედი

trigona fibrosa ფიბროზული სამკუთხედები; მარჯვენა და მარ-
ცხენა ფიბროზული სამკუთხედები, რომლებითაც შეესებულა აორ-
ტის ხვრელსა და გულის ფიბროზულ რგოლებს შორის არსებული
სივრცე.

trigonum collaterale თანამოზიარე სამკუთხედი; შემადგენა
გვერდითი პარკუქის ძირზე, უკანა და ქვემო რქებს შორის.

trigonum femorale ბარძაყის სამკუთხედი; მდებარეობს ბარძაყის
წინა მიდამოს ზედა მედიალურ ნაწილში; ზემოდან მოსაზღვრულია
საზარდულის იოგით, ლატერალურად — თერძის კუნთით, მედიალურ-
ად კი — გრძელი მომზიდველი კუნთით (BNA — fossa Scarpae
major).

trigonum habenulae სადავის სამკუთხედი; მხედველობის ბორ-
ცვის ტვინოვანი ზოლის უკანა გაფართოებული ნაწილი; შედის ეპი-
თალამუსის შემადგენლობაში.

trigonum inguinale საზარდულის სამკუთხედი; სამკუთხა ფორ-
მის არე მუცლის წინა კედლის უკანა ზედაპირზე; ლატერალური მხრი-
დან მოსაზღვრულია ქვემო ეპიგასტრული არტერიით, მედიალური
მხრიდან — მუცლის სწორი კუნთის ლატერალური კიდიით, ქვემო-
დან კი — საზარდულის იოგით.

trigonum lumbale წელის სამკუთხედი; სამკუთხა არე თეძოს
ძვლის ქედის ზემოთ, მუცლის გარეთა ირიბი კუნთის უკანა, თავისუ-
ფალ კიდესა და ზურგის უგანიერესი კუნთის გარეთა კიდეს შორის.
(Petiti).

trigonum n. hypoglossi ენისქვეშა ნერვის სამკუთხედი; წყვილი შემადგენელი რომბისებრი ფოსოს შუა ღარის გვერდებზე, მეოთხე პარაკუპის ტვინოვანი ზოლები ქვემოთ; მის სისქეში ძვეს ენისქვეშა ნერვის ბირთვი.

trigonum n. vagi ცთომილი ნერვის სამკუთხედი; მუქი მოყავისფრო არე რომბისებრ ფოსოში, ენისქვეშა ნერვის სამკუთხედის ქვემოთ და ლატერალურად; მის სისქეში ძვეს ცთომილი ნერვის დორსალური ბირთვი. (BNA — ala cinerea).

trigonum olfactorium ყნოსვის სამკუთხედი; ყნოსვის ტრაქტის უკანა გაბრტყელებული ნაწილი.

trigonum vesicae შარდის ბუშტის სამკუთხედი; სამკუთხეა არე შარდის ბუშტის ძირის შიგნითა ზედაპირზე; სამკუთხედის ფუძე მიქცეულია უკან და ზემოთ და იქმნება შარდსაწვეთთაშუა ნაოქით, გვერდები-პირობითი ხაზებით, რომლებიც აერთებენ შარდსაწვეთთა ხვრელებს შარდსადენის შიგნითა ხვრელთან. ეს უკანასკნელი ძვეს სამკუთხედის წვეროსთან. სამკუთხედის მიდამოში ლორწოვანი გარსი უშუალოდ შეზრდილია კუნთოვან გარსთან და არავითარ ნაოქებს არ ქმნის. (Lieutaudi).

triquetrus, - a, - um, ლათ. სამკუთხიანი

triticiu m, - i, საშ. ლათ. ხორბალი

triticeus - a, - um ხორბლისებრი

trochanter, - eris, საშ. ბერძნ. (*trochao* სირბილი, გარშემო ტრიალი; ციბრუტს უმაგრდება ბარძაყის მბრუნველი კუნთები) ციბრუტი.

trochanter major et minor დიდი და მცირე ციბრუტი; ორი ბორცვი ბარძაყის ძვლის სხეულის პროქსიმალურ ბოლოზე; დიდი ციბრუტი მიმართულია გარეთ და ზემოთ, მცირე კი — შიგნით და უკან.

trochanter tertius მესამე ციბრუტი; ბარძაყის ძვლის არამუდმივი ბორცვი დუნდულოვანი ხორკლის ზემოთ, რომელსაც უმაგრდება დიდი დუნდულა კუნთის ნაწილი.

trochantericus, - a, - um ციბრუტისა, რაც განეკუთვნება ციბრუტს

trochlea, - ae, მდ. ბერძნ. ჭალი.

trochlea humeri მხრის ჭალი; მხრის ძვლის დისტალური ეპიფიზის ჭალისებრი, მედიალური სასახსრე ზედაპირი, რომელიც ენაწვერება იდაყვის ძვალს.

trochlea muscularis კუნთის ქალი; ძელოვანი ქედი ან შემაერთებულქსოვილოვანი მარყუევი, რომელშიც გაივლის მყესი თავისი მიმართულების შეცვლისას.

trochlea peronealis მცირე წვივის ქალი; მომცრო ძელოვანი შემალღება ქუსლის ძელის ლატერალური ზედაპირის წინა მონაკვეთში, რომლის უკან ძევის მცირე წვივის კუნთების მყესების ღარი.

trochlea tali კოჭის ქალი; კოჭის ზემო სასახსრე ზედაპირი, რომელსაც ენაწეებება დიდი წვივი.

trochlearis, - e ქალისებრი, ქალისა

trochoideus, - a, - u m, ბერძნ. (*trochos* ბორბალი) ბორბლისებრი, ცილინდრული

truncus, - i, მ. ლათ. (*truncare* მოკვეთა, წაჭრა; *truncus* კუნძი, ხის ტანი) წველი, ღერო.

trunci intestinales ნაწლავისეული ღეროები; მოკლე ლიმფური ღეროები; აგროვებენ ლიმფას ჯორჯლის ლიმფური ძარღვებიდან და მუცლის ღრუს სხვა ვისცერული ლიმფური კვანძებიდან; ერთვიან წრბოლის ცისტერნას ან უშუალოდ გულმკერდის ლიმფურ სადინარს.

trunci lumbales წელის ღეროები; წელის მარჯვენა და მარცხენა ლიმფური ღერო; მოკლე ლიმფური ღეროები, რომლებიც აგროვებენ ლიმფას ქვემო კიდურებიდან, ტანის ქვედა ნაწილიდან და მცირე მენჯის ორგანოებიდან; ერთვიან წრბოლის ცისტერნას.

truncus brachiocephalicus მხარ-თავის ღერო; 4 სმ. სიგრძის საკმაოდ მსხვილი არტერია; გამოეყოფა აორტის რკალის დასაწყის ნაწილს, იყოფა საერთო საძილე და ლავიწქვეშა მარჯვენა არტერიებად (BNA — a. anonyma).

truncus bronchomediastinalis ბრონქ-შუასასყარის ღერო; მოკლე ლიმფური ღერო, რომელიც აგროვებს ლიმფას სასულეს ლიმფური კვანძებიდან; მარცხნივ ერთვის გულმკერდის სადინარს, მარჯვნივ კი — მარჯვენა ლიმფურ სადინარს.

truncus celiacus ფაშვის ღერო; 1—2 სმ სიგრძის არტერია, რომელიც გამოეყოფა მუცლის აორტის წინა ზედაპირს გულმკერდის XII მალის დონეზე; იყოფა კუჭის მარცხენა, ღვიძლის საერთო და ელენთის არტერიებად. (BNA — a. coeliaca).

truncus corporis callosi კორძიანი სხეულის წველი; კორძიანი სხეულის ნაწილი კორძიანი სხეულის მორგვსა და მუხლს შორის

truncus costocervicalis ნეკნ-კისრის ღერო; გამოეყოფა ლავიწქვეშა არტერიის უკანა ზედაპირს კიბისებრ კუნთთაშუა სივრცეში,

მიემართება უკან და იყოფა კისრის ღრმა და ნეკნთაშუა ზემდებარე არტერიებად.

truncus inferior, medius et superior ქვემო, შუა და ზემო ღერო; მხრის წნულის ღეროები, რომლებიც დაჭგუფებული არიან ლავიწქვეშა არტერიის გარშემო. მხრის წნულის ლავიწქვეშა ნაწილში ღეროების შეერთების შედეგად იქმნება ლატერალური, მედიალური და უკანა კონა.

truncus jugularis საუღლე ღერო; მარჯვენა საუღლე ღერო აგროვებს ლიმფას თავისა და კისრის მარჯვენა ნახევრიდან და ერთვის მარჯვენა ლიმფურ სადინარს. მარცხენა საუღლე ღერო აგროვებს ლიმფას თავისა და კისრის მარცხენა ნახევრიდან და ერთვის გულმკერდის სადინარს.

truncus linguofacialis ენა-სახის ღერო; ზოგ შემთხვევაში ენისა და სახის არტერიები გამოეყოფა გარეთა საძილე არტერიას ერთი ღეროთი.

truncus lumbosacralis გავა-წელის ღერო; ნერვული ღერო, რომელიც იქმნება წელის IV სპინალური ნერვის ვენტრალური ტოტის ერთ-ერთი განშტოების (პირველი წინა ტოტი) შეერთებით წელის V სპინალური ნერვის ვენტრალურ ტოტთან; ეშვება მენჯის ღრუში და უერთდება გავის წნულს.

truncus pulmonalis ფილტვის ღერო; არტერიული ღერო, რომელიც იყოფა ფილტვის მარჯვენა და მარცხენა არტერიებად; ფილტვის ღეროს კედელს არტერიის კედლის აგებულება აქვს, მაგრამ მასში მიედინება ვენური სისხლი (BNA — *a. pulmonalis*).

truncus subclavius ლავიწქვეშა ღერო; მარჯვენა ღერო აგროვებს ლიმფას მარჯვენა ზემო კიდურიდან და ერთვის მარჯვენა ლიმფურ სადინარს, მარცხენა ღერო კი აგროვებს ლიმფას მარცხენა ზემო კიდურიდან და ერთვის გულმკერდის სადინარს.

truncus sympathicus სიმპათიკური წველი; წყვილი, ხერხემლის გვერდებზე სიმეტრიულად განლაგებული, წველი; ვრცელდება კისრის პირველი მალის დონიდან კუდუსუნამდე, სადაც მოპირდაპირე მხრის სიმპათიკური წველები უახლოვდებიან ერთმანეთს; და მთავრდებიან კენტ კვანძში — *ganglion impar*; შედგება სიმპათიკური წველის კვანძებისა — *ganglia trunci sympathici* და კვანძთაშუა ტოტებისაგან — *rami interganglionares*. მიდამოებრივი განლაგების მიხედვით არჩევენ კისრის, გულმკერდის, წელისა და გავის კვანძებს.

truncus thyrocervicalis ფარ-კისრის ღერო; მოკლე და ფართო

არტერიული ღერო, რომელიც გამოეყოფა ლავიწქვეშა არტერიის პირველ ნაწილს; იყოფა ფარისებრ ქვემო, ბეჭზედა და კისრის განივ არტერიებად.

t u b a, - a e, მდ. ლათ. ლულა

tuba auditiva სასმენი ლულა; 3,5—4 სმ. სიგრძის მილი, რომელიც აერთებს ხახის ღრუს დაფის ღრუსთან; შედგება ხრტილოვანი (უკავია ლულის 2/3) და ძვლოვანი ნაწილისაგან. ეს უკანასკნელი მოთავსებულია საფეთქლის ძვლის კლდოვან ნაწილში (BNA — Eustachii).

tuba uterina საშვილოსნოს ლულა; კვერცხსავალი — წყვილი კუნთოვანი ლულა; მოთავსებულია განიერი იოგის ზედა კიდეში; მისი ლატერალური ბოლო იხსნება პერიტონეუმის ღრუში, მედიალური ბოლო კი ხერცის საშვილოსნოს კედელს და მის ზედა კუთხეში იხსნება. (Fallopian).

t u b a r i u s, - a, - u m ლულისა

t u b e r, - e r i s, საშ. ლათ. ბორცი

tuber calcanei ქუსლის ბორცი; ქუსლის ძვლის უკანა-ქვემო ნაწილი, რომელსაც უმაგრდება აქილევის მყესი

tuber cinereum რუხი ბორცი; ჰიპოთალამუსის ნაწილი — კენტი ბორცი დიდი ტვინის ქვემო ზედაპირზე მხედველობის ჭვარდინსა და დვრილისებრ სხეულებს შორის; წარმოადგენს მესამე პარაკუქის ქვემო კედლის გამონაზნექს, რომელიც ძაბრით დაკავშირებულია ჰიპოფიზის უკანა წილთან; მასში განლაგებულ ბირთვებს ბორცვის ბირთვებს უწოდებენ—nuclei tuberales. რუხ ბორცვში მოთავსებულია უმაღლესი ვეგეტატიური ცენტრები, რომლებიც, კერძოდ, მოქმედებენ ნივთიერებათა ცვლაზე და სითბოს რეგულაციაზე.

tuber frontale შუბლის ბორცი; წყვილი ბორცი შუბლის ძვლის ქიცვის წინა ზედაპირზე, შუა ხახის გვერდებზე.

tuber ischiadicum საჯდომი ბორცი; კუკუხო; მოთავსებულია საჯდომი ძვლის სხეულისა და ტოტის შეერთების კუთხეში.

tuber maxillae ზედაყბის ბორცი; ზედაყბის სხეულის საფეთქელქვედა ზედაპირზე.

tuber parietale თხემის ძვლის ბორცი

tuber vermis კიის ბორცი; ნათხემის კიის წილაკი კიის ფოთოლსა და პირამიდას შორის; შეესაბამება ნათხემის ჰემისფეროს ქვემო ნახევარმთვარისებრ წილაკს.

t u b e r a l i s, - e ბორცვისა

tuberculum, - i, საშ. ლათ. პატარა ბორცვი, ბორცვი

tuberculum adductorium მომზიდველი ბორცვი; მცირე შემალ-
ლება ბარძაყის მედიალური როკის ზემოთ, რომელსაც უმაგრდება
დიდი მომზიდველი კუნთის ნაწილი.

tuberculum anterius et posterius (vert. cerv.) კისრის მალეების
წინა და უკანა ბორცვი; განივი მორჩის ბორცვები სპინალური ნერ-
ვის ლარის წინ და უკან.

tuberculum anterius thalami მხედველობის ბორცვის წინა
ბორცვი; შეიცავს წინა ბირთვს.

tuberculum articulare სასახსრე ბორცვი; საფეთქლის ძვლის
ბორცვი ქვედაყბის ფოსოს წინ.

tuberculum auriculae ყურის ნიჟარის ბორცვი; მომცრო შემალ-
ლება ქველზე, მის ზემო და უკანა ნაპირებს შორის. (Darvini).

tuberculum caroticum საძილე ბორცვი; კისრის VI მალის
განივი მორჩის კარგად გამოხატული წინა ბორცვი; მასზე შეიძ-
ლება საერთო საძილე არტერიის მიბჯენა სისხლის დენის დროს.
(Chassaignaci)

tuberculum conoideum კონუსისებრი ბორცვი; მდებარეობს
ლავიწის აკრომიული ბოლოს ქვემო ზედაპირზე, ტრაპეციული ხა-
ზის მედიალურად; მას უმაგრდება კონუსისებრი იოგი.

tuberculum corniculatum რქისებრი ბორცვი; ბორცვი ციციხე-
ხორხსარქვლის ნაოკის უკანა ბოლოზე; გამოწვეულია მის სისქეში
მდებარე რქისებრი ხრტილით. (Santorini).

tuberculum (coronae) dentis კბილის (გვირგვინის) ბორცვი;
ბორცვი კბილის გვირგვინის ენისმხრივ ზედაპირზე, რომელიც გან-
საკუთრებით გამოხატულია ზედა ეშვებზე.

tuberculum costae ნეკნის ბორცვი; ნეკნის გარეთა ზედაპირის
შემალლება, ყელისა და სხეულის საზღვარზე; აღჭურვილია სასახსრე
ზედაპირით და ენაწევრება სათანადო მალის განივ მორჩს. XI და XII
ნეკნებს ბორცვები არ გააჩნიათ.

tuberculum cuneiforme სოლისებრი ბორცვი; ციციხე-ხორხსარ-
ქვლის ნაოკის ბორცვი რქისებრი ბორცვის წინ; გამოწვეულია ამ ნა-
ოკის სისქეში მდებარე სოლისებრი ხრტილით. (Wrisbergi).

tuberculum epiglotticum ხორხსარქვლის ბორცვი; შემალლება
ხორხსარქვლის უკანა ზედაპირის ქვედა ნაწილში.

tuberculum infraglenoidale ქვედასასახსრე ბორცვი; მდებარე-
ობს ბეჭის ლატერალური კიდის ზედა ბოლოში, სასახსრე ფოსოს

ქვეშ; მხრის სამთავა კუნთის გრძელი თავის დაწყების ადგილი (BNA — *tuberositas infraglenoidalis*).

tuberculum intervenosum ვენათაშორისი ბორცვი; შემალლება შარჯვენა წინაგულის უკანა კედლის შიგნითა ზედაპირზე, ზემო და ქვემო ღრუ ვენების ხვრელებს შორის. (Loweri).

tuberculum jugulare საულლე ბორცვი; მღებარეობს კეფის ძვლის შიგნითა ზედაპირზე, სიგმოიდური სინუსის ლარის წინ და მედიალურად.

tuberculum majus et minus დიდი და მცირე ბორცვი; მოთავსებული არიან მხრის ძვლის ზემო ბოლოს წინა ლატერალურ ზედაპირზე, ბორცვაშუა ლარის გვერდებზე.

tuberculum mentale ნიკაპის ბორცვი; მომცრო წყვილი ბორცვი ქვედაყბის სხეულის წინა ზედაპირზე, ნიკაპის შემალლების გვერდებზე.

tuberculum musculi scaleni anterioris წინა კიბისებრი კუნთის ბორცვი; წინა კიბისებრი კუნთის მიმაგრების კვალი პირველი ნეკნის ზემო ზედაპირის წინა ნაწილში, ლავიწქვეშა არტერიისა და ვენის ლარებს შორის (BNA — *tuberculum scaleni, Lisfranci*).

tuberculum nuclei cuneati სოლისებრი ბირთვის ბორცვი; შემალლება მოგრძო ტვინის დორსალურ ზედაპირზე სოლისებრი კონის ზედა ბოლოში; გამოწვეულია მის სისქეში მღებარე სოლისებრი ბირთვით.

tuberculum nuclei gracilis ნაზი ბირთვის ბორცვი; შემალლება მოგრძო ტვინის დორსალურ ზედაპირზე ნაზი კონის ზედა ბოლოში; გამოწვეულია მის სისქეში მღებარე ნაზი ბირთვით (BNA — *clava*).

tuberculum pharyngeum ხახის ბორცვი; შემალლება კეფის ძვლის ძირითადი ნაწილის გარეთა ზედაპირზე.

tuberculum pubicum ბოქვენის ბორცვი; მომცრო შემალლება ბოქვენის ძვლის ქედის მედიალურ ბოლოზე; საზარდულის იოგის მიმაგრების ადგილი.

tuberculum sellae კეხის ბორცვი; სოლისებრი ძვლის სხეულის შემალლება, რომლითაც წინიდან მოსაზღვრულია თურქული კეხი.

tuberculum supraglenoidale ზედასასახსრე ბორცვი; მღებარეობს ბეკის ძვლის სასახსრე ფოსოს ზემოთ; ამ ბორცვიდან იწყება ორთავა კუნთის გრძელი თავის მყესი.

tuberculum thyroideum inferius et superius ქვემო და ზემო

ფარისებრი ბორცვი; მოთავსებული არიან ფარისებრი ხრტილის გარეთა ზედაპირზე; ირიბი ხაზის ზედა და ქვედა ბოლოებზე.

tuberositas, - atis, მდ. ლათ. ხორკლიანობა, ხორკლიანი ბორცვი, ხორკლი

tuberositas deltoidea დელტისებრი ხორკლი; ხორკლიანი არე მხრის ძვლის ლატერალური ზედაპირის ზედა მესამედში, რომელსაც უმაგრდება დელტისებრი კუნთი.

tuberositas glutea ღუნდულოვანი ხორკლი; ხორკლიანი მიდამო ბარძაყის ძვლის უკანა ზედაპირის ზედა ნაწილში, ხორკლიანი ხაზის ლატერალური ბაგის პროქსიმალურად; მას უმაგრდება დიდი ღუნდულა კუნთი.

tuberositas iliaca თეძოს ხორკლი; ხორკლიანი არე თეძოს ძვლის ფრთის გავა-მენჯისმხრივ ზედაპირზე, ყურისებრი ზედაპირის ზემოთ.

tuberositas musculi serrati anterioris წინა დაკბილული კუნთის ხორკლი; წინა დაკბილული კუნთის მიმაგრების კვალი მეორე ნეკნის გარეთა ზედაპირზე. (BNA — tuberositas costae II).

tuberositas ossis cuboidei კუბოიდური ძვლის ხორკლი; შემალაება კუბოიდური ძვლის პლანტარულ ზედაპირზე, მცირე წვივის გრძელი მყესის ღარის უკან.

tuberositas masseterica საღეჭი ხორკლი; საღეჭი კუნთის მიმაგრების კვალი ქვედაყბის გარეთა ზედაპირზე.

tuberositas ossis metatarsi I წინა ტერფის I ძვლის ხორკლი; მდებარეობს წინა ტერფის I ძვლის ფუძის პლანტარულ ზედაპირზე; მას უმაგრდება მცირე წვივის გრძელი კუნთის მყესი.

tuberositas ossis metatarsi V წინა ტერფის V ძვლის ხორკლი; მდებარეობს წინა ტერფის V ძვლის ფუძის პლანტარულ ზედაპირზე; მას უმაგრდება მცირე წვივის მოკლე კუნთის მყესი.

tuberositas ossis navicularis ნავისებრი ძვლის ხორკლი; მდებარეობს ნავისებრი ძვლის პლანტარული ზედაპირის მედიალურ ნაწილში; მას უმაგრდება დიდი წვივის უკანა კუნთის მყესი.

tuberositas phalangis distalis დისტალური ფალანგის ხორკლი; ხელისა და ფეხის თითის დისტალური ფალანგის ხორკლი, შესაბამისად მათ პალმარულ და პლანტარულ ზედაპირზე. (BNA — tuberositas unguicularis).

tuberositas pterygoidea ფრთისებრი ხორკლი; მედიალური ფრთისებრი კუნთის მიმაგრების კვალი ქვედაყბის კუთხის შიგნითა ზედაპირზე.

tuberositas radii სხივის ხორკლი; შემადგენელი სხივის ძვლის სხეულის ზედა ბოლოში, უშუალოდ სხივის ყელის ქვეშ; მას უმაგრდება მხრის ორთავა კუნთის მყესი.

tuberositas sacralis გავის ხორკლი; მდებარეობს გავის ყურისებრი ზედაპირის ზემოთ და უკან; მას უმაგრდება გავა-თეძოს ძვალთაშუა იოგი.

tuberositas tibiae დიდი წვივის ხორკლი; მდებარეობს დიდი წვივის ზედა ბოლოს წინა ზედაპირზე; მას უმაგრდება კვირისტავის იოგი.

tuberositas ulnae იდაყვის ხორკლი; მდებარეობს იდაყვის ძვლის სხეულის პროქსიმალურ ბოლოში, გვირგვინისებრი მორჩის ქვეშ; მას უმაგრდება მხრის კუნთი.

t u b u l u s, - i მ. ლათ. (tubus მილი) მილაკი

tubuli renales თირკმლის მილაკები; თირკმლის ეპითელური მილაკები, რომლებიც ქმნიან თირკმლის სტრუქტურულ ერთეულებს-ნეფრონებს; თითოეული ნეფრონი შედგება თირკმლის სხეულისა, კლაკნილი და სწორი მილაკებისაგან

tubuli renales contorti თირკმლის კლაკნილი მილაკები; ნეფრონის ფარგლებში თირკმლის მილაკი ორჯერ იკლაკნება; პროქსიმალური კლაკნილი მილაკი გორგლის კათსულის უშუალო გაგრძელებაა. იგი გადადის სწორ მილაკში, რომელიც ქმნის მარყუეს და გრძელდება დისტალურ კლაკნილ მილაკში. კლაკნილი მილაკები განლაგებული არიან თირკმლის ქერქოვან ნივთიერებაში.

tubuli renales recti თირკმლის სწორი მილაკები; ნეფრონის ფარგლებში ეწოდება მილაკს, რომლითაც შეერთებულია კლაკნილი მილაკები და მილაკს, რომელიც დისტალურ კლაკნილ მილაკს აერთებს შემკრებ მილაკებთან, თირკმლის სწორი მილაკები განლაგებული არიან თირკმლის ტვინოვან ნივთიერებაში. (Ductus Bellini).

tubuli seminiferi contorti თესლის კლაკნილი მილაკები; სათესლის ყოველ წილაკში მოთავსებულია 3—4 კლაკნილი მილაკი; წილაკის წვეროსთან კლაკნილი მილაკები ერთიან ერთმანეთს და გადადიან თესლის სწორ მილაკებში; თესლის მილაკებში ხდება სპერმატოგენეზი.

tubuli seminiferi recti თესლის სწორი მილაკები; მოკლე მილაკები, რომლებიც თესლის კლაკნილ მილაკებს აერთებენ სათესლის ბადესთან.

tubulosus, - a, - um მილაკოვანი

t u n i c a, - a e, მდ. ლათ. ტუნიკა, ტოგის ქვეშ ჩასაცემლი, ანატ-
გარსი

tunica adventitia ადვენტიციური გარსი; სისხლძარღვების, საყლაპავი მილის, შარდსაწვეთის, თესლის გამომტანი საღინარისა და სათესლე ბუშტუკის გარეთა, შემაერთებელქსოვილოვანი გარსი.

tunica albuginea თეთრი გარსი; სათესლის, ღრუბლისებრი სხეულისა და მღვიმოვანი სხეულების თეთრი, ფიბროზული გარსი.

tunica conjunctiva კონიუნქტივა; შემაერთებელი გარსი; ლორწოვანი გარსი, რომლითაც დაფარულია თვალის კაკლის წინა ნაწილი და უწყვეტად გადადის ქუთუთოების უკანა ზედაპირზე.

tunica dartos ხორციანი გარსი; სათესლე პარკის გლუკუნთოვანი ბოჭკოებით უხვად აღჭურვილი კანქვეშა გარსი; ქმნის სათესლე პარკის ძგიდეს, რომელიც სრულად ყოფს პარკს ორ ნახევრად.

tunica fibrosa ფიბროზული გარსი; ღვიძლის, ელენთის, თირკმლისა და თვალის კაკლის ფიბროზული გარსი.

tunicae funiculi spermatici et testis სათესლის ბაგირაკისა და სათესლის გარსები; თუ თანმიმდევრულად მივყვებით გარედან შიგნით, სათესლისა და სათესლე ბაგირაკის საერთო გარსებია: 1. გარეთა სათესლე ფასცია, რომელიც მუცლის ზედაპირული ფასციის გაგრძელებაა; 2. სათესლის ამწევი კუნთის ფასცია, რომელიც ფეხთაშუა ფასციის გაგრძელებაა; 3. სათესლის ამწევი კუნთი, რომელიც მუცლის შიგნითა ირიბი და განივი კუნთების გაგრძელებაა; 4. ზოგ შემთხვევაში რჩება პერიტონეუმის ბუდისებრი მორჩის ნაშთი; 5. შიგნითა სათესლე ფასცია, რომელიც განივი ფასციის გაგრძელებაა; 6. სათესლის ბუდისებრი გარსი—სეროზული გარსი, რომელიც სათესლის დაშვების შემდეგ სრულად გამოეყოფა პერიტონეუმს და სათესლის გარშემო ქმნის პარიეტული და ვისცერული ფირფიტებისაგან შემდგარ დახშულ სეროზულ გარსს.

tunica intima უშინაგანესი გარსი, ინტიმა; სისხლისა და ლიმფური ძარღვების კედლის შიგნითა გარსი.

tunica media შუა გარსი; სისხლისა და ლიმფური ძარღვების კედლის შუა გარსი.

tunica mucosa ლორწოვანი გარსი; შედგება: 1. 'ეპითელური ფირფიტისაგან; 2. ლორწოვანი გარსის საკუთარი ფირფიტისაგან, რომელიც აგებულია ფაშარი შემაერთებელი ქსოვილისაგან, და 3. ლორწოვანი გარსის კუნთოვანი ფირფიტისაგან, რომელიც აგებულია

გლუკუნთოვანი უჭრედების რამდენიმე შრით; წარმოადგენს საკვები არხის კედლის შიგნითა გარსს. აგებულია და ფუნქციის თავისებურებების მიხედვით გამოყოფენ; ცხვირის, პირის, ენის, ნაღვლის ბუშტის, საშვილოსნოს და დაფის ღრუს ლორწოვან გარსს.

tunica muscularis კუნთოვანი გარსი; ლულოვანი ან ღრუ ორგანოების კუნთოვანი გარსი, რომელიც უმეტეს შემთხვევაში აგებულია გლუკუნთოვანი უჭრედებისაგან.

tunica serosa სეროზული გარსი; შედგება თხელი შემაერთებელ-ქსოვილოვანი საფუძვლისაგან, რომელიც დაფარულია მეზოთელიუმით; სეროზული გარსისაგან აგებულია პლევრა, პერიტონეუმი, სათესლის ბუდისებრი გარსი, სეროზული პერიკარდიუმი. ყველა შემთხვევაში სეროზული გარსი შედგება პარაიეტული და ვისცერული ფირფიტისაგან, რომლებიც ერთმანეთში უწყვეტად გადადიან და ქმნიან სეროზულ პარკებს: პლევრის, პერიტონეუმის, სათესლის ბუდისებრი გარსისა და პერიკარდიუმის ღრუებს.

tunica vasculosa bulbi თვალის კაკლის სისხლძარღვოვანი გარსი; შედგება საკუთრივ სისხლძარღვოვანი გარსისა — *choroidea*, წამწამოვანი სხეულისა და ფერადი გარსისაგან (*BNA — tunica vasculosa oculi*).

turcicus, - a, - um ლათ. თურქული

sella turcica თურქული კეხი

tympanum, - i, საშ. ბერძნ. დაჯი

cavum tympani დაფის ღრუ

tympanicus, - a, - um დაფისა,

U

ulna, - a e, მდ. ლათ. იდაყვი, იდაყვის ძვალი

ularis, - e იდაყვისა, იდაყვისმხრივი, იდაყვისეული

umbilicus, - i, მ. ლათ. კიბი

umbilicalis, - e კიბისა

umbo, - onis, მ. ლათ. ამობურცული ადგილი ფარის შუაში; ანატ.: კიბი

umbo membranae tympani დაფის აპკის კიბი; დაფის აპკის ჩაზნექილი ნაწილის ცენტრი. დაფის აპკის შიგნითა ზედაპირზე მას შეესაბამება ამობურცული ნაწილი, რომელსაც უმაგრდება ჩაქუჩის ტარი.

- uncus, - i, მ.** ლათ. კავი; პარაპიპოკამპური ხვეულის წინა ბოლო დიდი ტვინის საფეთქლის წილის მედიალურ ზედაპირზე.
- uncinatus, - a, - um** კავისებრი
- unguiculus, - i, მ.** ლათ. პატარა ფრჩხილი
- unguicularis, - e** ფრჩხილისა
- unguis, - is, მ.** ლათ. ფრჩხილი
- unipennatus, - a, - um, ლათ.** (unus ერთი, penna ფრთა) ერთფრთიანი
- urachus, - i, მ.** ბერძნ. (urachos შარდსაწვეთი; uron შარდი, cheein ღვრა) ურახუსი, შარდსავალი; ვითარდება ალანტონისის ყლორტისაგან, რომელიც ალანტონისის ბუშტს უკავშირებს კლოაკას; შარდის ბუშტის მწვერვალიდან მიემართება კიპისაკენ; ემბრიონული განვითარების ბოლოს ურახუსის სანათური იხშობა და რჩება ეპითელური ბაგირაკი გარსშემოკრული ფიბროზული ქსოვილით. დაბადების შემდეგ შარდის ბუშტის დაშვების გამო ბაგირაკი გრძელდება და მას კიპის შუა იოგი ეწოდება.
- ureter, - eris, მდ.** ბერძნ. (uron შარდი, tereo შეკავება, შენახვა) შარდსაწვეთი; თირკმლის მენჯიდან შარდის ბუშტში შარდის გამტარი მილი.
- uretericus, - a, - um** შარდსაწვეთისა
- urethra, - ae, მდ.** ბერძნ. შარდსადენი
- urethra feminina** ქალის შარდსადენი; მოკლე არხი, რომელიც შარდსადენის შიგნითა ხვრელით იწყება შარდის ბუშტიდან, ხვრეტს შარდ-სასქესო შუასაძგიდს და შარდსადენის გარეთა ხვრელით იხსნება საშოს კარიბჭეში, საშოს ხვრელის წინ (BNA — urethra muliebri).
- urethra masculina** მამაკაცის შარდსადენი; 20—23 სმ სიგრძის მილი; შარდსადენის შიგნითა ხვრელით იწყება შარდის ბუშტიდან, გაივლის წინამდებარეს სისქეში, ხვრეტს შარდ-სასქესო შუასაძგიდს, გაივლის ასოს ღრუბლისებრ სხეულში და შარდსადენის გარეთა ხვრელით იხსნება ასოს თავზე; მასში არჩევენ წინამდებარე, აპკისებრ და ღრუბლისებრ ნაწილებს; მისი სანათური ორ ადგილას შევიწროებულია. ერთი შევიწროება მის დასაწყის ნაწილშია, მეორე, ყველაზე ვიწრო ადგილი კი—აპკისებრი ნაწილის დასაწყის მონაკვეთში (BNA — urethra virilis).
- urethralis, - e, ურეთრული, შარდსადენისა**

urina, - ae, მდ. ლათ. შარდი

urinarius, - a, - um შარდისა

urogenitalis, - e, ლათ. შარდ-სასქესო, რაც განეკუთვნება შარდ-სასქესო ორგანოებს, სისტემას.

uterus, - i, მ. ლათ. საშვილოსნო

uterinus, - a, - um საშვილოსნოსი

utrículus, - i, მ. ლათ. (uter, utris ტიკი, ტყავის ტიკი, რომელშიც რომაელები ინახავდნენ ღვინოსა და კარაქს) 1. მცირე საშვილოსნო 2. ტიკი; ძვლოვანი კარიბჭის ელიპსურ ჯიბეში მოთავსებული აპკოვანი პარკი, რომელშიც იხსნებიან აპკისებრი სადინარები.

utrículus prostaticus წინამდებარეს საშვილოსნო; სათესლე გდრაკის შუაში მოთავსებული ყრუ ჯიბე; პარამეზონეფროსის სადინარის ქვედა ბოლოს ნაშთი.

uvula, - ae, მდ. ლათ. ნაჭი

uvula palatina სასის ნაჭი; რბილი სასის ენისებრი მორჩი მისი უკანა კედლის შუაში.

uvula vesicae შარდის ბუშტის ნაჭი; შარდის ბუშტის ლორწოვანი გარსის შემალლება შარდსადენის შიგნითა ხვრელის ოდნავ უკან, რომელიც გრძელდება შარდსადენის ქედში. (Ammusati).

uvula vermis კიის ნაჭი; კიის წილაკი კვანძსა და პირამიდის შორის; შეესაბამება ნათხემის ჰემისფეროს ნუშს.

V

vagina, - ae, მდ. ლათ. საშო, ბუდე, ქარქაში

vagina bulbi თვალის კაკლის ბუდე; ფიბროზული ფირფიტა, რომელიც ფარავს თვალის კაკლის უკანა ხუთ მეექვსედს (არ ფარავს რქოვანას) და ფაშარად არის შეზრდილი სკლერასთან (შემაერთებელქსოვილოვანი ხარისხების საშუალებით); წინისკენ შეზრდილია კონიუნქტივასთან, უკანისკენ კი — გარს ეკვრის მხედველობის ნერვის ბუდეებს; განაცალკეებს თვალის კაკალს თვალბუდის ცხიმოვანი სხეულისაგან. თვალის კაკლის ბუდე იხვრიტება მხედველობის ნერვით, წამწამოვანი სისხლძარღვებით და ნერვებით, ქოჩრიანი ვენებითა და თვალის კაკლის კუნთებით, რომლებიც უმაგრდებიან სკლერას; ქმნის ამ კუნთებისთვის ბუდეებს, რომლებიც გრძელდება მათ ფასციებში (BNA — fascia bulbi Tenoni).

vagina carotica საძილე ბუდე; კისრის ფასციის ნაწილი, რომელიც გარს ეკვრის და ქმნის საერთო ბუდეს საერთო და შიგნითა საძილე არტერიასა, შიგნითა საუღლე ვენასა და ცთომილი ნერვისათვის.

vagina externa n. optici, vagina interna n. optici მხედველობის ნერვას გარეთა და შიგნითა ბუდე; წარმოადგენს თავის ტვინის გარსების (მაგარი, ქსელისებრი და რბილი გარსის) გაგრძელებას, რომლებიც მხედველობის არხით ვრცელდება თვალბუდეში მხედველობის ნერვის გარშემო. მხედველობის ნერვის ბუდეებს შორის არსებული სივრცეები — ე. წ. ბუდეთაშორისი სივრცეები — სუბდურალური და სუბარაქნოიდული სივრცეების გაგრძელებაა.

vagina fibrosa tendinis მყესის ფიბროზული ბუდე; კიდურების ზოგიერთი სახსრის მიდამოში ფასცია გასქელებულია საბმელის ან იოგის სახით, რომელიც, აგზავნის რა მორჩებს, მყესის გარშემო ქმნის ფიბროზულ და ძვლოვანფიბროზულ არხებს. ფიბროზული ბუდეები ეწინააღმდეგებიან მყესის გვერდით მოძრაობებს და კუნთის მოქმედებას აძლევენ უფრო ზუსტ მიმართულებას. მყესის მოძრაობა ფიბროზულ არხში გაადვილებულია იმით, რომ უმეტეს შემთხვევაში მყესის გარშემო ამ არხში მოთავსებულია სინოვიური ბუდე.

vagina m. recti abdominis მუცლის სწორი კუნთის ბუდე; შედგება წინა და უკანა ფირფიტისაგან, რომლებიც ერთმანეთთან შეზრდილია მუცლის სწორი კუნთის გვერდით ნაპირებთან; წინა ფირფიტა ზედა ორ მესამედში იქმნება მუცლის გარეთა ირიბი კუნთის აპონევროზით და მუცლის შიგნითა ირიბი კუნთის აპონევროზის წინა ფურცლით, ქვედა ერთ მესამედში კი — მუცლის ყველა განიერი კუნთის აპონევროზებით. უკანა ფირფიტა ზედა ორ მესამედში შექმნილია მუცლის შიგნითა ირიბი კუნთის აპონევროზის უკანა ფურცლით და მუცლის განივი კუნთის აპონევროზით, ქვედა ერთ მესამედში კი — ჩამოთვლილი აპონევროზების წინა ფირფიტაში გადასვლის გამო, მუცლის სწორი კუნთის ბუდის უკანა კედელი წარმოადგენილია მხოლოდ განივი ფასციით.

vagina processus styloideus სადგისისებრი მორჩის ბუდე; ძვლოვანი ბუდე საფეთქლის ძვლის სადგისისებრი მორჩის ძირის გარშემო.

vagina synovialis tendinis მყესის სინოვიური ბუდე; ორფურცლიანი ცილინდრული ბუდე მყესის გარშემო, რომელიც ფიბროზულ

არხშია მოთავსებული; შედგება ვისცერული და პარიეტული ფირფიტისაგან, რომლებიც ბუდის ბოლოებზე ერთმანეთთან შეზრდილია, ვისცერული ფირფიტა გარს ეკვრის მყესს და შეზრდილია მასთან, პარიეტული ფირფიტა კი შიგნიდან ამოფენს ფიბროზულ ბუდეს და მიეზრდება მას; პარიეტულ და ვისცერულ ფირფიტებს შორის მოთავსებულია სინოვიური ბუდის ღრუ, სადაც სინოვიური სითხის მცირე რაოდენობაა.

v a g i n a l i s, - e საშოსი, ბუდისებრი, საბუდე

v a g u s, - i, მ. ლათ. (*vagor* დავეხეტიალებ) ცთომილი

v a g u s, - a, - u m მოხეტიალე, ანატ. ცთომილი
nervus vagus ცთომილი ნერვი

v a l l a t u s, - a, - u m, ლათ. (*vallare* მიწაყრილით შემოზღუდული) შემოზღუდული

papillae vallatae შემოზღუდული დვრილები

v a l l e c u l a, - ae მდ. ლათ. (*vallis* ველი, ხეობა) ღელე

vallecula cerebelli ნათხემის ღელე; ღრმა ორმო, რომლითაც ნათხემის ქვემო ზედაპირზე გამიჯნულია ნათხემის ჰემისფეროები. (*Reili*).

vallecula epiglottica ხორხსარქველის ღელე; ჩაღრმავება ენის ფესვის უკან, ენა-ხორხსარქველის ლატერალურ და მედიალურ ნაოქს შორის.

v a l l u m, - i, საშ. ლათ. მიწაყრილი, ანატ. მორგვი

vallum unguis ფრჩხილის მორგვი; კანის ნალისებრი ნაოქი, რომლითაც შემოსაზღვრულია ფრჩხილის გვერდები და ძირი.

v a l v a, - a e, მდ. ლათ. (*valvae* კარის საგდული) სარქველი; კლასიკურ ლათინურში ეს სიტყვა იხმარება მხოლოდ მრავლობით რიცხვში. მიუხედავად ამისა ეს სიტყვა (მხოლოდითში) მაინც შემოიღეს ახალ ნომენკლატურაში მთლიანად დამხურავი აპარატის — სარქველის აღსანიშნავად. თუ დამხურავი აპარატი — სარქველი, *valva* — აღქურვილია შემადგენელი სეგმენტებით და ამ სეგმენტს *cuspis* ეწოდება, მაშინ *cuspis* უნდა ითარგმნოს სიტყვით — საგდული, ხოლო თუ კი მას *valvula* ეწოდება, მაშინ *valvula* უნდა ითარგმნოს სიტყვით — აფრა.

valva aortae აორტის სარქველი; აორტის ხვრელის დამხურავი აპარატი; შედგება მარჯვენა, მარცხენა და უკანა ნამგლისებრი აფრისაგან.

valva atrioventricularis dextra (valva tricuspidalis) მარჯვენა წინაგულ-პარკუქის სარქველი (სამკარიანი სარქველი); მარჯვენა წინაგულ-პარკუქის ხერელის დამხურავი აპარატი; შედგება წინა, უკანა და ძვიდისეული საგდულისაგან — *cuspidis anterior, posterior et septalis*. თითქოს უფრო ლოგიკურია, რომ სამკარიანი სარქველის თითო სეგმენტს კარი დაერქვას, მაგრამ ქართულ ანატომიურ ტერმინოლოგიაში სიტყვა — კარი ხერელის სინონიმად იხმარება და ამ გარემოებამ შეიძლება გაუგებრობა გამოიწვიოს (BNA — *valvula tricuspidalis*).

valva atrioventricularis sinistra (valva mitralis) მარცხენა წინაგულ-პარკუქის სარქველი (ორკარიანი სარქველი); მარცხენა წინაგულ-პარკუქის დამხურავი აპარატი; შედგება წინა და უკანა საგდულისაგან. (BNA — *valvula bicuspidalis (mitralis)*).

valva ileocecalis თეძო-ბრმა ნაწლავის სარქველი; შედგება ლორწოვანი გარსის ორი ნაოკისაგან, რომლებიც ქმნიან ამ სარქველის ზემო და ქვემო ბაგეს; გვერდებზე ბაგეები შეერთებულია და შემოსაზღვრავენ თეძო-ბრმა ნაწლავის ხერელს; არეგულირებს საკვების გადასვლას თეძოს ნაწლავიდან ბრმა ნაწლავში (BNA—*valvula coli, Bauhini, s. Tulpæ s. Falloppii*).

valva trunci pulmonalis ფილტვის ღეროს სარქველი; ფილტვის ღეროს ხერელის დამხურავი აპარატი; შედგება წინა, მარჯვენა და მარცხენა ნამგლისებრი აფრისაგან.

v a l v u l a, - a e, მდ. ლათ. (კნინ. სიტყვ. *valvae*) სარქველი. აფრა; როდესაც ამ სიტყვის ქვეშ ნაგულისხმევი წარმონაქმნი თვითონ ქმნის დამხურავ აპარატს, მაშინ უკეთესია მას სარქველი ვუწოდოთ, ხოლო როდესაც ის დამხურავი აპარატის მხოლოდ ნაწილია მაშინ — აფრა.

valvula foraminis ovalis (*falx septi*) ოვალური ხერელის სარქველი (ძვიდის ნამგალი); დეფინიტიურ გულში მოთავსებულია წინაგულთაშუა ძვიდის მარცხენა ზედაპირზე; წარმოადგენს წინაგულთაშუა პირველადი ძვიდის — *septum primum* დერივატს, რომელიც სარქველის ფუნქციას ასრულებს ნაყოფის პერიოდში და ატარებს სისხლს მხოლოდ ერთი მიმართულებით მარჯვენა წინაგულიდან მარცხენაში.

valvula fossae navicularis ნავისებრი ფოსოს სარქველი; შარდსადენის ლორწოვანი გარსის განივი (არამუდმივი) ნაოკი, ნავისებრი ფოსოს ზედა კედელზე, რომელიც ნავისებრ ფოსოს განაცალკევებს წინ გახსნილი ჯიბიდან. (Guerini).

valvula lymphatica ლიმფური სარქველი; ლიმფური ძარღვის შიგნითა გარსის სარქველისებრი ნაოქები, რომლებიც ხელს უწყობენ ლიმფის ერთი მიმართულებით დინებას.

valvula semilunaris ნამგლისებრი აფრა; ფილტვის ღეროსა და აორტის სარქველის ნამგლისებრი აფრები. ფილტვის ღეროს სარქველი შედგება წინა მარჯვენა და მარცხენა ნამგლისებრი აფრისაგან, აორტის სარქველი კი — მარჯვენა, მარცხენა და უკანა აფრისაგან. თითოეული აფრა ენდოკარდიუმის დუპლიკატურას წარმოადგენს.

valvula sinus coronarii გვირგვინოვანი სინუსის სარქველი; ენდოკარდიუმის ნამგლისებრი ნაოქი გვირგვინოვანი სინუსის ხერელთან, რომლითაც ის მარჯვენა წინაგულში იხსნება. (*valvula Thebesii*).

valvula venae cavae inferioris ქვემო ღრუ ვენის სარქველი; ენდოკარდიუმის ნამგლისებრი ნაოქი ქვემო ღრუ ვენის ხერელის წინა კიდესთან, რომელიც ოვალური ფოსოსაყენ მიემართება; ნაყოფის პერიოდში არეგულირებს სისხლის ნაკადის მიმართულებას ქვემო ღრუ ვენიდან ოვალური ხერელით მარცხენა წინაგულში. (*valvula Eustachii*).

valvula venosa ვენური სარქველი; ვენის შიგნითა გარსის თხელი, ნაზი ნაოქები (დუპლიკატურები); ჩვეულებრივ მსხვილ ვენებში ორათრიანი სარქველებია; წვრილ ვენებში კი — ერთათრიანი სარქველები. ვენური სარქველები სისხლის ნაკადის უკუდინების დროს იხურება.

valvulae anales ყითას სარქველები; ლორწოვანი გარსის ნამგლისებრი ნაოქები ყითას სვეტების ქვედა ბოლოებს შორის; მათი თავისუფალი ნაპირი მიმართულია ზემოთ; ყითას ყოველი სარქველით წინიდან მოსაზღვრულია ყითას სინუსი.

variabilis, - e, ლათ. ვარიაბილური, ცვალებადი

variatio, - onis, მდ. ლათ. (*variare* სახის შეცვლა, შეცვლა) ვარიაცია, სახეცვლა, ნაირსახეობა, სახეობისაგან გადახრა.

vas, vasis საშ. ლათ. ქერქელი, ანატ. ძარღვი

vas afferens მომტანი ძარღვი; თირკმლის გორგლის მომტანი არტერიოლა.

vasa afferentia მომტანი ძარღვები; სხეულის რომელიმე ნაწილში სისხლის მომტანი ძარღვების კრებითი სახელწოდება; 2. ლიმფურ კვანძში ლიმფის მომტანი ძარღვები.

vas anastomoticum საანასტომოზო ძარღვი; ორი ძარღვის შემაერთებელი მესამე ძარღვი.

vas capillare კაპილარული ძარღვი; კაპილარი; უწვრილესი ძარღვი, რომლის კედელი შედგება ენდოთელური უჯრედებისაგან

vas collaterale. კოლატერალური ძარღვი; გვერდითი ძარღვი, რომელიც გამოეყოფა ძირითად ძარღვს და მიემართება საკმაო მანძალზე იმავე მიმართულებით, ძირითადი ძარღვის პარალელურად. კოლატერალურ ძარღვებს დიდი მნიშვნელობა აქვთ ძირითად ძარღვში სისხლის მიმოქცევის მოშლის დროს. გარდა უკვე არსებული კოლატერალური ძარღვებისა სისხლის მიმოქცევის შეფერხების დროს ანასტომოზებიდან ვითარდება ახალი კოლატერალური ძარღვები.

vas lymphaticum ლიმფური ძარღვი; ლიმფური ძარღვები აგროვებენ ლიმფას ლიმფური კაპილარებიდან; არჩევენ წვრილ, საშუალო ყალიბის და მსხვილ ლიმფურ ძარღვებს; მათი დამახასიათებელი ნიშანია სარქველების არსებობა და კედლის მძლავრი ადვენტიციური გარსი; საშუალო ყალიბის და მსხვილი ლიმფური ძარღვების შუა გარსში გვხვდება გლუვკუნთოვანი უჯრედების კონები, რომლებიც განსაკუთრებით არის გამოხატული ქვემო კიდურის ლიმფურ ძარღვებში. ლიმფური ძარღვების გზაზე განლაგებულია ლიმფური კვანძები. ლიმფური ძარღვებით ლიმფა მიედინება ვენურ სისტემაში.

vas efferens გამომტანი ძარღვი; თირკმლის გორგლის გამომტანი არტერიალა.

vasa efferentia გამომტანი ძარღვები; 1. სხეულის რომელიმე ნაწილიდან სისხლის გამომტანი ძარღვები; 2. ლიმფური კვანძიდან ლიმფის გამომტანი ძარღვები.

vas prominens წარზიდული ძარღვი; სისხლძარღვი ლოკოკინას სადინარის გარეთა კედლის სპირალური შემალღების სისქეში.

vas spirale სპირალური ძარღვი; საკმაოდ მსხვილი სისხლძარღვი ლოკოკინას სადინარის ძირითადი ფირფიტის ქვემო ზედაპირზე.

vasa vasorum ძარღვთა ძარღვები; არტერიებისა და ვენების კედლის გარეთა და შუა გარსის მკვებავი წვრილი სისხლძარღვები.

vascularis, - e, ლათ. (**vasculum** მცირე ძარღვი) ძარღვისა, რაც განეკუთვნება ძარღვს.

vascularisatio, - onis, მდ. ლათ. ვასკულარიზაცია, ძარღვებით მომარაგება

v a s c u l o s u s, - a, - u m, ლათ. ძარღვებით მდიდარი, ძარღვთა შემცველი, ძარღვოვანი.

v a s c u l u m, - i, საშ. ლათ. ((კნინ. სიტყვ. vas) მცირე ძარღვი.

v a s t u s, - a, - u m, ლათ. განიერი
musculus vastus femoris ბარძაყის განიერი კუნთი

v e l u m, - i, საშ. ლათ. იალქანი, ფარდა
velum medullare inferius ქვემო ტვინოვანი ფარდა; ტვინოვანი ფირფიტა ნათხემის ქვემო ფეხებს შორის; ქმნის მეოთხე პარაკუქის სახურავის ქვემო ნაწილს; მას შიგნიდან ეკვრის მეოთხე პარაკუქის სისხლძარღვოვანი სარქველი (BNA — velum medullare post., velum Tarini).

velum medullare superius ზემო ტვინოვანი ფარდა; თხელი, თეთრი ტვინოვანი ფირფიტა ნათხემის ზემო ფეხებს შორის; ქმნის მეოთხე პარაკუქის სახურავის ზემო ნაწილს (BNA — velum medullare ant.).

velum palatinum სასის ფარდა; ანუ რბილი სასა
v e l l u s, **v e l l e r i s**, საშ. ლათ.: კანი
v e n a, - a e, მდ. ლათ. ვენა; სისხლძარღვი, რომლითაც სისხლი მიედინება გულისაკენ.

v e n o s u s, - a, - u m ვენური
v e n t e r, - t r i s, მ. ლათ. მუცელი

venter anterior et posterior წინა და უკანა მუცელი; ორმუცელა კუნთის წინა და უკანა მუცელი.

venter inferior et superior ქვემო და ზემო მუცელი; ბეკინის კუნთის ქვემო და ზემო მუცელი.

v e n t r a l i s, - e ვენტრალური, მუცლისა, მუცლისეული, მუცლისმხრივი

v e n t r i c u l u s, - i, მ. ლათ. (კნინ. სიტყვ. venter) კუჭი, პარაკუჭი

ventriculus dexter et sinister მარჯვენა და მარცხენა პარაკუჭი; გულის პარაკუჭები.

ventriculus (gaster) კუჭი

ventriculus laryngis ხორხის პარაკუჭი; ლორწოვანი გარსის უბე კარიბჭისა და მბგერავ ნაოქებს შორის, რომელიც სიღრმეში მთავრდება ხორხის პარაკით. (Morgagnii).

ventriculus lateralis ლატერალური პარაკუჭი; დიდი ტვინის მარცხენა პარაკუჭს პირობითად თვლიან პირველ პარაკუჭად, მარჯვე-

ნას კი — მეორედ; პარკუქთაშუა ხერელებით გვერდითი პარკუქები უერთდებიან ერთმანეთს და მესამე პარკუქს.

ventriculus quartus მეოთხე პარკუქი; ვითარდება რომბისებრი ტვინის ბუშტის ღრუდან; ეპენდიმით ამოფენილი ღრუ, რომელიც ქვემოთ გრძელდება ზურგის ტვინის ცენტრალურ არხში, ზემოთ კი — დიდი ტვინის წყალსადენში; ამის გარდა მეოთხე პარკუქი შუა და გვერდითი ხერელებით უკავშირდება ქსელქვეშა სივრცეს; ისევე, როგორც დიდი ტვინის ყველა პარკუქი ამოვსებულია თავ-ზურგის ტვინის სითხით.

ventriculus terminalis ბოლო პარკუქი; ზურგის ტვინის ცენტრალური არხის გაგანიერება ზურგის ტვინის კონუსის ქვედა ნაწილში. (Krausei).

ventriculus tertius მესამე პარკუქი; შუამდებარე ტვინის საგიტალურად მდებარე, ეპენდიმით ამოფენილი ღრუ, რომელიც წინისკენ პარკუქთაშუა ხერელებით უერთდება გვერდით პარკუქებს, უკანისკენ კი — დიდი ტვინის წყალსადენს.

ventricularis, - e 1. კუქისა; 2. პარკუქისა

venula, - a e, მდ. ლათ. (კნინ. სიტყვ. vena) ვენულა

venulae rectae სწორი ვენულები; აგროვებენ სისხლს თირკმლის ტვინოვანი ნივთიერებიდან და ერთვიან რკალოვან ვენებს.

venulae stellatae ვარსკვლავისებრი ვენულები; თირკმლის ზედაპირზე სუბკაფსულური ძარღვების შეერთებით წარმოქმნილი ვენულები, რომლებიც დასაბამს აძლევენ წილაკთაშუა ვენებს. (Stellulae Verheyeni).

vermis, - is მ. ლათ. ჭია; ნათხემის უძველესი ნაწილი ნათხემის ჰემისფეროებს შორის.

vermiformis, - e ჭიისებრი

appendix vermiformis ჭიანაწლავი

vertebra, - a e, მდ. ლათ. მალა

vertebra prominens წარზიდული მალა; კისრის მეშვიდე მალა; მას ყველაზე გრძელი და გაუყოფელი წვეტიანი მორჩი აქვს, რომელიც კარგად ისინჯება კანქვეშ.

vertebrae cervicales კისრის მალეები

vertebrae coccygeae კუდუსუნის მალეები

vertebrae lumbales წელის მალეები

vertebrae sacrales გავის მალეები

vertebrae thoracicae გულმკერდის მალეები

vertebralis, - e მალისა, ხერხემლისა

vertex, - *icis*, მ. ლათ. წვერი

vertex corneae რქოვანას წვერი; რქოვანას ყველაზე ამობურცული ნაწილი.

verticalis, - e, ლათ. ვერტიკალური

verus, - a, - u m, ლათ. ნამდვილი, ქვეშარიტი

vesica, - a e, მდ. ლათ. ბუშტი

vesica fellea ნალელის ბუშტი

vesica urinaria შარდის ბუშტი

vesicalis, - e ბუშტისა

vesicula, - a e. მდ. ლათ. ბუშტუკი

vesicula ophthalmica თვალის ბუშტუკი; ჩანასახოვან პერიოდში თავის ტვინის წინა ბუშტის ბუშტუკისებრი გამონაზარდი; ყოველი ბუშტუკი დაკავშირებულია თავის ტვინთან ყუნწით. თვალის ბუშტუკიდან ვითარდება ბადურა და მხედველობის ნერვი.

vesicula seminalis სათესლე ბუშტუკი; წყვილი ბუშტუკი შარდის ბუშტის ძირსა და სწორი ნაწლავის ამპულას შორის; ფრონტალურ განაკვეთზე სათესლე ბუშტუკის ღრუ კლაცნილი არხია გვერდითი ჯიბეებით. შემაერთებელქსოვილოვანი გარსის მოცილების შემდეგ იგი 10—12 სმ სიგრძის ლულას წარმოადგენს, რომელიც ერთი მხრივ ყრულ ბოლოვდება; შედგება ლორწოვანი, კუნთოვანი და ადვენტიციური გარსისაგან; სათესლე ბუშტუკის საწრეტი სადინარი თესლის გამომტან სადინართან ერთად ქმნის მშხეპავ სადინარს, რომელიც იხსნება სათესლე გორაკზე.

vesicularis, - e ბუშტუკისა, ბუშტუკისებრი

vestibulum, - i, საშ. ლათ. ეზო სახლის წინ, შესავალი, კარიბჭე

vestibulum bursae omentalis ბაღექონის აბგის კარიბჭე; ბაღექონის აბგის ვიწრო ნაწილი ბაღექონის ხერელის მახლობლად; ზემოდან მოსაზღვრულია ღვიძლის კუდიანი წილით, ქვემოდან კი — პანკრეასის თავით.

vestibulum laryngis ხორხის კარიბჭე; ხორხის ღრუს ზედა, გაფართოებული ნაწილი ხორხის შესავლიდან კარიბჭის ნოკამდე.

vestibulum nasi ცხვირის კარიბჭე; ცხვირის ღრუს წინა ნაწილი ნესტოდან ცხვირის ზღრუბლამდე; დაფარულია კანით, რომელიც ვადადის საკუთრივ ცხვირის ღრუს ლორწოვან გარსში.

vestibulum oris პირის კარიბჭე; პირის ღრუს ნაწილი; მოსაზღ-

ვრულია წინიდან და გვერდებიდან ტუჩებითა და ლოყებით, შიგნიდან კი — ღრძილებითა და კბილებით. როდესაც პირი დახურულია პირის კარიბჭე უერთდება საკუთრივ პირის ღრუს დიდი ძირითადი კბილების უკან არსებული ნაპრალებით.

vestibulum vaginae საშოს კარიბჭე; ოდნავ ჩაღრმავებული სივრცე მცირე ბაგეებს შორის; წინიდან მოსაზღვრულია საენებოთი, უკნიდან კი — მცირე სასირცხო ბაგეების ლაგამით; მასში იხსნება შარდსადენი, საშო, პარაურეთრული სადინარები, კარიბჭის დიდი და მცირე ჭირკვლების სადინარები.

vestibularis, - e კარიბჭისა, ვესტიბულური

vestigium, - ii, საშ. ლათ. (*vestigare* კვალდაკვალ დევნა) ორგანოს ნაშთი, კვალი; ამ ტერმინით აღინიშნება ნებისმიერი ორგანოს ნაშთი, რომელიც ემბრიონულ პერიოდში ფუნქციონირებდა და შემდეგ უკუგანვითარდა.

vestigium processus vaginalis ბუდისებრი მორჩის ნაშთი; ფიბროზული ზონარი სათესლე ბაგირაკში, პერიტონეუმსა და სათესლეს ბუდისებრ გარსს შორის; წარმოადგენს პერიტონეუმის ბუდისებრი მორჩის რუდიმენტს. სათესლის დაშვების შემდეგ მუცლის ღრუს პარიეტულ პერიტონეუმსა და სათესლის ბუდისებრი გარსის პარიეტულ ფირფიტას შორის კავშირი წყდება (*BNA — rudimentum processus vaginalis, diverticulum Nucki*).

vibrissae, - arum, მდ. ლათ. იხმ. მრ. რიცხვში (მხოლოდითი *vibrio*, - onis ვიბრიონი, მძიმის მსგავსი გაღუნული ჩხირი) ნესტოების თმა.

villus, - i, მ. ლათ. ბუსუსი, ხაო

villi intestinales ნაწლავის ხაოები; წვრილი ნაწლავის ლორწოვანი გარსის 0,2—1,5 მმ სიგრძის მორჩები; ხაოს შექმნაში მონაწილეობს ლორწოვანი გარსის ყველა ფენა; მისი თავისუფალი ზედაპირი დაფარულია სამი სახის ეპითელური უჯრედებით; ეპითელიუმის ქვეშ განლაგებულია სისხლძარღვები, ხაოს ცენტრში კი — ლიმფური კაპილარი—სინუსი. ცილები და ნახშირწყლები შეიწოვება სისხლძარღვებში, ცხიმი კი—ლიმფურ კაპილარებში. უკანასკნელი მონაცემებით საჭმლის მონელება გარდა ნაწლავის ღრუსა ხორციელდება აგრეთვე ხაოებში. ამ ე. წ. საჭმლის კედლისმიერ მონელებაში განსაკუთრებული როლი მიუძღვით ყაითნიან ეპითელურ უჯრედებს.

villi synoviales სინოვიური ხაოები; სასახსრე ჩანთის სინოვი-

ური აპკის ღრუსკენ მიქცეული მიკროსკოპული სიდიდის მორჩები.
v i n c u l u m, - i, საშ. ლათ. (vincire შეკერა, შებორკვა) ბორკილი,
საბმელი, ანატ. იოვი, ლაგამი, თასმა.

vincula tendinum მყესთა თასმები; მომცრო ფიბროზული მყე-
ლები ხელისა და ფეხის თითების მომხრელების სინოვიურ ბუდეებში,
რომელთა საშუალებით მომხრელების მყესები უმაგრდება ფალანგებს.
არჩევნ მყესთა თასმების ორ სახეს: გრძელ და მოკლე თასმებს

virilis, - e, ლათ. (vir მამაკაცი) მამაკაცისა

viscus, - eris, საშ. ლათ. (იხმ. მრ. რიცხვში) შიგნეულობა,
შინაგანი ორგანოები.

visceralis, - e ვისცერული, რაც განეკუთვნება შინაგან ორგა-
ნოებს

visus, - us, მ. ლათ. (videre ხედვა) ხედვა, მხედველობა

vita, - ae, მდ. ლათ. (vivere სიცოცხლე) ცხოვრება, სიცოცხლე
arbor vitae ცხოვრების ხე

vitalis, - e სასიცოცხლო, ვიტალური

vitellus, - i, მ. ლათ. ყვითრი

vitellinus, - a, - um ყვითრისა, საყვითრე

vitrum, - i, საშ. ლათ. მინა, შუშა

vitreus, - a, - um მინისებრი

vocalis, - e, ლათ. (vox ხმა, ბგერა) მბგერავი

vomer, - eris, მ. ლათ. სახნისი

vortex, - icis, მ. ლათ. (vertere ტრიალი, ბრუნვა) მორევი

vortex cordis გულის მორევი; გულის ზედაპირული კუნთოვა-
ნი შრის სპირალურად დახვეული კუნთოვანი ბოჭკოები გულის მწვერ-
ვალთან, შიგნითა კუნთოვან შრეში გადასვლის დროს.

vortices pilorum თმის ქოჩრები; თმის თავისებური, სპირალუ-
რი განლაგება.

vorticosus, - a, - um მორევიანი, ქოჩრიანი

venae vorticosae ქოჩრიანი ვენები; თვალის კაკლის სისხლძარ-
ღოვანი გარსის ეკვატორის გასწვრივ განლაგებული 4—6 ვენა, რო-
მელთა შენაკადების განლაგება მორევს მოგვაგონებს; აგროვებენ
სისხლს სისხლძარღოვანი გარსიდან; ხერტენ სკლერას და ერთვი-
ან თვალბუდის ვენებს.

X

xiphoides, - a, - u m, ბერძნ. (xiphos მახვილი, eides სახე) მახვილისებრი

processus xiphoides მახვილისებრი მორჩი; მკერდის მახვილისებრი მორჩი.

Z

zona, - a e, მდ. ბერძნ. სარტყელი, ზონა

zona hemorrhoidalis ჰემოროიდული ზონა; ყითას არხის ნაწილი ყითას სარტყლებსა და ყითას შორის. ამ ზონის სისქეში განლაგებულია ჰემოროიდული ვენური წნული (BNA —annulus haemorrhoidalis).

zona incerta ბუნდოვანი ზონა; ნერვული ბოჭკოებით დასერილი რუხი არე სუბთალამურ ბირთვსა და მხედველობის ბორცვის ლატერალურ ბირთვს შორის; მისი ფუნქცია გაურკვეველია.

zona orbicularis ყალთა იოგი; მენჯ-ბარძაყის სახსრის ჩანთის სისქეში განლაგებული ირვვლივი ბოჭკოები. (Weberi).

zonula, - a e, მდ. ბერძნ. კინნ. სარტყელი

zonula ciliaris წამწამოვანი სარტყელი; წარმოადგენს სარტყლის ბოჭკოების ერთობლიობას; სარტყლის ბოჭკოები ერთი ბოლოთი უმაგრდება წამწამოვან სხეულს, მეორე ბოლოთი კი ბროლის ჩანთას ეკვატორთან, სადაც ბოჭკოების ნაწილი გადადის წინა ზედაპირზე, ნაწილი კი უკანა ზედაპირზე. ამ ერთმანეთისაგან დაცილებულ ბოჭკოებს შორის იქმნება ლიმფური სივრცეები — სარტყლის სივრცეები. წამწამოვანი სარტყელი აფიქსირებს ბროლს და მონაწილეობს თვალის აკომოდაციაში. (Zinni).

zonularis, - e სარტყელისა

zygapophysis, - is, მდ. (zygon უღელი, apophysis მორჩი) რკალმორჩი; მალის სასახსრე მორჩის სინონიმი.

zygomaticus, - a, - u m, ბერძნ. (zygoma ყვრიმალის) ყვრიმალისა

os zygomaticum ყვრიმალის ძვალი

ლიტერატურა

- აბაშიძე ს., აბაშიძე ლ. სამედიცინო განმარტებითი ლექსიკონი, თბ., 1973.
- თოფურია ვ. და ვიგინეიშვილი ივ., ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი, თბ., 1968.
- მაისურაძე ზ., სამედიცინო ტერმინოლოგია, თბ., 1947.
- ნათაძე ლ., ზერხემლიან ცხოველთა შედარებითი ანატომია, თბ., 1962.
- ნათიშვილი ალ., ნორმალური ანატომიის ტერმინოლოგია, თბ., 1930.
- ნათიშვილი ალ., ადამიანის ნორმალური ანატომია, თბ., 1965.
- უსტიაშვილი ა., კოპალეიშვილი ბ., სამეანო-გინეკოლოგიური ტერმინოლოგია, თბ., 1958.
- ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტტ. I—VIII, თბ., 1950—1964.
- ყაუხჩიშვილი ს., ლათინურ-ქართული ლექსიკონი, თბ., 1951.
- Арнаутов Г. Д., Медицинская терминология, София, 1964.
- Донат Т., Толковый анатомический словарь, Будапешт, 1964.
- Зернов Д., Руководство по описательной анатомии человека, тт. I—II. Москва—Ленинград, 1939.
- Карузин П. И., Словарь анатомических терминов, Москва—Ленинград, 1928.
- Иванов Г. Ф., Основы нормальной анатомии человека, тт. 1—2, Москва, 1949.
- Международная анатомическая номенклатура, Москва, 1970.
- Привес М. Г., Лысенков Н. К., Бушкович В. И., Анатомия человека, Ленинград, 1974.
- Пэттен Б. М., Эмбриология человека, Москва, 1959.
- Синельников Р. Д., Атлас анатомии человека, тт. I—III, 1973—1974.
- Тонков В. Н., Учебник анатомии человека, тт. I—II, Медгиз, 1953.
- Butterworths Medical Dictionary, London, 1965.
- Gray's Anatomy—London—New-York—Toronto, 1947.
- Morris' Human Anatomy, Philadelphia—Toronto, 1942.
- Spalteholz W., Handatlas und Lehrbuch der Anatomie des Menschen, band I—2, 1954.
- Testut L. et Latarjet A., Traite D' Anatomie Humaine, Paris, 1948.

Шелия Леонардо Григорьевич

ТОЛКОВЫЙ АНАТОМИЧЕСКИЙ СЛОВАРЬ

(На латинском и грузинском языках)

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

ИБ 647

გამომცემლობის რედაქტორი გ. ჭაუელი
ტექნორედაქტორი ნ. ბოკერია
კორექტორი ც. ქიტიაშვილი
მხატვარი ვ. ხმალაძე

გადაეცა წარმოებას 25.5.1978; ხელმოწერილია დასაბეჭდად 19.6.1979;
ქაღალდის ზომა 60×90¹/₁₆; ქაღალდი № 1; ნაბეჭდი თაბახი 15.50;
საარტიცხო-საგამომცემლო თაბახი 13.5;
ტირაჟი 3000; შეკვეთა № 1761;
ფასი 1 მან. 55 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19